კვირის პალიტრა
ფეხი
N13 (251) 31/III.-6/IV

1168
2005

თემა — სიყვარული და მაგია

„ის, რასაც შენ მიმართ ვგრძნობ...“

„ეს თურმე
უძველესი რიტუალია...
თოჯინას კანა დავარქვი
და ისე მოვიქეცი,
როგორც მითხრეს...“

მოჯადოებული გრძნობა

„ვეფხისტყაოსნის“ კინოვერსია 7 მილიონ დოლარად

ქორწილია?!!

„მარხვა დამთავრდება
თუ არა, ჯვარს
დავიწერთ...“

„ერთის სიცოცხლის
ბოლომდე ელოდე
ყიფშიძე
უყვარდა...“

„მამის ოჯახში ისე მიმიღეს —
საკუთარ სახლში მეგონა თავი“

გამოვიდა აპრილის ნომერი



!134! გვერდი

თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

100+100 საჩუქარი!

100 გრ. ნესკაფე 100 დღის განმავლობაში

მიირთვით NESCAFÉ®, ხოლო ქილა შეინახეთ გათამაშებამდე!

გათამაშება გაიმართება: 20 მაისს 2005წ

<u>გათამაშების შედეგები იხილეთ პრესაში: ალია, 24 საათი</u>

პრიზები გაიცემა:

შპს „მაკენ-ერიქსონ ჯორჯიას“ ოფისში მისამართზე:

თბილისი, ასათიანის 12ა.

25 მაისიდან 24 ივნისის ჩათვლით,

11 დან 18 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

პრიზის მისაღებად წარმოადგინეთ:

100 გრ. ნესკაფე კლასიკის ცარიელი თუნუქის

ქილა მომგებიანი ნომრით და

პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: **43 40 00**

იგებს ყველა მონაწილე!

შეაგროვეთ 3 ქილა და მიიღე ნესკაფეს წითელი ჭიქა.

25 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

www.nescafe.com.ge

ლიცენზია # 01-4/1028

 კვირის პალიტრა
ეგა
№13 (251)
31 მარტი - 6 აპრილი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ვიბარებ ბოთლებს“ ანუ გულშემატკივრობა ქართულად 3
ერთი კითხვა 4
სახელოსნო
„ვეფხისტყაოსნის“ ნოვატორული კინოვერსია 7 მილიონ დოლარად 6
საპირველაპრილო
- „მარხვა დამთავრდება თუ არა, ჯვარს დავიწერთ...“ 8
- იყოს ძველიც და ახალიც ანუ ხანდაზმულებს გვიტყაპუნებენ... 10

ტესტი
ერთგული მკითხველი 11
კრიმინალი
მრავალშვილიან ოჯახში დატრიალებული ტრაგედია 12
ობიექტივი
დანგრეული მიწურები, გადარჩენილი ტაძრები და ავტორიქმით შემოვლილი უბედურების ზონა 15
მამები და შვილები
ზურა ყიფშიძე: „მამის ოჯახში ისე მიმიღეს – საკუთარ სახლში მეგონა თავი...“ 17
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18
სიყვარული
ნატო გელაშვილი ახალ „ბუდეს“ „ვარსკვლავების სახლში“ იმენებს 20
გზავნილები
„...არ ვნანობ, ყველაფერი ძალზე ლამაზი იყო“ 22
ოფსაიტი
„შევარდნაძე ხომ ცოცხალია, თუ ტყუილს ვამბობ, გამომეხმაუროს...“ 25
თემა
სიყვარული და მაგია 27
პრობლემა
გადამდები დაავადებები 30
საკითხავი ქალებისთვის 32
ჯანმრთელობა
- სწორი ნაწლავის ნახეთქი 34
- სასწრაფო დახმარების მარტივი ხერხები 34
- სასმელი მნიშვნელოვანია 35

ტაძარი
რა უნდა ვიცოდეთ მიცვალებულთა მოხსენიებასთან დაკავშირებით 36

სიყვარული და მაგია

„გაგიხსნით ბედს“; „გავათხოვებ ორმოცს გადაცილებულ ქალებს“ – ეს უცნაური, ერთი შეხედვით კომიკური განცხადებები საკმაოდ პოპულარული გამოცემების ფურცლებზე ამოვიკითხე. ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია და გადავწყვიტე, ჩემს ნაცნობ ნათელმხილველს დავკავშირებოდი.

27

ზვიად გამსახურდიას 66-ე დაბადების დღე



მამა კონსტანტინე (კოლუაშვილი) მას პირადად არ იცნობდა, მაგრამ 1994 წლის თებერვალში, ზვიად გამსახურდიასთვის წესის აგების მიზნით, საკუთარი ნებითა და გულის კარნახით გაემგზავრა გროზნოში... რაც შეეხება გია მამალაძეს – ის ბაგონ ზვიადთან თავისი სტუდენტობის დროინდელ ურთიერთობას იხსენებს...

37

„მარხვა დამთავრდება თუ არა, ჯვარს დავიწერთ“

„პირველად მიშიკომ რომ დამირეკა და შემომთავაზა – „ადიდასის“ სარეკლამო სახედ გვჭირდებითო, – არ დავუჯერე. ვფიქრობდი, რომელიმე ნაცნობი მეკაიფებოდა. თუმცა, გულის სილრმეში ვგრძნობდი, რომ არ ტყუოდა. თანაც, ქართულად გამართულად ვერ ლაპარაკობდა და ამან უფრო დამარწმუნა მისი სიტყვების სიმართლეში.“

8

ზურა ყიფშიძე: „მამის ოჯახში ისე მიმიღეს – საკუთარ სახლში მეგონა თავი...“

„დედაჩემის პირველი ქმარი, სტუდენტობის პერიოდში, იყო ეროსი მანჯგალაძე...

სადაც არ წავიდოდი, სოფელში თუ ქალაქში, მესმოდა – ეს ეროსის ბიჭიაო. ვინ არის ეს ეროსი-მეთქი?– ვკითხულობდი. 13 თუ 14 წლის ვიყავი, როცა ჩავაცივდი დედას – გამაგებინე, ვინ არის მამაჩემი-მეთქი?..“

17

მოგონებები

გვიად გამსახურდიას 66-ე დაბადების დღე 37

ფავორიტები 40

მინდვრებზე და მინდვრებს მიღმა 41

ქართული დეტექტივი

ლუბა ელიავშვილი. საბედისწერო ვოიაჟი (დასასრული) 42

ვარსკვლავი

ნატალი პორტმანი – არშემდგარი ლოლიტა, რომელსაც მშობლები ეროტიკულ სცენებს არიდებენ 46

ბოემონდი 47

ადამიანი-ლეგენდა

ზღვების მბრძანებელი – ონასისი: ქალები და ხომალდები 49

ოჯახი

ცისანა სეფიაშვილი: „ყოველი დღე სიყვარულითაა სავსე...“ 52

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 53

ავტო 54

პირველი პაემანი

„ერთგული მამაკაცი ვარ, მაგრამ ზოგჯერ „ჩავარდნა“ მაქვს...“ 55

ასე უყვართ საქართველოში

„შევნატროდი ქალს, რომელსაც თითქოს ეფიცებოდა – „...დაგინახე, შემიყვარდი“... 56

ასტროლოგია

- კვირის (31 მარტი – 6 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 58
- რა ენერგეტიკას ატარებს ქართული ფულის ერთეული 59

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ვეფხისტყაოსნის“ ნოვატორული კინოვერსია 7 მილიონ დოლარად

„ეს იმდენად იდეალური ნაწარმოებია და იმდენად ზუსტად არის აღწერილი მასში ყველა დეტალი – ეკრანზე რომ არ გადაიტანო, ეს დანაშაულის ტოლფასია... მაპატიეთ, უხეში შედარებისთვის, მაგრამ შოთა რუსთაველს ისე აქვს „დალაგებული“ თხრობა, რომ სცენარის 70% უკვე დაწერილია...“

6

„ერთგული მამაკაცი ვარ, მაგრამ ზოგჯერ „ჩავარდნა“ მაქვს...“

„გეთანხმებით, ძნელია ქართველი კაცის ცოლობა. მაგრამ ჩვენც ხომ ცოდვანი ვართ: ხომ ნახეთ, უკრაინაში ქალები როგორ ცეკვავენ. ამ დროს, მათკენ თვალი გაგირბის კაცს. ესეც ხომ დიდი დანაშაულია?!“

55

ნატალი პორტმანი – არშემდგარი ლოლიტა

სულ მალე ნატალი პორტმანს ახალ რომანტიკულ კომედიაში – „მწეველი“ – ვიხილავთ. ერთ-ერთ ინტერვიუში მსახიობმა „ლეონი-2“-თან დაკავშირებით ისაუბრა, რომლის გადაღებასაც უახლოეს მომავალში ბესონი აპირებს. მანამდე კი, ნატალიმ კიდევ ერთ დიდ წარმატებას მიაღწია...

46

საბედისწერო ვოიაჟი

ლუბა ელიავშვილი

ბოლო სიტყვების დასრულება არ დამცალდა. ჩემი დაუფიქრებელი წამოძახილი კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა. ბესომ არაადამიანურად დაიღრიალა, იატაკზე დამაგდო და სავარძლის ბალიშით დამიწყო გაგუდვა. „აი, ასე მოკლა ანკა“, – გავიფიქრე და მივხვდი, რომ ბედი დამცინოდა და...

42

„ვიბრეთ ბითლებს"

ანუ გულშემტკივრობა ქართულად

მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში ფეხბურთი ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ სიამოვნებად ითვლება. ჰოდა, თუ გვინდა, მრავალწლიანი ოცნება ავიხდინოთ და ამ ცივილიზებული მსოფლიოს ღირსეული წევრები გავხდეთ, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ და სპორტის ეს სახეობა ძვირად ღირებულ სიამოვნებად ვაქციოთ. ჯერჯერობით კი, ქართული ფეხბურთი არც ძვირია და მით უმეტეს, არც სიამოვნება.

იმ ევროპული კლუბების წარმატებები რომ გვშურს, თითოეული გუნდის ბიუჯეტი საქართველოს წლიურ ბიუჯეტს არ ჩამოუვარდება. ჩვენ კი გვინდა, ქართული ფეხბურთისადმი სიყვარული ერთი ჩებურეკისა და გამაგრილებელი სასმლის ფასი დაგვიჯდეს და თან მოგებითაც დავტკბეთ. თუ ვინმემ გაბედა და გოლი გაგვიტანა, იმდენს ვაგინებთ, რომ სამშობლოში დაბრუნებულს ოჯახის რომელიმე წევრი ფეხმძიმედ რომ დახვდეს, აღარც უნდა გაუკვირდეს.

თამაშის წაგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — ბოთლების სეტყვა გარანტირებული აქვთ საცოდავებს. შე კაი კაცო, ფეხბურთი კი არა, ორი ომი წავაგეთ აგერ, თხუთმეტიოდე წლის წინ და ამდენი ბოთლი მაინც რომ გვესროლა მაშინ, ეგება, არც კი წაგვეგო.

ეგრე სადაა, ძმაო?! თუ გვინდა, ჩვენი ფეხბურთის წარმატებებით ვისიამოვნოთ, ჯერ უნდა გავაძვიროთ იგი... ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ფედერაცია ასე ფიქრობს და ისეთი ფასი „ტკეცა" ბილეთებს, რომ კანცელარიაში თვალები შუბლზე აუვიდათ და მორიგ გრანტზე დაიწყეს ჩალიჩი, უბილეთოდ არ დავრჩეთო...

შესაშური ლოგიკაა: რაც უფრო ძვირი ეღირება ბილეთი, მით უფრო კულტურული გულშემატკივარი მოვა და თამაშსაც უფრო მოვიგებთო... თქვე ოჯახაშენებულებო, მეტი კულტურული გულშემატკივარი ვინღა გინდათ, ჩვენი კულტურისა და სპორტის მინისტრი რომაა: ათლარიანი ბილეთი ძლივს იშოვა და დაწყებულ მატჩზე შემოიპარა სტადიონზე, ჟორდანიამ არ დამინახოსო...

მომკალით და, მაგ ლოგიკას დიდი აღფრთოვანებით ვერ დავეთანხმები — რაც უფრო შეძლებულია კაცი, მით უფრო თავაზიანიაო, — რომ ამტკიცებთ. 60 მილიონი აქვს პირად ანგარიშზე ჩვენს ერთ-ერთ ზორბატანა მინისტრს, მაგრამ „გამარჯობასა" და „როგორ ხარ"-ს შორის 18-ჯერ ასწრებს შეგინებას. ის რომ სტადიონზე მივიდეს და ვინმემ გოლის გატანა შეგვკადროს, სტადიონის დისკვალიფიკაცია განაღდებული გვაქვს.

ჩვენ კიდევ, ნაკლებად შეძლებულმა მაყურებელმა რა ვქნათ, მეტი რით დავეხმაროთ ჩვენს გუნდს: ოცლარიანი ბილეთები ვიყიდეთ, ჰიმნიც ვიმღერეთ, დროშებიც ვაფრიალეთ, „სა-ქარ-თვე-ლო"-ს ძახილით გლანდები გადმოვყარეთ და ახლა, აქციას ხომ ვერ მოვაწყობთ და ცეცხლმოკიდებული „პაკრიშკებით" ხომ ვერ გადავუკეტავთ მეტოქეს ჩვენი კარისკენ მიმავალ გზებს?!

არა უშავს, წინ კიდევ გველის დიდი გამარჯვებები: უკრაინელებს ისე ვუყვარვართ, რომ 2005 წელი საქართველოს წლად გამოაცხადეს, საკაშვილი — წლის ადამიანად, გაბაშვილი — წლის მომღერლად და ხუციშვილი — წლის მოცეკვავედ და თამაშს რა ნამუსით მოგვიგებენ?!

დანია და ალბანეთი, რომ იტყვიან, ჩვენი „ბულკები" არიან და როცა მოგვინდება, მაშინ მოვუგებთ (მთავარია, თამაშის დღეს მოგვინდება თუ არა); ყაზახეთზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: ყირგიზეთის მაგალითით შეშინებულებს ორი სიტყვის ჩაჩურჩულება უნდათ — რევოლუცია მოდისო! — და გასახდელიდან არ გამოყოფენ ცხვირს...

მოკლედ, მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიაში აუცილებლად მოვხვდებით. რა უნდა, გერმანიაში მოხვედრას?! ყოველი მეორე ქართველი გერმანიაშია, ბავშვებსაც უვლიან, ბინებსაც ალაგებენ და თითო „ოპელ-ვექტრაც" კი ჩამოჰყავთ.

ასე რომ, წინ, გერმანიისკენ!..

P.S. გულშემატკივარი ბილეთის რიგში:

— თუ შეიძლება, ერთი ბილეთი მინდა, ათლარიანი.

— გათავდა, ბატონო, მხოლოდ ოცლარიანებიღა დაგვრჩა...

— მაშინ, მარტო მეორე ტაიმის ბილეთი მომეცით...

პროვოკატორი

„ჩვენი მოქალაქეებისთვის კვლავ პრობლემატურია ევროპაში ჩასასვლელი ვიზების მიღება...“

— უკვე არსებობს კონკრეტული პროგრამა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრების ხელშემწყობი უნდა გახდეს. როგორია ამ მიმართულებით საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია?

სალომე ზურაბიშვილი, *საგარეო საქმეთა მინისტრი:*

— ჩვენი უწყება აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესთან და ამ მიმართულებით მკაფიოდ გვაქვს განსაზღვრული ჩვენი ფუნქციები, როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე მის ფარგლებში. ევროკავშირში გაწევრების ახალი სამოქმედო გეგმა ჩვენთვის ახალი რეალური ეტაპი უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დარჩეს ტექნიკური დახმარებების (იმავე „ტასისის“ პროგრამა) დონეზე, როგორც ეს ყოფილი ხელისუფლების მიერ ხორციელდებოდა. ვფიქრობ, ასეთ მიდგომაზე უარი უნდა ვთქვათ და ქმედითი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, ევროკავშირში გაწევრების ეტაპი მოვამზადოთ. ამას კი ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ერთი მხრივ, ჩვენ და ევროკავშირს საერთო პრობლემები გვაქვს, ხოლო მეორე მხრივ, საერთო ინტერესები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია, ევროკავშირმა დემოკრატიის ინიციატივა დაუთმოს ამერიკას. ამიტომ მართებულად მიმაჩნია, რომ მან ჩვენი ქვეყნის პენიტენციარულ სისტემას ისეთივე დახმარება გაუწიოს, როგორიც ამერიკელებმა სამხედრო სფეროში გაგვიწიეს. კიდევ ერთი მიმართულება გახლავთ ჩვენი ქვეყნის საზღვრების დაცვა და მათზე კონტროლის განხორციელება, რისთვისაც ევროკავშირიდან მოვლენილი 3-კაციანი მისია იმუშავებს. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ჯერ კიდევ პრობლემატური რჩება ევროკავშირის ქვეყნებში ჩასასვლელი ვიზების მიღება, რაც პირადად მე, საბჭოთა პერიოდის გამკაცრებულ რეჟიმს მაგონებს. საკმაოდ მწვავედ დგას ჩვენი მოქალაქეების არალეგალური მიგრაციის პრობლემა: ჩვენი მონაცემით, მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ სტატუსით 200 ათასამდე ქართველი იმყოფება. ხოლო მდგომარეობა, რომელიც ამ თვალსაზრისით, მაგალითად, საბერძნეთსა და ესპანეთშია შექმნილი, მნიშვნელოვნად აფერხებს ჩვენს ინტეგრაციას ევროკავშირში. მაგრამ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სახსრების უქონლობის გამო, დამოუკიდებლად ამ პრობლემას ვერ მოვაგვარებთ. ევროკავშირში გაწევრების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია რეგიონალური საკითხები — ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან — აზერბაიჯანთან და სომხეთთან, მათთან საერთო ინტერესების გამონახვა. მათ შორის არსებული კონფლიქტიდან გამომდინარე, ეკონომიკურ სექტორს გვერდი ავუარეთ და ამ ეტაპზე, განათლების სფეროზე შევჩერდით. მინდა გითხრათ, რომ უკვე მოვიწვიე საქართველოში ჩემი კოლეგები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან და ვგეგმავთ ერთიანი ადმინისტრაციული სკოლის შექმნას, რომელიც საქართველოში დაიდებს ბინას. ■

განახლებულ კოდექსში პროფესიონალური საიდუმლოს დაცვაცაა გათვალისწინებული

— ბატონო გიგა, თქვენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განახლების ინიციატორი და მოსალოდნელი ცვლილებების ავტორი ბრძანდებით. როგორ ფიქრობთ — რამდენად ეფექტურს გახდის აღნიშნული ცვლილებები მუშაობას ამ მიმართულებით?

გიგა ბოკერია, *პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:*

— მართლაც, გენერალურ პროკურატურასთან ერთად მოსალოდნელ ცვლილებათა ერთ-ერთი ავტორი მეც გახლავართ, ამიტომ ვფიქრობ, რომ შეფასებისას მიუკერძოებელი ვერ ვიქნები. თუმცა მიმაჩნია, რომ ეს არის მართლაც რევოლუციური ცვლილებები ყველა მიმართულებით. ეს გახლავთ წინასწარი პატიმრობის ვადის შემცირება — 9-დან 4 თვემდე. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება გახლავთ მოწმის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებების, როგორც მტკიცებულებების დაუშვებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ის არ დადასტურდა, სასამართლო პროცესზე; მოგეხსენებათ, რომ ამ დრომდე, ჩვენში აქტიურად მოქმედებდა წინასწარი გამოძიების დროს ჩვენების სხვადასხვა ფორმით გამოძალვის პრაქტიკა. შემდეგ ისიც ხდებოდა, რომ ღია სასამართლო პროცესზე მოწმეები მიცემულ ჩვენებებს უარყოფდნენ ხოლმე, თუმცა ზოგჯერ სასამართლო წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს იზიარებდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გამარტივდება მოკვლევის პროცესი, რომელიც კორუფციის და გართულებული სასამართლო წარმოების ძირითად წყაროს წარმოადგენს. აქვე შემიძლია აღვნიშნო საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის საკითხი, რომელიც ჟურნალისტურ საქმიანობას ეხება. მიმაჩნია, რომ ჩვენი კანონმდებლობა აქამდე რომ ყოფილიყო სწორად ინტერპრეტირებული, ფარული ჩანაწერების გამოყენება მტკიცებულებად დასაშვები უნდა ყოფილიყო. ახლა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალსახად ჩაიწერა, რომ ფარული ჩანაწერები, თუ ის ვინმეს პირად ცხოვრებას არ ხელყოფს, შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად. განმარტებისთვის მოვიყვან მაგალითს: თუ თქვენ უკანონოდ ორი უცხო პირის ჩანაწერს მოისმენთ, ეს სისხლის სამართლის დანაშაული იქნება, მაგრამ თუ თქვენ ფარულად თქვენს კერძო სივრცეში იწერთ ჩემთან საუბარს, ეს ჩანაწერი მტკიცებულებად გამოდგება. ცვლილებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროფესიონალური საიდუმლოს დაცვას. მართალია, ჩვენ ეს პუნქტი ჯერ კიდევ სიტყვის თავისუფლების შესახებ კანონში ჩავწერეთ, მაგრამ აუცილებელად მივიჩნიეთ მისი გადატანა საპროცესო კოდექსშიც. ამრიგად, ჟურნალისტს უფლება აქვს, რომ პროფესიონალურ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩვენება არ მისცეს. ■

აკაკი ასათიანი პოლიტიკაში „სახალხო ფორუმით“ ბრუნდება

— რით იყო განპირობებული ახალი პოლიტიკური მოძრაობის შექმნა და როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა?

აკაკი ასათიანი, *ახალი მოძრაობა — „სახალხო ფორუმის“ ლიდერი:*

— უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენმა საზოგადოებამ გარკვეულწილად მოიპოვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, ახლა კი დადგა ეტაპი, რომ ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის მისაღწევად ვიბრძოლოთ. ჩვენი მიზანია, რომ საქართველოში სიღატაკე დავძლიოთ და რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიეცეს შანსი, მდიდრულად იცხოვროს. როდესაც მოქმედი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ რეფორმებზე საუბრობენ, რა თქმა უნდა, აღნიშნავენ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით მიღწეულ პროგრესს, რაც აშკარაა. მაგრამ გარკვეულ სფეროებში ვითარების გაუარესებაც შეინიშნება. მაგალითად, ახლა გაცილებით მწვავედ დგას ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა. ასევე მწვავედ დგას დღის წესრიგში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემა. ამიტომ მიმაჩნია, რომ მისი გადაჭრის გზების ძებნა საზოგადოების განხილვის საგნად უნდა იქცეს და მხოლოდ მასთან შეთანხმებული პოზიციის შედეგად იქნება შესაძლებელი მართებული ნაბიჯების გადადგმა. ამის პოტენციალი ჩვენს ხალხში არსებობს. სწორედ ამ და სხვა იდეის გარშემო შეიკრიბა ახალი ფორუმის საინიციატივო ჯგუფი, რომლის წევრებიც ჩემთან ერთად გახლავან: რევაზ შავიშვილი, გუბაზ სანიკიძე, ირაკლი მელაშვილი, ნიკო ორველაშვილი, გია ხეჩინაშვილი, მსახიობი გოგი ქავთარაძე და სხვები. ■

„ჭიაბერაშვილის გადასაწყვეტი არ არის, ვინ სად უნდა წავიდეს“



„ჭიაბერაშვილო, ჩამოდი ხალხთან!“ — ასეთი შეძახილებით მიმდინარეობდა ე.წ. ელიავას ბაზრობის მოვაჭრეების აქცია ქალაქის მერიის შენობის წინ. აქციის მონაწილეები ლილოს ტერიტორიაზე ბაზრობის გადატანას აპროტესტებდნენ და ქალაქის მერისგან გადაწყვეტილების შეცვლას მოითხოვდნენ. თავის მხრივ, ქალაქის მთავრობამ ლილოში ახალგარემონტებული კომპლექსის ჩვენება მოაწყო. მიუხედავად ამისა, ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში გადასვლის სურვილი არც ერთ მოვაჭრეს არ გასჩენია. ზურაბ ჭიაბერაშვილმა პირობა მისცა მოვაჭრეებს, რომ ბაზრობის გადატანის პროცესი დროებით შეჩერდება, კერძოდ — სამშენებლო სეზონის დასრულებამდე. გაუსაძლის ყოფაში მყოფი მოსახლეობის, ამ შემთხვევაში — ვაჭრობით დასაქმებული ასობით ადამიანის საპროტესტო განწყობილებას

პოლიტიკური ოპოზიციაც იზიარებს და ხელისუფლების მისამართით გამოთქმულ მწვავე კრიტიკასაც არ იშურებს.

დავით გამყრელიძე, *მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი:*

— როგორც ჩანს, ჭიაბერაშვილს და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს დიდი სურვილი აქვთ, რომ გარკვეული წილი მოიპოვონ ამ ბაზრობიდან. ხოლო ამის განხორციელების ერთადერთი საშუალება გახლავთ ის, რომ მოვაჭრეები იძულებით გადაიყვანონ ე.წ. ელიავას ბაზრობიდან თავის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე, სადაც მათი წილი უკვე განსაზღვრული იქნება. მერწმუნეთ, რომ სხვა დანარჩენი არგუმენტები სრული აბსურდია. თუნდაც ის, რომ ელიავას ბაზრობა აფერხებს მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო მოძრაობას. აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია გზის პირას მდებარე ჯიხურების გადანაცვლებით და რა თქმა უნდა, ამავე ტერიტორიაზეა შესაძლებელი ყველა თანამედროვე სტანდარტის დაცვით დიდი — მეგამარკეტის მოწყობა, სადაც ადამიანებს საშუალება ექნებათ, ივაჭრონ, როგორც სამშენებლო მასალებით, ასევე სხვა დანიშნულების პროდუქციით. ჭიაბერაშვილის გადასაწყვეტი არ არის, ვინ სად უნდა წავიდეს. ბაზარმა ამგვარად ჩამოაყალიბა არსებული ვითარება და ასეც უნდა დარჩეს. ■

დიპლომატიური აკადემია
ბაკალავრიატი, მაგისტრატურა:
საერთაშორისო ურთიერთობები
საერთაშორისო სამართალი
მისამართი: ალ. ყაზბეგის №34
39 81 72; 39 04 94; 23 23 38
www.diplomaticacademy.ge
მუშაობს სკოლა-ლიცეუმიც



„დარდუბალისა“ და „ჩვენი ეზოს“ ავტორი ამჟამად რამდენიმე ახალ მულტიპლიკაციაზე მუშაობს. გიორგი ჟანტურიას შემოქმედებით სტუდიაში, გაცხოველებული სამუშაო პროცესია გაჩაღებული. პარალელურ რეჟიმში იქმნება ნახატები „არგონავტებისთვის“ და ვირტუალური სამყარო, რომელშიც მალე რუსთაველის პოემას გააცოცხლებენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ნოვატორული კინოვერსია 7 მილიონ დოლარად

ემა ტუხიაშვილი

— დაახლოებით 12-13 წელია, რაც ოცნებად მქონდა ქცეული „ვეფხისტყაოსნის“ ნახატი ვერსია გადამეღო. მაგრამ ამ სურვილის განხორციელების შესაძლებლობა, მხოლოდ ახლა, საკუთარი სტუდიის გახსნის შემდეგ მომეცა. საკმაოდ დიდხანს ვმსჯელობდით მულტიპლიკაციის ფორმასა და სტილზე. ვერ გადაგვეწყვიტა, გადაგვეღო „ვეფხისტყაოსანი“ სამგანზომილებიან გრაფიკაში, ყოფილიყო ეს ჩვეულებრივი, ხელით ნახატი ანიმაცია, გროტესკული თუ რეალური გამოსახულება. საბოლოოდ, რაღაც შუალედურ ვარიანტზე შევჩერდით და შემიძლია გითხრათ, რომ ამ ფილმის შესრულების ტექნიკა სრულიად ახალი და ნოვატორული იქნება. ეს იქნება ძალიან ლამაზი, დიდებული და აკადემიური სურათი, რომლის ყურებისას მაყურებელს ცოტა ხნით ალბათ, სუნთქვა შეეკვრება. ეს არ იქნება ძალიან „ძუქი“ ან პირიქით ძალიან ჭრელი სურათი, რადგან აბსოლუტურად უნდა შეესაბამებოდეს ნაწარმოებში ასახულ პერიოდს. ამჟამად ვმუშაობთ ინტერიერების შექმნაზე, „ვაშენებთ“ ციხესიმაგრეებს, ქალაქებს, ვქმნით ჯარს. მოგვიანებით, გადავალთ კონკრეტული პერსონაჟების შექმნაზე. არ მინდა, ახლა ყველა დეტალი გაგიმხილოთ, მაგრამ გეტყვით, რომ არ გვეყოლება დიდცხვირა და ულვაშიანი პერსონაჟები და ისინი არც კომბლესა და არც ხუთკუნჭულას არ დაემსგავსებიან... ჩვენი ვარაუდით, სექტემბრისთვის უკვე გვექნება რამდენიმეწუთიანი დემოვერსია, რომელსაც იხილავენ, როგორც მაყურებლები, ასევე პოტენციური სპონსორები. „ვეფხისტყაოსნის“ დემოვერსიას უცხოეთშიც გავგზავნით და შემდგომი სამუშაოების გასაგრძელებლად დაველოდებით შესაბამის დაფინანსებას.

— რა თანხაა საჭირო ფილმის ბოლომდე დასასრულებლად?

— დაახლოებით ეს არის 6-7 მილიონი დოლარი. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სამუშაო პროცესში ხარჯები კიდევ უფრო გაიზარდოს. შესაძლოა, გაჩნდეს უფრო თანამედროვე აპარატურის საჭიროება და ა.შ. იმასაც გეტყვით, რომ შემიძლია, ეს ფილმი დამოუკიდებლად, ჩემს სტუდიაში გადავიღო, მაგრამ ამისათვის საკმაოდ დიდი დრო — დაახლოებით 10 წელი მაინც დამჭირდება.

— თუ გაქვთ უკვე განსაზღვრული ფილმის ქრონომეტრაჟი?

— ნახატი ფილმი დაახლოებით 2 საათსა და 20 წუთს გაგრძელდება.

— „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციისთვის ხელის მოკიდება საკუთარ თავზე საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს. შეგეძლო, რომელიმე ჩვეულებრივი ზღაპრის სიუჟეტის მიხედვით გადაგეღო ნახატი ფილმი...

— ეს იმდენად იდეალური ნაწარმოებია და იმდენად ზუსტად არის აღწერილი მასში ყველა დეტალი — ეკრანზე რომ არ გადაიტანო, ეს დანაშაულის ტოლფასია... მაპატიეთ, უხეში შედარებისთვის, მაგრამ შოთა რუსთაველს ისე აქვს „დალაგებული“ თხრობა, რომ სცენარის 70% უკვე დაწერილია თვით ნაწარმოებში. ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ გადაღების პროცესში ბევრი რამ შესაძლოა, დაიკარგოს, მაგრამ ვეცდებით, რომ ეს დანაკარგი ვიზუალური ეფექტით ავანაზღაუროთ. სამწუხაროა, მაგრამ დღეს ქართველების უმეტესობამ სათანადოდ არ იცის „ვეფხისტყაოსანი“. მეც, ისევე, როგორც ყველა მოზარდს, ამ ნაწარმოებთან შეხება მერვე კლასში მომიხდა, თუმცა მაშინ, რამდენიმე ცნობილი აფორიზმის გარდა, ბევრი ვერაფერი გავიგე. მხოლოდ მოგვიანებით, უკვე სტუდენტობის პერიოდში შევიგრძენი მთლიანად ამ ნაწარმოების გენიალობა და ახლა საკმაოდ კარგად ვიცი საიმისოდ, რომ მისი ეკრანზე გაცოცხლების ინიციატორი ვიყო. არ გამოვრიცხავ, ბევრი ისტორიკოსი და ლიტერატორი ჩემი ინიციატივის გამო შემეკამათება, მაგრამ კრიტიკის ნამდვილად არ მეშინია. არც იმის ილუზია მაქვს, რომ ჩემი ფილმი შეძლებს, სრულად ასახოს შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი წაკითხვის სურვილს ბევრს გაუღვივებს. ეს არ იქნება მხოლოდ ქართველ მაყურებელზე გათვლილი სურათი და როგორც ჩემი ლექტორები ამბობდნენ ხოლმე, ზოგადსაკაცობრიო დატვირთვა ექნება.

— როგორც ვიცი — „არგონავტების“ მულტიპლიკაციურ ვერსიაზეც მუშაობ...

— ეს იქნება კლასიკურ სტილში შესრულებული, ხელით ნახატი სურათი. უკვე შევქმენით იაზონის, მედეას და სხვა გმირების პორტრეტები. მეტიც, უკვე დაწყებულია გადაღებები და იმედი გვაქვს, რომ ამ ნახატ ფილმს გაცილებით ადრე შევთავაზებთ ქართველ მაყურებელს. „ვეფხისტყაოსნისგან“ განსხვავებით, ეს იქნება საბავშვო მხიარული ამბავი. არ მინდა ახლა ყველა დეტალი გამოვამზეურო, მაგრამ გეტყვით, რომ სცენარისტიდან დაწყებული, ფილმის გადამღებ ჯგუფში სულ პროფესიონალები არიან ჩაბმული. გარდა ამისა, კიდევ ვამუშავებთ 5 ანიმაციურ პროექტს.

მაშინ, რამდენიმე ცნობილი აფორიზმის გარდა, ბევრი ვერაფერი გავიგე. მხოლოდ მოგვიანებით შევიგრძენი მთლიანად ამ ნაწარმოების გენიალობა...

— ამასთან ერთად ახორციელებ სატელევიზიო პროექტს — „მხედრობა“. საინტერესოა, ჯარში თუ ხარ ნამყოფი?

— ასეთი სატელევიზიო გადაცემის იდეა ჯერ კიდევ 3 წლის წინ მქონდა. შემდეგ გავიმარჯვე საზოგადოებრივ არხზე გამართულ ტენდერში, პროექტი გავაახლე და ახლა ჩვენი გადაცემები ეძღვნება ისტორიულად ცნობილი ბრძოლების განხილვას. სამომავლოდ სურვილი გვაქვს, რომ ტელემაყურებელს თვით ბრძოლების რეკონსტრუქციები შევთავაზოთ. ახლო მომავალში კი, ჩვენი გადაცემები აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნება. დეტალურად განვიხილავთ ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ ბრძოლებს, რომელთა დიდი ნაწილი ქართველების გამარჯვებით დასრულდა. კიდევ ერთხელ დავანახვებთ საზოგადოებას, რომ სამწუხაროდ, ეს ომი პოლიტიკოსებმა წააგეს და არა ქართულმა ჯარმა. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს: ჯარში ნამყოფი არ ვარ, მაგრამ ბევრ ჯარისკაცზე უკეთ ვისვრი. ბავშვობიდან ვიყავი გატაცებული სპორტის ამ სახეობით. როდესაც უნივერსიტეტში ვსწავლობდი, სამხედრო კათედრა ჯერ კიდევ საბჭოთა სტანდარტებზე იყო აწყობილი და პროტესტის ნიშნად, არ ვესწრებოდი სამხედრო სწავლებას. შემდეგ 2 შვილი შემეძინა და სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან გამათავისუფლეს. ამ ცოტა ხნის წინ კი, ოპერაცია გავიკეთე. ახლა ჭრილობების მოშუშებას ველოდები, შემდეგ კი აუცილებლად წავალ რეზერვისტად.

— გამოდის, რომ „ჩვენი ეზოც“ და „დარდუბალაც“ ყოფილ ხელისუფლებას გააყოლე. ახალი მთავრობის გაქილიკების აუცილებლობას ვერ ხედავ?..

— ყოველთვის ვამბობ, — ჩემი თავისუფლების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ არ შეიძლება, რომელიმე მთავრობისთვის აბსოლუტურად მისაღები პიროვნება ვიყო. ვერც სახელმწიფო მოხელეთა „კარის მულტიპლიკატორად“ ვიქცევი. არც ის მიმაჩნია სწორად, რომ რასაც შევარდნაძეს და მის გარემოცვასთან დაკავშირებით ვაკეთებდი, ახლა ზუსტად იგივე გადმოვიტანო და ამ ფორმით ახლანდელი ხელისუფლება ვაკრიტიკო. თუმცა იმასაც გეტყვით, რომ თუ ჩვენი ხელისუფლება დაშვებულ შეცდომებს არ გამოასწორებს, პირობას გაძლევთ, მოვიფიქრებ, თუ რა ფორმით გამოვხატო პროტესტი. მაგრამ შეიძლება, ეს სულ არ იყოს მულტიპლიკაცია და უბრალოდ, დროშით ხელში ვიარო ქუჩებში.

— შენგან განსხვავებით, შენი მეგობრები სატელევიზიო იუმორისტულ პროექტებზე მუშაობენ. მსგავსი შემოთავაზება ან სურვილი იმავეს კეთებისა არ გქონია?

— კიდევ ერთ იუმორისტულ გადაცემას ქართულ ტელესივრცეში ნამდვილად ვერ გავაკეთებდი, რამდენიმე მიზეზის გამო. დათოც *(ვოგიჩაიშვილი. — ავტ.)* და ნიკაც *(ქავთარაძე. — ავტ.)* ჩემი მეგობრები არიან, ამიტომ ასეთ რამეს ვერ „ვაკადრებდი“. თუმცა, არ დაგიმალავთ, რომ რამდენიმე ხნის წინ, მართლაც გავიფიქრე: იუმორისტული პროექტის შექმნა ხომ არ მეცადა-მეთქი? მაგრამ ამის იქით არ წავსულვარ. „ღამის შოუს“ შექმნაში მცირედი წვლილი მეც მიმიძღვის. თუმცა, როგორც



მიმაჩნია, რომ ტყუილით ცხოვრება ძალიან ძნელია...

კი ამოიწურა იქ ჩემი ფუნქციები, მაშინვე წამოვედი.

— მეგობრის პოზიციიდან გამომდინარე გაგიჭირდება, რომ ობიექტურად შეაფასო გოგიჩაიშვილისა თუ ქავთარაძის გადაცემები, ხომ?

— გაცილებით უკეთ გამომდის, როდესაც ამას თვითონ ვამბობ — შესაძლოა, ქაღალდზე ეს ცოტა უხეშად და ამპარტავნულად ჟღერდეს... დათოც და ნიკაც ჩემი რეკომენდაციით მიიღეს უნივერსიტეტის „კავეენში“. ამიტომ მათი გაბრწყინება იუმორში ჩემ თვალწინ მოხდა. რაც შეეხება მათ გადაცემებს, დათო უფრო აკადემიურია და მისი გადაცემის ფორმატი უფრო სწორად არის განსაზღვრული. თუმცა, ბოლო დროს, მისი ზოგიერთი ხუმრობის დონე დაქვეითდა. ამასაც თავისი მიზეზი აქვს, რადგან ერთდროულად რამდენიმე იუმორისტული გადაცემის კეთება იოლი არ არის. რაც შეეხება, „ნიკას შოუს“ — ის „ღამის შოუს“ კონკურენტია, ამიტომ შემართება და მოტივაცია ამ გუნდს უფრო მეტი ჰქონდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ნიკას გადაცემის სტარტი უფრო ხმაურიანი და საკმაოდ კარგი იყო. მაგრამ მიმაჩნია, რომ პროვინციული კილო საკმაოდ დიდ დაღს ასვამს ამ გადაცემას. ნიკას ჩვეულებრივი სალიტერატურო ქართულითაც შეუძლია ლაპარაკი და „იქანა“-„აქანას“ გარეშეც შეუძლია, გააცინოს მაყურებელი. სწორედ ამ თვალსაზრისით, ახალ გადაცემას შალვა რამიშვილის გავლენა შემორჩა, რაც ბიჭებმა ჯერ ვერ მოიცილეს. ვამაყობ იმით, რომ ქართულ ტელესივრცეში რამდენიმე კარგი იუმორისტული გადაცემა არსებობს და ყველა ჩემს მეგობრებს ეკუთვნის.

— საპირველაპრილოდ, ერთმანეთს ხუმრობებს არ უგზავნით?

— ჩვენთვის ფაქტობრივად, ყოველი დღე პირველი აპრილია. ამასთანავე, ერთი ასეთი თვისება მაქვს: როდესაც ვიღაც ჩემს ტყუილს „ჭამს“, ბოლო წუთს მიჭირს თავის შეკავება და საკუთარ თავს ვამხელ. ერთხელ, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, შალვა რამიშვილს შევუტიე: შენთან არაფერი უნდა თქვას ადამიანმა, მეორე დღეს მთელმა თბილისმა იცის-მეთქი. შალვა გაფითრდა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა. სერიოზულად შეწუხდა, ამიტომ მაშინვე მივახალე: გეხუმრე-მეთქი!.. გაცილებით უკეთ ვიცრუე ერთხელ, ჩემი სკოლის მეგობართან. შატალოზე ვიყავით წასული. მას სახლში უნდოდა წასვლა, მე კი მუშთაიდისკენ მიმიწევდა გული. ორივეს ძალიან გვშიოდა, ამიტომ მოვატყუე: დედაჩემს ხაჭაპურის შეკვეთა აქვს მიცემული, მუშთაიდის ბაღთან ერთ-ერთ კორპუსში და წამოღებაში დამეხმარე-მეთქი. რა თქმა უნდა, სირბილ-სირბილით გამომყვა ჩემი მეგობარი. ერთ-ერთი ბინის კარზე რომ დავაკაკუნეთ, ისევ ვიცრუე: ალბათ შემეშალა და შეკვეთა ერთი სართულით ქვემოთ არის მიცემული-მეთქი. როდესაც იმ კარზეც დავაკაკუნეთ, ვეღარ შევიკავე თავი და ჩემი მეგობარი კართან მარტო დავტოვე. დიასახლისმა რომ ჰკითხა — რა გინდაო? — ჩემი მეგობარიც არ დაბნეულა და სხარტად უპასუხა: ხაჭაპურიო. მართალია, მისგან „ქოთები“ მომხვდა, მაგრამ იქვე ვიყავით და მუშთაიდში მაინც გავისეირნეთ... მიმაჩნია, რომ ტყუილით ცხოვრება ძალიან ძნელია. მით უმეტეს, თუ ვიღაც შენ მიერ მოფიქრებული ტყუილით ერთი წუთი მაინც ცხოვრობს...

■

„მარხვა დამთავრდება თუ არა, ჯვარს დავიწერთ“

„გზის“ მკითხველებისთვის ცხელ-ცხელი და ექსკლუზიური ინფორმაცია მაქვს — ქრისტინე იმედაძე გათხოვდა! მისი მეუღლე 26 წლის მიშიკო გასიტაშვილი გახლავთ. ის ფირმა „ადიდასის“ პიარმენეჯერია, სხვა გამოჩენილი ადამიანების მეუღლეებივით თავს არ იფასებს და არ ამბობს — ინტერვიუს არ მოგცემთ, ჩემს სურათს არ გამოგაქვეყნებინებთო; ჩემი და ქრისტინეს საუბარში აქტიურად ერთვებოდა და როგორც მომეჩვენა, გულწრფელ პასუხებსაც მაძლევდა. ცოლ-ქმრის ინტერვიუდან შეიტყობთ — სად და როგორ გაიცნეს ერთმანეთი, რით მოხიბლა ქრისტინემ მომავალი მეუღლე და როგორ აპირებს ქრისტინესა და უიტნი ჰიუსტონის დუეტის ჩაწერას მისი რჩეული.

ნათია ქივიძე

— მიშიკო, მოდი, თქვენ შესახებ მიამბეთ.

— დავიბადე თბილისში. ჯერ კიდევ 11 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი მშობლები საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდნენ. ჩვეულებრივ სკოლაში ვსწავლობდი და ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი. შემდეგ დავამთავრე იურიდიული ფაკულტეტი. როგორც უცხოეთში მიღებულია, მშობლებთან არ ვცხოვრობ.

— „ადიდასში“ როგორ მოხვდით?

— მათ საიტზე ვნახე, რომ კონკურსი იყო გამოცხადებული საუკეთესო სარეკლამო კლიპის სცენარზე. უყოყმანოდ მივიღე გადაწყვეტილება, ჩავბმულიყავი ამ პროცესში და ჩემ მიერ მომზადებული სცენარი წარვადგინე. ერთი თვის შემდეგ დამიკავშირდნენ და მთხოვეს, ფირმაში მივსულიყავი. მოკლედ, ჩემი სცენარი მოიწონეს და შესაბამისად, კარგად ამინაზღაურეს. შემდეგ დამიკვეთეს მეორე კლიპი... მესამე... შემდეგ შემომთავაზეს პიარმენეჯერის თანამდებობა. უკვე წელიწად-ნახევარია, ამ საფეხურზე ვარ. იმედია, კიდევ წავიწევ წინ.

— ქრისტინე როგორ გაიცანით?

— ვინაიდან საქართველოში იშვიათად ჩამოვდივარ, ამიტომ აქაურ შოუბიზნესზე ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა და აზრზე არ ვიყავი, თუ ასეთი კარგი გოგო და მშვენიერი მომღერალი არსებობდა. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ერთ-ერთ საიტზე ვნახე ქრისტინეს კლიპი. იმ პერიოდში ვეძებდი „ადიდასის“ სარეკლამო კლიპისთვის ისეთ გოგონას, რომელიც გარეგნობით დაახლოებით ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც ქრისტინეა. მისი პლასტიკით მოვიხიბლე. არ გამჭირვებია მისი კოორდინატების დადგენა. დავურეკე და საქმიანი წინადადება შევთავაზე.

ქრისტინე:

— პირველად მიშიკომ რომ დამირეკა და შემომთავაზა — „ადიდასის“ სარეკლამო სახედ გვჭირდებითო, — არ დავუჯერე. ვფიქრობდი, რომელიმე ნაცნობი მეკაიფებოდა. თუმცა, გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ არ ტყუოდა. თანაც, ქართულად გამართულად ვერ ლაპარაკობდა და ამან უფრო დამარწმუნა მისი სიტყვების სიმართლეში. მიშიკომ პირველად გერმანიიდან დამირეკა, ორი კვირის შემდეგ კი საქართველოში ჩამოვიდა...

მიშიკო:

— თავდაპირველად, შევთავაზე, თვითონ ჩამოსულიყო გერმანიაში, მაგრამ ბოლოს ასე გადაწყდა. რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს. სულ სამი კვირა დავრჩი თბილისში და წასვლის წინ მივხვდი, რომ ქრისტინე უკვე მიყვარდა.

— წასვლამდე გაუმხილეთ თქვენი გრძნობის შესახებ?

— არა. დრო მჭირდებოდა საიმისოდ, რომ ჩემს გრძნობებში გავრკვეულიყავი, გერმანიაში რომ დავბრუნდი, სულ ვფიქრობდი: უამრავ ქალს შევხვედრივარ, მაგრამ ასეთი გრძნობა არასოდეს მქონია-მეთქი. ვერ ვაცნობიერებდი, რა თვისებები ჰქონდა ისეთი, რამაც ასე მომხიბლა.

— ქრისტინე, შენც იმავეს ფიქრობდი მასზე?

— თავდაპირველად, გულშიც არ გამივლია, რომ მიშიკოსთვის, როგორც მამაკაცისთვის, ისე შემეხედა. ჩვენ შორის მხოლოდ საქმიანი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ვიგრძენი, რომ მას ჩემ მიმართ სულ სხვა გრძნობა ჩამოუყალიბდა და იმასაც მივხვდი, რომ მეც მომწონდა.

— თქვენი პირველი შეხვედრიდან რამდენი დრო გავიდა?

— მთელი 7 თვე...

მიშიკო:

— ...და ამ პერიოდში იმდენჯერ ჩამოვედი საქართველოში, რამდენჯერაც 15 წლის მანძილზე არ ვყოფილვარ.

— რაღა თქმა უნდა, იყო რომანტიკული შეხვედრები, პირველი კოცნა მთვარის შუქზე... ხომ არ ვცდები?

მიშიკო:

— ბუნებრივია, ეს ყოველთვის ასე ხდება. მაგრამ ერთმანეთს სიტყვებით არ ვუმტკიცებდით სიყვარულს — თვალებით ვლაპარაკობდით და მომავალი ცხოვრების გეგმებს ვსახავდით...

— ალბათ საქმიანი წინადადებაც დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა, ხომ?

ქრისტინე:

— არა, არა... მოლაპარაკებები ჩვეულებრივად გრძელდებოდა. ჩავწერეთ სინჯები. უახლოეს მომავალში, ხელშეკრულებას გავაფორმებთ და სექტემბრიდან დავიწყებთ კლიპის გადაღებას.

— თქვენი შეუღლება როგორ მოხდა?

ქრისტინე:

— 26 მარტს ჩემი დაბადების დღე იყო. მიშიკო ერთი კვირით ადრე ჩამოვიდა. 26-ში დილით, მობილურზე დამირეკა და მთხოვა, ფანჯარაში გამეხედა: ჩემი სახლის ფანჯრიდან ხიდი მოჩანს. ხიდი მორთული იყო ფერადი ბუშტებითა და უამრავი ყვავილით, შუაში კი, წითელი საღებავით ეწერა — „მიყვარხარ!" მიშიკო იქვე იდგა და მობილურით მელაპარაკებოდა. რა ლამაზია! — აღმომხდა მე. პასუხად კი, მკითხა — ცოლად გამომყვები? მობილური გამოვრთე, ფანჯარა გამოვაღე და დავიძახე — კიმეთქი.

მიშიკო:

— მერე, საღამოს, მეგობრებთან ერთად რესტორანში აღვნიშნეთ ქრისტის დაბადების დღე. საქორწინო რგოლი ვაჩუქე. მაგრამ არავისთვის გაგვიმხელია, რომ დაქორწინებას ვაპირებდით. ისე დავიშალეთ, რომ არავინ იცოდა ჩვენი ჩანაფიქრის შესახებ...

— ქრისტი, შენმა მშობლებმა გაიგეს შენი გაბედნიერების ამბავი?

— ჯერ არა. ჩემი ახლობლების უმეტესობა სწორედ ახლა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით შეიტყობს ამ ამბავს. ვიცი, რომ მიშიკო ყველას ძალზე მოეწონება და ჩემი გადაწყვეტილება ყველასთვის მისაღები იქნება.

— ქორწილს როდის გადაიხდით?

— მარხვა დამთავრდება თუ არა, ჯვარსაც დავიწერთ და დიდ, ლამაზ ქორწილსაც გადავიხდით.

— საქორწინო მოგზაურობაში წასვლას ხომ არ გეგმავთ?

— რა თქმა უნდა! აუცილებლად წავალთ მონაკოში. იქ ორი წელი, საბალეტო სკოლაში ვსწავლობდი. საქართველოში რომ მოვდიოდი, ვთქვი — აუცილებლად დავბრუნდები-მეთქი. ახლა სწორედ ის დროა, დანაპირები ავასრულო. თანაც, ჩემს მეუღლეს იმ ადგილებს ვაჩვენებ, სადაც ვცხოვრობდი და საუკეთესო წლები გავატარე...

— მიშიკო, მისცემთ თუ არა ქრისტინეს იმის საშუალებას, რომ გააგრძელოს კარიერა შოუბიზნესში?

— რა თქმა უნდა. მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელიცაა. ქრისტინემ ჩემზე ერთი სიმღერა დაწერა და მომიძღვნა კიდეც. სულ მალე, ამ სიმღერაზე კლიპს გადავიღებთ.

— და საამისო ხარჯსაც თქვენ გაიღებთ?

— რა თქმა უნდა.

— ქრისტი, საქორწინო კაბას ვინ შეგიკერავთ?

მიშიკო:

— საქორწინო კაბას, ფეხსაცმელს და ხარჯებსაც „ადიდასი" კისრულობს. ეს ასეა მიღებული.

— მიშიკო, ეჭვიანი ხართ?

— არა, ეჭვიანი არ ვარ, თუმცა ვნერვიულობდი ხოლმე, როცა ქრისტის ძველი თაყვანისმცემლები ურეკავდნენ. სიმართლე რომ გითხრათ, მიკვირს, როგორ დატოვეს ქართველმა მამაკაცებმა ეს მშვენიერი გოგონა გასათხოვარი 21 წლამდე. ალბათ ჩემთვის შემოინახეს...

— სად აპირებთ ცხოვრებას?

— რაღა თქმა უნდა, გერმანიაში. მაგრამ ქრისტინე საქართველოშიც ხშირად ჩამოვა ხოლმე.

— ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ ქრისტინე „სტერვა" და მძიმე ხასიათის გოგოა. თქვენ თუ შენიშნეთ ეს თვისებები?

— არა, ჩემთან არასოდეს გამოუმჟღავნებია ეს თვისებები. ის ძალზე დამყოლი, თბილი და ყურადღებიანი მეუღლეა. კარგი მზარეულიცაა. ისეთ გემრიელ კერძებს ამზადებს, რომ თითებს ჩაიკვნეტთ.

— ქრისტინე, წინათ ჩემთან ინტერვიუს დროს მითხარი, რომ შენი ოცნების მამაკაცი ეს არის პრინცი ტიტების ქვეყნიდან...

— ვერ გეტყვით, მიშიკო პრინცია თუ არა, მაგრამ ის ნამდვილად საუკეთესო მეუღლეა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა.

— თქვენს უახლოეს გეგმებში რა შედის?

მიშიკო:

— პირველად ქრისტინე რომ ვნახე, რატომღაც უიტნი ჰიუსტონს მივამსგავსე. ამიტომ ჩემს გეგმაში უპირველესი ადგილი უჭირავს იმას, რომ ვაპირებ, ვაწარმოო მოლაპარაკებები უიტნის მენეჯერთან დუეტის ჩაწერის შესახებ. ბედნიერი ვიქნები, თუ ერთ მშვენიერ დღეს, ქრისტინესა და უიტნის დუეტი არა მარტო საქართველოს ტელესივრცეში გაიჟღერებს. ამას აუცილებლად მივაღწევ...

— ქრისტინე, შენ როგორ ფიქრობ, გამოვა ეს საქმე?

— უიტნი ძალზე მომწონს. ბევრი მეუბნებოდა ხოლმე, გარეგნობით ჰგავხარო. ბევრი იმასაც მეუბნებოდა — ჰბაძავო. მიუხედავად იმისა, რომ უიტნი მსოფლიო დონის ვარსკვლავია და მართლაც, საუკეთესო მომღერალი, მიმაჩნია, რომ მიბაძველობა დამღუპველია და ამიტომ არანაირი სურვილი არა მაქვს, მივბაძო. მოხარული ვიქნები, თუ უიტნი ჩემთან დუეტის ჩაწერაზე დათანხმდება. ალბათ, ეს საქმე გამოვა, რადგან მიშიკო თუ მოიწადინებს, მისთვის მიუღწეველი არაფერია...

გვინდა, ბედნიერება ვუსურვოთ მშვენიერ წყვილს და ვუსურვოთ ბევრი... ბევრი შვილი. „აქეთ მზე, იქით მთვარე, უკან კიდევ — ვარსკვლავები". ■

ORINOL ჯიუსი

გაციების საწინააღმდეგო / ანტიალერგიული საშუალება

12 საათიანი მოქმედების ხანგრძლივობით

შემადგენლობა:

ფენილტოლოქსამინის სიტრატი 50 მგ
ფენილეფრინის ჰიდროქლორიდი 20 მგ
ქლორფენამინის მალეატი 4 მგ

15 წუთში მოგანიჭებთ შვებას

- ალერგიული რინიტის და სინუსიტის
- პოლინოზის
- სურდოს
- გაციების დროს

არ შეიცავს ძლიერმოქმედ და ფსიქოტროპულ კომპონენტებს

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

ჩემი ოჯახის აფთიაქი
ალბაგშენებლის გამზ. 148/ფ

მწარმოებელი: საგმელი, ჩიკაგო, ა.შ.შ.

ალეკო მალხაზიშვილმა იმდენი იძახა — გაიღიმეთ, ფარული კამერააო, რომ ირგვლივ ყველა ღიმილიანი სახით დადის. თვითონ კი, რადგან თავისი „მისია“ შესრულებულად ჩათვალა, საკუთარი თავისთვისაც მოიცალა. ერთ მშვენიერ დღეს დაფიქრდა, — რაღაც სიახლე არ მაწყენდაო, უთხრა საკუთარ თავს და მიხვდა, რომ ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად ახალი მეორე ნახევარი სჭირდება. უფრო სწორად — მესამე მეორე ნახევარი... როგორც ყოველთვის, ახლაც საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოვჩნდი და „ხუმრობის დიდოსტატს“ სწორედ სულზე მივუსწარი. ტარიელის არ იყოს — ჯდა მტირალი წლისა პირსაო, შოთა რუსთაველი რომ ამბობს, ალეკოც თვალცრემლიანი იჯდა სამსახურში და მოუთმენლად მელოდა. მოკლედ — გაიღიმეთ, ალეკო დღეს ჩვენი „სასიძო“ გახლავთ!

იყოს ძველიც და ახალიც ანუ სანდაზმულებს გვიტყაკუნებენ...

მარი ჯაფარიძე

— ალეკო, თავდაპირველად, შენი ანკეტური მონაცემები გაგვიმხილე.

— დავიბადე 1975 წლის 14 აპრილს. ზოგიერთ ანკეტაში სიმაღლისა და წონის გრაფაც არის, ამიტომ გეტყვით, რომ სიმაღლით ვარ 1 მ და 77 სმ, წონა — 93 კგ. ზოდიაქო — ვერძი. ისე, შესაძლოა, წონაში ვიტყუები. მერე რა, წონაში ყველა იტყუება, მაგრამ ისინი ნაკლებს ამბობენ ხოლმე. მეც ალბათ ნაკლებს ვამბობ, რადგან თუ არ ვცდები, 117 კილო ვარ.

— ცოტა დაუკელი, რა!

— არა, ვერ დავუკლებ. შენ ის მითხარი, კიდევ რა გაინტერესებს?

— კიდევ მაინტერესებს შენი თვისებები. გვითხარი, რა გაქვს კარგი და რა — ცუდი!..

— ცუდ მხარეს ვერ გეტყვი, რადგან აღარავინ გამომეხმაურება, მარტო „ძველი“ ცოლის იმედად დავრჩები და ეს არ მაწყობს. რაც შეეხება კარგს, უბანში გაიკითხე-მეთქი, რომ გითხრა, ამისთვის ასაკი ხელს არ მიწყობს. გეტყვი, რომ ძალიან კარგი ბიჭი ვარ. ისეთი კარგი ვარ, რომ სარკეში რომ ჩავიხედავ, ჩემს თავს ვეუბნები ხოლმე — ნეტავ, ვისი ხარ, ასეთი კარგი-მეთქი. სხვებსაც ხშირად შევახსენებ — ნახე, რა კარგი ვარ-მეთქი!..

— როგორც ჩანს, თავმდაბლობით ვერ დაიკვეხნი...

— როგორ არა, გარშემო მყოფებს ხშირად შევახსენებ — ნახე, რა თავმდაბალი ვარ-მეთქი!..

— ბრაზიანი ხარ?

— არა, არ ვარ. მაგრამ როცა ვბრაზდები, მაშინ ვარ ბრაზიანი. თუ ქალზე ვბრაზდები, ვიბუტები ხოლმე. თუ კაცზე — მას აღარ ჩავთვლი ჩემს მეგობრად და იგნორირებას გავუკეთებ. ხშირად ვიგინები. ხომ გაგიგონია — ამქვეყნად მხოლოდ გინება თუ შეგრჩებაო... და კიდევ — ქეიფი.

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

— მე მგონია, რომ მთვრალი ალეკო არაფრით განსხვავდება ფხიზელი ალეკოსგან, თუმცა მეგობრები მეუბნებიან, რომ სულ სხვადასხვანაირი ვარ. მთავარი ის არის, რომ არავითარ შემთხვევაში არ ვბარბაცებ, შარს არ ვეძებ და გონს არ ვკარგავ. შემიძლია, სიმთვრალეში ვინმე გამოვიჭირო და ველაპარაკო, ველაპარაკო, ველაპარაკო... ამ დროს ვუთხრა ის, რასაც სიფხიზლეში მასზე ვფიქრობ და შემიძლია, ცოტა რამ ვუთხრა, მთვრალი კი, იცოცხლე — „გავშლი“ სათქმელს და ყველაფერს დაუფარავად მოვახსენებ.

— თვალზე ცრემლი თუ მოგდგომია და იქნებ გაიხსენო, ბოლოს როდის იტირე?

— ბოლოს, ამ ცოტა ხნის წინ ვიტირე. დავფიქრდი და ცრემლი წამომივიდა — ამხელა კაცი ვარ და საყვარელი როგორ არ უნდა მყავდეს-მეთქი?! მეუღლემ მკითხა — რატომ ტირიო? მიზეზი რომ ავუხსენი, მითხრა — მერე, აგერ, ჟურნალ „გზაში“ ასეთი რუბრიკა არსებობს — „სასიძო“, მარი ჯაფარიძეს დაურეკე. ინტერვიუს ჩაწერს, მერე გოგონები გამოგეხმაურებიან და აარჩიე, რომელიც მოგეწონებაო. მართლაც, ასე უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ ეტყობა, კარგი ალღო გაქვს და შენ თვითონ მიხვდი ჩემს გასაჭირს, რადგან კარგ დროს დამირეკე ინტერვიუსთვის.

— რადგან შენი მეუღლე ეროვნებით რუსია, ალბათ უფრო მეტადაა „გაევროპელებული“ და არც იეჭვიანებს, ხომ?

— რა თქმა უნდა. სწორად მიხვდი...

— გვითხარი, როგორი გოგონები მოგწონს?

— ყველანაირი გოგო მომწონს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გამომხმაურებლების რაოდენობა არ შევამცირო. მერე „კასტინგი“ გამოავლენს რეალურ კანდიდატს. ვისაც სურვილი აქვს, მოვწონვარ, ვუყვარვარ და აიტანს ჩემს მეორე მეორენახევრობას თუ მესამემეორე ნახევრობას, ყველა გამომეხმაუროს.

— ვინაიდან შენი მეუღლე თავიდანვე საქმის კურსშია, კანდიდატურის შერჩევისას, მის გემოვნებას და მის აზრს ხომ არ გაითვალისწინებ?

— საერთოდ, ასეთ დროს როგორ ხდება ხოლმე? სხვები თუ ითვალისწინებენ მეუღლის აზრს?

— რამდენადაც ვიცი — არა.

— ჰოდა, არც მე გავითვალისწინებ და შერჩევას ინდივიდუალურად მოვახდენ. ჩემთვის მინდა, მისთვის ხომ არა?!.

— შენ ფიქრობ, რომ „ძველ“ ცოლს გაეყრები და „ახალს“ იპოვი?

— არა, რატომ? იყოს „ძველიც“ და „ახალიც“.

— მერე, ორ ქალს ერთად გასწვდები? ფიზიკური მონაცემები

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

ამის საშუალებას მოგცემს?

— *(დაფიქრდა).* კარგი შეკითხვაა. მაგაზე არ მიფიქრია, მაგრამ ორივესთან ერთდროულად ხომ არ ვიქნები?!. ამიტომ გრაფიკს შევადგენ: 2 დღე „ძველ“ ცოლთან ვიქნები, 1 დღე — „ახალთან“.

— **მეორე მეორე ნახევარმა რომ მოინდომოს, ისეთივე, ლამაზი ჭკვიანი და ნიჭიერი შვილი გაგიჩინოს, როგორიც შენ ხარ, რას იზამ?**

— ეს ყველაფერი ჩემზე თქვი *(დაიმორცხვა)*?.. თუ ასეა, თანახმა ვარ და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული. თუნდაც, არც ერთი ნახევარი არ იყოს, მაინც არ ვეტყვი უარს, რომ ჩემსავით ლამაზი და ნიჭიერი ბავშვები გამრავლდნენ.

— **ეჭვიანი ხარ?**

— არა, ეჭვიანი სულაც არა ვარ და არც ჩემი პირველი მეორენახევარია ეჭვიანი. პირიქით, მე ვეხვეწები ხოლმე — იეჭვიანე, თორემ იცოდე, აღარ გიღალატებ-მეთქი!.. სხვანაირად ღალატს მუღამი არ აქვს.

ორივესთან ერთდროულად ხომ არ ვიქნები?!. ამიგომ გრაფიკს შევადგენ: 2 დღე „ძველ“ ცოლთან ვიქნები, 1 დღე — „ახალთან“...

— **ოდესმე ქმარს ხომ არ მოუსწრია შენთვის, როცა სხვის ცოლთან ნებივრობდი?**

— არა, რადგან სწორედ ისეთ დროს მივდიოდი, როცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ქმარი მივლინებაში იყო... ერთი რამით შემიძლია ვიამაყო — არასოდეს გადამიხდია ფული სიყვარულში. არა იმიტომ, რომ მიუღებელია ასეთი საქციელი, არამედ იმიტომ რომ ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა: აქ ერთი „ფუთანი“ *(იგივე „პუტანკა“. — ავტ.)* იდგა. მივედი და ვკითხე — ფული რომ მოგცე, შემიყვარებ-მეთქი? — შენ ფული მოიტა და რასაც გინდა, იმას ვიზამო. დავრწმუნდი, რომ ასეთი ქალი ვერ შემიყვარებდა და არაფერში გამომადგებოდა...

— **დავუშვათ, ისეთი გოგო გამოგეხმაურა, რომელსაც ისეთივე ცივილიზებული ქმარი ჰყავს, როგორიც შენ — ცოლი; თუ იძმაკაცებ მასთან?**

— ასეთ გოგოსთან ურთიერთობაზე უარს არ ვიტყვი, მაგრამ ქმართან „ჩასასტავებასა“ და ქეიფს ნუ მომთხოვს. როცა მასთან მივალ, შინ ქმარი არ უნდა დამხვდეს, რადგან ასეთ დროს, ვკომპლექსდები ხოლმე...

— **იყოს, რას გიშლის? ყავას მაინც მოგიდულებს...**

— არა, არა, გმადლობ, ყავა არ მიყვარს.

— **საოჯახო საქმე თუ გეხერხება?**

— კი, ძალზე კარგად გამომდის ნაგვის გადაყრა.

— **მეტსახელი ხომ არ შეურქმევიათ მეგობრებს?**

— მეგობრებს არა, მაგრამ ჩემს თავს მე თვითონ ვუგონებ ხოლმე სახელებს. იქნებ, შემერქვას-მეთქი, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დავიმკვიდრე. ხან „როზა ბაბო“ დავირქვი, ხან „არმატურა“, „მაპატიე“ და ა.შ...

— **ამოჩემებული ფრაზა ხომ არ გაქვს?**

— „ხანდაზმულებს გვიტყაპუნებენ!“ — ყველაზე ხშირად ამას ვამბობ ხოლმე.

— **იქნებ, საინტერესო ამბავი გაიხსენო.**

— ეს იმას ნიშნავს, რომ კურიოზი უნდა მოგიყვე?

— **დიახ....**

— ოჰ, ამ ცნობილ ადამიანებს კურიოზების გახსენება ძალზე არ გვიყვარს. საერთოდ, ძალზე სერიოზული ადამიანი ვარ და არასოდეს ვვარდები უხერხულ მდგომარეობაში. ამიტომ, ჟურნალისტებთან საუბრის დროს ვერასოდეს ვიხსენებ ამბებს. ჰოდა, ერთხელ ავდექი და ქუჩაში სპეციალურად წავიქეცი, რომ მოსაყოლი მქონოდა. მას შემდეგ, სულ ამას ვყვები... შენ ის მითხარი, სხვა „სასიძოებს“ კარგი გოგოები ეხმაურებიან ხოლმე?

— **მაგას მომდევნო კვირაში გაიგებ, შენს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს რომ წაიკითხავ...**

ესეც ჩვენი „სასიძო“... ვისაც მისი მეორე მეორენახევრობა ან მესამე პირველნახევრობა თუ მეორე მესამენახევრობა (იმდენი ნახევარია, აღარც ვიცი, რა დავარქვა) გსურთ, შეგიძლიათ, დამიმესიჯოთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მომდევნო ხუთშაბათს კი, ერთად გავიღიმოთ ფარულ თუ ხილულ გამოხმაურებებზე. გისურვებთ წარმატებას!

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ერქვა ღვინის ღმერთის — დიონისეს სადიდებელ სიმღერას?



ა) საგალობელი;
ბ) დითირამბა;
გ) მუხამბაზი.

2. როდის გამოიგონეს ფერადი ტელევიზორი?

ა) 1968 წელს;
ბ) 1948 წელს;
გ) 1978 წელს.

3. ანტიკურ ხანაში შაქრის ფუნქციას ასრულებდა...

ა) ...მხოლოდ თაფლი;
ბ) ...მხოლოდ ფინიკისგან გამოწურული წვენი;
გ) ...თაფლიცა და ფინიკისგან გამოწურული შაქრის წვენიც.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ბრალეულობით ოჯახში დატრიალებული ტრაგედია

ქმარმა ორსული ცოლი მცირეწლოვანი შვილების თვალწინ მოკლა

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულები — სადისტური მკვლელობა, საშიში ძალადობა, ადამიანთა წამებისა და სხეულის განზრახ დასახიჩრების ფაქტები (რაც ხშირ შემთხვევაში, ცივსისხლიან მკვლელს სიამოვნებასაც კი ანიჭებს), რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩვენი ქვეყნის რეალობისთვის უცხო ნამდვილად არ გახლავთ.

მეგი ცანავა

როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, მსგავს დანაშაულთა რიცხვმა განსაკუთრებით 1992-1997 წლებში იმატა. ამ პერიოდში ჩადენილ სასტიკ დანაშაულთა მოტივი უმეტესად, ყაჩაღური თავდასხმის შედეგად მოქალაქეთა ქონების დაუფლება გახლდათ. ბოროტმოქმედები დაზარალებულებს (თუკი ისინი თავდამსხმელებს ამოიცნობდნენ ან წინააღმდეგობას გაუწევდნენ მათ) არ ინდობდნენ და სადისტურად უსწორდებოდნენ მთელ ოჯახს, ერთიანად ხოცავდნენ ყველას, თუმცა მკვლელობამდე, წამების საშინელ მეთოდებსაც მიმართავდნენ. ქვეყანაში უმძიმესი კრიმინოგენური ვითარება, ექსპერტებისა თუ ფსიქოლოგების მიერ, მოსახლეობის დუხჭირი ცხოვრებითა და ელემენტარული საარსებო პირობების უქონლობით აიხსნებოდა.

ფსიქოლოგები განმარტავდნენ, რომ ადამიანებს საზოგადოებისა და გარემო პირობების მიმართ პროტესტი გაუჩნდათ. მოძალებულმა ყოფითმა პრობლემებმა, მუდმივმა დაუკმაყოფილებლობის გრძნობამ მათში უდიდესი აგრესიის პროვოცირება მოახდინა, რამაც დანაშაულებისადმი მიდრეკილ ადამიანებში საშიში გამოვლინება პოვა. ამიტომაც, სასტიკი მკვლელობის ფაქტები არა მარტო ყაჩაღობების ან ადამიანთა გატაცებების დროს ხდებოდა, არამედ მსგავს დანაშაულებს ოჯახის წევრებს შორისაც ჰქონდა ადგილი. ამის ნათელი მაგალითია 1992 წელს, ქუთაისის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახში დატრიალებული ტრაგედია.

მერაბ მაჩიტიძე 1977 წელს, 25 წლის ასაკში დაქორწინდა თანაკლასელსა და თანასოფლელზე — მედიკო ნიქაბაძეზე. მაჩიტიძეების ორსართულიან სახლში ცოლ-ქმარი და დედამთილი ცხოვრობდნენ. ეს უკანასკნელი ერთ წელიწადში, მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა და ოჯახში ახალგაზრდა წყვილი ახალშობილ ქალიშვილთან ერთად მარტო დარჩა. მედიკო დიასახლისი გახლდათ. უმაღლესი განათლება არც მის ქმარს ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ, ის კარგად ერკვეოდა ტექნიკაში, პატარა სახელოსნოში ტელევიზორებისა და რადიმიმღებების შემკეთებლად მუშაობდა და ოჯახს ამით არჩენდა. ცოლ-ქმარს შინ ხშირად აკითხავდა მედიკო ნიქაბაძის იმ დროს დაუოჯახებელი და — ეთერ ნიქაბაძე. ის ახალგაზრდა დედას ჩვილი ბავშვის მოვლასა და სხვა საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. აქედან გამომდინარე, ოჯახის პრობლემებისა და ცოლ-ქმრის ურთიერთობის შესახებ ბევრი რამ იცოდა. სწორედ მის მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების მიხედვით, ოჯახს თავდაპირველად, მატერიალურად არ უჭირდა და ცოლ-ქმარსაც ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. *„მერაბი და მედიკო სიყვარულით შეულლდნენ. სიძე ჩემს დას ყოველთვის კარგად ექცეოდა, უბრალოდ, ზედმეტად ეჭვიანი იყო და მხოლოდ ეს გვაწუხებდა. მიუხედავად ამისა, მის ეჭვიანობას საბოლოო შედეგი არასდროს მოჰყოლია. ისე კი, ძალიან თბილი, მოსიყვარულე და გულისხმიერი იყო, არა მარტო ცოლ-შვილის, არამედ ნათესავებისა და პირადად ჩემ მიმართაც. არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ ძალიან აფასებდა ჩემ მიერ გაწეულ დახმარებასა და ყურადღებას. მეგობრული და მხიარული გახლდათ. ამიტომაც ყველას უხაროდა მის ოჯახში მისვლა...“* — აღნიშნავდა ჩვენებაში **ეთერ ნიქაბაძე**.

მაგრამ ამავე ჩვენების თანახმად, რაც დრო გადიოდა, ოჯახში მით უფრო იძაბებოდა სიტუაცია. მედიკო ნიქაბაძემ ზედიზედ კიდევ 3 შვილი გააჩინა და ცოლ-ქმარსაც საზრუნავი აშკარად მოემატა. *„ჩემი სიძე, ისევე, როგორც ჩემი და — მედიკო, რელიგიური და ღვთისმოშიში იყო. მაშინ რომელიმესთვის რომ გეთქვა, ამ გაჭირვების დროს ამდენ შვილს რჩენა ხომ უნდა, მეტს ნუღარ იყოლიებთო, გაკვირვებულები და თვალებგაფართოებულები შემოგხედავდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ და ისე გიპასუხებდნენ — ღმერთს რამდენიც უნდა, იმდენს მოგვცემსო. თანაც, ჩემს სიძეს ვაჟიშვილის სურვილი კლავდა, ამბობდა — გვარის გამგრძელებელი და ვაჟკაცი მინდა, გვერდში მედგასო... რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო უჭირდა ოჯახს, მაგრამ მაინც არ წუწუნებდნენ. მერაბი მთელ რაიონში ცნობილი ხელოსანი იყო, თუკი ვინმეს სახლში რამე გაუფუჭდებოდა, მაშინვე მას ეძახდნენ. ხშირად, მეზობელი სოფლებიდანაც აკითხავდნენ. ამით მცირეოდენი შემოსავალი ჰქონდა ოჯახს. ნათესავებიც არ ვაკლებდით ყურადღებას, რაც შეგვეძლო, ვეხმარებოდით, თუმცა ბოლო წლებში, ყველას გაგვიჭირდა...“* — წერს **ეთერ ნიბაძაძე**.

მოწმეთა ჩვენებებიდან ისიც ირკვევა, რომ მწირი შემოსავლითა და ახლობლების დახმარებით ოჯახს თავის გატანა მაინც უჭირდა, განსაკუთრებით — 1990 წლიდან. სახელოსნოში მიღებული იშვიათი შეკვეთებით 4 მცირეწლოვანი შვილის რჩენას მერაბ მაჩიტიძე ვერ ახერხებდა. მძიმე მატერიალური მდგომარეობა მისი მეუღლის ნერვულ მდგომარეობაზეც აისახა.

„ჩემს დას ნერვული სტრესი დაეწყო. ყველაფერზე ჩხუბობდა, ადვილად ღიზიანდებოდა. ქმარი მთელი დღე შინ არ იყო, დილიდან საღამომდე სახელოსნოში იჯდა. ხშირად, საქმე არ ჰქონდა, მაგრამ ამდენი მოუგვარებელი პრობლემის გამო, ოჯახში მისვლას თავს არიდებდა. ბავშვებთან მარტო დარჩენილი მედიკო მთელ ბრაზს მათზე ანთხევდა, ჯავრს შვილებზე იყრიდა და ნებისმიერი

უმნიშვნელო მიზეზით სცემდა მათ. ამიტომაც სახლიდან გამუდმებით ყვირილი და ბავშვების ღრიალი ისმოდა. ბოლო დროს, ჩემი პირადი პრობლემების გამო, ველარც მე ვაკითხავდი მათ ისე ხშირად. როცა მედიკოს ვნახულობდი, ვამშვიდებდი და ვამხნევებდი, მაგრამ სანუგეშოს ბევრს მაინც ვერაფერს ვეუბნებოდი. ჩემმა სიძემაც თითქოს ფარხმალი დაყარა. მრავალშვილიან ოჯახს სათანადოდ რომ ვერ არჩენდა და ბავშვებს წესიერ საჭმელსაც ვერ აჭმევდა, გამოსავლის ძიების ნაცვლად, დეპრესიაში ჩავარდა. მერე სმაც დაიწყო, ალკოჰოლით იქარვებდა დარდს. შინ მთვრალი მიდიოდა და მაშინვე დასაძინებლად წვებოდა. ამას ჩემი და უფრო გამოჰყავდა წონასწორობიდან. გაუთავებელმა საყვედურებმა მერაბს უფრო გაუფუჭა ხასიათი. ბრაზიანი და აგრესიული გახდა... ერთხელ, ჩემი და, ნათესავის გასვენებაში შემხვდა. თვალის ქვეშ ჩალურჯებული ნაჭდევი შევნიშნე და კკითხე – რა დაგემართა-მეთქი? – არაფერია, შეშა დამეცაო, – მიპასუხა. რა თქმა უნდა, ეჭვი შემეპარა მის ნათქვამში, მაგრამ მედიკოს არაფერი ვუთხარი. მოგვიანებით, დაახლოებით ერთ თვეში, ჩემს დასთან შინ მივედი. მაშინაც შევნიშნე მის სხეულზე ჩალურჯებები – ნაცემი სახეზე და იდაყვებზე ეტყობოდა. კკითხე – რა ხდება-მეთქი? თავიდან, თითქოს არ მიმხელდა, მაგრამ შემდეგ გამომიტყდა – მერაბს ვეჩხუბეო. ჩემს სიძეს რამდენიმე დღეში, ქუჩაში შევხვდი. გალეშილი მთვრალი იყო. ვუსაყვედურე – ცოლს რატომ სცემ? თავისი გაჭირვება არ ეყოფა, საცოდავ ქალს, მასზე ხელი როგორ აღმართე-მეთქი?! მიპასუხა – ცოლი წელიწადში ერთხელ თუ არ სცემე, ეშმაკი დაეპატრონებაო... საოცრად შეცვლილი იყო, სულ სხვა გამხდარიყო“... – აღნიშნა დაკითხვისას **ეთერ ნიქაბაძემ**.



როგორც ჩვენებებიდან ჩანს, მერაბ მაჩიტიძე აღარც შვილებს ერიდებოდა, ცოლს მათ თვალწინაც სცემდა და დროთა განმავლობაში, ეს ჩვევადაც კი ექცა. 1992 წლის ზამთარში, მედიკო ნიქაბაძე კვლავ დაფეხმძიმდა. მეხუთე შვილის გაჩენა ცოლ-ქმარს არც უფიქრია, მაგრამ ნაყოფის მოცილება, როგორც ჩანს, მაინც არ გადაეწყვიტათ. მედიკო ნიქაბაძე ორი თვის ორსული გახლდათ, როცა მათ ოჯახში ტრაგედია დატრიალდა.

1992 წლის 20 თებერვალს საღამოს, დაახლოებით 8 საათისთვის, სამუშაო დღის შემდეგ, მაჩიტიძემ თავის მეგობართან ერთად, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, 250 გრამი არაყი დალია. შემდეგ იმავე სოფელში მცხოვრებ თავის ბიძაშვილთან მივიდა და იქაც დალია 3 ჭიქა ღვინო. შინ დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის დაბრუნდა. მთვრალ ქმარს სახლის პირველ სართულზე მდებარე ოთახში, შვილები და მძინარე მეუღლე დახვდნენ. გაბრაზებულმა იმით, რომ ცოლს ეძინა, ბავშვები კი უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებული, ჯერ ყვირილი და გინება მორთო, ხოლო შემდეგ, წამოწოლილ მეუღლეს მივარდა და ხელებითა და ფეხებით ცემა დაუწყო. მთვრალი და გამხეცებული მერაბ მაჩიტიძე ვერც ბავშვების ტირილმა მოიყვანა გონს. ფეხმძიმე ცოლს არ ეშვებოდა, იატაკზე დავარდნილ ქალს გვერდებსა და მუცელში წიხლებს ურტყამდა. ამის შედეგად, მედიკო ნიქაბაძემ მრავალი მძიმე დაზიანება მიიღო, მათ შორის ოთხი – სასიკვდილო და ამის შედეგად, მეორე დღეს გარდაიცვალა. რაც შეეხება მის ქმარს, პოლიციამ ის იმავე საღამოს დააკავა. სასამართლომ მერაბ მაჩიტიძეს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, პროკურატურამ კი, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ, განზრახ მკვლელობაში დასდო ბრალი. წარდგენილ ბრალდებაში მან თავი დამნაშავედ არ ცნო და გამოძიებას ასეთი ჩვენება მისცა:

„ბოლო დროს, ჩემმა ცოლმა სმა დაიწყო. გაწამებული ვიყავი მისი ლოთობით. ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ გამომესწორებინა, მაგრამ ვერაფერს ვხდებოდი. იმ საღამოსაც, შინ მისულს, ცოლი მძინარე რომ დამხვდა, ბავშვები კი უპატრონოდ მიყრილები, ვიფიქრე – ისევ მთვრალია-მეთქი. ამიტომაც გავბრაზდი. თავი ველარ შევიკავე, ცემა დავუწყე. მისი მოკვლის განზრახვა ნამდვილად არ მქონია. გონება მქონდა დაბინდული, აღარ მახსოვს, რამდენჯერ ჩავარტყი ხელი და ფეხი. არც ბავშვების ტირილი მესმოდა. არ ვიცი, როდის დავანებე მის ცემას თავი; მახსოვს, მეზობელს დავუძახე და ვთხოვე, „სასწრაფო დახმარებისთვის“ გამოეძახა ან საავადმყოფოში წაეყვანა ჩემი ცოლი. მედიკო თუ ფეხმძიმედ იყო, არ ვიცოდი. ამის შესახებ მას ჩემთვის არაფერი უთქვამს. ეს რომ მცოდნოდა, ხელს შევუწყობდი და მეხუთე შვილსაც გავზრდიდი“.

მერაბ მაჩიტიძის ჩვენება არც პროკურატურამ გაიზიარა და არც დაზარალებულის ნათესავებს სჯეროდათ მისი. მოკლულის ნათესავები სასამართლო პროცესზე აღნიშნავდნენ, რომ მერაბ მაჩიტიძემ ცოლი აშკარად სასიკვდილოდ გაიმეტა, რაზეც აწ გარდაცვლილისთვის მიყენებული დაზიანებები მეტყველებდა. როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში წერია, ცემის შედეგად, მედიკო ნიქაბაძეს გახეთქილი ჰქონდა ღვიძლი, დაუზიანდა მარჯვენა ფილტვი, რაც ნეკნის მოტეხელობამ გამოიწვია, ასევე მიღებული ჰქონდა ქვედა ყბისა და ნეკნების მრავალი მოტეხილობა. ექსპერტთა თქმით, ეს 4 დაზიანება სიცოცხლისთვის საშიში იყო და თითოეულს შეეძლო სიკვდილის გამოწვევა. რაც შეეხება ალკოჰოლს, გარდაცვლილის სხეულში მისი შემცველობა არ დაფიქსირდა. მოკლულის ნათესავები კატეგორიულად უარყოფდნენ კიდეც მედიკო ნიქაბაძის ლოთობის ფაქტს. ეთერ ნიქაბაძის ჩვენების მიხედვით, მის დას არასდროს დაულევია და არც არავის შეუნიშნავს ის მთვრალი. თუმცა, საქმეში არსებობდა მერაბ მაჩიტიძის უფროსი ქალიშვილის – 14 წლის ნინოს ჩვენება, რომლის მიხედვითაც, იმ საღამოს დედამისმა მართლაც, მოსვა ბოთლიდან არაყი. ეთერ ნიქაბაძემ

სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ ბავშვი მისი სიძის ნათესავებმა დაარიგეს, ეს ეთქვა. *„ალბათ, უთხრეს – თუ მამაშენის სასარგებლო ჩვენებას არ მისცემ, მას დიდი ხნით დაიჭერენ და შენ და შენი დები მთლად უპატრონოდ დარჩებითო. მოზარდის დაყოლიებას რა უნდა?!“* – განაცხადა მოკლულის დამ პროცესზე. ეთერ ნიქაბაძე უარყოფდა განსასჯელის ჩვენებას იმ ნაწილშიც, სადაც ის ირწმუნებოდა, რომ ცოლის ფეხმძიმობის შესახებ არ იცოდა. *„ამას სასჯელის შემსუბუქების მიზნით იგონებს. გამორიცხულია, მას ამის შესახებ არ სცოდნოდა“,* – აცხადებდა დაზარალებული, მაჩიტიძის დაკავებიდან რამდენიმე თვეში გამართულ სასამართლო პროცესზე და განსასჯელის უმკაცრესად დასჯას მოითხოვდა. სასამართლოსგან იმავეს მოითხოვდა პროკურატურაც. თუმცა, მოსამართლემ განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა. *„მხოლოდ ის, რომ მაჩიტიძემ თავისი ცოლი ბავშვების თვალწინ სცემა და მას მრავალი დაზიანება მიაყენა, არ შეიძლება, გამოდგეს იმის დასასაბუთებლად, რომ მან დანაშაული განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ მაჩიტიძეს არ ჰქონია ცოლის მოკვლის სურვილი, ივი მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მკვლელობისთვის შეარჩევდა ისეთ ხერხს, რომელიც წამებას მიაყენებდა მსხვერპლს ან მის მცირეწლოვან შვილებს“,* – აღნიშნულია განაჩენში. სწორედ ამ არგუმენტების საფუძველზე, სასამართლომ პროკურატურის მიერ წაყენებული მუხლი – განზრახ მკვლელობის (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე) – გადააკვალიფიცირა და მერაბ მაჩიტიძეს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მოუსაჯა (მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით). განაჩენით უკმაყოფილო, დაზარალებულის მხარემ განაჩენი ზემდგომ ინსტანციაშიც გაასაჩივრა, მაგრამ ის მაინც უცვლელი დარჩა.

■

გახშირდა ავტომანქანის გატაცების ფაქტები

მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდამცავებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, მდინარე ენგურის პირას მდებარე საგუშაგოსთან აფხაზეთის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი“ გააჩერეს. მანქანას თბილისელი თენგიზ გოგუა მართავდა, თუმცა შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ „მერსედეს-ბენცის“ ნამდვილი მფლობელი თბილისელი ბადრი მინდიაშვილი გახლდათ. ავტომანქანა, პოლიციის ინფორმაციით, ამა წლის 22 მარტს თბილისში, ქუთათელაძის ქუჩიდან გაიტაცეს ბოროტმოქმედებმა. აღნიშნულ ფაქტზე 28 მარტს, ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე 177 მუხლის მე-2 ნაწილით აღიძრა.

მსგავსი ფაქტი მოხდა 29 მარტს თბილისში, ფარნავაზის ქუჩაზეც, სადაც ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა ავტომანქანის გატაცებაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება დააკავეს – 1982 წელს დაბადებული, თბილისელი პაატა ფუტკარაძე და 1981 წელს დაბადებული მიხეილ გვასალია. სამართალდამცავთა თქმით, მათ თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩიდან იქვე მცხოვრები ბადრი სურმავას კუთვნილი ავტომანქანა „ვაზ-2106“ გაიტაცეს. ავტომანქანა ნაპოვნია, გამოძიებას კი, ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამსახური აწარმოებს.

29 მარტს, პოლიციის თანამშრომლებმა 1984 წელს დაბადებული, ტყიბულელი თეიმურაზ უფლისაშვილიც დააკავეს. ის თბილისელი ნიკოლოზ გედევანის კუთვნილი ავტომანქანის – „ფოლკსვაგენ-გოლფის“ გატაცებაშია ეჭვმიტანილი. სამართალდამცავთა თქმით, აღნიშნული მანქანა მან წიწამურის ქუჩიდან მოიპარა. აღსანიშნავია, რომ უფლისაშვილი წარსულში ნასამართლევი გახლდათ.

■

თაღლითმა ქალმა 5 ათასი ევრო და 3 ათასი დოლარი მიითვისა

თაღლითობის ფაქტზე მორიგი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამჯერად, საქმე ეხება სოლიდურ თანხას, რომელიც სამართალდამცავთა თქმით, თაღლითმა მოქალაქეების მოტყუების გზით მიითვისა. თაღლითი ქალბატონი აღმოჩნდა. როგორც დაზარალებულები ამბობენ, ის მათ თავს ლიანა ოთარის ასულ ჭელიძედ აცნობდა. თაღლითური გზით ლიანა ჭელიძემ 5 ათასი ევრო და 3 ათასი დოლარი მიითვისა. ამისთვის მან გაზეთში სარეკლამო განცხადება გამოაქვეყნა და მიუთითა, რომ ჭავჭავაძის ქუჩის №19-ში მდებარე ტურისტული ფირმა მოქალაქეებს ინგლისში სამუშაოდ გამგზავრებას სთავაზობდა. ფირმაში მისულ ათეულობით მოქალაქეს ლიანა ჭელიძე პასპორტებსა და თანხას ართმევდა. მოგვიანებით ის სწორედ ამ საბუთებთან და ფულთან ერთად უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის მუხლით ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულ სამმართველოში აღიძრა. პოლიციის მონაცემებით, დაზარალებულია არაერთი ადამიანი, რომელთაც ჭელიძის თაღლითობის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგათ. ლიანა ჭელიძე ამჟამად იძებნება. ის არც ოფიციალური ჩაწერის, არც დროებითი საცხოვრებელი სახლის მისამართზე არ იმყოფება.

■

სახალხო დამცველი პოლიციის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვს

წალკის რაიონის სოფელ ავრალოში მეზობელ სოფელში მცხოვრები ხელკეტებით შეიარაღებული სომეხი და ბერძენი მოქალაქეები შეიჭრნენ და ავრალოში ჩასახლებული თხუთმეტამდე აჭარელი სასტიკად სცემეს, ასევე დაარბიეს სოფლის სკოლა. შეხლა-შემოხლის მიზეზი, როგორც სამართალდამცავები ამბობენ, 16 მარტს ავრალოში მომხდარი ყაჩაღური თავდასხმა გახდა. სანადირო თოფით შეიარაღებული რამდენიმე პირი კალოვროვების ოჯახში შეიჭრა, მოხუცი ცოლ-ქმარი სასტიკად სცემა და სახლიდან 1.000 ლარი და 300 დოლარი წაიღო. დაშავებული ცოლ-ქმარი წალკის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

წალკის ინციდენტის დეტალების გაცნობის მიზნით შემთხვევის ადგილზე სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ რაიონში კრიმინოგენური ვითარება უკიდურესად მძიმეა. მისივე თქმით, ყოველივე ეს, ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და პოლიციის უმოქმედობით არის გამოწვეული. სახალხო დამცველი წალკის პოლიციის უფროსის – ზურაბ ქეშელაშვილის გათავისუფლებას ითხოვს. მისივე მონაცემებით, დასახლებით თვე-ნახევრის წინ სანადიროდ გასულმა პოლიციის უფროსმა იარაღიდან ტრაქტორისტს გაუხსნა ცეცხლი, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა ტრაქტორი დაქოქა და მიზანში ამოღებული შვილი დაუფრთხო...

■

ლახვრეული მიწური, ვალარჩენილი ტაძრები და აკტორიეში

შემოკლებული უბედურების ზონა

ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა ამ დღეებში გახსნილ თავის პერსონალურ გამოფენაზე ის ნამუშევრები გამოიტანა, რომლებიც ცოტა ხნის წინ შრი-ლანკაში მომხდარი დამანგრეველი ცუნამის შემდეგ აღბეჭდა ფირზე. იქ მცხოვრებთა გაუსაძლისი ცხოვრება მრავალმხრივადაა ასახული გოგას ფოტოებზე. რატომ ჰქონდა მას ამ კუნძულზე წასვლის სურვილი, როგორ გამოხატავენ გლოვას შრი-ლანკელები და რას აბარებდნენ ისინი მათთან სტუმრად მყოფ ქართველ რეპორტიორს — ამ ყველაფერზე თავად გოგა მოგვიყვება.

ნათია ქივიძე

— ძალიან მინდოდა, შრი-ლანკაზე ან სამხრეთ აფრიკაში წასვლა, მაგრამ უფულობის გამო, ჩემს სურვილზე უარის თქმა მიწევდა. ბოლოს გადავწყვიტე — რადგანაც შრი-ლანკა უფრო იაფი ჯდებოდა, წყნარ ოკეანეში „ჩაყვინთვაზე“ უარი მეთქვა და იქ წავსულიყავი. ერთ-ერთი ტურისტული სააგენტოს მეშვეობით გავარკვიე, რომ ვიზა და სხვა ოფიციალური საბუთები არ მჭირდებოდა, მარტო ფულის შოვნა უნდა მომეხერხებინა. სწორედ ამ დროს, ჩემმა ნათლიამ კეთილი ნება გამოიჩინა და ნოემბრის შუა რიცხვებში, შრი-ლანკაში უკვე სასტუმროც დავჯავშნილი მქონდა. ზუსტად იმ დროს, როცა უკვე წასვლას ვაპირებდი — 24 ნოემბერს, ცუნამი მოხდა. აქედან გამომდინარე, ჩემი გამგზავრება ძალიან სარისკო იყო. მიუხედავად ამისა, დიდი პროფესიონალური სურვილი გამიჩნდა, სწორედ იმ დღეებში ვყოფილიყავი იქ. ინტერნეტის საშუალებით ყველა ინფორმაციას ვეცნობოდი და ვიგებდი, თუ როგორ განადგურდა იქაურობა. მაშინ უკვე მტკიცედ გადავწყვიტე, შრი-ლანკაში წავსულიყავი. თუმცა მანამდე, კიევში მოხვედრის სურვილიც მომეძალა, რომ უკრაინული რევოლუციის მომსწრე გავმხდარიყავი. ცუნამიდან 2 კვირის შემდეგ, 11 იანვარს, უკვე იქ ვიყავი და შრი-ლანკის მთელი სამხრეთ-დასავლეთი შემოვიარე.

— ამ დროს იქ ალბათ, დიდი გლოვა იყო. როგორ გამოხატავენ იქაურები დიდ მწუხარებას?

— პირველი, რაც თვალში მომხვდა და საინტერესოდ მომეჩვენა, ეს ქუჩებში გამოფენილი თეთრი ქსოვილის ნაჭრები იყო. თურმე ისინი გლოვას თეთრი ფერით გამოხატავენ. იმ საშინელების გადმოცემა ძალიან მიჭირს. უამრავი ადამიანი დაიღუპა. 10 ათასი დაკარგულად ითვლება, 20 ათასმა ადამიანმა კი სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. იქ იმ დროს იმყოფებოდა გერმანიის კანცლერი, რომელმაც შვეულმფრენით ბეწვზე გაასწრო ცუნამის. გერმანია გახლავთ მეორე ქვეყანა, რომელმაც დაზარალებულ ხალხს დიდი დახმარება გაუწია. იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც დაზარალებულ მოსახლეობას დახმარება გაუწია, სამწუხაროდ, საქართველო არ ყოფილა. ელემენტარულად, ჩვენს ხელისუფლებას იქ სასმელი წყალი რომ გაეგზავნა, რაც მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ესეც დიდი შეღავათი იქნებოდა უწყლობით გატანჯული ხალხისთვის: იქ კბილებსაც კი, საზღვარგარეთიდან შეტანილი, „დაბეჭდილი“ წყლით იხეხავენ...

— როგორ ცხოვრობდი იქ?

— იქ სასტუმროში ვცხოვრობდი. დილით გამოვდიოდი და ქუჩებში დავხეტიალობდი. მივირთმევდი მათ მიერ მომზადებულ ბრინჯის ნაირ-ნაირ კერძს და ათასნაირ ტროპიკულ ხილს. მართალი გითხრათ, ქოქოსის ჭამით გული ვიჯერე. ასევე ძალიან უყვართ ჩაი — მოგეხსენებათ, ინდოეთი და შრი-ლანკა ჩაის ქვეყნებია... იქაურები უზარმაზარ ხეებზე ისე დახტოდნენ, რომ მაიმუნებსაც კი სჯობდნენ ამით. ერთხელ მეც ვცადე ასე ხეზე ასვლა, მაგრამ სულ მცირე სიმაღლეზეც კი ვერ შევძელი აცოცება... ახლა ისინი შრი-ლანკაში ჩასულ ყველა უცხოელს მშველელად მიიჩნევენ. ძალიან დიდ სითბოს გამოხატავდნენ ჩემ მიმართ. მატანდნენ წერილებს, რათა ჩვენი პრესისა და ხალხისთვის ხმა მომეწვდინა, თუ როგორ უჭირთ. იქ არის ერთი, სანაპირო ზოლიდან მოშორებული ქალაქი — კანდი, რომელსაც ცუნამი არ შეხებია. მიუხედავად ამისა, კანდში ჩასული ყველა ტურისტი დაღუპულების მიმართ დიდ სამძიმარს გამოთქვამს და

ახლა იქ გასართობად არავინ ჩადის



...საერთოდ, რომელ ქვეყნებშიც კი ვყოფილვარ, ყველგან სურათების გადაღებაში ფულს მთხოვენ

ოკეანეში საბანაოდ არ შედის. ამით იმის თქმა მინდა, რომ ახლა იქ გასართობად არავინ ჩადის.

— ამდენი მიცვალებულის გამო, იქ ალბათ დიდი ეპიდემიის საფრთხე შეიქმნა...

— პირველსავე დღეს, უამრავი გვამი დიდ ორმოებში ჩამარხეს, ისე, რომ ნათესავებს გლოვის საშუალებაც კი არ მიეცათ. ბევრიც ზღვაშია ჩაკარგული. საერთოდ, იქ გვამებს კრემაციას უკეთებენ, ამიტომ ეპიდემიის საფრთხე დიდი არ არის. მაგრამ, ტურისტები დამცავ საშუალებებს მაინც იყენებენ. ასე ვიქცეოდი მეც.

— საერთოდ, შრი-ლანკაში ცხოვრება ძვირი ჯდება?

— დავიწყოთ იქიდან, რომ იქ წასვლა ძალიან იაფი ჯდება. საკვებიც საკმაოდ იაფია: შეგიძლია, 5 დოლარად დღეში სამჯერ მიირთვა. ტრანსპორტად ავტორიქშებს იყენებენ. საწვავიც იქ ძალიან იაფია, ამიტომ 5 დოლარად ნახევარ შრი-ლანკას შემოივლი. ოღონდ, ავტორიქშა ძალიან ნელა დადის. მე კი მომწონდა ამ ტრანსპორტით გადაადგილება, რადგან იქაურ ხედებს კარგად ვათვალიერებდი. ერთადერთი, რაც იქ ძალიან ძვირია, სუვენირებია. მინიატურული სპილოს ქანდაკებაც რომ შეიძინო, მთელი დღე მშიერი დარჩები.

— როგორი ადამიანები არიან?

— საერთოდ, რომელ ქვეყნებშიც კი ვყოფილვარ, ყველგან სურათების გადაღებაში ფულს მთხოვენ, მართალია — სიმბოლურ თანხას, მაგრამ ერთი სურათის გადაღებაში რომ ერთი დოლარი გადავიხადო, წარმოიდგინეთ, რა დაჯდება ჩემ მიერ გადაღებული ათასამდე ფოტო!.. შრი-ლანკაში ჩასული, ვშიშობდი, რომ იქაც ფულს მომთხოვდნენ, მაგრამ ამ მხრივ ძალიან გამიმართლა. არა მხოლოდ თავისუფლად მაღებინებდნენ სურათებს, არამედ თვითონ დამატარებდნენ აქეთ-იქით, რათა უფრო კარგად ეჩვენებინათ ცუნამის შედეგად განადგურებული ადგილები. ისინი ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ უნდოდათ, მსოფლიოსთვის მიმეწვდინა ხმა მათი გაჭირვების შესახებ. იქ ისედაც ღარიბად ცხოვრობდნენ. სახლები, სიძირკვლის გარეშე, პირდაპირ მიწაზე ჰქონდათ აშენებული, ამიტომ წყლის ნაკადმა ისინი ძალზე ადვილად დაანგრია. საინტერესოა, რომ ბუდისტური ქანდაკებები, ტაძრები და სარიტუალო ნაგებობები არ დანგრეულა. ცხადია, ამას სასწაულს მიაწერენ... ყველაზე საინტერესოდ ის მომეჩვენა, რომ არც ერთი ცხოველი არ დაღუპულა. როგორც ჩანს, მათ წინასწარ იგრძნეს მოსალოდნელი საფრთხე... ძალიან მომეწონა ის, რომ ცუნამის შედეგად განადგურებული სარკინიგზო გზებისა და კავშირგაბმულობის აღდგენა ხელისუფლებამ მალევე დაიწყო. ამაში მათ სერიოზული დახმარება ამერიკამ გაუწია. ასობით ჯარისკაცი ჩადიოდა და შრომობდა — ასუფთავებდნენ იქაურობას ნანგრევებისგან, გაჰქონდათ ნაგავი და ა.შ.

— როგორც ვიცი, შენ წყალქვეშა სამყაროს ფოტოების გადაღებითაც ხარ დაინტერესებული. თუ ისარგებლე შემთხვევით და ინდოეთის ოკეანეშიც თუ ჩაყვინთე?

— მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად, შრი-ლანკაში სწორედ ოკეანეში ჩასაყვინთად მინდოდა წასვლა, ამჯერად არ ჩამიყვინთავს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იქ გლოვაა გამოცხადებული და ოკეანეში არავინ ცურავს. თანაც მე, როგორც რეპორტიორს, ხმელეთზე უფრო მეტი და საინტერესო სამუშაო მქონდა. გადავიღე ათასამდე ფოტო, რომელზეც ადამიანების მძიმე მდგომარეობაა აღბეჭდილი. ისეთი შემზარავი მოვლენები, როგორიცაა ვთქვათ, ცხედრების დაწვა, ფოტოზე აღბეჭდილი არა მაქვს, რადგან ცუნამიდან ორი კვირის შემდეგ ჩავედი შრი-ლანკაში.

— დაბოლოს, ამ მოგზაურობის ამსახველი პერსონალური გამოფენის შესახებაც გვითხარი ორიოდე სიტყვა. როგორც ვიცი, ის ბრიტანეთის საბჭომ დაასპონსორა, არა?

— ძალიან გამიმართლა, რომ ბრიტანეთის საბჭო ჩემ მიერ გადაღებული სურათებით დაინტერესდა და ამ გამოფენის მოწყობაში დამეხმარა. ამ გამოფენაში მთელი ჩემი სული და გული ჩავაქსოვე, რადგან იქ საშინელი სურათების ხილვის მოწმე გავხდი. ენახე ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს არა მხოლოდ სახლები, არამედ მთელი ოჯახები. ამიტომ ეს გამოფენა, შრი-ლანკაზე მომხდარი ცუნამის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნება. მოგვიანებით, ექსპოზიციას ბათუმსა და ქობულეთშიც მოვაწყობ.

— თვით შრი-ლანკაშიც ხომ ვერ წარმოადგენ?

— თუ კიდევ მოვხვდები შრი-ლანკაში, აუცილებლად წავიღებ ჩემს ნამუშევრებს. მაგრამ საერთოდ, ერთსა და იმავე ქვეყანაში მეორედ წასვლას, ახალი ქვეყნის მონახულება მირჩევნია. ჩემი ოცნებაა, მოვინახულო სამხრეთ აფრიკა და ბრაზილია, რიო-დე-ჟანეიროს კარნავალის დროს...

■

საინტერესოა, რომ ბუდისტური ქანდაკებები, ტაძრები და სარიტუალო ნაგებობები არ დანგრეულა. ცხადია, ამას სასწაულს მიაწერენ...

„ახლა, როცა ვუფიქრდები და ანალიზს ვაკეთებ, ვხვდები, რომ ბავშვს აუცილებლად სჭირდება სახლში მამაკაცი. თუ როგორი — ეს მეორე საკითხია, მაგრამ მამისა და ბაბუის არსებობა ოჯახში, ბავშვისთვის აუცილებელია“, — ამბობს მსახიობი ზურა ყიფშიძე. თავად, ქალების გარემოცვაში იზრდებოდა — მის გვერდით, დედა, ბებია და ორი დეიდა იყვნენ. სამი დედა გყავსო, — ეუბნებოდნენ, რადგან დეიდებმა — ქეთომ და ნინამ თავიანთი ცხოვრება იმდენად დაუკავშირეს ზურას, რომ საკუთარ, პირად ცხოვრებაზე არც უფიქრიათ. დღესაც, უკვე ხანდაზმულები, ზურასთან ცხოვრობენ.

ზურა ყიფშიძე საკმაოდ დიდი იყო, როცა შეიტყო, რომ მამამისი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ავთო ვერულეიშვილია — ადამიანი, რომელსაც იცნობდა, ელაპარაკებოდა, მაგრამ, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მამამისი იყო.

ზურა ყიფშიძე: მამის ოჯახში ისე მიმიღეს — საკუთარ სახლში მეგონა თავი

ნათია თენიეშვილი

— დედაჩემის პირველი ქმარი, სტუდენტობის პერიოდში, იყო ეროსი მანჯგალაძე. სამწუხაროდ, მათი ურთიერთობა ვერ აეწყო. ეროსი მერე, მთელი ცხოვრება მარტო იყო. ერთ-ერთ გაზეთში მისმა დამ დაწერა კიდეც — სიცოცხლის ბოლომდე, ეროსის ელენე ყიფშიძე უყვარდაო. სადაც არ წავიდოდი, სოფელში თუ ქალაქში, მესმოდა — ეს ეროსის ბიჭიაო. ვინ არის ეს ეროსი-მეთქი?— ვკითხულობდი. 13 თუ 14 წლის ვიყავი, როცა ჩავაცივდი დედას — გამაგებინე, ვინ არის მამაჩემი-მეთქი?.. მე ვასილის ძე ვარ — ვასო ბაბუაჩემს ერქვა, გვარიც მან მომცა. ბოლოს და ბოლოს, მითხრეს — მამაშენი ავთო ვერულეიშვილია, აი ის, თეატრში ბევრს რომ გეფერება და კარგად გხვდება ხოლმეო. აღმოვაჩინე, რომ ძმაც მყოლია, ჩემზე უფროსი — ზურა ვერულეიშვილი.

— ეი. ბატონ ავთოს იცნობდით, მაგრამ არ იცოდით, რომ მამათქვენი იყო?

— თეატრში დავდიოდი, იქ გავიზარდე, ვიცნობდი, ურთიერთობა მქონდა და კარგა ხნის მანძილზე წარმოდგენა არ მქონდა, რომ მამაჩემი იყო.

— როცა გაიგეთ, რომ ის მამათქვენი იყო, მერე რა მოხდა?

— ზუსტად, რა ვთქვი და მან რა მითხრა — არ მახსოვს. მახსოვს, ძალიან დაძაბული ვიყავი, ვღელავდი. მარჯანიშვილის თეატრთან შემხვდა და რომ შევხედეთ ერთმანეთს თვალებში, ისიც მიხვდა, რომ უკვე ვიცოდი. ჩამეხუტა და მას შემდეგ, ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. როცა დავახლოვდი მის ოჯახთან, ისე მიმიღეს — საკუთარ სახლში მეგონა თავი. პრობლემა ჩემთვის არავის შეუქმნია. ეს ალბათ, პირველ რიგში, მამაჩემის მეუღლის, ჟუჟუნა ბერიანიძის დამსახურება იყო. ძალიან კარგი ქალი იყო, მერე ის ჩემი მეგობარი გახდა. ეს ამბავი 70-იან წლებში ხდებოდა. მაშინ ასეთ სიტუაციებს ცოტა სხვანაირად უყურებდნენ. დღეს მსგავსი რამ უფრო იოლად მისაღებია. მიუხედავად ყველაფრისა, მამაჩემთან ურთიერთობისას პრობლემა არ მქონია, იმიტომ, რომ ასეთი კარგი და საოცარი ადამიანები ჰყავდა გვერდით. მათ მომიხსნეს ის დაძაბულობა, რომელიც თან ახლავს ასეთ მოვლენებს. პირველ რიგში, ეს ჟუჟუნამ გააკეთა და მერე — დედაჩემმა და ჩემმა დეიდებმა. მამაჩემი ცოტა უხერხულ მდგომარეობაში იყო. თუმცა, მერე ყველაფერმა გაიარა და ძმაკაცებივით ვიყავით. ერთხელ, ჩემი სტუდენტობის დროს, მოსკოვში ჩამომაკითხა. ვიქეიფეთ და დილით, რუსული, „მეფური“ საუზმე დავახვედრე — „სელიოდკა“, კარტოფილი, ხახვი, არაყი, ლუდი. ეტყობა მოეწონა, იფიქრა, კარგად მივლისო. კარგ ხასიათზე იყო... საღამოს, ინსტიტუტიდან რომ მოვედი, გავიგონე, ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა, ეუბნებოდა — ეს რა კარგი შვილი მყოლიაო!.. ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ჩვენი ურთიერთობა ძმაკაცური უფრო იყო, ვიდრე მამაშვილური. ჟორა შავგულიძის ძმაკაცი იყო. ახალგაზრდობაში ჰგავდა კიდეც გარეგნულად. ბუნებით კი, ძალიან რბილი და თბილი ადამიანი იყო.



ჟორა შავგულიძის ძმაკაცი იყო. ახალგაზრდობაში ჰგავდა კიდეც გარეგნულად. ბუნებით კი, ძალიან რბილი და თბილი ადამიანი იყო (ფოტოზე ავთო ვერულეიშვილი)

— თქვენ თუ ჰგავხართ რამით მამას?

— გარეგნულად მე დედას უფრო ვგავარ. თუმცა, ბავშვობის სურათებში, არის მსგავსება ჩემსა და ავთოს შორის. მამას ჩემი ძმა, ზურა ჰგავს ძალიან. ავთო მოქეიფე კაცი იყო, ძალიან უყვარდა სუფრა და დროს ტარება. ეს „ამბავი“ ახლა უკვე ნაკლებად, მაგრამ სტუდენტობის და სკოლის პერიოდშიც, მეც ძალიან მიყვარდა. ახლა სხვანაირი, ბარის სიტუაციაა უფრო პოპულარული. მომენატრა ნორმალური, ვიწრო წრე, კარგი კერძებით, კარგი ღვინით და ქეიფით. მთელი ცხოვრება ისეთ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა (და ეს მამაჩემის დამსახურებაც იყო), რომლებიც სუფრას სპექტაკლად აქცევდნენ. ეს მართლა აკადემია იყო. იმავე ეროსისთან, რომელიც ყველას მამაჩემი ეგონა, მერე დავძმაკაცდი. 5 წუთის გამოსული ვიყავი მისი სახლიდან, როცა გარდაიცვალა. იმ დღეს მასთან სტუმრად ვიყავით რამდენიმე ადამიანი, საჭმელს აკეთებდა, უნდა გვექეიფა. ჩემი მეუღლე ამ დროს ფეხმძიმედ იყო და მის გამო, სახლში წამოვედი. ეროსი ვაკეში ცხოვრობდა, მე — ხილიანზე. სახლში რომ შევედი, ლელამ მითხრა — არ გაგიჟდე, მშვიდად, ეროსი აღარ არისო... — შენ გიჟი ხომ არა ხარ? — ახლა იქიდან მოვდივარ-მეთქი!.. — ახლა დარეკეს და მითხრეს — შენ წამოხვედი თუ არა, წაქცეულა და გარდაცვლილაო. შოკში ჩავ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. კლეპტოფობია ქურდების შიშია.
2. ნაქურდევი – სოფელია ადიგენის რაიონში.
3. ო'ჰენრი ციხეში 34627 ნომრით იყო აღნიშნული.
4. „ინფლუენცი“ გრიპის მოძველებული სახელწოდებაა.
5. ფეხმოკვეთილი ადამიანის ხის ფეხს ომბოხი ჰქვია.
6. მსოფლიოში პირველი კინოსკოლა 1919 წელს რუსეთში გაიხსნა.

7. „უფალი გვიხსნის“ – ასე ითარგმნება ებრაულიდან სახელი „იესო“.
8. წარმოებაში ნორმების დამდგენ-დამწესებელს „ნორმადარს“ ეძახდნენ.
9. საძილე საშუალებების ქრონიკულ მოხმარებას „ბარბიტურომანია“ ჰქვია.
10. ჩხრიალა გველის შხამის ერთ დოზას 1000 ვირთხის მოკვლა შეუძლია.
11. „მილენიუმ ფორსი“ მსოფლიოში ყველაზე შთამბეჭდავი ატრაქციონია.
12. პირველი ბოტანიკური ბაღი 1309 წელს იტალიის ქალაქ სალერნოში გაიხსნა.
13. ერბოში მოხარშულ ფქვილს, რომლითაც ქადის გულს ამზადებენ, „ხავიწი“ ჰქვია.
14. ჩარლი ჩაპლინი თავად იყო საკუთარი ფილმების სცენარისა და მუსიკის ავტორი.
15. ქაშნურ-ისპაანური, იაზდი, სივენდი, სემნანი და ფარსი – სპარსული დიალექტებია.
16. „მონა ოცნებობს ისეთ ბაზარზე, სადაც პატრონის ყიდვა შეიძლება“, – ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი.
17. „არა ჩანს ჩემი საშველი, უნდა ვიყიდო საშლელი, კარგი ლექსები წავშალო, ვიყო პოეტი საშუალო“, – წერს კოტე ყუბანეიშვილი.
18. „სდალ გორბაჩოვ სვაიუ როდინუ ამერიკანცამ, ჩტობი კრასივა ტუსავატსა“, – კბილებს აღრჭიალებენ რუსები.
19. კოშკის საათს, რომელიც დროგამოშვებით რეკს და რაიმე პატარა მუსიკალურ ნაწარმოებს ასრულებს, „კურანტი“ ჰქვია.
20. ფოლტა ცინცაძე იყო პირველი გურული მოჯირითე, რომელიც ერთმა მანჩესტერელმა ამერიკაში წაიყვანა, იქაურ ცირკში გამოსასვლელად.
21. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები რუსეთისათვის ფულის გამოყოფას ყოყმანობენ და ამ-

ავთო ვერულეიშვილი შვილიშვილთან – გიორგი ყიფშიძესთან ერთად

ვარდი. ძალიან ახლოს ვიყავი ეროსისთან და რაღაცნაირი, უცნაური ურთიერთობა მქონდა მასთან... მამაჩემის დამსახურებაა ისიც, რომ თემო ჩირგაძესთანაც მქონდა ურთიერთობა. ამ ხალხთან ერთად ქეიფს არაფერი აქვს საერთო დღევანდელ, სტანდარტულ ჭამა-სმასთან.

— პროფესიონალურ შენიშვნებს და რჩევებს თუ გაძლევდათ ხოლმე ბატონი ავთო?

– ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ძალიან უნდოდა და რატომღაც დარწმუნებულიც იყო, რომ მარჯანიშვილის თეატრში უნდა მივსულიყავი სამუშაოდ. ასე რომ არ მოვიქეცი, ეწყინა და გამიბრაზდა – შენ ჯერ ბავშვი ხარ და ვერ ხვდები, რას აკეთებო. თუმცა მერე უკვე, ჩვენი (კინომსახიობის) თეატრიდან ვეღარ ვაგდებდით – ყველა სპექტაკლზე მოდიოდა. მიხვდა, რომ რაღაც ახალი ორგანიზმი შეიქმნა. მითხრა კიდეც – შენ მართალი ხარ, სწორი გადაწყვეტილება მიგიღიაო. ყველას უყვარდა – ჩვენი თეატრის მსახიობებს. თუ რამე მოეწონებოდა, არ დაგიკარგავდა და აუცილებლად გეტყოდა. მისი აზრი აინტერესებდათ იმიტომ, რომ კომპრომისზე არ მიდიოდა ხოლმე და არ იტყუებოდა, ჩემთვის ძალზე ახლობელი ადამიანი – შოთა მშვენიერაძე კარგად „აბრაზებდა“ ვასო გოძიაშვილს და მამას. ავთოს ძალიან ხშირად ავიწყდებოდა ტექსტი. ლენა და ავთო „ბრიგადებში“ *(საქართველოს რაიონებში, სპექტაკლებისა და კონცერტების ჩასატარებლად. – ავტ.)* დადიოდნენ. დედაჩემი კინტოს ასახიერებდა. იწყებოდა მუსიკა, ლენა ცეკვავდა, ამ დროს, ავთო უნდა გამოსულიყო სცენაზე და ეთქვა – საით მიდიხარ? სულ ავიწყდებოდა ეს ტექსტი. დგას და ვერ ეკითხება. დედა წავიდა მეორე წრეზე, ცეკვავს და ელოდება



„გიორგის საქმეში ერთადერთხელ ჩავერიე, როცა ინსტიტუტიდან აგდებდნენ...“

კითხვას. ავთომ აუცილებლად უნდა თქვას ეს ფრაზა, იმიტომ, რომ მერე ამას ლენას პასუხი მიჰყვება, რომელიც მნიშვნელოვანია სპექტაკლის სიუჟეტისთვის. ვერა და ვერ გაიხსენა ავთომ და იკითხა – სადა მუშაობო? სად უნდა მუშაობდეს კინტო? ლენა არც გაჩერებულა, ისე უპასუხა – ლიხაჩოვის ქარხანაში, შენი დედაც ვატირეო!.. ძალიან გულუბრყვილო იყო ავთო, თეატრში ბევრს უყვარდა, მაგრამ ბევრი, ინტრიგანულ ქსელებსაც უხლართავდა... ძალიან კარგი ოჯახი ჰყავდა მამას. ამ გადასახედიდან ადვილია ლაპარაკი, მაშინ რა ხდებოდა, არ ვიცი. ჩემთვის ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ მაინც კარგია, რომ დედაჩემმა არ დაანგრია ის ოჯახი.

— ძმასთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

– კი, ძალიან კარგი. ერთი ჩემი ძმისშვილი საფრანგეთშია გათხოვილი, 2 შვილი ჰყავს. ბიჭი კი აქ ცხოვრობს. შეიძლებოდა, მისგან კარგი ფეხბურთელი გამოსულიყო, მაგრამ ხელი შეეშალა... მამას ძალიან უყვარდა ფეხბურთი, დიდი მიშა მესხის ძმაკაცი იყო. მეც ძალიან მიყვარს და ამაში მამას ვგავარ. რომ მეტყოდა – ამოდი, რა, დღეს ერთად ვუყუროთ ფეხბურთსო, – უკვე ვიცოდი, იქ რაც მოხდებოდა. საშინელება იყო: ქალები კერძს გვიკეთებდნენ და მიდიოდნენ, იმიტომ, რომ იქ გაჩერება მათთვის შეუძლებელი იყო: მე, ჩემი ძმა და მამაჩემი ვრჩებოდით და ძალიან ხშირად, ბინაში რაღაცები იმტვრეოდა კიდეც. სამივეს განსხვავებული აზრი გვქონდა და სულ ვჩხუბობდით – ვინ უფრო მაგარი ფეხბურთელია, ვინ დაუშვა შეცდომა და ა.შ. იყო ნერვების გლეჯა და ხმების ჩაწყვეტა. კი არ ვყვიროდით – ვხაოდით. ტელევიზორს აღარ ვუყურებდით. მამა ზურას უფრო ხშირად ეჩხუბებოდა, რადგან მას უკიდურესად განსხვავებული აზრი ჰქონდა ხოლმე.

— ყველაზე ხშირად, კიდევ რა გახსენდებათ მამასთან დაკავშირებით?

— როგორც გითხარით, კინომსახიობის თეატრის დიდი ქომაგი იყო. საბჭოთა კავშირში ჩატარებულ ბევრ ფესტივალში მონაწილეობის შემდეგ, 1987 წელს, პირველად გაგვიშვეს მადრიდის ფესტივალზე. იქიდან რომ დავბრუნდი, ახალი ნაოპერაციები დამხვდა — ცალი ფილტვი ამოჭკვეთეს... ძალიან დამაკლდა. მთელი ბავშვობა არა მაქვს მასთან ერთად გატარებული, მაგრამ ჩვენი ურთიერთობის პერიოდში ჩამოყალიბებული უცნაური გრძნობა, რომელიც მანამდე, არ ვიცოდი, რა იყო, მარტო გულში და ინსტინქტებში კი არა — გონებაშიც „ჩამეხლართა“...

— **მამას ეძახდით?**

— არა, ვერა. ჩემი ძმაც არ ეძახდა მამას. ავთოს ვეძახდით ყველანი. ჩემი შვილიც არ მეძახის მამას. ხანდახან ლენუკა *(ზურა ყიფშიძის ქალიშვილი. — ავტ.)* — მაშინ, როცა რამე უნდა მთხოვოს — უცებ მეტყვის ხოლმე — „მამი“... რაღაცნაირი, სხვანაირი გრძნობაა. შვილები ძალიან კარგი მყავს, მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრება ცოტა აერ-დაერიათ... გიორგიმ უკვე დაალაგა თავისი ცხოვრება, მაგრამ ლენუკაზე ცოტათი ვღელავ. უცნაური გოგოა. ვიცი, როცა ქალები ქმრებს ეყრებიან, თავისუფლად მოძრაობენ, ახალი თაყვანისმცემლები უჩნდებათ და ა.შ. ლენუკას შემთხვევაში, ასე არ არის. გავგიჟდი, ასეთი არაფერი მინახავს!.. სულ ვეხვეწები, რომ შეურიგდეს ქმარს. ძალიან მიყვარს ჩემი სიძე, მაგრამ ეტყობა, მარტო ჩემი სიყვარული არ კმარა...

— **ბატონო ზურა, ვფიქრობ, გიორგის ძალიან დიდი პლუსი და დამსახურება არის ის, რომ მას საზოგადოება იცნობს, როგორც მსახიობ გიორგი ყიფშიძეს და არა, როგორც ზურა ყიფშიძის შვილს. ასე იყო თქვენს შემთხვევაშიც: ელენე ყიფშიძის სახელით სპეკულირება არასდროს დაგჭირვებიათ...**

— კი, გიორგის შემთხვევაში ასეა და მე ეს ძალიან მახარებს. ამის მისაღწევად არასდროს არაფერი გამიკეთებია. ელენესაც არასდროს არაფერი „ჩაუწყვია“ ჩემთვის. უხაროდა, როგორც ყველა დედას, როცა წარმატებას ვაღწევდი და სწყინდა წარუმატებლობა. თუ რა და როგორ იყო — ამის ანალიზის კეთებას ახლა ვიწყებ, მაშინ კი ვცხოვრობდი ჩვეულებრივად. გიორგისთვისაც არასდროს, რომ იტყვიან, წამიკრავს ხელი. მის საქმეში ერთადერთხელ ჩავერიე, როცა ინსტიტუტიდან აგდებდნენ.

— **რატომ?**

— სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა. „მშვენიერი“ პედაგოგი ჰყავდა, რომელმაც გააგდო... არ ვიცი, რატომ აგდებდნენ. მე გაცდენებისა და ხულიგნობისთვის მაგდებდნენ ხოლმე ინსტიტუტიდან. გიორგი არ იყო ხულიგანი... მე და გიორგი ძმაკაცებივით ვართ. თუ ვურჩევ რამეს, იმასაც მხოლოდ ისე, როგორც ძმაკაცი ძმაკაცს ურჩევს. სულ ვეუბნებოდი — ეს არ არის ზედაპირული პროფესია, შეიძლება ასეთადაც აქციო, მაგრამ საჭიროა, ჩაუღრმავდე, თუ სერიოზულად გაინტერესებს-მეთქი. დამიჯერა გიორგიმ, ჩაუღრმავდა და რაღაცრაღაცებს მიხვდა.

— **თქვენ თუ გასწავლიდათ ქალბატონი ელენე მსგავს რაღაცებს?**

— არა, მე არაფერს მასწავლიდა ლენა. მის სპექტაკლებს ვუყურებდი და იქიდან ვსწავლობდი რაღაც-რაღაცებს. თუ რამე არ მომწონდა, ვაკრიტიკებდი. მას სწყინდა და იბუტებოდა ხოლმე. საბედნიეროდ, როლების უმეტესობა ისე ჰქონდა „გაკეთებული“, რომ მომწონდა. ლენას არ ჰყავდა ისეთი გურუ, როგორიც მე

...ლენას უჭირდა ამ მხრივ. ერთი პერიოდი, მისი ქმარი გიგა ლორთქიფანიძე გახლდათ. მათი ურთიერთობა რომ გაგრძელებულიყო, დარწმუნებული ვარ, ის ლენასგან კარგ რამეს გამოძერწავდა...

მყავდა, მიხეილ თუმანიშვილის სახით. ერთ დღეს, „შუშანიკის წამებას“ ვთამაშობდი, მეორე დღეს — „დონ ჟუანს“, „ჩვენს პატარა ქალაქს“ და ა.შ. მრავალფეროვანი რეპერტუარი მქონდა და სხვადასხვა გმირს ვასახიერებდი. ლენას უჭირდა ამ მხრივ. ერთი პერიოდი, მისი ქმარი გიგა ლორთქიფანიძე გახლდათ. მათი ურთიერთობა რომ გაგრძელებულიყო, დარწმუნებული ვარ, ის ლენასგან კარგ რამეს გამოძერწავდა... სამწუხაროდ, მას სახასიათო მსახიობის კლიშე მიეწება. მე ძალიან ძლიერი პედაგოგი და რეჟისორი მყავდა, ის კი უიღბლო იყო ამ მხრივ. გიორგიზე ცოტა ვნერვიულობ. მგონია, რომ არც მას ჰყავს ის გურუ, რომელიც მე მყავდა... ძალიან გამიხარდა, რობიკო სტურუამ რომ მიიწვია. კარგია, რომ ამ დიდ რეჟისორთან მუშაობა მოუწევს.

■

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

ბობენ: ეს იგივეა, რომ ალკოჰოლიზმით დაავადებულს არაყი შესთავაზო.

22. „ცხოვრებაში მეტი სექსი მჭირდება. მინდა, სიკვდილამდე, მსოფლიოს ყველა მამაკაცთან ვინებივრო“, — თქვა ანჯელინა ჯოლიმ.

23. ერთხელ, თემურ ლენგის ბრძანებით, თიხასა და კირში ამოვლებული 2000 ადამიანი ცოცხლად ჩაყარეს საძირკველში და ზედ კედელი ააგეს.

24. გადმოცემით, სპარსეთის მეფის, ქსერქსეს ერთ-ერთმა ცოლმა, პარისატიდამ, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა საკუთარი ვაჟი არტაქსერქსე და მის გამეფებაზე ოცნებობდა, სამეფო გვარდიის უფროსი შეაცდინა და მეფე მოაკვლევინა. შვილის გამეფების შემდეგ, პარისატიდა უბედნიერეს ადამიანად გრძნობდა თავს. მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ, არტაქსერქსემ ცოლი შეირთო. დედოფალმა ეჭვიანობა დაიწყო ახალგაზრდა რძლის, სტატირას მიმართ, რომელიც მეფეს ძალიან უყვარდა. პარისატიდამ გადაწყვიტა, მოეწამლა იგი. იმის გამო, რომ რძალ-დედამთილი ერთმანეთს არ ენდობოდა, ორივე მათგანი ერთსა და იმავე კერძს, ერთსა და იმავე თეფშიდან მიირთმევდა. ერთხელ პარისატიდამ გარეული ფრინველის ხორცი შუაზე გაჭრა დანით, რომელსაც ცალი მხარე ჰქონდა მოწამლული. სტატირამ საშინელ ტანჯვაში დალია სული, მაგრამ სიკვდილის წინ მოასწრო, მეუღლისათვის ეთქვა, რომ იგი დედამისმა მოწამლა. არტაქსერქსემ ბრძანა, რომ დედის ყველა მსახური სიკვდილით დაესაჯათ, თავად პარისატიდა კი ბაბილონში გადაასახლა, რის შემდეგაც, მას აღარასოდეს უნახავს შვილი.

25. „ტიტანიკის“ მუზეუმში ინახება ვერცხლის უამრავი დანა-ჩანგალი, რომლითაც გემზე პირველი კლასის მგზავრები სადილობდნენ. ისინი ოკეანის ფსკერიდან არავის ამოუღია. ეს დანა-ჩანგალი მუზეუმმა „ტიტანიკის“ იმ მგზავრებისაგან შეიძინა, რომლებმაც გემზე სადილობისას, ისინი სუვენირებად მოიპარეს. ეს მგზავრები შუალედურ სადგურებში ჩამოვიდნენ „ტიტანიკიდან“.

ბუნებით რომანტიკოსი ნატო გელაშვილი, მომავალში უამრავ შემოქმედებით სიახლესთან ერთად, მეორედ დაქორწინებასაც აპირებს. მან იმის პირობაც კი მოგვცა, რომ ქორწილში აუცილებლად დაგვპატიჟებს. უზომოდ შეყვარებულ ნატოს მისი მომავალი მეუღლისთვის სიმღერაც კი მიუძღვნია, რომლის სახელწოდებაა „სულელი წვიმა“. ვინ არის და რას საქმიანობს ნატოს გულის სწორი?.. ამას ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.

ნატო გელაშვილი ახალ „ბედს“ „ვაჩისკვლაშვილის სახლში“ იშენებს

ეკა მინდაძე

— ამბობენ, ნატო გათხოვდაო, მართალია?

— არა. მე ამას ჯერ ვერ დავადასტურებ. სხვათა შორის, ჩემთვისაც არაერთხელ დაურეკავთ მოსალოცად, მაგრამ ეს ასე არ არის. ჯერჯერობით დასაქორწინებელი წყვილი ვართ *(იცინის)*... მართალია, ჩემ გვერდით არის ადამიანი, ვისზეც ოფიციალურად დაქორწინებას ვაპირებ, მაგრამ ვფიქრობ, აჩქარება დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ არც ვახოა იმ ასაკში, რომ აცანცარდეს და არც — მე. ოფიციალურად, ალბათ, მაშინ ვიქორწინებთ, როცა ახალ ბინაში გადავალთ.

— სად გაიცანი?

— ბორჯომში.

— ვინ არის და სად მუშაობს შენი რჩეული?

— მოიცა, შენ ბარემ მომილოცე და ეგაა, დაწერე — გათხოვდაო *(იცინის)*!.. ერთადერთს ვიტყვი იმას, რომ ვახო სულ სხვა სფეროში, კერძოდ — ძალოვან სტრუქტურაში მუშაობს.

— ქორწილს გადახდას თუ აპირებთ?

— ამაზე ჯერ არ გვისაუბრია. ერთადერთი ის ვიცი, რომ დიდი ქორწილი არ იქნება და არც თეთრი კაბა მეცმევა, რადგანაც მე არა ვარ უზარმაზარი ქორწილის მომხრე. ალბათ შეიკრიბება ძალიან ვიწრო სამეგობრო წრე — დაახლოებით 100 კაცამდე და აღვნიშნავთ ჩვენს შეუღლებას.

— თუ გაქვთ დაგეგმილი საქორწინო მოგზაურობის გეზი?

— საქორწინო მოგზაურობაში ალბათ, პარიზში წავალთ.

— როგორ გგონია — მისმა რა თვისებამ მოხიბლა ნატო გელაშვილი?

— ყველაზე მეტად მისმა სიძლიერემ მომხიბლა. მის გვერდით უფრო უსუსური ვარ, ვიდრე ძლიერი. ეს კი ჩემთვის უდიდესი გრძნობა, რადგანაც ვფიქრობ, ქალი მამაკაცის გვერდით ბევრად უსუსური უნდა იყოს, ვიდრე ძლიერი.

— მაინც როგორი შეყვარებულია შენი რჩეული?

— ალბათ, ეს ვახოს უნდა ჰკითხო იმიტომ, რომ მე მისი ზედმეტი ქება გამომივა. აქედან გამომდინარე, მე ამ შეკითხვაზე შეგნებულად არ გიპასუხებ. როცა დრო მოვა, პირველს შენ მოგიწვევ ჩემს ოჯახში და პირობას გაძლევ, რომ პირადად ჩაგიწყობ ვახოსთან, რომ მას გაესაუბრო.

— გაიხსენე მისი პირველად მორთმეული საჩუქარი?

— პირველად მან ტიტანის „ნოკია“ მაჩუქა და ამით ძალიან გამახარა.

— ხშირად გიძღვნის ყვავილებს?

— კი და უცნაურია, იმიტომ, რომ თურმე, ადრე, მისთვის თაიგულის დაჭერა წარმოუდგენელი იყო. მე კი შემიძლია ვთქვა, რომ ვახოს ძალიან ბევრი სიურპრიზი გაუკეთებია ყვავილების სახით. ალბათ თაიგულის ხელში დაჭერის კომპლექსის გადალახვაში ჩვენი დიდი სიყვარული დაეხმარა.

— შეგიძლია, სიყვარულის შენეული ახსნა შემოგვთავაზო?

— სიყვარული უცნაური გრძნობაა, რომელიც გაფორიაქებს და სულს გირევს. ის შენს დაუკითხავად მოდის და სულ არ გეკითხება, რა გინდა და რა არ გინდა.

— ამბობენ, სიყვარული დროთა განმავლობაში ფერმკრთალდებაო...

— ფერმკრთალდება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ორივე მხარე ერთნაირად არ „მორწყავს ყვავილს“. ვფიქრობ, ორივემ უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ სიყვარული მოსაბეზრებელი არ გახდეს.

— ერთი ნახვით შეყვარების გჯერა?

— რა თქმა უნდა, მჯერა. პირადად მე, ასეთი რამ არ შემმთხვევია, მაგრამ ბევრი ჩემი მეგობრისგან მსმენია ამგვარი ფაქტის შესახებ.

— პირველად სიყვარული რა ასაკში გეწვია?

— სიყვარული პირველად სტუდენტობისას მეწვია.

— შენი ოჯახის დანგრევის მიზეზი რა გახდა?

— არ ვიცი, ალბათ, მიზეზი ოჯახში ყოველთვის არის რაღაც. მთავარია, რომ ის არ გამწვავდეს და არ გაღვივდეს. ამისათვის ცოლმაც და ქმარმაც ერთნაირად უნდა შეუწყონ ხელი კონფლიქტის დროზე ჩახშობას და სიყვარულის გაღრმავებას.

— როგორი ურთიერთობა გაქვს შენს ყოფილ ქმართან?

— მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ცივილიზებულად დავშორდით, მასთან არანაირი ურთიერთობა არა მაქვს. ერთადერთი, თუ ამას კონტაქტი ჰქვია, ის არის, რომ მასთან ვრეკავ მაშინ, როცა ბავშვები მამასთან არიან და საჭიროა მათი სახლში წამოყვანა.

— საერთოდ, როგორც წესი, ოჯახის დანგრევას ყველაზე მეტად ბავშვები განიცდიან. შენს შვილებს თუ გაუჭირდათ მამასთან განშორება?

— არა, ბავშვებს სულ არ გასჭირვე-



ჩემი აზრით, შვილი რომ გამოგადგეს, მტრულად უნდა გაზარდო...

ბიათ. ამას ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ისინი შედარებით პატარები იყვნენ: მაშინ უფროსი 5-ის, ხოლო უმცროსი – 3 წლის იყო. თანაც, მამასთან განშორება თავისუფლად გადაიტანეს უფრო იმიტომ, რომ მათთვის მამა მიუწვდომელი არასოდეს ყოფილა. ისინი თითქმის ყველა დღესასწაულზე პირველად მამას ურეკავენ და ხშირად სტუმრობენ კიდეც. სხვათა შორის, ხშირად მეც შემიხსენებია ბავშვებისთვის, დაერეკათ და მიელოცათ მამისთვის ესა თუ ის დღესასწაული.

— ვახოსთან როგორი ურთიერთობა აქვთ?

– არაჩვეულებრივი. ისინი ძალიან მეგობრობენ მასთან და ეს ალბათ ვახოს დამსახურებაა. ხშირად, როცა რაიმეს ვერ იგებენ, ამბობენ – ამის შესახებ ვახოს ვკითხავთო.

— ადრე თუ ჰყავდა ოჯახი შენს მომავალ მეუღლეს?

– კი, ვახოს პირველი მეუღლისგან 2 არაჩვეულებრივი შვილი ჰყავს... სხვათა შორის, მინდა გითხრა, რომ შენ ძალიან ღრმად შემოიჭერი ჩემს პირად ცხოვრებაში. მე კი, არ ვიცი – რატომ, მაგრამ ისეთ რაღაცებზე გესაუბრები, რაზეც ჯერ არავისთან მისაუბრია...

— შენი აზრით, შესაძლებელია, ადამიანს სიყვარული რამდენჯერმე ეწვიოს?

– ალბათ, შესაძლებელია. შეიძლება, ერთხელ არ გაგიმართლოს და ზუსტად იმ მომენტში, როცა გგონია, რომ ყველაფერი დასრულდა, ცხოვრებამ ისეთ ადამიანს შეგახვედროს, რომელიც შენს ცხოვრებას გამოაცოცხლებს. არადა, როცა შენი ოჯახი ინგრევა, გგონია, რომ ყველაფერი მორჩა. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, შეიძლება, სხვაგვარი სიყვარული გეწვიოს. ხომ გაგიგონია – დრო ყველაფრის მკურნალიაო! მართალია, შეიძლება სხვადასხვა სიყვარულმა ერთი და იგივე განცდა არ მოგიტანოს, მაგრამ მთლიანობაში მაინც სიყვარული ჰქვია.

— როგორი მამაკაცები მოგწონს?

– პირველ რიგში, ის უნდა იყოს მამაკაცური და რაც მთავარია – მიყვარს, როდესაც მამაკაცს საკუთარი მეუღლე მთელი გულით უყვარს. იმისათვის, რომ ოჯახი მტკიცე იყოს, საჭიროა, ქმარს ცოლი უყვარდეს და პირიქით.

— ყველაზე მეტად რა გაღიზიანებს მამაკაცში?

– ძალიან მაღიზიანებს ცანცარა და აჩჩატებული მამაკაცი.

— თითქმის ყველა შენი სიმღერა სიყვარულზეა, შენ თვითონ თუ ხარ ბუნებით რომანტიკოსი?

– რა თქმა უნდა. არ მეტყობა *(იცინის)*?..

— როგორ აფასებს შენს შემოქმედებას შენი რჩეული?

– ძალიან მოსწონს. თუმცა, ზოგჯერ ძალიან კრიტიკულიც არის. მას ჩემთვის არაერთი კარგი რჩევაც მოუცია. ვახოს თავიდან იმასთან შეგუებაც უჭირდა, რომ უამრავ ადამიანს ვიცნობ. შემდეგ, დროთა განმავლობაში, ნელ-ნელა რომ გაიცნო ჩემი წრე, ვიღაცა მიიღო, ვიღაცა – ვერ მიიღო, საბოლოოდ კი, ჩემ გვერდით დატოვა ის ადამიანები, ვინც ალბათ უნდა დარჩენილიყვნენ...

— ყველაზე მეტად შენი რომელი სიმღერა უყვარს?

– ძალიან უყვარს „სულელი წვიმა“, რომელიც მე პირადად მას მივუძღვენი. სხვათა შორის, სიმღერის შემსრულებელმა – ლელა წურწუმიამაც სულ ახლახან გაიგო, თუ ვის მივუძღვენი ეს სიმღერა.

— თვითონ ბატონ ვახოს თუ ეხერხება სიმღერა?

– კი, მაგრამ ვახო სხვა მუსიკაზეა აღზრდილი. ქართული ალბათ, მე უფრო შევაყვარე. მას მოსწონდა ვისოცკი, როზენბაუმი, „ჩიკაგო“ და სხვა, იმ დროს პოპულარული მომღერლები. ვახო ძალიან განათლებული და საინტერესო პიროვნებაა.

— შენ უამრავი თაყვანისმცემელი გყავს. ვახოს არასოდეს უეჭვიანია ამის გამო?

– ალბათ უეჭვიანია. ეტყობა, ამიტომ, ყოველთვის ცდილობს, რომ დამიცვას. არ ვიცი, ამ პრობლემას როგორ აგვარებს, მაგრამ ფაქტია, რომ მე ჯერ არავის შევუწუხებივარ.

— მამაკაცის მიმართ ზედმეტად მომთხოვნი ხომ არ ხარ?

– არანაირად. 16 წლიდან დამოუკიდებლად ვცხოვრობ და აქედან გამომდინარე, მარტო ჩემი თავის იმედი მქონდა. მე საკუთარი მამისთვის არ მითქვამს სიტყვა – „მინდა“, დაახლოებით იმ დროიდან მოყოლებული, რაც სკოლა დავამთავრე. ასე რომ, თუ ვინმე ამ სიტყვის გარეშე რაიმეს მიხვდება და გამიკეთებს, მოხარული ვიქნები და ამას დიდ საჩუქრად აღვიქვამ. მე შეიძლება, ჯიბეში 2 ლარიც არ მედოს, მაგრამ ვერავის ვთხოვ – ფული მომეცი-მეთქი. ამასვე ვუნერგავ ჩემს შვილებს. სულ იმას ჩავჩიჩინებ, კარგად ისწავლონ იმისათვის, რომ არავისზე დამოკიდებულნი არ იყვნენ.

— როგორი დედა ხარ?

– საკმაოდ მკაცრი და ამავე დროს, მეგობრულიც. ზოგჯერ, ჩემს შვილებს ასეთი ხერხით ვსჯი – იგნორირებას ვუკეთებ, ვცდილობ, არ დავველაპარაკო... ჩემი აზრით, შვილი რომ გამოგადგეს, მტრულად უნდა გაზარდო.

— ახალ ოჯახში რის გაკეთებას შეძლებ? თუ გეხერხება კულინარობა?

– მშვენივრად მეხერხება. ჩემი ხელი სულ რაღაცას აკეთებს. კი მივეკუთვნები შუაბიზნესის წარმომადგენელთა წრეს, მაგრამ ვარ ქალი, რომელიც ყველაფერს – სახლის დალაგებიდან დაწყებული, სარეცხის რეცხვით დამთავრებული – ვაკეთებ. რაც შეეხება კულინარობას – ერთადერთი კერძი, რომლის მომზადებაც ჯერ არ მიცდია, საცივია. იმიტომ, რომ ამას დედა მიკეთებს და არ მაძლევს უფლებას, მეც მოვსინჯო მისი მომზადება.

— ისე, „ნეტა, ქორწილში არ დაგვპატიჟებენ?..“

– რა თქმა უნდა! ჩათვალე, რომ უკვე დაპატიჟებული ხარ.

— მაინც როდის ვარაუდობთ შეუღლებას?

– მოდი, ვკითხოთ სამშენებლო ფირმას – ეს მასზეა დამოკიდებული, თუ როდის დაამთავრებს ე.წ. „ვარსკვლავების სახლის“ აშენებას...

— უახლოეს შემოქმედებით გეგმებზე რას გვეტყვი?

– ვაპირებ შემოქმედებითი საღამოს ჩატარებას, ვიწყებ ალბომზე მუშაობას, სადაც 5-6 ახალი სიმღერა შევა. რამდენიმე დღეში, მოსკოვშიც მივდივარ იმისათვის, რომ კონცერტი გავმართო. აი, ასეთი გეგმები მაქვს და ვნახოთ, რა გამომივა. ■

ასე დავშორდით ერთმანეთს...

„...არ ვნანობ, ყველაფერი ძალზე ლამაზი იყო“

ვფიქრობ, ადამიანებს ძალზე იშვიათად ძალუძთ, გამოუცხადონ გულის სწორს განშორების შესახებ მაშინ, როცა ის თვალებში უყურებს. უმეტესობა ასეთ დროს, „იატაკქვეშეთში“ გადადის ან ძალზე ხანგრძლივ მივლინებაში მიდის ან კიდევ — „მეხსიერებას კარგავს“... მით უმეტეს, ძნელია ღიად თქვა ამის შესახებ მაშინ, როდესაც ნამდვილი მიზეზი შენს პიროვნულ რეპუტაციას შელახავს...

მარი ხაფარიძე

მანქანიანმა „დეიდამ“ „ჩაყლაპა“

„დავიბადე და გავიზარდე თბილისში. ძნელია, იპოვო ადამიანი, რომელიც ცხოვრების ბოლომდე გიერთგულებს. ამიტომ პირველი ქორწინება ძალზე ცუდად დამთავრდა და მეუღლეს გავეყარე. მისგან „მემკვიდრეობით“ ერთოთახიანი ბინა მერგო, სადაც სრულიად მარტო ვცხოვრობდი. გავიდა ხანი და ვიგრძენი, რომ მჭირდებოდა მამაკაცი, რომელსაც ვეყვარებოდი და ძლიერ მფარველად მომევლინებოდა. სიმართლე რომ გითხრათ, თაყვანისმცემელი ბევრი მყავდა, მაგრამ გული ერთი უცოლო, სოფლიდან ჩამოსული ბიჭისკენ მიმიწევდა. ის ქირით ცხოვრობდა. თავდაპირველად მასთან ვხვდებოდით ერთმანეთს, მერე — ჩემთან გადმოვინაცვლეთ. ბოლოს, ტანისამოსიანად გადმობარგდა. თუმცა ცოლ-ქმარივით ვცხოვრობდით, მაინც ვმალავდით ჩვენს ურთიერთობას. ერთ დღეს, სამსახურიდან დაბრუნებულს, მაგიდაზე მისი წერილი დამხვდა, სადაც ეწერა, რომ ძალზე კარგი ვარ, შეუდარებელი და საოცარი პიროვნება, მან კი თურმე, მიღალატა, თავს ვერ აპატიებდა იმას, რომ ასეთ კარგსა და ღირსეულს, უსამართლოდ მომექცა და სწორედ ამიტომ მიდიოდა ჩემგან. სიმართლე რომ გითხრათ, მთელი 2 თვე ვგლოვობდი მის დაკარგვას. ვერაფრით მივაგენი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგე. გარკვეული პერიოდის შემდეგ შევიტყვე, რომ თურმე, შეძლებულ და მანქანიან „დეიდას“ „ჩაუყლაპავს“. მისთვის მატერიალური კეთილდღეობა გაცილებით მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე სიყვარული. ჰოდა, იყოს თავის ბებერთან, მე კი უკვე აღარ ვნერვიულობ. ჭკუა ვისწავლე და სხვა დროს, უფრო გონივრულად მოვიქცევი. ლელა“.

რა თქმა უნდა, კარგია, თუ საყვარელ ადამიანს სიურპრიზს მოუწყობთ და მოულოდნელად გაახარებთ თქვენი ვიზიტით, მაგრამ... თქვენ გიყვართ უსიამოვნო სიურპრიზები? რაღა თქმა უნდა, არა. მაშინ სიურპრიზის მოფიქრებისას, სიფრთხილე გამოიჩინეთ.

„წადი, მამას დაუძახე!“

„შარშან ზამთარში, ბაკურიანში ვისვენებდი ორ მეგობართან ერთად. კერძო სახლში დავიქირავეთ ოთახი. ჩვენ გვერდით 2 მამაკაცი ცხოვრობდა. ისინიც თბილისელები გახლდნენ, ორივე — უცოლო. ჩვენც მეტი რა გვინდოდა? მშვენივრად ვერთობოდით. დღისით თხილამურებით ვსრიალებდით, საღამოობით „ჯოკერის“ თამაშითა და ბუხართან „პიკნიკით“ ვირთობდით თავს... ჩემსა და ლევანს შორის მალე სხვანაირი ნაპერწკალი გაჩნდა... ერთხელ გვიანობამდე ვისეირნეთ თოვლში. სიყვარულში გამომიტყდა. ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. არ დამიმალავს, რომ მეც მომწონდა. ჩვენი ურთიერთობა კოცნითა და ალერსით შემოიფარგლებოდა. იცოდა, რომ ქალწული ვიყავი და ზედმეტს არ მაკადრებდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ, ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია. ერთმანეთს ვხვდებოდით, მომავალზე ვლაპარაკობდით, გეგმებს ვაწყობდით... მერე მოხდა ისე, რომ როდესაც ჩემი მშობლები შინ არ იყვნენ, ჩემთან დარჩა. სულ სამჯერ გავათენეთ ერთად ღამე და... დაიკარგა. ტელეფონით ვკონტაქტობდით, სიყვარულს მეფიცებოდა, რაღაცას იმიზეზებდა, იმის ასახსნელად, თუ რატომ ველარ ახერხებდა ჩემს ნახვას. მე მისი მჯეროდა და მოთმინებით ველოდი, როდის მოაგვარებდა პრობლემებს, რომ ისევ ერთად ვყოფილიყავით. ამასობაში, მისი დაბადების დღე მოახლოვდა. საერთო ნაცნობების მეშვეობით, მისი ბინის მისამართი დავადგინე და გადავწყვიტე, სიურპრიზი მომეწყო. საჩუქრით ხელდამშვენებული მივადექი მისი სახლის კარს და ზარი დავრეკე. კარი ახალგაზრდა გოგონამ გააღო. მის უკან კი, ოთხიოდე წლის ბუთხუზა გოგონა იდგა და ეშმაკურად იჭყიტებოდა. ვიფიქრე — მისი და და დისშვილი არიან-მეთქი და ვიკითხე — ლევანი აქ ცხოვრობს? — მარი, წადი მამას დაუძახეო, — დაასაქმა ბავშვი. მთელ სხეულში ცხელმა ტალღამ დამიარა, სახეზე ღიმილი შემეყინა და ერთიანად ავცახცახდი. ამასობაში ლევანმაც გამოიხედა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. უხმოდ გამოვბრუნდი. სიკვდილი მინდოდა, ისეთ გუნებაზე დავდექი. ამის შემდეგ მის ზარებს აღარ ვპასუხობდი. არ მინდოდა, მისი ლუღლუღი და თავის მართლება მომესმინა. აი, ასე დავშორდით ერთმანეთს. ნახვამდის“.

სამაგიერო გადაუხადა

„მე და გიოს 2 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. მეგონა, ვერაფერი დაგვაშორებდა. დღეში ერთ „მონოს“ ხარჯავდა ჩემთან ლაპარაკში. ყოველდღე შეხვედრას მთხოვდა. თუ ვერ მოვახერხებდი, ბრაზობდა, ნერვიულობდა და პატარა ბავშვივით იბუტებოდა ხოლმე. მეგობრები სულ შემომნატროდნენ — ნეტავ, ასეთ კარგ ადამიანს ჩვენც შეგვახვედრაო! არასდროს შემპარვია ეჭვი მის სიყვარულში. 8 მარტი ახლოვდებოდა. წინასწარ შემითანხმდა — საღამოს გავისეირნოთ და მერე რესტორანში ვივახშმოთო. ასე, 4 საათი იქნებოდა, როცა კარზე დააკაკუნა. ჯერ არ ველოდი. შემოვიდა და რაღაცნაირად უხერხულად გამომიწოდა ერთი ვარდი და ფუმფულა კურდღელი. მადლობის ნიშნად კისერზე ჩამოვეკიდე, ვაკოცე და ვუთხარი — შემოდი, ახლავე ჩავიცვამ და გავიდეთ-მეთქი. ხელი ჩამავლო, თავისკენ მიმბრუნა და მითხრა — არა, მოიცა, მე იმის სათქმელად მოვედი, რომ

ნენ — ნეტავ, ასეთი კარგი ადამიანი ჩვენც შეგვახვედრაო! არასდროს შემპარვია ეჭვი მის სიყვარულში. 8 მარტი ახლოვდებოდა. წინასწარ შემითანხმდა — საღამოს გავისეირნოთ და მერე რესტორანში ვივახშმოთო. ასე, 4 საათი იქნებოდა, როცა კარზე დააკაკუნა. ჯერ არ ველოდი. შემოვიდა და რაღაცნაირად უხერხულად გამომიწოდა ერთი ვარდი და ფუმფულა კურდღელი. მადლობის ნიშნად კისერზე ჩამოვეკიდე, ვაკოცე და ვუთხარი — შემოდი, ახლავე ჩავიცვამ და გავიდეთ-მეთქი. ხელი ჩამავლო, თავისკენ მიმბრუნა და მითხრა — არა, მოიცა, მე იმის სათქმელად მოვედი, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდაო. ელდა მეცა. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო ეს ამბავი. მხოლოდ ისღა მოვახერხე, რომ ამოვილუღლუღე — მაშ, ეს საჩუქრები რაღა საჭირო იყო-მეთქი? — შენ ხომ, დაბადების დღე მომილოცე (ორი კვირით ადრე ჰქონდა), ჰოდა, ჩემს თავს ვერ ვაპატიებდი, 8 მარტს უსაჩუქროდ რომ დამეტოვებინეო. ვარდი იმწუთშივე, ზურგში „მივაყოლე“, სადარბაზოში გასულს. კურდღელიც უნდა გადამეგდო, მაგრამ დედამ მირჩია, დამეტოვებინა. ახლა ის ჩემი ძაღლის ყველაზე საყვარელი სათამაშოა...“

„ნეტავ, ორიენტაცია ხომ არ შეიცვალა?..“

„დიდი ზარ-ზეიმით გავთხოვდი. ისეთი ქორწილი გადავიხადეთ — ჯერ არნახი და არ გაგონილი... საპატარძლო კაბა, ჩემი ქმრის დაჟინებული მოთხოვნით, იტალიიდან ჩამომიტანეს. ამით მინდა ხაზი გავუსვა იმას, თუ როგორი სერიოზულობით ეზადებოდა ჩემი მეუღლე ქორწილისთვის. ცალკე ბინა შეეძინა, მყუდროდ მოაწყო და იმ დღეზე ოცნებობდა, როცა იქ ერთად ვიცხოვრებდით... ყველაფერი მშვენივრად აეწყო. მალე ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. სამსახური, სახლი, სტუმრად წასვლა, სტუმრების მიღება... წელიწადმა და შვიდმა თვემ ელვის სისწრაფით გაირბინა. ერთადერთი, რაც უსიამოდ შემახსენებდა ხოლმე თავს, ის იყო, რომ შვილი არ გვინდებოდა, თუმცა, ძალიან არ ვნერვიულობდით, რადგან არ ვჩქარობდით დაწვრილშვილებას. ბოლოს, დავფიქრდი. როდესაც დავწმუნდი, რომ ნამდვილად ორსულად ვიყავი, ჩემს მეუღლეს გავუმხილე. მეგონა, სიხარულით გადაირეოდა. ჩვეულებრივად მოისმინა ჩემი ნათქვამი, წარბიც არ შესტოკებია. ამის შემდეგ, თითქოს შეიცვალა. შუბლშეკრული, უხალისოდ დადიოდა. ორი კვირის შემდეგ, სამსახურიდან შინ დაბრუნებული ვახშმის თადარიგს შეუდექი, დიდხანს ველოდე, მაგრამ ის არსად ჩანდა. გვიან ღამით დამირეკა და მომახსენა — შინ აღარ დავბრუნდები, ცხოვრება უჩემოდ უნდა გაგრძელოო. გადავრიე. მის ნახვას და მასთან დალაპარაკებას ამაოდ ვცდილობდი. არანაირ ახსნა-განმარტებას არ მაძლევდა. ნერვიულობის გამო, ბავშვი დავკარგე... ჩვენს საერთო სახლში ვგრძელებდი ცხოვრებას. მის ხელშენახულ ნივთებს ვეფერებოდი, მის ტანსაცმელს ვიცვამდი (არაფერი წაუღია შინიდან). ნუ გაოცდებით, თუ გეტყვით, რომ კბილებსაც მისი ჯაგრისით ვიხეხავდი ხოლმე... ამასობაში თითქმის ერთი წელი გავიდა. ერთ საღამოს, ჩემი ყოფილი მეუღლე მთვრალი მომადგა შინ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოვუარე, დავაძინე. მთელი ღამე არ დავწოლილვარ, თავთან ვეჯექი და თვალმუშორებლივ დავყურებდი მის სახეს, რომელიც ასეთი მონატრებული მქონდა. დილით, ჩვენ შორის მოკლე საუბარი შედგა. მან მითხრა: — იცი, მომბეზრდა ყოველდღე ერთი და იგივე. დილით საუზმე, მერე სამსახურში წასვლის წინ კოცნა, შინ მოსვლა, ისევ კოცნა, ვახშამი, ძილის წინ, ისევ კოცნა... ერთი და იგივე სახე, ერთი და იმავე თემაზე ლაპარაკი, მე რაღაცა სხვა, უფრო ორგინალური და ექსტრემალური მჭირდებაო, — თქვა და წავიდა. დღემდე მარტო ვცხოვრობ. არ ვიცი, იპოვა თუ არა მან „ორიგინალური“ და „ექსტრემალური“, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, ერთმანეთს ასე, არაფრის გულისთვის დავშორდით. ვიცი, რომ არც ცოლი მოუყვანია, არც მუდმივ საყვარელი ჰყავს. ეს კიდევ უფრო უცნაურს ხდის მისი შინიდან წასვლის მიზეზს. იცით, რას ვეჭვობ? ნეტავ, ორიენტაცია ხომ არ შეიცვალა? ამის გაფიქრებაც არ მინდა...“

განშორება ნამუსგარეცხილ მეგობართან

„ვიდრე დავქორწინდებოდით ჩემი მეუღლე რუსეთში ცხოვრობდა. ქორწილის შემდეგ, ორივე იქ წავედით. მას ძალზე ბევრი მეგობარი ჰყავდა. მათთან ყოველდღე ვურთიერთობდით და საღამოობით, დროს ერთად ვატარებდით. მათ შორის იყო ბავშვობის მეგობარი — გოჩა. თავდაპირველად, ყველაფერი კარგად მიდიოდა. მერე ჩემმა ქმარმა მოუხშირა შინ დაგვიანებით მოსვლას. ძალზე ეეჭვიანობდი. ის დროს ძირითადად, გოჩასთან ერთად ატარებდა. მასაც ოჯახი ჰქონდა, მაგრამ სულ ქალებში დადიოდა და მეუღლესთან ძალზე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ჩემი ქმარიც მასთან ერთად იყო. მერე ხან პოლიცია დაადგებოდა ხოლმე თავზე, იმის გამო, რომ ნაცემი ქალი უჩიოდა, ხან კიდევ სხვა რამ — ერთი სიტყვით, ათასგვარ საზიზღრობას ვიგებდი... ეს ყველაფერი მომბეზრდა და გადავწყვიტე, ჩემს 2 წლის შვილთან ერთად საქართველოში გამოვპარულიყავი. მაგრამ წამოსვლამდე ქალურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია, — მინდოდა, ყველაფერი დაწვრილებით გამეგო. ამიტომ ქმრისგან მალულად, გოჩას დავურეკე და სახლთან ახლოს პაემანი დავუნიშნე. დარწმუნებული ვიყავი, ყველა კითხვაზე უყოყმანოდ გამცემდა პასუხს, რადგან ვგრძნობდი, მას ჩვენი ოჯახის დანგრევა სურდა. პირდაპირ ვკითხე — თავს რატომ არ გვანებებ? რატომ ურევ ჩემს ქმარს თავგზას? რატომ ხარ მოწადინებული, რომ ჩემი ოჯახი დაანგრიო? შენი ცოლი გაპატიებს ღალატს, მაგრამ მე არ ვაპატიებ, ეს შენ კარგად მოგეხსენება-მეთქი... ვიცოდი, რომ უსინდისო იყო, მაგრამ მთლად ასეთი ნამუსგარეცხილი თუ აღმოჩნდებოდა, არ ველოდი. — მე და შენი ქმარი ბავშვობიდან ვმეგობრობთ, ის ყოველთვის ჩემზე მეტი იყო, მეტ წარმატებას აღწევდა; ერთხელ ქალებში ერთად წავედით. მაგან უცებ მოიშორა თავისი ქალი, მე კი, ჩემმა, შვილი გამიჩინა და „შემეტენა“... მაგან შენ მოგიყვანა ცოლად, მე კი ისევ ის ბოზი მყავს; ჰოდა, სწორედ ეს შემშურდა, ამიტომ ვცდილობ, ისიც ჩემსავით უბედური იყოსო, — მითხრა... — თუ მისთვის ჩემზე უკეთესი ცოლი გეგულება, მითხარი და დღესვე მივატოვებ-მეთქი, — ვუთხარი. — შენნაირი ქალის ქმრობაზე უარს არც მე ვიტყოდი, თუ მიატოვებ, მე მოგიყვან ცოლადო, — მიპასუხა. კინაღამ გავგიჟდი: — არ გეშინია, ქმარს რომ ვეტყვი-მეთქი? — შენ თუ მაგას ეტყვი, მე დავარწმუნებ, რომ ჩვენ უკვე საყვარლები ვართო... ვიცოდი, ამის გამკეთებელი მართლაც იყო. ჩემი ქმარი შემეცოდა, რადგან ბოროტი და გულღრძო ადამიანის მსხვერპლი იყო. ამიტომ მისი მიტოვება გადავიფიქრე. ჩავთვალე, რომ უდანაშაულო იყო. მერე შევუჩნდი და საქართველოში წამოვიყვანე. ახლა ხშირად მსაყვედურობს ხოლმე — იქ რომ დავრჩენილიყავით, ახლა გაცილებით უკეთესად ვიქნებოდითო. მაგრამ არ მჭირდება მატერიალური კეთილდღეობა, ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ოჯახი შევინარჩუნო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თითქოს ხელახლა შეგვიყვარდა ერთმანეთი. ახლა ბედნიერი ვარ. აი, ასე დავშორდით ერთმანეთს... ჩვენ და გოჩა.“

ახლა კი ტრადიციისამებრ, მოკლე მესიჯებს გადავხედოთ

ქორწილიდან გაქცეული პატარძალი

„მინდა, ჩემს საზაფხულო რომანზე გიამბოთ. 3 წლის წინ ზღვაზე ვიყავი დასასვენებლად. გიგი ბუნგალოში გავიცანი, თავის 2 ძმაკაცთან ერთად. ჩვენც 3 დაქალი ვიყავით. იმ საღამოს ბევრი ვიცეკვეთ და ვიმხიარულეთ. მეორე დღეს, პლაჟზე დაგვადგნენ... ერთი სიტყვით, მთელი 2 კვირა ერთად გავატარეთ. გიგი ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ როგორმე თავი მოეწონებინა ჩემთვის. მოახერხა კიდეც. ის ძალზე სიმპათიური იყო და თან არც ურთიერთობისას

რამე. არა მარტო მე და ჩემი დაქალები, დედაჩემიც კი სიმპათიით განეწყო მის მიმართ. მოკლედ, ყველაფერი იდეალურად აეწყო. მხოლოდ ერთი რამ მაეჭვებდა – მისი ასაკი. მეუნებოდა 19 წლის ვარო, მაგრამ რაღაც-რაღაცები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. თბილისში ჩამოსვლისთანავე ერთი საერთო ნაცნობი ვნახე. სხვათა შორის ვკითხე გიგის ასაკი და აღმოჩნდა, რომ 17 წლის ყოფილა... ლამის ტვინში სისხლი ჩამექცა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ჩემმა დაქალმა, რომელთან ერთადაც ზღვაზე ვიყავი, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გიგის დავშორებოდი. ამისთვის ყველაფერი იკადრა. მინდა, ახლა უკვე ყოფილ დაქალს ვუთხრა – მაკა, კარგად დაიმახსოვრე, ჩადენილ ცოდვაზე პასუხს ღმერთი აუცილებლად მოგთხოვს. ასე დავშორდით მე და გიგი ერთმანეთს. სალი".

„ლევანი 8 წელი მიყვარდა, მაგრამ ტყეილი ვერ ვაპატიე და დავშორდი. ერთხელ სტუმრად წავედი ცაგერში. იქ გავიცანი ლევანის „ორეული". გაოცებისგან ლამის გავგიჟდი. ესეც ისე შემიყვარდა, როგორც პირველი. ჩვენმა მეგობრობამ ერთი წელი გასტანა და რომ მეგონა, საბოლოოდ ვიპოვე ჩემი რჩეული-მეთქი, მაშინ მითხრა, რომ სხვა უყვარდა და არ უნდოდა, მოეტყუებინე. ერთს ტყეილი ვერ ვაპატიე, მეორეს – მწარე სიმართლე. ასე დავშორდით ერთმანეთს. მინდა, ცაგერელს ვუთხრა, რომ ძალიან მენატრება".

„ჩემი შეყვარებული მოვატყუე, ვთხოვდები-მეთქი, რომ ეეჭვიანა. მან კი გამომიცხადა – საპატარძლო კაბა ჩემზე იყოსო!.. ასე დავშორდით ერთმანეთს, თუმცა ჩემი ნათქვამი არ დაიჯერა".

„ის ერთ ჩვეულებრივ დღეს წავიდა... ხელოვანი, მეოცნებე ბიჭუნადან რეზერვისტად გადაიქცა. ახლა მე ლოგინში ვწევარ, ის ალბათ – სანგარში. დათო, მგონი გადაგეჩვიე. განშორების მიუხედავად, მან საოცრად არაორდინარული სიყვარული მაჩუქა. დათუჩი, დაგელოდო? ქრისტინა".

„ერთმა ბიჭმა 2 წლის წინ, სიყვარულის დღეს, უშველებელი თაიგული მაჩუქა და შუა ქუჩაში სიყვარული ამიხსნა. მეოთხე დღეს კი ცოლი მოიყვანა".

„ერთ ბიჭს ისე ვუყვარდი, ცოლად მოყვანას მიპირებდა, მაგრამ მე არ მომწონდა. სულ სხვა ჩამივარდა გულში. ამ ბიჭმა კი იმდენი ქნა, თავი შემაყვარა... მეორემ კი, რომელიც მე მომწონდა, პირველს ჩხუბი აუტეხა და იმდენი ქნა, ერთმანეთს დაგვაშორა... აი, ასე უთავბოლოდ და გაუგებრად დავშორდი პირველ სიყვარულს".

„მე და ნიკი ერთმანეთს რამდენიმე თვის წინ, საერთო მეგობარმა დაგვაშორა. თანაც ისე გაურკვევლად, რომ დღესაც არ ვიცი, როგორ და რანაირად. ნიკი, იცოდე, დღესაც მიყვარხარ და იქნებ, ოდესმე მაინც გავარკვიოთ, რა მოხდა მაშინ".

„ბაკურიანში ერთი მოთხილამურე დამევასა. მაგარი ტიპი იყო. 10 დღე ველოდებოდი, მაგრამ ხმა ვერ ამოვაღებინე. ბოლოს მაგრად მომბეზრდა. ბოლო დღეს მომინდომა სიყვარულობანა. ჰოდა, გემრიელად შევაგინე და წამოვედი. ასე მშვენივრად დავშორდით ერთმანეთს. თაკო".

„მინდა, ერთი ტრაგიკული ამბავი გიამბოთ წყვილზე, რომელიც საბოლოოდ დაშორდა, მაგრამ არა რომელიმეს ინიციატივით, არამედ უბედური შემთხვევის გამო. შარშან ზაფხულს, სოფელში ჩავედი ერთი თვით, დასასვენებლად. ჩემი ჩასვლიდან 3 დღეში, ჩვენს მეზობლად ერთი გოგო ჩამოვიდა. ორი კვირა ერთად გავატარეთ. დავსეირნობდით და ვმხიარულობდით. წამოსვლამდე 5 დღით ადრე, ლია დაიკარგა. მისი მშობლები გიჟებს ჰგავდნენ. მეც დასამელივით ვიყავი. მეოთხე დღეს, მდინარემ ახალგაზრდა გოგოს გვამი გამორიყა. ჩემ გარდა ვერავინ ამოიცნო. ლიას ხელზე ჩემი ნაჩუქარი სამაჯური ეკეთა... ამ ამბის მერე, ბევრი გოგო მომწონებია და რამდენიმე მიყვარდა კიდეც, მაგრამ ლია ვერ დავივიწყე. მას ჩემი გულის რაღაც ნაწილი „უჭირავს". კიდევ მრავალ წელს მემახსოვრება".

„მე და გაგა ჩვენი ქორწილის დღეს დავშორდით ერთმანეთს. ჯვრისწერის დროს, ეკლესიაში შემოვიდა მისი მეგობარი გოგონა და გამოაცხადა, რომ გაგასგან ბავშვს ელოდებოდა. აი, ასეთი საქორწინო საჩუქარი გამიკეთა ჩემმა მეორე ნახევარმა. დავშორდი, მაგრამ დღემდე მიყვარს, ის კი სულ უკან დამდევს და პატიებას მთხოვს. დაბადების დღეზე, „ბანტებით" გაწყობილი მანქანა მომიყვანა საჩუქრად. არ ვიცი, რა ვქნა. ღირს კი მისი დაკარგვა? პატივისცემით, ნინო".

„მე-11 კლასიდან გვიყვარდა ერთმანეთი. შემდეგ, რაღაც გაუგებრობა მოხდა და მან ცოლი მოიყვანა. ერთი წლის შემდეგ განვაახლეთ შეხვედრები. ჩვენ შორის ფიზიკური ურთიერთობაც შედგა. ახლა მას პატარა შეეძინა. ჩვენ მაინც ვხვდებით, ერთმანეთს ვერ ველევით. არ მინდა, რომ შვილი მიატოვოს, მაგრამ მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ. მხოლოდ სიკვდილი დაგვაშორებს ერთმანეთს. ის უკვე ნერვიულობს... ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, გადავდგამ ამ ნაბიჯს და დავშორდები. მხოლოდ მისი პატარის გულისთვის. მიყვარხარ, სიცოცხლევ!.. მშვიდობით.."

„მე-9 კლასში ვიყავი, როდესაც ზვიადი გავიცანი. მაშინ ტინეიჯერი ვიყავი, ის კი უკვე 23 წლის იყო. სკოლაში მოდიოდა, რაღაც „კაევენის" მსგავსი ღონისძიებებისთვის გვამზადებდა. ზედაც არ მიყურებდა, „შკოლნიცას" მეძახდა. თვითონ ლამაზი და სექსუალური ტიპი იყო – ხომ იცით, ლამაზ ბიჭებს თავი როგორ მოაქვთ! 9 კლასი რომ დავამთავრე, იმ ზაფხულს ზვიო ჯარში „წაათრიეს"... აი, მაშინ გამოჩნდა, ვინ – ვინ იყო. ყველა გოგომ „დაადო", რომელიც მანამდე, თავს ევლებოდა. არავინ აკითხავდა ჯარში „კრასავჩიკს". მე მივაკითხე. გაგიჟდა – არავის გავხსენებივარ, შენ გარდაო!.. მაშინ შემათვალიერა კარგად და მიხვდა, რომ სრულყოფილი ქალი ვიყავი, რომელსაც მამაკაცის სიახლოვე და სითბო სჭირდებოდა... კიდევ ორჯერ ჩავაკითხე სამხედრო ნაწილში. ის გულწრფელი მადლობით მისტუმრებდა ხოლმე. ჯარიდან რომ დაბრუნდა, პაემანი დავუნიშნე „მზიურში". მან გადაწყვიტა, რომ ჩემი შეყვარებული იყო და თავისთვის მეტის უფლება უნდა მიეცა. მე კი ახლოსაც არ გავიკარე და იქიდან ისე წამოვედი, სუნამოს სუნიც კი არ დავუტოვე. უკანმოუხედავად წამოვედი, მიუხედავად იმისა, რომ მეხვეწებოდა, დავბრუნებულიყავი. რამდენიმე ხნის შემდეგ, რუსეთში გავემგზავრე და სწორედ იქ მივხვდი, რომ ზვიადი უზომოდ მიყვარდა. მაინც დავრჩი 2 წელი უცხო ქვეყნაში. ჩამოსვლისთანავე, ზვიადს დავურეკე და 2 საათში უკვე დათქმულ ადგილზე გამოვცხადდი. რომანტიკული შეხვედრები მთელი წელი გრძელდებოდა, მაგრამ მას ჩემთან დაახლოების უფლებას არ ვაძლევდი. ერთხელ, გაგულისებულმა მითხრა – რომელი ბრიჯიტ ბარდო შენ მყავხარ, რომ ასე მექცევიო?! – ავდექი და სწორედ ისევე მივატოვე, როგორც მაშინ „მზიურში"...

„8 მარტს გავიცანით ერთმანეთი. შენ იყავი ჩემი პირველი სიყვარული. გულისფანცქალით ველოდი ყოველ შეხვედრას. ბედნიერი ვიყავი შენთან ერთად. ხშირად ვჩხუბობდით, მაგრამ პირველი შენ მოდიოდი შესარიგებლად. მერე რა მოხდა? ამაზე პასუხის გაცემა არც ერთს არ შეგვიძლია. იცი? ალბათ კარგიც კია, ერთმანეთს რომ დავშორდით. არ ვნანობ, ყველაფერი ძალზე ლამაზი იყო... ლიზა".

„გუშინ სრულიად მოულოდნელად შევხვდი ჩემთვის ძვირფას ადამიანს, მივახალე – ჩემი სიყვარულის გეშინია-მეთქი! კრინტიც ვერ დაძრა. მერე წამოვედი და დავტოვე, ბახუსისა და ამ სიტყვების ამარა. აი, ასე დავშორდით ერთმანეთს. რატომ ეშინია? არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ ჩემსავით ლამაზად და ძლიერად არავის შეუყვარდება. არ იმსახურებს, მაგრამ გულს ხომ ვერ უბრძანებ? ალბათ ოდესმე კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და ცხოვრება თავისას იზამს. ჩვენი განშორება ნისლების კი არა, სველი იასამნის ფერია"...

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – ბედს ვეძებდი, ვაი, სად არ ვიარე... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, სად და როგორ იპოვეთ თქვენი ბედი. გემშვიდობებით, მომავალ ხუთშაბათამდე. ■

ღმერთი სამობით არისო და გურამ შარაძეც სამი ბატონის — მეცნიერების, მწერლობის და პოლიტიკის მსახურია. ამ ცოტა ხნის წინ, მას პარლამენტის დათმობამ მოუწია, მაგრამ პოლიტიკიდან არ წასულა და მოძრობას — „ენა, მამული, სარწმუნოება“ უდგას სათავეში. ვიღაც-ვიღაცებთან და რაღაც-რაღაცებთან შეუგუებელ რესპონდენტს საქართველოს ემიგრაციის მუზეუმში შევხვდით. ბატონმა გურამმა პირველი კითხვა თავად დამისვა — რასაც გეტყვით, იმის დაბეჭდვას თუ გაბედავთო? გავიფიქრე — ინტერვიუს დაბეჭდვას „ვბედავთ“, ძვირად ღირებული პლაკატების დახევას ხომ არა-მეთქი!..

„შევარდნაძე ხომ ცოცხალია, თუ ჭყუილს ვამბობ, გამომეხმაუროს...“

ნანა ფიცხელაური

— ბატონო გურამ, თქვენთვის ჩვეული მწვავე და რადიკალური განცხადებებისთვის „მაღალი“ — საპარლამენტო ტრიბუნა აღარ გაქვთ, მაგრამ არც გულხელდაკრეფილი ივჯდებით...

— სად არის პარლამენტი?! პარლამენტი ჩვენ აღარ გვყავს. ეს არის უბედურება, თორემ, უფრო ღირსეული ტრიბუნა მაქვს — მეცნიერებათა აკადემიის და სახელმწიფო უნივერსიტეტის სახით. გულხელდაკრეფილი ნამდვილად არა ვარ. ამას წინათ, აღმაშფოთა პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ — 21 მარტს დაკანონდეს საქართველოში ბაირამობა და ის, დასვენების დღედ გამოცხადდესო. თანაც, პრეზიდენტი აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან შეხვედრის დროს არა ქართული, არამედ უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ იდგა. ხუთჯვრიანი დროშით თავი წაგვჭამეს — ეროვნულია, ქართულიაო. ამას ამტკიცებდნენ ისეთი „დიდი მართლმადიდებელი“ ქართველები, როგორებიც არიან ელდარ შენგელაია, დავით მუსხელიშვილი და მათი მიმდევარი საკაშვილი. შეიძლება, მათი ხელიდან ან ტვინიდან ქართული და ეროვნული რამე გამოვიდეს?.. 8 წელია, საკაშვილს ვიცნობ. კაცმა, რომელიც ამერიკელებმა დასვეს, 5 დღეში კოლინ პაუელის და იეღოველთა ამერიკული საზოგადოების პრეზიდენტის ბრძანებით, იუსტიციის სამინისტრო აიძულა, 2000 წლის 22 თებერვალს უზენაესი სასამართლოს მიერ გაუქმებული იეღოველთა უკანონო რეგისტრაცია აღედგინა — იეღოველთა სექტა დააკანონეს. ამ გარიგებასთან დაკავშირებით 120-გვერდიანი საქმე მაქვს ამოღებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მასონებმა და იეღოველებმა საკაშვილს, პრეზიდენტად მოყვანის სანაცვლოდ, მათი სურვილების შესრულება უბრძანეს.

შეიძლება, რომ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოში, თბილისის ცენტრალურ უბანში, უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ გამოდიოდეს და მუსლიმანებს ახალ წელს ულოცავდეს, მაშინ როცა ჩვენ, ქართველ მართლმადიდებლებს ახალი წელი უკრაინიდან „ლიჟებზე“ დამდგარმა მოგვილოცა?! პრეზიდენტს ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, რომ საქართველოში — აჭარასა და საინგილოში არიან მაჰმადიანი ქართველები. მე შუღლს კი არ ვაღვივებ, ელემენტარულად, სახელმწიფოებრივი აზროვნების და პოლიტიკური ალღოს გამო ვამბობ ჩემს აზრს. ვერ ავიტან, საქართველოს პრეზიდენტს, აზერბაიჯანის დროშის ქვეშ მდგომს. ორივე ერთად მაინც ყოფილიყო! მაგრამ მიშამ ვერ გაბედა საქართველოს დროშის აფრიალება.

— რას ნიშნავს — ვერ გაბედა?

— საკაშვილს აზერბაიჯანთან მიმართებაში ბევრი რამ შეეშალა. შევარდნაძის დროს, ამ ორ ქვეყანას შორის ფორმალურად მაინც იყო ნორმალური ურთიერთობა, რომელიც ახლა აირია. რამდენიმე თვის განმავლობაში, საქართველო-აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა გაწყვეტილი იყო. წითელ ხიდზე ქართველმა, აზერბაიჯანელმა და სომეხმა კონტრაბანდისტებმა კონტრაბანდა ვერ გაიყვეს. გარდა ამისა, აზერბაიჯანი იმანაც გაანაწყენა, რომ მათი მოსისხლე მტრები — სომეხი კონტრაბანდისტები საქართველოს ტრანზიტად იყენებდნენ — სომხეთში იარაღი და ბევრი სხვა რამ შეჰქონდათ. ახლა, რუსეთმა მოსთხოვა საკაშვილს — გაზს აზერბაიჯანიდან ნუ მიიღებ, ჩვენგან წაიღეო. ბაგაფში საკაშვილთან პოლიტიკურ დიალოგზე კი არა, ეკონომიკურზე წამოვიდა. რუსეთს სურს, აფხაზეთი ჰქონდეს ბერკეტად, რომ საქართველო აიძულოს, გახსნას რკინიგზა და ამით რუსეთმა გადოს სარკინიგზო ხიდი მოძმე სომხეთთან. ამისათვის იყენებს ის აფხაზეთის დაუმორჩილებლობას. აი, ასეთი ავკაფსანდალური, არეული პოლიტიკის გამო, მსოფლიოს უძველესი მართლმადიდებლური ქვეყანა ასეთ იაფფასიან კომპრომისებზე უნდა წავიდეს და ბაირამობა დააკანონოს. ხვალ ვინ რას მოითხოვს, ღმერთმა უწყის. როდემდე უნდა დარჩეს საქართველო ინტერნაციონალურ პოლიგონად და გამოსაცდელ ბაზად? აბა, სომეხს ან აზერბაიჯანელს უთხარი, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი ქართველების სამშობლოა. საინგილო აქვთ წაღებული და ყველამ იცის, რა დღეში ამყოფებენ იქაურებს — გვარს არ აძლევენ, ეროვნებას და სარწმუნოებას ართმევენ. ხელისუფლებას და ხალხს მოვუწოდებ — კარზეა მომდგარი აღდგომა. გამოცხადდეს ის აზერბაიჯანელთა სახელმწიფო დღესასწაულად და შესაბამისად — დასვენების დღედ. ინგილოებს დაუბრუნდეს წართმეული ეკლესიები, ენა, გვარი და მერე ვილაპარაკოთ.

— დროშა ახსენეთ. თქვენ ხომ არ მოგწონთ და არც აღიარებთ ხუთჯვრიან დროშას?

— ხუთჯვრიანი დროშის როგორი პატივისმცემელი და თაყვანისმცემელი ვარ, კარგად იცით. ეს არის სატანისტების, ჯვაროსნების და სისხლისმსმელების დროშა. მაგრამ, რადგან სახელმწიფომ მიიღო ის და ჩემი ქვეყნის სახელმწიფო დროშად ითვლება, მისი შეურაცხყოფის უფლებას არავის მივცემ, მით უმეტეს — ხელისუფლებას, რომელმაც ამ დროშით გაიკვალა გზა. გარდა ამისა, პარლამენტმა მიიღო კანონი და სახელმწიფო სიმბოლიკის შეურაცხყოფისთვის სასჯელი დააწესა — როგორც ჯარიმის, ისე სისხლის სამართლის სახით. მოვითხოვ, საქართველოს პრეზიდენტმა პასუხი აგოს სახელმწიფო დროშის იგნორირებისთვის. პასუხი უნდა აგონ იმ აზერბაიჯანელმა მოქალაქეებმაც, რომლებმაც მოაწყვეს პოლიტიკური შეხვედრა, სადაც უარყვეს საქართველოს დროშა.

— როგორც კი დღის წესრიგში რუსული ბაზების გაყვანის საკითხი დადგა, სამცხე-ჯავახეთში „ჯავახკი“ გააქტიურდა. თქვენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა ამ რეგიონში სერიოზული კონფლიქტის კერის ჩამოყალიბება?

— ტელეპროგრამა „დროებაში“ ამას წინათ გასული სიუჟეტი აღმაშფოთებელია. მან „ჯავახკის“ მუქარას პროპაგანდა და ტირაჟირება გაუწია. ჩვენთვის თითი დააქნევინა — თუ ჭკვიანად არ იქნებით, ასე და ასე მოვიქცევითო. თარგამაძეს ცალკე მივხედავ, თვითონ პრეზიდენტმაც ევროსაბჭოს ტრიბუნიდან განაცხადა — ოსებს და აფხაზებს გაუგონარ ავტონომიას ვაძლევო. კი, მაგრამ ქართველებს არაფერს ეკითხება? თუმცა, ნათელია, ევროსაბჭოს ტრიბუნას ააკაშვილიც, თევდორაძეც და ღოღობერიძეც საქართველოს დასაჩოქებლად იყენებდნენ და იყენებენ. ქალბატონ ღოღობერიძეს და მის ქალიშვილებს ევროსაბჭო იმისთვის სჭირდებოდათ, რომ ევროპაში ეგრიალათ. თუმცა, ბოლო ხანს ეს ქალბატონი უკმაყოფილო იყო „სოფელ სტრასბურგში“ ყოფნით. შევარდნაძის ჩამოგდებამდე მან მისი სურათი ჩამოაგდო — ეგ მპირდებოდა, პარიზიდან ჩოგოვაძეს გამოვაგდებ და შენ დაგნიშნავ ელჩად და ამ სოფელში როდემდე ვიყოო?! მართლაც, რევოლუციის შემდეგ პარიზს ელირსა, მაგრამ უდღეური აღმოჩნდა მისი ელჩობა. ყოჩაღ, ქალბატონ სალომეს, რომ იქიდან კინწისკვრით გამოაგდო. ქართველმა ემიგრანტებმაც აღშფოთება გამოთქვეს — ლევან ღოღობერიძემ ჩვენი ოჯახის წევრები დახვრიტა, სამშობლო დაგვაკარგვინა და მაგ ჯალათის შვილი უნდა იყოს ჩვენი ელჩიო?!

— თქვენი პოლიტიკური მოძრაობა ოპოზიციურ კოალიციას თუ შეუერთდება?

— ამაზე კონსულტაციები მიმდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, თქვენს სიტყვებს უკან დაგიბრუნებთ — გპირდებით, რომ გურამ შარაძე პოლიტიკაში გულხელდაკრეფილი არ იქნება. იმასაც გეტყვით, რომ ვერანაირი ოპოზიცია და ათასი გურამ შარაძე ვერ ავნებს იმდენს ააკაშვილსა და მის ხელისუფლებას, რამდენსაც თვითონ და ძმანი მისნი — ააკაშვილები, ბურჯანაძეები, ნადირაძეები და სხვები თავად გამოუყვანენ წირვას.

— ისე, ოპოზიციაში ყოფნა ბევრად უფრო იოლია, ვიდრე ხელისუფლებაში...

— მართალი ბრძანდებით, — კრიტიკა უფრო ადვილია, ვიდრე საქმის კეთება. მაგრამ ჩემი სათქმელი მეცნიერებაშიც, მწერლობაშიც და პოლიტიკაშიც ბევრჯერ ვთქვი. რამდენი მთავრობა გამოვიცვალე და დავამტკიცე, რომ მარტო გულხელდაკრეფილი ოპოზიციონერი და რაც მთავარია, მნგრეველი არა ვარ.



კრიტიკა უფრო ადვილია, ვიდრე საქმის კეთება

— იქნებ, ვაცალოთ, როგორც იტყვიან ხოლმე, ხელისუფლებას? მათ ხომ არცთუ ისე სახარბიელო მემკვიდრეობა ერგოთ.

— რამდენიმე კაცმა მითხრა — ააკაშვილი შვილად გეკუთვნისო. მაგრამ მამაშვილობა იმას არ გულისხმობს, რომ მამამ შვილს ნგრევის და ქვეყნის დაქცევის საშუალება მისცეს. რევოლუციის შემდეგ, პრესკონფერენცია მოვიწვიე და ათი მცნების ანალოგიით შევადგინე მოთხოვნები. მიშას ვუთხარი — თუ ამ „მცნებებს“ შეასრულებ, შენ გვერდით დავდგები-მეთქი. მან ათიდან მხოლოდ ერთი შეასრულა — პრეზიდენტის „მარადმწვანე მრჩეველი“ ლევან ალექსიძე და მისი შვილი გამოაგდო. ასეთივე წარმატებით რომ გამოაცხადოს ქართული ენა სახელმწიფო ენად და მართლმადიდებლობა — სახელმწიფო რელიგიად, მის გვერდით უყოყმანოდ დავდგები. მაგრამ ქვეყნის გაპარტხეებას ააკაშვილს კი არა, საკუთარ შვილსაც არ ვაპატიებ. ღმერთმა მაშოროს ააკაშვილისთანა შვილი!

— წინასაარჩევნო პერიოდში, ბასილ მკალავიშვილის გვერდით იდექით, მაგრამ ბოლომდე ვერ შეძელით მისი დაცვა.

— საქმე ის გახლავთ, რომ მეც ბასილ მკალავიშვილის გვერდით აღმოვჩნდი ციხეში. რითიც დავამტკიცე, რომ ვინც კი გაბედავს მართლმადიდებლობის, ენის და ტრადიციების დაცვას, ესენი ყველას გაანადგურებენ და ციხეში ამოალპობენ. მათთვის ყველა სულერთია. ჩემი და ბასილ მკალავიშვილის ურთიერთობა სამაგალითო იყო. იმის აფიშირებას არ ვაკეთებდი, რომ დღე და ღამე საპატრიარქოში ვიჯექი, რათა კათალიკოს-პატრიარქი და მკალავიშვილი შემერიგებინა. მივაღწიე, რომ კათალიკოსმა მეუფე თევდორეს და მეუფე გერასიმეს კურთხევა მისცა და ისინი ციხეში შევახვედრე მკალავიშვილს. მაგრამ ქვეყნად ბოროტს რა დალევს და საპატრიარქოს ერთმა არასასულიერო პირმა ყველაფერი გააკეთა, რომ შეთანხმება ჩაშლილიყო და ის ციხიდან არ გამოსულიყო... როცა ციხეში ვიჯექი, ბასილ მკალავიშვილის მრევლი დიდ ყურადღებას მაქცევდა, ჯოჯოხეთიდან ჩემს გამოსახნელად ლოცულობდნენ. თავს უხერხულად ვგრძნობდი ამდენი ყურადღების გამო. ვიღაც-ვიღაცებს ტყუილად ჰგონიათ, რომ ჩემსა და ბასილს შორის ურთიერთობა გაფუჭდა.

— თქვენი ოპონენტები ხშირად პოპულისტობასა და პოლიტიკური ქულების ჩაწერის მცდელობაში გდებენ ბრალს. ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში პლაკატების ჩამოხევის ფაქტიც ამით ახსნეს...

— როცა გალაკტიონს ჰკითხეს — რა შურთ თქვენიო? — უპასუხა — ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო. მე კი გეტყვით — შური, დაიკო, შური ამოძრავებთ ამათ. ის პლაკატი ხელოვნების ნიმუში კი არა, პორნოგრაფია იყო. ამათ წარმოდგენა არა აქვთ არც შიშველი ქალის სხეულის სილამაზეზე, არც ანტიკურ ხელოვნებასა და არც აღორძინებაზე. მე კი არ ვებრძვი სხეულის მშვენიერებას და ჰარმონიას, ეგენი არიან ავადმყოფები — ზოგი ჰომოსექსუალია, ზოგიც სხვა გაუკუღმართებული ორიენტაციის კაცი. ზოგი ქართლის დედის ხმალს მამაკაცის ერთ ნაწილად აღიქვამს, მეორე — ქართულ სუფრას და მამაკაცების გადახვევას ჰომოსექსუალურ აქტად განიხილავს. როცა ასეთი ხელოვნებათმცოდნეები და მერი გყავს, რა გინდა, რომ ქნა?..

— სასამართლოს მიერ დაკისრებული კომპენსაცია თუ გადახადეთ?

— მსოფლიოს გასაგონად მინდა ვთქვა, რომ კულტურის უკულტურო მინისტრი (ვიპლაგიატებ და ლიანა იასაკაძის ტერმინს გამოვიყენებ) გოკა გაბაშვილი და ბეტონის მხატვარი თუ „მალიარი“ გია ბულაძე სისხლის სამართლის დანაშაულში გამოვიჭირე — მათ „5-კაპიკიანი“ პორნოგრაფიული პლაკატი 2.400 დოლარად შეაფასეს. იუსტიციის სამინისტროს ექსპერტებმა ის 300 დოლარამდე დაიყვანეს — ე.ი. 2.100 დოლარს „მიტეხავდნენ“. დღემდე ვერ ბედავენ, ეს თანხა მომთხოვონ. სასამართლო გადაწყვეტილება ხომ არსებობს და თუ მართლები არიან, რატომ ვერ ბედავენ?.. მოვიდნენ და რა დღეც დაადგებათ, მთელი საქართველო ნახავს.

— ალბათ, ცოტა ციხის ცხოვრებაც გაინტერესებდათ...

— ჰოდა, ციხის ცხოვრება რომ ვნახე, გეტყვით — მოეშვით „რიჟა ბაზარს“, ახლა „სვაბოდაზე“ ვარ და ჩემს საქმეს უფრო

სიყვარული და მაგია

„ის, რასაც შენ მიმართ ვგრძნობ, ჯადოს შედეგი ხომ არ არისო?!..“

„გინდათ სასურველ მამაკაცზე გათხოვება? დამირეკეთ, „თეთრი მაგი“, „გათხოვება სწრაფად და იაფად! გარანტიით“; „გაგიხსნით ბედს“; „გავათხოვებ ორმოცს გადაცილებულ ქალებს“ — ეს უცნაური, ერთი შეხედვით კომიკური განცხადებები საკმაოდ პოპულარული გამოცემების ფურცლებზე ამოვიკითხე. ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია და გადავწყვიტე, ჩემს ნაცნობ ნათელმხილველს დავკავშირებოდი, რომელზეც წლების წინ, ქართულ პრესაში გაჩნდა პუბლიკაციები სათაურით: „ნატა დეიდა შინაბერებისთვის უებარი წამალია“... რამდენად შეიძლება, „უებარი წამლის“ ყიდვა და ისეთი „მძიმე დაავადების“ მკურნალობა, როგორიც შინაბერობა და მარტოობაა — ამის შესახებ თავად ნატა დეიდა გვესაუბრება:



ლელა ჭანკოტაძე

— ჩემთან უამრავი გოგონა მოდის. მთხოვენ, დავეხმარო გათხოვებაში. ეს ჩემთვის რთული გასაკეთებელი არ არის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შევუწყობ ხელს ადამიანს იმაში, რომ ბედნიერება სხვისი ოჯახის დანგრევის ხარჯზე მოიპოვოს. მათ, ვისაც სიყვარულში პრობლემები აქვთ, ვეტყვი: მოდით, ჩემთან, მე გავხდები შუამავალი თქვენსა და თქვენს რჩეულს შორის; გაგითავისუფლებთ აურას, გაგიხსნით ერთმანეთთან მისასვლელ გზას, აღვადგენ დანგრეულ ოჯახებს, თუ ეს შესაძლებელია. ხოლო ის, რაც უკვე უფლისგან გადაწყვეტილია, ადამიანის ხელით არ შეიცვლება.

— რა კავშირი შეიძლება დამყარდეს სიყვარულსა და მაგიას შორის? როგორ შეიძლება ამ მშვენიერი გრძნობის შეკვეთით აღძვრა?

— მომხიბვლელმა კლეოპატრამ შეუპოვარი მეომარი მარკუს ანტონიუსი სურნელოვანი ვარდის ფურცლების გროვაში აცდუნა. მან მაგიის დახმარებით შეძლო, ისეთი სურნელი ეფრქვია, რომელიც თავბრუს დაახვევდა, აღაგზნებდა მამაკაცს. რატომ ითვლება სუნამო ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად მათ შორის, რომლითაც შესაძლებელია, მამაკაცი მივიჯაჭვოთ?.. თუ თქვენ ისეთ სუნამოს შეარჩევთ, რომელიც თქვენს სასურველ მამაკაცს სიამოვნებას ანიჭებს, ჩათვალეთ, რომ მას იოლად დაისაკუთრებთ. მის ტანსაცმელს მალულად აპკურეთ ეს სუნამო — დაე, მისი სახლი, მანქანა, ნივთები, მთელი მისი სამყარო ამ სუნამოს სურნელით გაიჟღინთოს. ის ყოველთვის თქვენს თავს გაახსენებს. სუნს, რომელმაც მისი სამყარო „დაიპყრო“, თქვენს სურნელთან გააიგივებს. თუ შემთხვევით ქუჩაში ამ სუნს იგრძნობს, შეჩერდება. ყურადღებით მოათვალიერებს ირგვლივ ყველაფერს, რადგან იფიქრებს, რომ იმ ადგილას თქვენ გაიარეთ. სუნამო არ უნდა გამოცვალოთ მანამ, სანამ მამაკაცისთვის შეუცვლელი არ გახდებით... ამ მაგიურ რიტუალს დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ კლეოპატრას შეეძლო, ისეთი სურნელი „შეექმნა“, რომელიც ადამიანს მოაჯადოებდა. ასე რომ, სიყვარული და მაგია საუკუნეების წინ გადაეჯაჭვა ერთმანეთს. იცით, როგორი ძლიერია ეროტიკული მაგია? მისი წყალობით, ინდოეთში სექსუალური პრობლემები არ არსებობდა. სიყვარულისა და სექსის ტრაქტატი „კამასუტრა“, რომელიც ასე

წარმატებით ვაკეთებ. ვინც არ მოეშვება „რიჟა ბაზარს“, რა „პალაჟენიაშიც“ ჩავარდება, ნახავს...

— გავლენაც ამას ჰქვია!.. ბატონო გურამ, რაც პარლამენტიც და ციხის საკანიც უკან მოიტოვეთ, ალბათ, მეტი დროც გაქვთ. ამჟამად რაზე მუშაობთ?

— ხომ ხედავთ — ყველა მაგიდასა და სავარძელზე წიგნები და ფურცლები „სხედან“, წუთით მოცლა არ მაქვს. ვმუშაობ ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის ათტომეულზე. ჯერ ხუთია გამოსული. გამოვა დიდი ემიგრანტის — ვიქტორ ნოზაძის ათტომეულიც, ილიას დარად — აკაკის ორტომეული. აფსუს, რამდენი დრო დავკარგე პარლამენტის გამო!.. ის პარლამენტი კიდევ რაღაცას ჰგავდა, თორემ, ახალში ალბათ, გული გამისკდებოდა...

— როგორ მოხდა, რომ რევოლუციამდე შევარდნაძის ბლოკში აღმოჩნდით?

— საიდან მოიტანეთ?.. შევარდნაძე 20 წელი ცეკას მდივანი იყო. მისი არც ინსტრუქტორი ვიყავი და არც ცეკას მდივანი. დღეს ყველა მისი მდივანი ამბობს, ოპოზიციაში ვარო. სულ „მოქკავშირს“ ვებრძოდი, რომელმაც დღევანდელი ხელისუფლება შვა. ისინი შევარდნაძემ მოიყვანა და ამბობენ — მასთან არასდროს ვყოფილვართო. ისინი არ იყვნენ და მე ვიყავი?!. ღმერთი აღარ გწამთ?!. ბლოკში ჩემი ნებით არ შევსულვარ. შევარდნაძე ხომ ცოცხალია, თუ ტყუილს ვამბობ, გამომეხმაუროს. მარტო ის კი არა, კიდევ 4 მოწმე არსებობს: მისი მდივანი ცისანა (ერთს, გალაკტიონს იცნობდნენ სახელით და მეორეს — მას...) სულხან პაპაშვილი, გია ცაცანაშვილი და ავთო ჯორბენაძე. შევარდნაძემ ბევრჯერ გამომიძახა, თანაც — ღამის საათებში. მეც ბევრჯერ შევუთვალე უარი. მითხრა „მოქკავშირში“ შესვლას ხომ არ გთხოვ, ხალხს და ქვეყანას რა ვუთხრა — ახალ პარლამენტში გურამ შარაძე რატომ არ იქნება? ერთი მართლის მთქმელი კაცი მაინც ხომ უნდა იყოს, აღარც გეკითხები აზრსო, — და შემიყვანა ბლოკში. ბლოკის სხდომაზე ერთადერთხელ მივედი და ბომბივით განცხადება გავაკეთე. გლდანში, ამ „ვითომ ბლოკის“ მაჟორიტარ დეპუტატად ვიყავი წარდგენილი და კობა დავითაშვილმა გაიმარჯვა. ეს ხომ აბსურდია. ჯერ ბასილ მკალავიშვილის მრევლი რამხელაა — სულ მე მიჭერდა მხარს. მაინც კობა გაიყვანეს და კიდევ მე ვიყავი შევარდნაძის გვერდით?! არ გრცხვენიათ, ხალხო?! კიდევ გეუბნებით — ეს ჩემი სურვილის და ნების წინააღმდეგ მოხდა. არც ბლოკის წევრად ვთვლიდი თავს და არც სხდომებს ვესწრებოდი. ■

პოპულარულია მთელ მსოფლიოში, სწორედ ინდოეთში გაჩნდა ჩვ. წ. აღ-მდე. თუ ლეგენდებს დავუჯერებთ, ამ წიგნის ავტორები ღმერთები იყვნენ. ჯადოქრები, ნიმფები, ფერიები, დემონები ინდურ მითოსში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ასე რომ, თვით „კამასუტრაც" მაგიური სიყვარულია.

— ახლა იმ ადამიანებზე მოგვიყევით, რომლებიც დასახმარებლად მოგმართავენ.

— უმეტესად, მათ ბედის გახსნა სურთ. არ იფიქროთ, რომ ქალები უფრო ხშირად მაკითხავენ, ვიდრე მამაკაცები. ძლიერ სქესსაც ხშირად სჭირდება დახმარება. მაგალითად, ერთი ზუგდიდელი კაცი რამდენჯერმე დამიკავშირდა. მას ცოლთან შერიგება სურს. ისინი ერთმანეთს 7 წლის წინ გაეყარნენ. კაცმა სხვა ქალის შეყვარება ვერ შეძლო. ახლა ცდილობს, ოჯახი აღადგინოს. ერთი ქალბატონი ხშირად მაკითხავს და მთხოვს, რომ ვაჟიშვილის დაოჯახებაში დავეხმარო. სამწუხაროდ, ზოგიერთ ქალს სურს, შვილი და რძალი ერთმანეთს დააშოროს. ცხადია, ასეთებს ვერ დავეხმარები... ყველაზე დაუვიწყარი სტუმარი 5 წლის წინ მყავდა. სიმპათიურმა, ჯან-ღონით სავსე 18 წლის ყმაწვილმა მთხოვა, დაოჯახებაში დავხმარებოდი. რომ ვუთხარი — თქვენი რჩეულის ფოტოსურათი მაჩვენეთ-მეთქი, მაგიდაზე მამაკაცის ფოტო დამიდო. ეს ისეთი მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ენა ჩამივარდა... სხვა შემთხვევა, როცა კაცმა კაცზე „გათხოვება" მთხოვა, აღარ მქონია.

თეთრი მაგები გვირჩევენ — ნუ დავივიწყებთ იმ ცოდნას, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დააგროვეს და თაობიდან თაობას გადაეცემა. მაგალითად, თურმე, ქართლში ასეთი ტრადიცია არსებობდა: როცა პატარა გოგონა პირველ კბილს მოიცვლიდა, მას იმ მიმართულებით აგდებდნენ, საითაც სურდათ, რომ ეს გოგონა გათხოვილიყო. სპეციალურად ზრდიდნენ დედალს, რომელსაც სამჯერ უნდა გამოეჩეკა წიწილები; ამის შემდეგ, მის ელენთას გოგონას აჭმევდნენ: რომ გაიზრდება, სწრაფად გათხოვდება და ბევრ შვილს გააჩენსო... გაზაფხულზე ამოწვერილ პირველ მწვანე ბალახს ხარშავდნენ და ქალიშვილს აჭმევდნენ — მზე არ მოეკიდებაო. იმერეთში ქალიშვილებისთვის კატეგორიულად იკრძალებოდა ფრინველის ან ცხოველის გულისგან დამზადებული კერძის მირთმევა — აქაოდა, ვინც შეჭამა ქათმის გული, ვერ მოიგო კაცის გულიო... ერთი უცნაური ცრურწმენის შესახებ ჩემმა რესპონდენტმაც მიამბო. მასთან ნატა დეიდამ დამაკავშირა. ახალგაზრდა ქალბატონი სწორედ ნათელმხილველისა და თეთრი მაგიის დახმარებით გათხოვდა.

ხათუნა, *37 წლის:*

— არ მრცხვენია იმაზე საუბარი, რომ ბედის გახსნა სწორედ თეთრი მაგიის დახმარებით შევძელი. ცხოვრებაში არაფერი მაკლდა, მაგრამ არ მქონდა ყველაზე მთავარი — სიყვარული. უფრო სწორად, არ ვუყვარდი სასურველ მამაკაცს, თორემ, მის გამო მზად ვიყავი, ჯოჯოხეთის ცეცხლში დავმწვარიყავი. კახა ბავშვობიდან მიყვარდა. წლები გადიოდა და ჩემი გრძნობა სულ უფრო მყარდებოდა. არც მას მოჰყავდა ცოლი და არც მე ვთხოვდებოდი. ერთმანეთს კარგად ვუგებდით. თუ რამე უჭირდა, დასახმარებლად ჩემთან მოდიოდა. თავის მესაიდუმლედ მთვლიდა, მაგრამ ჩემში სასურველ ქალს ვერ ხედავდა. ერთხელ მეგობარმა მითხრა: ნათელმხილველთან წავიდეთ, გავიგოთ, შენი უფლისწული როდის ინებებს, ცოლად შეგირთოსო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მომავლის წინასწარ განჭვრეტა ვცადე. ნათელმხილველი დამპირდა — ორ თვეში გაგათხოვებო, მაგრამ პირობა ვერ შეასრულა. მეტრო „რუსთაველთან" ცხოვრობდა. მითხრა: სავსე მთვარეზე შენი ხელით თოჯინა უნდა მოქსოვო და მას კახა დაარქვაო. მთელი ღამე ვიჯექი ფანჯარასთან და ვქსოვდი. ეს თურმე, უძველესი რიტუალია, რომელსაც მთიელები იყენებდნენ. მოვქსოვე პატარა თოჯინა. თითები ისე დამეჩხვლიტა, რომ სისხლი მდიოდა. მერე ეს თოჯინა ნათელმხილველთან წავიღე. როგორც წინასწარ დმარიგა, ისე მოვიქეცი — მისვლისთანავე ვუთხარი: მე და კახა მოვედით, ხომ ლამაზი წყვილი ვართ-მეთქი?.. 2 კვირის მანძილზე, თოჯინა თავის სახლში დაიტოვა, შემდეგ დამიბრუნა. გულში პატარა ნემსი ჰქონდა ჩარჭობილი: ეს ნიშნავდა, რომ კახა ჩემი სიყვარულით იყო დაჭრილი. სამწუხაროდ, ამით არაფერი მეშველა. მერე ერთი მაგი მეორით შევცვალე, მეორე — მეათეთი და ბოლოს, აღმოვაჩინე ქალი, რომელმაც მე და კახას ერთმანეთისკენ მიმავალი გზა გვაპოვნინა. კახა შარშან, საახალწლოდ მოვიდა ჩემთან და ხელი მთხოვა. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ტირილი დავიწყე და ძლივს დამამშვიდა. ძალიან ბედნიერები ვართ. გვიან, მაგრამ მაინც ავისრულე ოცნება.

ჩემს მეორე რესპონდენტს, ხათუნასგან განსხვავებით, არ გაუმართლა. ნათელმხილველთან ურთიერთობა მას საკმაოდ ძვირად დაუჯდა. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა სიყვარულს საფრთხე დაემუქრა და 12-წლიან ოჯახში ბზარი გაჩნდა. ლიამ იგრძნო, რომ მის ქმარს სხვა ქალისკენ გაურბოდა თვალი. ოჯახის შენარჩუნების მიზნით, ქალმა მგს მიაშურა, რომელიც ინვალიდის ეტლში იჯდა.

ლია, *34 წლის:*

— როცა გავიგე, რომ თბილისში ჩამოსული იყო მაგი აჭარიდან, რომელსაც დანგრეული ოჯახების აღდგენა შეეძლო, გადავწყვიტე, მისთვის დახმარება მეთხოვა. ყურადღებით მომისმინა და მითხრა, რომ სულ რაღაც 100 დოლარად ჩემს პრობლემას მოაგვარებდა.

— რა უნდა გაეკეთებინა? თქვენთვის წინასწარ იყო ცნობილი, თუ როგორ შეიძლებოდა, თქვენი ქმრის ცხოვრებიდან სხვა ქალი განედევნა?

— მთხოვა, მისთვის 100 სანთელი და ფული მიმეტანა, რომლითაც მგლის ქონს შეიძენდა. მეუბნებოდა, რომ თუ იმ ქალის ჩანთას მგლის ქონს წავუსვამდი, ჩემი ქმარი მას სამუდამოდ მიატოვებდა. მითხრა, რომ ასეთი ექსპერიმენტი ჩატარებულა მაიმუნებზე: მოსიყვარულე მაიმუნების გალიისთვის მგლის ქონი წაუსვამთ და მაიმუნებს ერთმანეთი კინაღამ დაუხოცავთ; შემდეგ ისინი სხვადასხვა გალიაში გადაუყვანიათ. ამბობდა, რომ მგლის ქონი დიდი რაოდენობით კადავერინს შეიცავდა. კადავერინს კი საუკუნეების წინაც აქტიურად იყენებდნენ, როცა სურდათ, მეფისთვის დედოფალი შეეძულებინათ, ჩამოეგდოთ მტრობა უფლისწულებს შორის — ერთი სიტყვით, კადავერინის მაგიურ შესაძლებლობებში დამარწმუნა.

— მერე როგორ შეძლებდით იმ ქალისთვის ჩანთაზე მგლის ქონის წასმას?

— ის ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. ასე რომ, სამწუხაროდ, ქმარი ჩემს საუკეთესო მეგობართან მღალატობდა. მართალია, ორივეზე საშინლად დაბოღმილი ვიყავი, მაგრამ მათი სიკვდილი არასდროს მინატრია. ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი იმ ტრაგედიას, რომელიც შარშან დატრიალდა... მაგი მარწმუნებდა, რომ ქმარი სულ მალე შემირიგდებოდა. მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა: იმის მაგივრად, რომ მუხლებში ჩამვარდნოდა და ჩემთვის პატიება ეთხოვა, სახლიდან წავიდა. ამან სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. ისე გავნერვიულდი, რომ იმ მაგს მივუვარდი და ყველაფერი დავულეწე, რაც კი ოთახში ეწყო. მშვიდად უყურა, როგორ ვანარცხებდი კედლებს მის ნივთებს, ბოლოს კი თქვა: სულ ცოტა უნდა მოითმინო და ქმარი სამუდამოდ შენი გახდებაო. მისმა თავდაჯერებულობამ კიდევ უფრო გამაცოფა. ისეთ დღეში ჩავაგდე, რომ ფულიც კი უკან დავაბრუნებინე. ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე სამარცხვინო ფურცელი იყო, მრცხვენოდა, რომ ვიღაც შარლატანს თავი გავასულელებინე... გავიდა 2 კვირა. სახლში პოლიციელები მო-

მადგნენ, მათ ჩემი ქმრის დაღუპვის ამბავი შემატყობინეს. ავარია იგოეთთან მოხდა. ორივე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა... მითხარით, როგორ უნდა შევძლო სიმშვიდის შენარჩუნება. იქნებ, მე ვარ დამნაშავე? იქნებ, დასახმარებლად მაგს რომ მივმართე, ღმერთმა ამისთვის დამსაჯა?

მაკა და დოდო რძალ-დედამთილი არიან. ისინი ნათელმხილველთან მაშინ მივიდნენ, როცა გიგამ გამოაცხადა: სხვა ქალი მიყვარს, უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, სწორედ დედამთილმა ურჩია რძალს, დასახმარებლად იმ ქალისთვის მიემართათ, რომლის შესახებაც ერთ-ერთ გაზეთში წაუკითხავს: დაიცავს ოჯახის სიწმინდესო... ასე აღმოჩნდნენ ავლაბარში. მათ დახმარება აღუთქვა ცოლ-ქმარმა მანაგაძეებმა. ისინი პარაფსიქოლოგები იყვნენ.

ქ-ნი დოდო:

— არ მინდოდა, ჩემს ვაჟს ოჯახი დაენგრია. რძალი პატიოსანი, კეთილი, შრომისმოყვარე ქალი გახლდათ. ისეთი ლამაზი რძალი მყავს, სადაც არ უნდა გამოჩნდეს, ყველგან ყურადღების ცენტრში ექცევა. ნებისმიერი დედამთილი ინატრებს ასეთ რძალს. მისი გამწარება ვერ ავიტანე. მით უმეტეს, რომ გიგა მეათეკლასელ გოგოს გადაეკიდა. პატარა გოგომ ამხელა კაცს ჭკუა-გონება აურია. ვერ დავუშვებდი, რომ ჩემი 2 შვილიშვილი ქუჩაში აღმოჩენილიყო მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მამა საღად ვეღარ აზროვნებდა. სანამ შვილები გეყოლება, მანამდე შეგიძლია იფიქრო სასიყვარულო თავგადასავლებზე, როცა შვილები გყავს, გრძნობები უნდა მოთოკო — ასეთი მორალის ქალი ვარ.

მაკა:

— მე და დედამთილი ერთ ქალთან მივედით. დედამთილმა მას უთხრა: იცოდე, ისეთი რამ არ გააკეთო, რომ ჩემს შვილს ჯანმრთელობა შეერყესო.

— **რას გულისხმობდა?**

მაკა:

— დედამთილს ხშირად უთქვამს — ერთ კაცს ცოლმა ვირის ტვინი აჭამა და ისე მოიწამლა, რომ მას შემდეგ, სოფელში ჯოხით დადის, წელშია მოხრილი და პატარა ბავშვებიც კი სასაცილოდ იგდებენ, ისეთი უმწეოაო...

ქ-ნი დოდო:

— გამიგონია, რომ მაგია ადამიანის გონებაზე უარყოფითად მოქმედებს. ისიც ვიცოდი, ერთი კაცი იმის გამო, რომ ცოლმა და საყვარელმა ჯადო გაუკეთეს, იმპოტენტი გახდა. ამის გამო მეშინოდა. მაგრამ მერიმ (ასე ერქვა ნათელმხილველს) პირობა მომცა, რომ ჩემს ვაჟს მხოლოდ აურას გაუწმენდდა და იმ გოგონას შეაძულებდა. მერე მე და ჩემმა რძალმა იმ გოგონას სურათი ვიშოვეთ და ხუდადოვის ტყეში დავმარხეთ — ასე გვირჩია მერიმ. კიდევ რაღაც ჯადოქრობები გავაკეთეთ, 300 ლარიც გადავიხადეთ და დღეს გიგა ისევ თავის ცოლ-შვილთან ცხოვრობს...

მათ შორის, ვისაც მკითხაობა სიამოვნებას ანიჭებს და შესაბამისად, არც მკითხავებთან სტუმრობაზე ამბობს უარს, ბევრი უკმაყოფილოა, ბევრი მათგანი მოტყუებულად მიიჩნევს თავს. ერთ-ერთ მათგანთან გასაუბრება მეც შევძელი. ქ-ნი ნუცა ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვინც ხუმრობითაც კი არ ჩაიხედავდა ყავის ჭიქის ფსკერზე, რომ ნალექით მომავლის წინასწარ განჭვრეტა მოეხერხებინა. ასე იყო ყოველთვის, მაგრამ...

ქ-ნი ნუცა:

— ჩემი ქმარი არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ — ნამდვილი მამაკაცი, რომლის გვერდით ცხოვრება ნებისმიერი ქალისთვის ბედნიერებაა. სოჭში ვიყავით წასული დასასვენებლად. იქ ერთი თბილისელი ქალი ამირანს მოსვენებას არ აძლევდა. გამუდმებით ცდილობდა, მისი ყურადღება მიეპყრო. თავიდან, მშვიდად ვუყურებდი ამ ამბავს, მაგრამ როცა ამირანმა თქვა — საოცარი ქალია, ალვის ხესავით მოხდენილი და ვულკანივით შეუცნობელიო, — მოსვენება დამეკარგა. განსაკუთრებით მაშინ გავნერვიულდი, როცა თბილისში დაბრუნებულმა ამირანმა ის ქალი ისევ ახსენა. თქვა: ნეტავ, კიდევ ერთხელ მაჩვენა გახდილი, მაინც როგორ უხდებოდა ის შავი „კუპალნიკო“... მთელი ღამე არ დამძინებია. დილით კი, მეზობლის ქალს ვუთხარი: მგონი, ტკბილი ცხოვრება დასრულდა, ამირანი ზღვაზე გაცნობილ ქალს ვერ ივიწყებსმეთქი, — წავიდეთ მკითხავთან და გავიგოთ, რა გელოდებაო, მითხრა იმ ქალმა. ჩემი ქმარი თანამდებობის პირი გახლდათ. ჩემი მხრიდან მკითხავთან წასვლა ძალიან ცუდი საქციელი იქნებოდა. მოგეხსენებათ, პარტიული მუშაკების ცოლები განსაკუთრებით ვუფრთხილდებოდით ქმრების ავტორიტეტს. ვინმეს რომ ეთქვა — ამირანის ცოლი მკითხავთან იყოო, — ამის გამო შეიძლებოდა, ის პარტიიდან გაერიცხათ. ამიტომ მეზობელს ვთხოვე: რადგან ფოტოსურათით ადამიანების ბედის განსაზღვრა შეუძლია, უჩემოდ წადი და ჩემი და ამირანის სურათი წაუღე-მეთქი. მეზობელი ასეც მოიქცა. სურათი უკან აღარ დამიბრუნა, არც მე მომითხოვია. რას ვფიქრებდი, თუ ეს საქციელი სანანებელი გამიხდებოდა?! 2 წლის შემდეგ, ჩემი შეცდომის გამო მკაცრად დავისაჯე...

— **ჯერ ის მიამბეთ, იმ მკითხავმა რა თქვა, როცა ფოტოსურათს დახედა?**

— უთქვამს — თუ ამ ქალმა ქმარს ხელი მაგრად არ ჩასჭიდა, გაექცევაო. ხელის ჩაჭიდებაში, არ ვიცი, რას გულისხმობდა. მეზობელმა კი მითხრა, რომ ყოველ დილით ერთი უცნაური რიტუალი უნდა ჩამეტარებინა: ქმარი სახლიდან რომ გადიოდა, რაღაც უნდა გამომერთმია და შინ დამეტოვებინა. ისეთი მოწესრიგებული კაცი იყო, ზედმეტი რა უნდა ჰქონოდა? ხელში ყოველთვის პორტფელი ეჭირა და რაც სჭირდებოდა, ყველაფერი იქ ჰქონდა. ასეთი რამ მოვიფიქრე: საღამოს, პიჯაკის ორივე ჯიბეში ვუდებდი ცხვირსახოცს, დილას, სანამ ზღურბლს გადააბიჯებდა, ერთს ჯიბიდან ამოვაცლიდი და ვეტყოდი — 2 ცხვირსახოცი რად გინდა-მეთქი?.. დროთა განმავლობაში, ეს მეთოდი დავხვეწე: ახალ ცხვირსახოცს ვაწოდებდი და ძველს ვართმევდი. ერთხელ, მისაყვედურა კიდეც: რატომ წვალობ, გუშინ ცხვირსახოცისთვის თითიც არ დამიკარებია, ახალი რად მინდაო? მაგრამ მოგეხსენებათ, მამაკაცებს მზრუნველობა როგორ იაამოვნებთ — მაინც კმაყოფილი იყო, ასე რომ ვანებივრებდი.

— **ეჭვიანობის საბაბი არ მოუცია?**

— არა. ახლა ვფიქრობ, რომ სოჭში ნანახი ქალით სერიოზულად არც ყოფილა გატაცებული, ეს ამბავი მე გამოვიგონე და გავაზვიადე... გავიდა წლები. ერთ დღეს თანამშრომელმა ქალმა უთხრა: ამირან, შენი ცოლი მკითხავებში დადის, ჯადოებს გიკეთებს, ფრთხილად იყავი, რამე არ გავნოს ან ეს ამბავი ხელმძღვანელობის ყურამდე არ მივიდესო. ჩემი ქმარი ჩაეძია და იმ მკითხავთან მივიდა, ვისთანაც მეზობელს ჩვენი ფოტოსურათი გავატანე. მკითხავს თავი რომ მოეწონებინა და დაემტკიცებინა, თუ როგორი ყოვლისშემძლე იყო, უთქვამს — რაიკომის III მდივნის ცოლია, ჩემთან დადის, ჩემი წყალობით ქმარს თავის ჭკუაზე ატრიალებსო. ის ქალი ვერ მიხვდა, რომ ფოტოზე გამოსახული კაცი ამირანი იყო. ამირანი სახლში გაფთრებული მოვიდა. ცხადია, არ დავიწყებ წვრილმანების გახსენებას, გეტყვით მთავარს — ჩვენი ოჯახი დაინგრა.

ამირანმა მითხრა: ნამდვილი, წრფელი სიყვარულით მიყვარხარ და ის, რასაც შენ მიმართ ვგრძნობ, ჯადოს შედეგი ხომ არ არისო?!. სინამდვილეში, არანაირი ჯადო არ ყოფილა.

— **ნუთუ, ვერ შეძელით, მისთვის სიმართლე დაგემტკიცებინათ?**

— ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა. წლები ამაო ხვეწნა-მუდარასა და ლოდინში გავიდა. ერთხანს მეგონა, რომ ჩემზე გული მოუბრუნდებოდა. მირეკავდა, მეკითხებოდა — როგორ ხარო? — მაგრამ მერე გავიგე, რომ ცოლად სხვა ქალი შეირთო. წარმოიდგენთ ალბათ, ჩემს მაშინდელ მდგომარეობას. მიკვირს, ცოცხალი როგორ გადავრჩი... ქალებს მეტი ყურადღება გვმართებს. სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ ყველანაირი მაგია უძლურია... ■

ბალიჯები დაავადებები

ლელა ჭანკოტაძე



ხუდადოვზე საავადმყოფო ტუბერკულოზით დაავადებულებისთვის მაშინ აშენდა, როცა იქ მოსახლეობა არ ცხოვრობდა. ახლა კი საავადმყოფოებსა და მოსახლეობას ერთმანეთისგან მხოლოდ ხის ღობე ყოფს. გაპარტახებული ქუჩები, ჩაშავებული და ნახევრად დანგრეული შენობები, რომლებშიც მძიმე ავადმყოფებს მკურნალობენ და გამხდარი, ფერმიხდილი, გაყვითლებული პაციენტები გულგრილს არც ერთ ადამიანს არ ტოვებენ.

მოგეხსენებათ, ტუბერკულოზი ინფექციური დაავადებაა, მასთან ბრძოლა სოციალური ფონის გაუმჯობესებით იწყება. ქვეყანაში კი, სადაც მოსახლეობის არცთუ ისე მცირე ნაწილი შიმშილობს, ცხადია, ტუბერკულოზის გავრცელება უფრო სწრაფად მიმდინარეობს. ამას თან ერთვის საზოგადოების არასწორი დამოკიდებულება ამ დაავადების მიმართ: ადამიანებს რცხვენიათ, გაამხილონ, რომ დაავადებულები არიან და თვითმკურნალობას მიმართავენ. რაც უმეტეს შემთხვევაში, სიკვდილით მთავრდება. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობს ამ დაავადების სამკურნალო მედიკამენტები, რომლებსაც ჩვეულებრივ სურდოს ან ვირუსების დროს გამოიყენებენ. იმავე წამლებით ტუბერკულოზის მკურნალობა ცხადია, საჭირო ეფექტს არ იძლევა. თუ უწინ, ტუბერკულოზი გაჭირვებულ, სოციალურად დაუცველ ადამიანებს ასნეულებდა, ახლა ეს დაავადება შეძლებულებსაც აღარ ინდობს...

გუგა, *34 წლის:*

— ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ოდესმე ის დაავადება შემხვდებოდა, რომლითაც ღარიბები ავადდებიან. ექიმმა რომ მითხრა — სად იყავი აქამდე? ფილტვები დაცხრილული გაქვსო!.. — მეგონა მეხუმრებოდა. საავადმყოფოდან შინ დავბრუნდი, ჩემი ოჯახისთვის სიმართლე არ დამიმალავს. მახსოვს, როგორ ტიროდნენ დედაჩემი, ჩემი მეუღლე და სიდედრი. მერე კი, 3 კვირა საავადმყოფოში გავატარე. ცხადია — არა ხუდადოვზე. არავინ იცოდა, რომ ნაოპერაციები ადამიანების გვერდით, ერთ-ერთ პალატაში ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი იწვა. ექიმის გარდა, მხოლოდ ორმა ექთანმა იცოდა სიმართლე... როცა გამომწერეს, მამამ მითხრა: ერთოთახიანი ბინა გიქირავეთ, 3 თვე იქ იცხოვრეო... — მოკლედ, რომ გითხრათ, ოჯახმა მომიკვეთა... ვერავინ წარმოიდგენს, თუ რას გრძნობს ავადმყოფი, როცა მისი ეშინიათ, მის გვერდით ჭამას ვერ ბედავენ, მის ნივთებს არ ეკარებიან... მას შემდეგ, 5 წელი გავიდა და დღემდე, ოჯახში ჩემი ჭურჭელი ცალკე, საგანგებოდ გამოყოფილ კარადში აწყვია. შენი ეშინიათ, მეგობრებს კარგავ, ავადმყოფობის პირისპირ მარტო რჩები — აი, ეს არის ტუბერკულოზი. ამას ემატება ხუდადოვზე არსებული უმძიმესი სანიტარიული პირობები, იქ რომ მემკურნალა, ალბათ, ჯანსაღ ფსიქიკას ვეღარ შევინარჩუნებდი.

1977 წლიდან დღემდე, ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმით დაავადებულთა რიცხვი 6-სა და 8 ათასს შორის მერყეობს: ეს მაჩვენებელი კატასტროფული არის, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითოეული პაციენტი ავადმყოფობის გავრცელების რეალურ საფრთხეს ქმნის. რა უნდა ვიცოდეთ ამ სენის შესახებ? გვესაუბრება ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი **არჩილ სალაყაია:**

— ტუბერკულოზი ინფექციური ანუ გადამდები დაავადებაა, იგი ვრცელდება ჰაერით — მაშინ, როდესაც ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანი ლაპარაკობს, ახველებს, აცემინებს. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ჩაისუნთქავს ამ ბაქტერიას, შეიძლება დაავადდეს. თუ ორგანიზმის დამცავი ძალები (იმუნიტეტი) სუსტია, დაავადება შეიძლება განვითარდეს ადამიანის ორგანიზმში ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიის მოხვედრისთანავე. შესაძლებელია, განვითარდეს მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ — მაშინ, როდესაც ორგანიზმის იმუნიტეტი დასუსტებული იქნება, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ასაკის მატებით, ცუდი კვებით, სტრესით, ნარკოტიკებისა და სპირტიანი სასმელების ხშირი მოხმარებით, ასევე, სხვა დაავადებების, განსაკუთრებით — შიდსის (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) დროს.

— რა სიმპტომები ახასიათებს ფილტვის ტუბერკულოზს?

— ტუბერკულოზისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: ხველა (მშრალი ან ნახველის გამოყოფით) 2 ან მეტი კვირის განმავლობაში, ოფლიანობა, წონაში დაკლება, სხეულის ტემპერატურის მომატება, ქოშინი, მადის დაქვეითება, ადვილად დაღლა და ჭვალი გულმკერდის არეში. თუ ეს ჩივილები გაქვთ, დაუყოვნებლივ უნდა ჩაიტაროთ შესაბამისი გამოკვლევები და მკურნალობა. თუ ექიმთან მისვლას დააყოვნებთ, დაავადება შეიძლება, უფრო გართულდეს და ვეღარ განიკურნოთ. ამასთანავე, შესაძლოა, იგი გადასდოთ უახლოეს და საყვარელ ადამიანებს. ფილტვის ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებული, წელიწადში 10-12 ადამიანს აინფიცირებს და მათგან ერთს შეიძლება, განუვითარდეს დაავადება ცხოვრების რომელიმე ეტაპზე. როცა იმუნიტეტი მაღალია, ტუბერკულოზის გამომწვევ ბაქტერიას აკონტროლებს ორგანიზმის დამცავი იმუნური ძალები და ის იმყოფება არააქტიურ (მძინარე) მდგომარეობაში. ამ დროს, დაავადება არ ვითარდება, ადამიანი მხოლოდ ინფიცირებულია და არა — დაავადებული. ის მძინარე მიკრობაქტერიებს არც სხვებზე ავრცელებს. მაგრამ დაავადება შეიძლება, განვითარდეს მოგვიანებით. რამდენიმე წლის შემდეგაც კი, როდესაც ორგანიზმის იმუნიტეტი დაქვეითდება.

— რა დრო სჭირდება ტუბერკულოზის განკურნებას?

— პაციენტთა ერთი ნაწილი მკურნალობის დაწყებიდან 3-4 კვირაში თავს უკეთესად გრძნობს. ეს არის მდგომარეობის მხოლოდ ხანმოკლე გაუმჯობესება, რომლის შემდეგაც, ბევრი წყვეტს მკურნალობას. ამის გამო, პაციენტის მდგომარეობა საგრძნობლად უარესდება. შესაძლოა, განვითარდეს ტუბერკულოზის მდგრადი — ე.წ. რეზისტენტული ფორმა, რომლის მკურნალობაც საქართველოში ჯერ დანერგილი არ არის, მაგრამ იმ ქვეყნებშიც, სადაც ხორციელდება, ძალზე დაბალი ეფექტი აქვს. შეწყვეტილი მკურნალობა სწორედ რეზისტენტული — ანუ წამალგამძლე ტუბერკულოზის გავრცელებას უწყობს ხელს. რეზისტენტული ფორმის პრობლემა მწვავედ დგას პოსტსაბჭოურ სივრცეში, მიუხედავად იმისა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და რუსეთის ზოგიერთ რეგიონში მისი

მკურნალობა უკვე დანერგილია. ძალზე მნიშვნელოვანია, ყველამ იცოდეს, რომ რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული ავადმყოფი საზოგადოებაში ავრცელებს დაავადების ამ ძნელად განკურნებად ფორმას და თუ სხვას დაინფიცირებს, არსებობს საფრთხე, რომ ის თავიდანვე რეზისტენტული ტუბერკულოზით დასნეულდეს.

— ეი. ეს ადამიანი განწირულია?

— რეზისტენტული პაციენტის მკურნალობა 15-17 ათასი დოლარი ჯდება. ტუბერკულოზის სხვა ფორმით დაავადებულს განკურნების 100%-იანი შანსი აქვს. რეზისტენტული პაციენტების სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ცხადია, დიდია...

— თუ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც აიძულებს გადამდები დაავადების მქონე პაციენტს იძულებით მკურნალობას?

— არა. ჩვენი კანონმდებლობა, ისევე, როგორც ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობა, გამორიცხავს იძულებით მკურნალობას, თუ პაციენტი პატიმარი არ არის.

ამგვარად, თუ პაციენტი, რომელსაც ტუბერკულოზის გადამდები ფორმა აქვს, მკურნალობაზე უარს განაცხადებს, მას იძულების წესით სტაციონარში ვერავინ მოათავსებს. ფაქტია, რომ ხუდადოვზე მხოლოდ გაჭირვებული პაციენტები წვანან. ვისაც ფინანსური საშუალება აქვს, ხშირად, საკუთარ სახლში მკურნალობს და რეალურ საფრთხეს უქმნის ოჯახის წევრების ჯანმრთელობას. სტატისტიკური მონაცემებით, ტუბერკულოზით დაავადებულთა ოჯახის წევრების დაახლოებით 30% ავადდება. თუმცა, არიან პაციენტები, რომლებიც ახლობლებს იმდენად უფრთხილდებიან, რომ საავადმყოფოს უმძიმეს პირობებს ეგუებიან და ოჯახის წევრებს მათ სანახავად მისვლასაც კატეგორიულად უკრძალავენ. ზოგს კი, უბრალოდ, წასასვლელიც არსად აქვს. მათ შორისაა 31 წლის დათო. მისი ახლობელი საავადმყოფოში ღამითაც რჩებოდა. ახლა ისიც ინფიცირებულია და ხუდადოვზე მკურნალობს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის გაწერილია, საავადმყოფოდან წასვლას არ აპირებს.

პაციენტების მოსანახულებლად ხუდადოვზე მისულ ადამიანთა რაოდენობა მინიმალურია. უმეტესობის ნახვაზე ოჯახის წევრები უარს ამბობენ. ამ საავადმყოფოსა და მის ბინადართა პრობლემები ჩემთვის ნაცნობი და გასაგებია — იქ სამი თვის განმავლობაში ყოველდღიურად მივდიოდი, ახლობლის მოსანახულებლად. არც კი ვიცი, რომელი პაციენტის შესახებ მოგითხროთ — ყველა პალატაში ხომ ენით უთქმელი ტკივილი, სევდა, მწუხარება და სასოწარკვეთაა გაბატონებული... 80 წელს მიტანებული მოხუცი დღემდე იქ წევს. ის უკვე განიკურნა, მაგრამ შინ წასვლას არც აპირებს, რადგან მისი შვილი რეზისტენტული ფორმითაა დაავადებული. მამა-შვილისთვის ახლა ეს საშინელი საავადმყოფოა სახლი... ახალგაზრდა ქალს შინ პატარა ბავშვი ჰყავს დატოვებული. უკვე თვეებია, რაც შვილს ვერ ნახულობს. ტუბერკულოზის დიაგნოზი, 3 თვის ფეხმძიმე რომ იყო, მაშინ დაუდგინდა, საბედნიეროდ, ეს დაავადება დედის ორგანიზმიდან ნაყოფზე არ გადადის...

მასმედიის როლი ტუბერკულოზთან ბრძოლის საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია. უნდა დამთავრდეს ის დრო, როცა ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი ჩუმად მკურნალობდა, რათა ის საზოგადოებას არ მოეკვეთა. ხალხი კეთროვანივით გაურბოდა არა მარტო ტუბერკულოზით დაავადებულს, არამედ მისი ოჯახის სხვა წევრებსაც. საქართველოში წვავდნენ სახლ-კარს, რომელშიც ასეთი პაციენტი ცხოვრობდა. არც სხვა ქვეყნებში მოჰკლებიათ უსიამოვნებები ტუბერკულოზით დაავადებულებს. ბაბილონის კანონებით, ქმარს უფლება ჰქონდა, ჭლექით დაავადებულ ცოლს გაჰყროდა. ცხადია, ტუბერკულოზი უკურნებელ დაავადებათა რიგს მიეკუთვნებოდა. ჩეხოვი, დოსტოევსკი, გოეთე, შილერი, პაგანინი, ვივიენ ლი სწორედ ამ დაავადებამ იმსხვერპლა. თუ იცნობთ ვინმეს დღეს ცნობილ ქართველთაგან, ვინც ტუბერკულოზით იყო დაავადებული და განიკურნა? რა თქმა უნდა, არა, რადგან ისინი ამ ამბავს მკაცრად ასაიდუმლოებენ. ტუბერკულოზისა და ფილტვების დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექციამ რამდენჯერმე სცადა თავის სარეკლამო რგოლებში მათი გამოჩენა, მაგრამ მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა. ეს საზოგადოებრივი აზრის პირდაპირი ანარეკლია... 20 წლის გოგონა ამბობდა, თუ როგორ მიატოვა საქმრომ, როგორც კი მას ტუბერკულოზი აღმოაჩნდა. 25 წლის ნათიას კი, ამ დაავადების გამო, ოჯახი დაენგრა: ქმარმა მას განქორწინების ფურცელი ტუბდისპანსერის პალატაში გაუგზავნა...

პრობლემა არა მარტო პაციენტებს — თავად ექიმებსა და ცენტრის ხელმძღვანელობასაც მრავლად აქვს. ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა ხუდადოვზე, მისთვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა პირში სიგარეტგაჩრილი პაციენტები, არადა თამბაქოს მოწევა მდგომარეობას უფრო ამძიმებს. თუ ექიმი შენიშვნის მიცემას „გაბედავს“, მას ლანძღვა-გინება არ ასცდება. ზოგჯერ კი, ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებენ, ისედაც გაღიზიანებული პაციენტები.

არჩილ სალაყაია:

— აუცილებელია ცენტრისათვის ახალი შენობის გამონახვა. გვპირდებიან, რომ გარემონტდება ძველი შენობა და მის გვერდით ახალი კორპუსიც აშენდება, რომელიც უფრო მეტ პაციენტზე იქნება გათვლილი, რადგან სამწუხაროდ, სტაციონარში მოსათავსებელ პაციენტთა რიცხვი დიდია. 110 კაცისთვის გათვალისწინებულ საავადმყოფოში დღეს 140-160 პაციენტი გადის სტაციონარულ მკურნალობას. ცხადია, სამედიცინო პერსონალს მძიმე და საშიშ პირობებში უხდება მუშაობა: რადგან შენობაში დაცული არ არის უსაფრთხოების ნორმები, საფრთხე მათაც ექმნებათ. უკვე დაფიქსირებულია მედპერსონალის ინფიცირების 10 შემთხვევა. დაავადდა მკურნალი ექიმიც.

— ტუბდისპანსერის ტერიტორიაზე ცხოვრობენ დევნილები და არა მარტო ისინი. განა, მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება?

— 1990 წლიდან, სტაციონარი რვასართულიან შენობაში იყო განთავსებული. მაგრამ მიწისძვრის შემდეგ, შენობა ძალიან დაზიანდა. მედპერსონალი და ავადმყოფები გადმოვიდნენ შენობაში, რომელშიც 1960 წლის შემდეგ, სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. რვასართულიან კორპუსში კი დევნილები შესახლდნენ. იქ მცხოვრები თითოეული ადამიანი სერიოზული რისკის ქვეშ იმყოფება. ცხადია, ვუთხარით მათ ამის შესახებ. მაგრამ ამბობენ, რომ მათთვის მნიშვნელობა არა აქვს — ტუბერკულოზით დაიღუპებიან თუ სიცივით, უსახლკარობით და ქუჩაში ცხოვრებით...

ამ წერილის მიზანი არ არის ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესების გაშუქება. შეგნებულად არ შევეხეთ, ტუბდისპანსერში ცოტა ხნის წინ მოწყობილ საპროტესტო აქციას, მოშიმშილე ექიმებსა და ავადმყოფებს. ამჯერად, მხოლოდ იმ საფრთხეზე გავამახვილეთ თქვენი ყურადღება, რომელსაც ტუბერკულოზი წარმოადგენს. „გზის“ შემდეგ ნომერში, კიდევ ერთი გადამდები დაავადების — შიდსის შესახებ მოგითხრობთ. გაგაცნობთ ამ სენის მიმართ არსებულ საზოგადოებრივ აზრს, რომლის თანახმად, საქართველოში ჯერჯერობით შიდსით გარდაცვლილი ადამიანებისაც კი ეშინიათ...

■

როგორ საუბრობთ ტელეფონით

● თუ ტელეფონით საუბრის პარალელურად შეგიძლიათ იკეთოთ - მანიკური, მაკიაჟი და ა.შ., ე.ი. მოგწონთ ფლირტი და გიყვართ, როცა თქვენით აღფრთოვანებული არიან. თუმცა, შინაგანად გაუწონასწორებელი ხართ, გაკლიათ თავდაჯერებულობა, ამიტომ, მუდმივად ეძებთ გარეგნულ კომპენსაციას და უპირატესობას ყურადღების ცენტრში ყოფნას ანიჭებთ;

● თუკი ლაპარაკისას ტანი სწორად გიჭირავთ და თან სატელეფონო სადენს აწვალებთ, ე.ი. საკუთარ თავში დარწმუნებული, ენერგიული, უფრო მეტიც — ხისტი ადამიანი ბრძანდებით. კარგად იცით, რა გსურთ. თუმცა, დროდადრო მეტი სირბილისა და ლოიალობის გამოჩენა არ გაწყენდათ — ამგვარად გარშემო მყოფებს თქვენთან ურთიერთობას უფრო გაუადვილებთ.

● თუ სკამზე ფეხებშემოწყობილს, უკან თავისუფლად გადახრილს გიყვართ ტელეფონით საუბარი, უეჭველია, კომფორტს აფასებთ. ბუნებით გულახდილი და კონტაქტური ბრძანდებით, ყოველთვის შეგიძლიათ სხვისი პრობლემებით დაინტერესდეთ.

● თუკი ტელეფონით ლაპარაკის დროს ხელს მეორე ყურზე ისე იფარებთ, თითქოს გსურთ, უფრო მეტად ჩაერთოთ საუბარში და გამოეთიშოთ გარე სამყაროს — ეს ნიშნავს, რომ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი, არაკომუნიკაბელური ადამიანი ხართ. ნებისმიერ ახალ ნაცნობს ეჭვის თვალით უყურებთ, ხშირად გარშემო მყოფები გაღიზიანებენ კიდეც. ხანდახან კი გეჩვენებათ, რომ ვიღაც ან რაღაც გემუქრებათ და თავდაცვას, განმარტოების გზით ცდილობთ. ■

თუ ხველამ შეგაწუხათ:

ჰედელიქსი®

წვეთები სიროფი

სუროს ბუნებრივი სამკურნალო ძალა

- ხელს უწყობს ამოხველებას
- ხსნის ხველის თანმხლებ ბრონქების სპაზმს
- არ შეიცავს შაქარს და სპირტს

რეგისტრაციის № 000 2885

- ინიშნება ყველა ასაკობრივ ჯგუფში
- გვერდითი მოვლენების უქონლობა
- ოპტიმალური თერაპიული ეფექტი

Krewel Meuselbach
კრეველ მოიზელბახი
მწარმოებელი

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის გამზ. 148/ბ

გსურთ დიდხანს იცოცხლოთ? — მისთხოვდით ახალგაზრდას

თურმე ქალები, რომლებსაც უმცროსი ქმრები ჰყავთ (არა აქვს მნიშვნელობა, ქმარი ცოლზე 10 წლით უმცროსია თუ 1-ით), გაცილებით მეტხანს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, ვინც ცხოვრების თანამგზავრად თანატოლები აირჩიეს. აი, ახალგაზრდა ქმრებს კი, ამ მხრივ სასიხარულო არაფერი აქვთ: როგორც გაირკვა, ქორწინების შემდეგ, მათი ბიოლოგიური საათები მეორე ნახევრის ბიოლოგიურ საათებს ემთხვევა. ასე რომ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ ის მამაკაცები, ვისაც ახალგაზრდა ცოლები ჰყავთ. ■

აერობიკა სახისათვის

აერობიკა სახისათვის წარმოადგენს თვალების, ტუჩების და საერთოდ, მთლიანი სახის კანის გაჯანსაღების ჯადოსნურ ფორმულას. ამ ვარჯიშს წყალობთ, კანი გლუვი და მკვრივი ხდება.

1. ლოყები მკვრივი რომ გქონდეთ, გაღიეთ პირი და წარმოთქვით ბგერა „ა“. დაძაბულობა შეინარჩუნეთ 10 წამი და შემდეგ მოადუნეთ კუნთები;
2. ზედა ტუჩზე ნაოჭების გაჩენის საწინააღმდეგოდ კარგი იქნება, თუ კბილს კბილზე დააჭერთ და რაც შეიძლება ფართოდ გაიღიმებთ 20 წამის მანძილზე;
3. ცხვირის ნესტოებიდან პირის კუნთებამდე მომავალი წვრილი ხაზების მოსაშორებლად, გააღეთ პირი და წარმოთქვით „ო“, გაგრძელებული ბგერით;
4. გამოყავით ენის წვერი და რიგრიგობით, რაც შეიძლება შორს გაუსვით ტუჩის კუთხეებს (ლოყების კანის გასაჭიმად). ■



ბოსტნეულის კერძები

ლობიო ჯარტოფილით

მასალად საჭიროა: *500 გ კარტოფილი, 200 გ ლობიო, 1 დიდი თავი ხახვი, მცენარეული ზეთი, 1 ს/კ ტომატპიურე, ორცხობილას საფანელი, მარილი, პილპილი.*

მომზადების წესი: მოხარშული კარტოფილი გაფცქვენით და მრგვლად დაჭერით. მოხარშული ლობიო გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაჭრილი ხახვი ზეთში მოხრაკეთ, შეურიეთ ლობიოს, დააყარეთ მარილი. შემდეგ ცხიმწასმულ, საფანელმოფრქვეულ ღრმა ტაფაში ან ქვაბში ფენა-ფენა ჩააწყვეთ კარტოფილი და ლობიო (ზედა ფენა აუცილებლად კარტოფილისა უნდა იყოს), მოასხით 1 ჩ/ჭ წყალში გახსნილი ტომატპიურე, ზეთი, შედგით ღუმელში და გამოაცხვეთ. ■



ყვავილოვანი კომბოსტო კვერცხით

მასალად საჭიროა: *500 გ ყვავილოვანი კომბოსტო, 1 მოზრდილი თავი ხახვი, 100 გ მცენარეული ზეთი, 2-3 ცალი კვერცხი, მარილი და მწვანილი გემოვნებით.*

მომზადების წესი: ადუღებულ, მარილიან წყალში მოწალეთ ყვავილოვანი კომბოსტო, გააგრილეთ, დააცალკევეთ და შეურიეთ წვრილად დაჭრილ, ზეთში მოშუშულ ხახვს. დაახურეთ თავზე და შუშეთ 10 წუთი. მარილთან ერთად ათქვეფილ კვერცხს, შეურიეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში. ეს მასა მოასხით კერძს და ცეცხლზე კვერცხის მომზადებამდე გააჩერეთ. ■

კიდევ ერთხელ ყავის შესახებ...

თუკი ამჩნევთ, რომ ბოლო დროს, თქვენი საყვარელი სასმელი — ყავა, ნაცვლად იმისა, რომ სტრესის მოხსნაში დაგეხმაროთ, თქვენში გაღიზიანებას, მოუსვენრობისა და დაღლილობის გრძნობას იწვევს, შეამცირეთ მისი დოზა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ერთბაშად არ გამორიცხოთ იგი თქვენი ყოველდღიური რაციონიდან! კოფეინის დონის მკვეთრი დაცემა ორგანიზმისთვის ძალზე მავნებელია.

გადადით ნახევარ-ნახევარი უკოფეინო ყავისა და ჩვეულებრივი ყავის ნარევზე. კარგი იქნება, თუ 1 თვის მანძილზე მაქსიმალურად შეამცირებთ ჩვეულებრივი ყავის დოზას (იდეალური ფორმულა მისი ნულამდე დაყვანაა);

თუკი დილაობით ყავას მოზრდილი ჭიქით მიირთმევდით, შეცვალეთ იგი მომცრო (არა უმეტეს 150-180 მლიანი) ფინჯნით. სწორედ ეს უნდა იყოს თქვენი ყოველდღიური დოზა;

თანდათანობით გაზარდეთ პასტერიზებული რძის რაოდენობა ყავაში. კოფეინის დოზა სულ უფრო და უფრო შემცირდება, სამაგიეროდ, თქვენი ორგანიზმი დამატებით კალცს მიიღებს.

და კიდევ ერთი რჩევა, მხოლოდ ფეხმძიმე ქალებისთვის: ექიმების აზრით, ის ქალები, ვინც დღეში სამ ფინჯან ყავაზე მეტს მიირთმევენ, მუცლის მოშლის საშიშროების წინაშე დგანან. ■



სასარგებლო რჩევები

● დანა უკეთ გაილესება, თუ ნახევარ საათს მარილწყალში გააჩერებთ (1 ს/კ მარილი 1 ჩ/ჭ წყალზე).

● შიგნიდან გაშავებულ ქვაბს თავისი ფერი დაუბრუნდება, თუ მასში ვაშლისა და მსხლის კანს მოხარშავთ.

● თუ ჩაიდანი ჩამუქდა და ნალექი მოედო, ჩაასხით ძმრიანი წყალი (1-2 ს/კ ძმარი 1 ლ წყალზე) და დაახლოებით ნახევარი საათის მანძილზე ადუღეთ.

● ცილა კარგად აითქვიფება, თუ რამდენიმე წვეთ ცივ წყალს ან ერთ მწიკვ მარილს ჩაუმატებთ.

● კვერცხი ხარშვისას არ დასკდება, თუ ნაჭუჭს რამდენიმე ადგილას წვრილი ნემსით გახვრეტთ.

● არაჟანს თუ ცოტა რძეს დაუმატებთ, სადილში აღარ აიჭრება. ■

| ... დედაქალაქი | | |

სწორი ნაწლავის ნახეთქი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ექიმ-პროქტოლოგებთან ყველაზე ხშირად ბუასილის გამო მიდიან. სწორი ნაწლავის ანალური ნახეთქი კი ბუასილის შემდეგ სიხშირით მეორე ადგილზეა, სწორი ნაწლავის დაავადებებს შორის. ქალებში იგი უფრო ხშირია, ვიდრე — მამაკაცებში.

უნდა მოითმინო?

ჩვეულებრივ, ნახეთქის სიგრძე 1-1,5 სმ-ია, სიგანე – 3-5 მმ და სიღრმე – 2-3 მმ. ნახეთქი უპირატესად ანალური ხვრელის უკანა კედელზე ვითარდება ხოლმე, იშვიათად – წინაზე და კიდევ უფრო იშვიათად – ორივე მათგანზე ერთდროულად. ანალური ნახეთქი შეიძლება წარმოიქმნას მკვრივი განავლოვანი მასების მიერ სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის დაზიანების შედეგად ანდა ხანგრძლივი ფაღარათის დროს.

ტკივილი ამ დაავადებისას იმდენად აუტანელი და ხანგრძლივია (5-6 საათის განმავლობაში გასტანს), რომ ადამიანი ვერ იძინებს, ღიზიანდება, ნერვიული ხდება, ცდილობს, ორი-სამი დღის განმავლობაში შეიკავოს კუჭის მოქმედება. ეს კი კიდევ უფრო აძლიერებს ყაბზობას, ტკივილებს უკანა ტანში და ავადმყოფის ტანჯვას.

განავლოვანი მასების დაგროვება მსხვილ ნაწლავში ხელს უწყობს ტოქსიკური ნივთიერებების (ინდოლის, სკატოლის) წარმოქმნას. ეს ნივთიერებები უარყოფითად მოქმედებს მთელ ორგანიზმზე, იწვევს გულისრევას, თავბრუსხვევას, სისუსტეს, შეიძლება განვითარდეს ალერგიული რეაქციებიც. ზოგიერთ ავადმყოფს ანალური ნახეთქი ურთულდება სწორი ნაწლავის ფისტულით – ეწყება ძლიერი ქავილი. თუ იგი დროულად არ მიმართავს ექიმს, ნახეთქის ადგილას შეიძლება წარმოიქმნას წყლული, რომლის მკურნალობა კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ნახეთქის.

ქრონიკულმა შეკრულობამ შეიძლება გამოიწვიოს მსხვილი ნაწლავის ანთებითი პათოლოგიების (კოლიტის) და აგრეთვე სწორი ნაწლავის პოლიპების განვითარება.

საშიში ტრიადა

სწორი ნაწლავისათვის მახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი ანუ სიმპტომთა ტრიადა:

- ძლიერი ტკივილი სწორი ნაწლავის არეში დეფეკაციის დროს და განსაკუთრებით დეფეკაციის შემდეგ;
- უკანა გასავლის ფინქტერის სპაზმი;
- უმნიშვნელო რაოდენობით (რამდენიმე წვეთი) ალისფერი სისხლის გამოყოფა;
- ზოგიერთ ავადმყოფს აღენიშნება დაავადების უსიმპტომო ანუ „უმტკივნეულო“ ფორმა. დეფეკაციისას გამოყოფილ ალისფერი სისხლის მიზეზად მათ ბუასილი მიაჩნიათ ხოლმე და ექიმთან მხოლოდ სერიოზული გართულების შემდეგ მიდიან.

შორს ფაღარათი და შეკრულობა!

ანალური ნახეთქის მკურნალობა დაავადების ადრეულ სტადიაზე ამბულატორიულია. ავადმყოფმა უნდა დაიცვას სამი ძირითადი პირობა:

- რაციონიდან უნდა გამორიცხოს სპირტიანი სასმელი, ცხარე, მჟავე, მარილიანი, შემწვარი კერძები;
- მოერიდოს სიმძიმეების აწევას;
- ებრძოლოს ფაღარათსა და შეკრულობას.

ყოველ დილით კუჭის დაცლის სავარაუდო მომენტიდან ნახევარი ან ერთი საათით ადრე, საჭიროა, სწორ ნაწლავში ტკივილგამაყუჩებელი სანთლის ჩადგმა. თუ სანთელი დეფეკაციას არ გამოიწვევს, უნდა გაკეთდეს ოყნა (0,5 ლ გრილი წყლით), მაგრამ საჭიროა სიფრთხილე, რათა ნახეთქი არ გაღიზიანოთ. ნაწლავის დაცლის შემდეგ, უნდა მოხდეს უკანა ტანის ჩაბანა გრილი წყლით და საპნით. შემდგომ სასურველია 38-40-გრადუსიანი კალიუმის პერმანგანატის წყალხსნარის (ღია ვარდისფერი) 10-15 წთ-იანი აბაზანა. ბოლოს კი ანალურ არეში უნდა წაისვათ ექიმის მიერ დანიშნული მალამო.

კარგ შედეგს იძლევა პატარა ოყნით 50-60 გ გვირილის ან სხვა მცენარის ნაყენის შეყვანა სწორ ნაწლავში.

ამ პროცედურის შემდეგ ავადმყოფი არ უნდა დაწვეს (უნდა ივდეს, იდგეს ან იაროს), რათა წამალმა ნახეთქზე იმოქმედოს. ძილის წინ კი კეთდება ასკილის ან ქაცვის ზეთში დასველებული ტამპონი ნახეთქის არეში.

ასეთი მკურნალობა გრძელდება 2-3 კვირა, საჭიროების შემთხვევაში კი, 1-1,5 თვის შემდეგ, კურსს იმეორებენ. პაციენტის მდგომარეობის შესაბამისად, შეიძლება ამასთან ერთად დანიშნოს დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებიც.

■

სასწრაფო დახმარების მარტივი ხერხები

თუ თქვენ...

● *აგტკივდათ კბილი*, წვრილად დაჭერით ერთი კბილი ნიორი, მოთავსეთ დოლბანდის ნაჭერზე და ნაჭრით მიიმაგრეთ მაჯაზე იმავე მხარეს, რომელ მხარესაც გტკივათ კბილი.

● *გაქვთ დეპრესია*, ნერვული სისტემის გამოფიტვა, გადაღლილობა, რეკომენდებულია ყოველ დილით ტანის დაზელა ცივი წყლით. პროცედურის ეფექტს ზრდის მარილის წყალხსნარის (1 ჩ/კ 0,5 ლ წყალზე) გამოყენება.

● *გახველებთ*, ერთმანეთს შეურიეთ დანაყილი ნიორი და თაფლი, პროპორციით – 1/2, შეათბეთ დაბალ ცეცხლზე და მიიღეთ 2 ჩ/კ დღეში რამდენჯერმე.

● *გაქვთ რადიკულიტი*, მოზილეთ უსაფუარო ცომი რუხი ფქვილისაგან. დამჟავებული ცომი გაახვიეთ ქსოვილში და დაიდეთ წელზე. ასეთი კომპრესი ყოველღამე გაიკეთეთ. 10 პროცედურის შემდეგ, რადიკულიტი გაივლის.

● *გიშუპდებათ ფეხები*, გაიკეთეთ ფეხის თბილი აბაზანები. ტაშტში ჩასხით 3 ლ თბილი წყალი, დამატეთ 3 ს/კ ზღვის ან სუფრის მარილი, 2 ს/კ წიწვის ექსტრაქტი და 2 ს/კ ლიმონის წვენი. ჩაწყვეთ ფეხები წყალში 15 წთ-ით. პროცედურა ყოველდღიურად გაიმეორეთ ძილის წინ.

● *გაქვთ ართრიტი*, დილაობით, საუზმემდე და ღამით, ძილის წინ, შეგიძლიათ მიიღოთ ფორთოხლის წვენისა და თევზის ქონის ნარევი (1 ჩ/კ თევზის ქონი და 2 ჩ/კ ფორთოხლის წვენი).

● *გაწუხებთ შაკიკი*, ლიმონის დაახლოებით 2 სმ დიამეტრის ქერქს მოაშორეთ რბილობი, მიიდეთ საფეთქელთან შიგნითა, სველი მხრიდან და გაიჩერეთ გარკვეული დროით. მალე ამ ადგილას წითელი ლაქა გაგიჩნდებათ, დაგეწყებათ უმნიშვნელო წვა და ქავილი. თავის ტკივილი კი გაივლის.

■

სასმელი მნიშვნელოვანია



კვების რაციონის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს წყალი. ზომიერ კლიმატურ პირობებში მცხოვრები მოზრდილი ადამიანის საშუალო დღიური მოთხოვნილება წყალზე 2,5 ლ-ს წარმოადგენს.

ამ რაოდენობიდან შარდთან ერთად გამოიყოფა 1,4 ლ, კანიდან (აორთქლებისა და ოფლის გამოყოფის გზით) – 0,6 ლ, ფილტვებიდან ამოსუნთქულ ჰაერთან ერთად – 0,4 ლ, განავალთან ერთად – 0,1 ლ. წყლის დანაკარგი მატულობს ოფლდენის გაძლიერებისას, ფაღარათის, ღებინების, ცხელების დროს. ოპერაციის შემდგომ პერიოდში, დამწვრობის დროს.

ითვლება, რომ წყლის ჭარბად მიღებისას მატულობს გულისა და თირკმლების დატვირთვა, ორგანიზმიდან გამოიყოფა მინერალური ნივთიერებები და ვიტამინები. წყლის შეზღუდვისას კი მატულობს შარდის კონცენტრაცია, მასში ჩნდება მარილების ნალექი, მცირდება სისხლიდან ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების გამოყოფა. აღნიშნული დებულებები მთლიანობაში სწორია, მაგრამ არა ყველა ადამიანისათვის.

სითხის რაოდენობის გაზრდა რაციონში რეკომენდებულია ინტოქსიკაციების, ინფექციური დაავადებების, სხეულის მაღალი ტემპერატურის, პიელონეფრიტისა და ცისტიტის, შარდ-კენჭოვანი დაავადების, ნიკრისის ქარის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებების დროს. მისაღები სითხის რაოდენობას ამცირებენ (მარილის რაოდენობის შეზღუდვასთან ერთად) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისას, განსაკუთრებით თუ მას თან ახლავს შეშუპება, სიმსუქნე, თირკმლის დაავადებები და შარდგამომყოფი ფუნქციის დარღვევა.

ორგანიზმის მიერ დიდი რაოდენობით სითხის დაკარგვა იწვევს სისხლის შესქელებას, რის გამოც ჩნდება წყურვილის გრძნობა.

წყურვილის მოსაკლავად საუკეთესო საშუალებაა ლიმონის ან სხვა მჟავე ხილისა და კენკრის წვენით შემჟავებული წყალი, აგრეთვე – ხილის ჩირისა და ასკილის ნახარში, მწვანე ჩაი, უცხიმო რძემჟავა პროდუქტებისგან მომზადებული სასმელები.

გაცივება? გრიპი?

მაღალი ტემპერატურა... ხველა... თავის ტკივილი... ყელის ტკივილი... გაჭედილი ცხვირი...ეს ყველასათვის კარგად ნაცნობი სიმპტომებია გრიპისა და "გაციების" დროს, რომელიც წელიწადის ცივ პერიოდში იჩენს ხოლმე თავს. გარემოს ტემპერატურის დაცემასთან ერთად "გაციება" ყველა ასაკის ადამიანს ემუქრება. განსაკუთრებით აქტუალურია ეს პრობლემა ბავშვებში.

ოჯახში ყველა გაციებულია... რა ვიღონოთ?

გრიპისა და გაციების მკურნალობაში მთავარი ამოცანაა: დავეხმაროთ ორგანიზმის იმუნურ სისტემას ინფექციასთან ბრძოლაში და შევამსუბუქოთ დაავადების შემანუხებელი სიმპტომები.

მაშ ასე:

1. მიეცით ორგანიზმს დასვენების მეტი საშუალება — მოსვენებისა და ძილის დროს იმუნური სისტემა უკეთესად ფუნქციონირებს და გამოჯანმრთელების პროცესი დაჩქარდება.
2. მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე — ვირუსებს უყვართ "გამომშრალი" უჯრედები, ორგანიზმის სითხით შევსება კი ხელს უწყობს მათ გამოდევნას.
3. იყავით თბილ გარემოში — მიიღეთ ფეხების თბილი აბაზანა, ჩაიცვით შალის წინდები, ჩაწექით თბილ ლოგინში.
4. მიიღეთ დიდი რაოდენობით ვიტამინი C — იგი ასტიმულირებს იმუნურ სისტემას.
5. გამოიყენეთ ის ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები, რომლებზეც დიდი პრაქტიკული გამოცდილებაა დაგროვილი. ხშირად ისინი ქიმიურ პრეპარატებზე არანაკლებ სამკურნალო ეფექტს იძლევიან:

ტირიფი

მრავალი წლის წინ ტირიფის ქერქიდან გამოყოფილი იქნა ნივთიერება, რომელსაც "სალიცინი" უწოდეს. ამ ნივთიერებისგან შეიქმნა დღეისათვის ყველასათვის კარგად ცნობილი სიცხის დამწევი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება - აცეტილსალიცილის მჟავა (ასპირინი). ტირიფს აქვს გამოხატული სიცხის დამწევი, ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, თუმცა პრაქტიკულად არ გააჩნია გვერდითი მოვლენები ქიმიური ანალოგებისაგან განსხვავებით.

ცაცხვი

ცაცხვი ცნობილია, როგორც საუკეთესო ოფლმდენი და სიცხის დამწევი საშუალება. გარდა ამისა, ფიტონციდური მოქმედების გამო იგი ძლიერი ბაქტერიოსტატიკია და ხელს უშლის გაციების ფონზე ბაქტერიული ინფექციების განვითარებას.

ვირისტერფა

ვირისტერფას ფოთლების ნაყენს და ნახარშს აქვს ამოსახველებელი, დამარბილებელი, ანტიმიკრობული, ოფლმდენი და სიცხის დამწევი მოქმედება. იგი წარმოადგენს სპეციფიურ სამკურნალო საშუალებას სასუნთქი გზების დაავადებების დროს. ვირისტერფა შედის გულმკერდის სხვადასხვა ელექსირის, აგრეთვე ოფლმდენი ჩაის შემადგენლობაში.

ანწლი

ანწლის ყვავილები რეკომენდებულია სასუნთქი გზების დაავადებების - ბრონქიტის, ლარინგიტის, ფარინგიტის, გაციების, ცხელებით მიმდინარე დაავადებების დროს. მას აქვს ოფლმდენი, სიცხის დამწევი, ზოგადგამაჯანსაღებელი, მადეზინფიცირებელი მოქმედება.

არსებობს ზემოთ ჩამოთვლილ მცენარეთა (ტირიფი, ცაცხვი, ვირისტერფა, ანწლი) ეფექტური კომბინაცია — **პიროსალის სიროფი**, რომელიც შეგვიძლია მივიღოთ გაციების პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე. **პიროსალის** შემადგენელი მცენარეული კომპონენტების აქტიური ნივთიერებები აძლიერებენ ოფლის გამოყოფას და აქვეითებენ სხეულის ტემპერატურას. კანის საშუალებით გამოიყოფა წყალი, მინერალური მარილები, შარდოვანა და შარდმჟავა, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მავნე პროდუქტები და ბაქტერიული ტოქსინები. ტირიფის ქერქის სალიცილატი ორგანიზმში გარდაიქმნება სალიცილის მჟავად, რომლის მარილები ცირკულირებენ სისხლში და ავლენენ სიცხის დამწევ, ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას.

პიროსალის სიროფი:

- აქვეითებს ორგანიზმის მომატებულ ტემპერატურას
- ამსუბუქებს გრიპისა და გაციების სიმპტომებს
- ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს
- ამცირებს გართულებების რისკს.

ინიშნება 1 წლის ასაკიდან.
სიროფი დამზადებულია მოცხარის კონცენტრატზე, აქვს სასიამოვნო გემო, არ შეიცავს ალკოჰოლს.

პრეპარატის მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

შპს „ავერსი-ფარმა", დ. აღმაშენებლის გამზ. 148/2
დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 25 00 99 ან 96 72 27

რა უნდა ვიცოდეთ მიცვალებულთა მოხსენიებასთან დაკავშირებით

მართლმადიდებლური მოძღვრებით, გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სული საჭიროებს შეწევნას, რისთვისაც წმინდა ეკლესიის მეოხებასთან ერთად, უნდა იზრუნონ მისმა ახლობლებმა. მიცვალებულთათვის ზრუნვის ერთ-ერთი სახეა, მისი სულის მოხსენიება, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიაში დამყარებულია იმქვეყნიური ცხოვრების, საყოველთაო აღდგომისა და მარადიული არსებობის ღრმა რწმენაზე... სულის მოხსენიებასთან დაკავშირებულ საკითხებს განგვიმარტავს ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მნათე, მიხეილ მეკრავიშვილი.

მორენა მერკვილაძე

— არსებობს მიცვალებულთა საზოგადო და კერძო მოხსენიება. საზოგადო მოხსენიებისთვის წმინდა ეკლესიის მიერ დაწესებულია განსაკუთრებული დღეები. ეს დღეებია: ხორციელის შაბათი; დიდი მარხვის მე-2, მე-3 და მე-4 შაბათი; კვირაცხოვლობის (თომას კვირის) სამშაბათი — მიცვალებულთა საადგომო მოხსენიება; სულიწმიდის შაბათი (სულთმოფენობის დღესასწაულის წინა დღე); დიმიტრის შაბათი. საზოგადო მოხსენიების დღეებში აღსრულებული საგანგებო ღვთისმსახურების დროს, იხსენიება ყველა მართლმორწმუნე გარდაცვლილი. კერძო მოხსენიება კი აღესრულება მხოლოდ ერთი გარდაცვლილისთვის, თუმცა ამ მსახურებისას შესაძლებელია ორი ან მეტი გარდაცვლილის მოხსენიებაც; კერძო მოხსენიება აუცილებელია ადამიანის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის მანძილზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-3, მე-9 და მე-40 დღეს. ასევე გარდაცვალებიდან ყოველ წლისთავზე, დაბადებისა და ანგელოზის დღეებში.

მიცვალებულთა მოხსენიება ხდება საღმრთო ლიტურგიაზეც (წირვა). ეკლესიაში ასევე არსებობს ტრადიცია ორმოცდღიანი მოხსენიებისა. მათთვის სალოცავად დაწესებულია შაბათი დღეც. გარდაცვლილებს ვიხსენიებთ შინ წარმოთქმული „დილის ლოცვების“ დროსაც, შესაბამის ადგილას.

— საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს გარდაცვლილთა ხსენებას?

— ხორციელი სიკვდილის შემდეგ, ადამიანს აღარანაირად აღარ შეუძლია, საკუთარი ძალით განერიდოს ცოდვებს და ტანჯვას და შეცვალოს საკუთარი ხვედრი, ამიტომ მისთვის უნდა იზრუნონ გარდაცვლილის ახლობლებმა, მხოლოდ მათი და ეკლესიის ერთობლივი ლოცვითაა შესაძლებელი, გარდაცვლილთა სულის შეწევნა და ღვთის წინაშე გამართლება.

— რატომ არის საჭირო გარდაცვალებიდან მე-3, მე-9 და მე-40 დღეს სულის მოსახსენებელი პანაშვიდის გადახდა?

— წმინდა მამათა მოძღვრებით, სულს გარდაცვალებიდან მესამე დღეს, განსაკუთრებით და გაძლიერებულად იხსენიებენ, ქრისტეს მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომის და ყოვლადწმინდა სამების პატივსაცემად. ამასთანავე ნიშნად იმისა, რომ მონათლული იყო წმინდა სამების სახელით. საღვთისმეტყველო სწავლების გარდა, მას საიდუმლო მნიშვნელობაც აქვს, რომელიც ეხება სულის იმქვეყნიურ მდგომარეობას: გარდაცვალებიდან ორი დღის მანძილზე, ადამიანის სული იმყოფება დედამიწაზე, მესამე დღეს კი აღიყვანება ზეცად, რათა თაყვანი სცეს ღმერთს. მესამიდან მეცხრე დღემდე, იმყოფება სასუფეველში და ხედავს, თუ როგორ ნეტარებას განიცდიან იქ დამკვიდრებულ მართალთა სულები. მეცხრე დღეს, სული კვლავ წარდგება უფლის წინაშე თაყვანსაცემად, რის შემდეგაც შთაიყვანება ჯოჯოხეთში, ჭვრეტს მის ყველა საშინელებას და უცქერს, თუ როგორ იტანჯებიან მოუნანიებელ ცოდვილთა სულები. რაც შეხეება მეორმოცე დღეს — ეწყობა გარდაცვლილის პირადი სამსჯავრო, რომლის დროსაც უფალი მას მიუჩენს დროებით სამყოფელს (უფლის მეორედ მოსვლამდე) — სამოთხეში ან ჯოჯოხეთში, მის მიერ ქმნილი საქმეების მიხედვით. ამიტომ არის ამ დღეებში საჭირო გაძლიერებული მოხსენიება, რისთვისაც ღვთისმსახურს უნდა აღვასრულებინოთ პანაშვიდი, რომლის დროსაც იკითხება სპეციალური ლოცვები მიცვალებულის სულის საოხად, ინთება სანთელი, იკმევა საკმეველი და ა.შ. ამ დროს აღსრულებული საეკლესიო ქმედებები მისდის გადაცვლილის სულს და მაკურნებლად წაადგება. მოსახსენებელ პანაშვიდს აუცილებლად უნდა ესწრებოდნენ გარდაცვლილის ახლობლები და გულმხურვალედ ლოცულობდნენ უფლის წინაშე, შესთხოვდნენ მას, რომ მიანიჭოს გარდაცვლილს სულის სიმშვიდე და დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი. პანაშვიდის დროს, ანთებული სანთლებით დგანან ნიშნად იმისა, რომ სწამთ მარადიული ნათელი ცხოვრება.

— რატომ არის საჭირო გარდაცვალების, დაბადებისა და ანგელოზის დღეს მოხსენიება?

— გარდაცვალების დღეს ადამიანის სულს იხსენიებენ ნიშნად იმისა, რომ მან ამ დღეს დაასრულა წუთისოფლის მოვლა და წარდგა უფალთან, რისთვისაც მოწოდებული იყო — ე.ი. გადავიდა ახალ, უკეთეს ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, ადამიანის გარდაცვალების დღე წარმოადგენს ახალი, უკეთესი ცხოვრებისთვის დაბადების დღეს, ამიტომაც ვიხსენიებთ მათ ყოველწლიურად გარდაცვალების დღეს, რათა ამ გზით ლხენა და სიხარული მიენიჭოს მათ სულებს. სასურველია, რომ მიცვალებულის კერძო მოხსენიებისთვის წლის განმავლობაშიც დავაწესოთ გარკვეული დღეები, როდესაც მოვამზადებთ საკურთხს, შევუკვეთთ სულის მოსახსენებელ პანაშვიდს, გავცემთ მათ სახელზე მოწყალებას და სხვა, ღვთისთვის სათნო საქმეებსაც აღვასრულებთ. სწორედ ასეთ დღეებად უნდა ვაქციოთ გარდაცვლილის მიწიერი დაბადებისა და ანგელოზის დღეები.

— როდისაა აუცილებელი გარდაცვლილის სულის ორმოცდღიანი მოხსენიება?

— ორმოცდღიანი მოხსენიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია ახალგარდაცვლილისთვის. ამისათვის ჭირისუფალი ახლობლის გარდაცვალების დღეს უნდა მივიდეს ტაძარში, შეავსოს სპეციალური — ორმოცდღიანი მოსახსენებელი ბარათი ახალშესვენებულისთვის და შეაგზავნოს საკურთხეველში, სეფისკვერთან ერთად, რათა ორმოცი დღის მანძილზე მოხდეს გარდაცვლილის მოხსენიება, საღმრთო ლიტურგიის დროს. მოსახსენებელთან ერთად, შეძლებისდაგვარად უნდა გავიღოთ შესაწირიც. ორმოცდღიანი მოხსენიება მნიშვნელოვანია დიდი მარხვის დროსაც, რისთვისაც დიდმარხვის დაწყებამდე ივსება ორმოცდღიანი მოსახსენებელი ბარათი, იმ გარდაცვლილთა ჩამონათვალით, რომელთა მოხსენიების სურვილიც აქვს ჭირისუფალს. ღვთისმსახური, რომელიც მიიღებს მოსახსენებელ ბარათს, ორმოცი დღის მანძილზე, ყოველდღიურად იხდის მათ სახელზე სულის მოსახსენებელ პანაშვიდს.

P.S. მიცვალებულთა სულის მოხსენიებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს „გზის“ მომდევნო ნომერში შევეხებით.

■



ზვიად გამსახურდიას 66-ე დაბადების დღე

ზვიად გამსახურდიას ცხოვრების მანძილზე უამრავ ადამიანთან მოუწია ურთიერთობამ. ხანგრძლივი პერიოდი, მის გვერდით ერთეულებს თუ ნახავდით: ცნობილი მიზეზის გამო, მასთან კონტაქტს ერიდებოდნენ... მერე დადგა დრო, როდესაც ბატონ ზვიადთან სიახლოვეს ყველა ლამობდა, მასთან მეგობრობას იჩემებდა, მის მოწყალე მზერას იჭერდა... შემდეგ კვლავ დადგა ჟამი უმძიმესი განსაცდელისა...

საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადებიდან 66 წლისთავის აღსანიშნავად, გვინდა, ორი ადამიანის მოგონება შემოგთავაზოთ: მიხეილ ტვერელის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, მამა კონსტანტინე (კოღუაშვილი) მას პირადად არ იცნობდა, მაგრამ 1994 წლის თებერვალში, ზვიად გამსახურდიასთვის წესის აგების მიზნით, საკუთარი ნებითა და გულის კარნახით გაემგზავრა გროზნოში... რაც შეეხება გია მამალაძეს — ის ბატონ ზვიადთან თავისი სტუდენტობის დროინდელ ურთიერთობას იხსენებს...

მამა კონსტანტინე: მივდიოდი ჩემი მღვდლური მოვალეობის აღსასრულებლად...

ბელა შალვაშვილი

— მამაო კონსტანტინე, რამ მიგაღებინათ გადაწყვეტილება, 1994 წლის 24 თებერვალს გროზნოში ჩასულიყავით და წესი აგეგოთ გარდაცვლილი პრეზიდენტისთვის?

— როცა ზვიადის დაკრძალვის დღე მოახლოვდა, დავინტერესდი, ვინმე თუ აპირებდა ჩეჩნეთში, ამ მუსლიმანურ ქვეყანაში ჩასვლას და მისთვის წესის აგებას. ისიც ვიფიქრე, რომ იქ მართლმადიდებლური ეკლესია არ იქნებოდა და ჩვენი მართლმადიდებელი პრეზიდენტი ქრისტიანულად ვერ დაიკრძალებოდა... იმხანად, მოგეხსენებათ, ზვიადის ხსენებაც კი სარისკო იყო და არ გამკვირვებია, რომ არავინ აპირებდა წასვლას. აი, ამ დროს გადავწყვიტე წასვლა.

— ასეთ შემთხვევაში, როდესაც ზვიადის ხსენებაც კი აკრძალული იყო და ბევრი უსიამოვნების მომტანი შეიძლებოდა გამხდარიყო თქვენთვის, როგორ გაბედეთ წასვლა ან ვის ჰკითხეთ ამის შესახებ?

— არავისთვის მიკითხავს, რადგან მე მივდიოდი ჩემი მღვდლური მოვალეობის აღსასრულებლად. თანაც, ხომ ვიცოდი, რომ იგი არა მარტო ღრმად მორწმუნე ქრისტიანი და ქვეყნის პრეზიდენტი, არამედ ერის ჭეშმარიტად ღირსეული შვილი, განუმეორებელი და რჩეული პიროვნება იყო.

— მარტო წახვედით?

— მარტო წავედი. მაგრამ მატარებლის მთელი 2 ვაგონი რომ დავინახე, იქ მიმავალი ხალხით იყო სავსე, ძალიან გავიხარე. შიშის გრძნობისაგან არც ერთი ხორციელი დაცული არ არის და შიშის გრძნობა მეც მქონდა, მაგრამ იმდენი ხალხი რომ დავინახე, შიშიც გამიქარწყლდა.

— როცა დაბრუნდით, შენიშვნა ხომ არ მიგიღიათ ან ხომ არავის შეუვიწროებიხართ?

— არც შენიშვნა მიმიღია ვინმესგან, არც არავის შევუვიწროებივარ.

— როგორც ცნობილი გახდა, გროზნოში იმყოფებოდა მეუფე ამბროსი ქათამაძეც...

— იმხანად, მეუფე ამბროსი საქართველოში არ იმყოფებოდა და არ ვიცოდი, გროზნოში თუ ჩავიდოდა.

— სიცოცხლეში თუ იცნობდით ზვიადს?

— არა, არ ვიცნობდი. ეგ არის — ერთი-ორჯერ ხელი ჩამომირთმევია მისთვის.

— ამბობენ, ზვიადი ტვერელის ეკლესიაშიც დადიოდაო..

— როცა იქ ვმსახურობდი — არა და, ადრე თურმე, იქაც უვლია... ზვიადსაც და მერაბსაც ყოველთვის წირვაზე ვიხსენიებ. არა მარტო მათ, არამედ ყველა იმათ, ვინც იმ წლებში, ეროვნული საქმისათვის დადო თავი...

— მამაო კონსტანტინე, ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ ძალზე ზრუნავთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე და აფხაზეთში ხშირად დადიხართ. ვის ხვდებით ხოლმე იქ?



რამდენჯერმე სუფრაზედაც მოგვიწია ერთად ყოფნამ. მე მათში მტერი არ დამინახავს...

— აფხაზეთში ვხვდები მამა სერგის — აფხაზ მოძღვარს, რომელიც წმინდა ილორის ეკლესიაში მსახურობს. მის გარდა, ვხვდები იქ მცხოვრებ აფხაზებს, უბრალო ხალხს...

— რა განწყობილება შეინიშნება მათში და რაიმე იმედის მომტანი ხომ არ ჩაგსახვიათ ამ შეხვედრების შედეგად?

— რამდენჯერმე სუფრაზედაც მოგვიწია ერთად ყოფნამ. მე მათში მტერი არ დამინახავს. კი იყო რაღაც საუბარი,



„მითხა – თუ ღმერთი გწამს, აh გინდა, სუდად მაქვს დასდილიო“...

გია მამალაძე, *კოალიცია „ნაციონალისტების“ ლიდერი:*

— ბატონო გია, რომელ წლებში გიკითხავდათ ზვიადი ლექციებს და როგორი ლექტორი იყო იგი?

— მოდი, უფრო დავაზუსტოთ: ზვიადი მაგ პერიოდში, გარიცხული იყო უნივერსიტეტიდან. მე ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. როცა ეროვნული მოძრაობის აღზევება დაიწყო, სტუდენტებმა გადავწყვიტეთ, უნივერსიტეტში ზვიადის დასაბრუნებლად გვებრძოლა, რისიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო მაშინდელი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი. რამდენად სხვაგვარი აზრისაც არ უნდა იყოს დღეს, მაშინ მას ზვიადი არ უყვარდა... იმ პერიოდში, ერთხელ, ლიტერატურის ინსტიტუტში მისულა პატიაშვილი. მას ჰკითხეს — რატომ ხართ წინააღმდეგი, უნივერსიტეტის ლექტორად ზვიად გამსახურდიას აღდგენისაო? — რაზედაც მან უპასუხა, რომ ამის წინააღმდეგი არ იყო. ბიჭები მოვიდნენ და ეს ყველაფერი გვითხრეს. ჩვენც მეტი რა გვინდოდა!..

— მერე როგორ მოიქეცით?

— როგორ და შევადგინეთ პეტიცია. ჯერ ზვიადთან მივედით, რომ გვეკითხა, წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდა, ვუთხარით, რასაც ვაპირებდით. ზვიადი წინააღმდეგი არ იყო. მერე ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებს მოვაწერინეთ ხელი მოთხოვნაზე.

— რამდენმა კაცმა მოაწერა ხელი უნივერსიტეტში ზვიადის მიბრუნების მოთხოვნას?

— 200-მა კაცმა. ეს ბევრი არ არის, მაგრამ ბევრი არც იყო საჭირო, რადგან პატიაშვილს ნათქვამი ჰქონდა, რომ წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ პროფესორ-მასწავლებლები მოისურვებდნენ ზვიადის დაბრუნებას. დამავიწყდა მეთქვა, რომ ზვიადმა კი თქვა — დაბრუნების წინააღმდეგი არა ვარო, — მაგრამ ისიც თქვა, რომ ეროვნული მოძრაობის გააქტიურების გამო, დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე რომელიმე საპროგრამო კურსს ვერ გავუძღვები, მხოლოდ რუსთველოლოგიას წავიკითხავო. სტუდენტები ამით კმაყოფილნი დარჩნენ. მაშინ უნივერსიტეტში იყო ორი დაჯგუფება: პრესკლუბი და მეორე, ჩვენი — რადიკალების.

გია მამალაძე: „ლექციაზე შემოსვლის წინ, აუცილებლად სარკის წინ გაჩერდებოდა, ჰალსტუხს შეისწორებდა, ტანსაცმელზე დაიხედავდა...“

— რაიმე წინააღმდეგობა ხომ არ შეგხვედრიათ?

— პეტიცია რომ გავამზადეთ, ბუნებრივია, რექტორთან უნდა შეგვეტანა. რექტორი ნოდარ ამაღლობელი გახლდათ. ვახტანგ გოგუაძის (მაშინ უნივერსიტეტის პროორექტორი გახლდათ) კაბინეტთან დათო ტურაშვილი შეგვხვდა. ვთხოვეთ, პეტიცია მას შეეტანა რექტორთან. შეიტანა და იქიდან რომ გამოვიდა, თქვა — ბიჭებო, რომ იცოდეთ, ბომბი აფეთქდაო!.. ამის შემდეგ, გოგუაძესთან შევედით. ვუთხარით: თქვენ საქმის არსი იცით, რექტორთან შეტანილია პეტიცია, ის უარს ვერ იტყვის-თქო. ამ დროს, გოგუაძესთან ტელეფონის ზარი გაისმა. როგორც კი გოგუაძემ ყურმილი აიღო, მივხვდით, რომ პატიაშვილი რეკავდა. გოგუაძეც მომხრე იყო უნივერ-

მაგრამ მათში აშკარად შეინიშნებოდა ადამიანობა, სითბო და გულდაწყვეტა იმ დროის გამო, როდესაც ქართველები და აფხაზები ერთად ვიყავით. ისინი, რა თქმა უნდა, უკმაყოფილონი არიან იმით, რაც ჩვენ შორის მოხდა. ან კი, შეიძლება, ვინმე სისხლის ღვრით იყოს კმაყოფილი?!.

— აფხაზეთში ყოფნისას, როგორც ვიცი, ზვიადს ხელისუფლების დაბრუნება აღუთქვეს, ქვეყნის ტერიტორიების დათმობის სანაცვლოდ. თქვენ რაიმე ხომ არ იცით ამის თაობაზე?

— დიახ, ეს ცნობილია. მაგრამ სწორედ იმით არის ზვიადი დიდი მამულიშვილი, ეს ნაბიჯი რომ არ გადადგა, როგორც ასეთ შემთხვევაში, ზოგიერთი შეიძლებოდა, მოქცეულიყო... ჰოდა, წელან რომ მეკითხებოდით — არ შეგეშინდა, გროზნოში რომ მიდიოდიო? — ამის საპასუხოდ მინდა, გითხრათ: თვითონ ზვიადმა რამდენჯერ გარისკა საქართველოსთვის, ქრისტიანობისთვის!.. ზვიადთან შედარებით, რა იყო ჩემი — ერთი ადამიანის ბედ-იღბალი?! ზვიადი რომ პრეზიდენტი ყოფილიყო და მის გვერდით მდგარიყვნენ ერთგული ქართველები, ღრმად ვარ დარწმუნებული, ამდენი უბედურება, ამდენი სიავე არ მოხდებოდა, არც აფხაზეთი დაიკარგებოდა. ზვიადის დამხობა იმას ემსახურებოდა, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის მტრობა ჩამოვარდნილიყო. ეს მოგვიტანა ზვიადის დაკარგვამ. ჩვენ, სამწუხაროდ, მარტო ზვიადი კი არა, სამშობლოც დავკარგეთ. სამაჩაბლოც დავკარგეთ, რომელსაც დღეს, ჩვენი ე.წ. პოლიტიკოსები ოსეთს ეძახიან. სამაჩაბლო ოსეთია? საკუთარ მიწას ოსეთს უწოდებენ და რა იმედი უნდა გქონდეს ამათი? ზვიადი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ქართული მიწები ასე გაიყიდებოდა?!. დიახ, ჩვენ მარტო ზვიადი კი არ დავკარგეთ, სამშობლოს ვკარგავთ, სამშობლოს!..

■

სიტეტში ზვიადის დაბრუნებისა. ისე ელაპარაკა პატიაშვილს, როგორც საჭირო იყო და ისიც უთხრა – ახლა ბიჭები არიან ამ საკითხზე ჩემთან მოსული და თუ გინდათ, დაგალაპარაკებთო. პატიაშვილმა ჩვენთან დალაპარაკება არ ისურვა...

— **როგორ ფიქრობთ — რატომ დარეკა პატიაშვილმა გოგუაძესთან?**

– ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ დარეკა. სახელმწიფოში პირველი პირი რატომ დარეკავდა ხელქვეითთან, გასაგებია... მაგრამ ზვიადის დაბრუნების საკითხი მაინც დადებითად გადაწყდა.

— **ამ დროს, სასწავლო კურსი ხომ კარგა ხნის დაწყებული იყო.**

– იმიტომაც ისურვა ზვიადმა საჯარო ლექციების წაკითხვა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების, ასპირანტებისა და იმ მასწავლებლებისთვის, ვინც ამას მოისურვებდა. დიდ – 93-ე აუდიტორიაში კითხულობდა ლექციებს და ყოველთვის გადაჭედილი იყო აუდიტორია. ამ დროს, რუსთველოლოგიას ელგუჯა ხინთიბიძე გვიკითხავდა და მინდა, სიამოვნებით გითხრათ ერთი რამ: მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სკოლის მიმდევრები იყვნენ რუსთველოლოგიაში, არ შეიძლება იმის დავიწყება, თუ რაოდენ დადებითად იყო განწყობილი ბატონი ელგუჯა ბატონი ზვიადისადმი. ამ ფაქტმა დამანახვა მისი პიროვნება. კარგი მეცნიერი რომ იყო, ეს ადრეც ვიცოდი. მაშინ მეორე კურსზე გახლდით...

— **ახლა ბატონი ზვიადის ლექციებზე მოგვიყევით რაიმე...**

– ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ვინმეს გაეცდინა ზვიადის ლექცია. პარალელურად, ასევე არ ვაცდენდით ელგუჯა ხინთიბიძის ლექციებსაც. ასე რომ, ორი რუსთველოლოგიური სკოლის არაჩვეულებრივი ლექციების ორი კურსი მოვისმინეთ. ეს ფაქტი ერთგვარად, ახალი ხილიც იყო უნივერსიტეტის ცხოვრებაში. მახსენდება ერთი შემთხვევა: ბატონმა ზვიადმა განზე გამიყვანა და მითხრა – ხომ ხედავ, ძალიან ბევრი ხალხი მოდის და არასამუშაო პირობები იქმნება; მოდი, როგორმე მოვახერხოთ, რომ მარტო ფილოლოგები დაესწრონო.

— **რატომ თქვა ასე ზვიადმა?**

– იმიტომ, რომ ლექციებზე მოსული, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ადამიანები უსვამდნენ ისეთ კითხვებს, რომლებიც ხშირად, ძალზე შემაწუხებელი და მომქანცველი იყო. ზვიადის ფენომენი იზიდავდა ადამიანებს და ეს ყველაფერი, როგორც გითხარით, ძალიან დამღლელი იყო. ზვიადმა მითხრა – სია შეადგინეთ, ვინც სპეციალისტია, ის დაესწროსო. ეს ამბავი შემთხვევით გაიგონა ერთმა გოგონამ და დამემუქრა – თუ სიაში არ შემიყვან, „ლიმონკას“ ჩაგიდებო... მერე, სიტუაცია სრულიად შეიცვალა – სასწავლო წელიც დასრულდა და ლექციების გაგრძელება ვეღარ მოხერხდა, ქვეყანაში უკიდურესად დაიძაბა და გართულდა მდგომარეობაც.

— **რაიმე მისთვის დამახასიათებელ შტრიხს ხომ ვერ გამოყოფდით? ვთქვათ, როგორ შემოდიოდა ხოლმე ლექციაზე?**

– ლექციაზე შემოსვლის წინ, აუცილებლად სარკის წინ გაჩერდებოდა, ჰალსტუხს შეისწორებდა, ტანსაცმელზე დაიხედავდა... ჩვენ, რამდენიმე სტუდენტი, გარეთ დავხვდებოდით ხოლმე. არაჩვეულებრივად იყო მომზადებული იმ საკითხში, რომელზეც უნდა ესაუბრა. შემიმჩნევია: კითხვები, რომლებიც თემას არ ეხებოდა, თითქოს აღიზიანებდა, მაგრამ პასუხის გაცემას მაინც ძალიან კარგად ახერხებდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვიქტორ ნოზაძის შემდეგ, ასეთი გამორჩეული აზრები ბევრს არ გამოუთქვამს რუსთველოლოგიაში. ყველაფერი ის, რაც მაშინ ლექციებზე მოგვისმენია, შემდგომ წავიკითხეთ მის წიგნში – „ვეფხისტყაოსნის სახის მეტყველება“. ყველაფერს ისე არგუმენტირებულად გადმოსცემდა, უბრალო ადამიანსაც რომ მოესმინა, ისიც კარგად გაიგებდა. მაშინ მისი „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ ჩვენს ფაკულტეტზე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა.

— **როცა ზვიადს 50 წლისთავის იუბილე გადაუხადეს უნივერსიტეტში, ამაში თქვენც მონაწილეობდით?**

– როგორ თუ ვმონაწილეობდი – ჩვენ გადავუხადეთ! კოკა გაწერელიასთან სახლში შევიკრიბეთ და იქ ვითათბირეთ, 31 მარტს როგორ გადაგვეხადა ზვიადისთვის იუბილე. დავნიშნეთ კრება და მოვითათბირეთ – მე ვიქნებოდი წამყვანი, მოვიდოდა ზვიადი, მას მოჰყვებოდნენ ბიჭები, დროშებით, სიმღერით და ის კრება მის იუბილედ გადაიქცეოდა. ეს იმიტომ, რომ გზა არ გადაეკეტათ და ჩვენი განზრახვა არ ჩაშლილიყო. ყველაფერი ფარულად იყო ჩაფიქრებული. ვახტანგ გოგუაძემ კი იცოდა, რაც გვეწადა და არც დაუშლია. ჩვენ იმის გვეშინოდა, პატიაშვილსა და მის ხალხს არ გაეგოთ და ხელი არ შეეშალათ ჩვენთვის... ჩვენი გეგმის მიხედვით დავიწყეთ კრება და ამ დროს, ვიღაცამ დაიძახა – ზვიადი მოდისო! ჰოდა, მეც ხმამაღლა დავიძახე – დღეს ბატონი ზვიადის დაბადების დღეა და მივულოცოთ-მეთქი!.. ზვიადი, როგორც ჩვეულებრივ კრებაზე, ისე მოვიდა, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა გვქონდა დაგეგმილი... მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა, იყო ტაშის გრიალი, ცრემლები, დროშები, სიმღერები. ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ რომ ჰქონდეს ასეთი წუთები, თამამად შეუძლია თქვას, რომ ამაოდ არ უცხოვრია. მერაბიც იქ იყო. წარმოთქვეს სიტყვები. ვახტანგ გოგუაძემ ლარნაკი აჩუქა ზვიადს და უთხრა – აი, ამ ლარნაკით დღეს თქვენი სადღეგრძელო უნდა დავლიოო. შესანიშნავად ჩატარდა ის საღამო. მერე, ქალბატონმა მანანამ დაგვპატიჟა, მითხრა – რამდენიმე ყმაწვილი წამოიყვანე კოლხურ კოშკშიო. მაგრამ ჩვენ მოგვერიდა და არ წავედით. ისინი წასულიყვნენ, ვისაც ღონისძიებაში საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა... იმ სუფრაზე მუხრან მაჭავარიანი ყოფილა თამადა.

— **ბატონო გია, გროზნოშიც ხომ არ შეხვედრიხართ ზვიადს?**

– 1992 წლის გაზაფხულზე გროზნოში ჩავედი, „მრგვალი მაგიდის“ აღდგენის თაობაზე ვიკრიბებოდით. მერე ზვიადს ვუთხარი – წელს, თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად, მიტინგი უნდა ჩავატარო-მეთქი, – და იცით, რა მითხრა?.. – მოიცა, გია, თუ ღმერთი გწამს, ცუდად მაქვს დაცდილი: მაშინ იყო და, 50 წლის იუბილე რომ გადამიხადეთ, 9 აპრილი მოხდა, ახლაც რაღაც ცუდი არ მოხდესო...

— **თბილისში თუ ჩაატარეთ მიტინგი?**

– საქმე ის არის, რომ მერიას საინფორმაციო მიტინგის ჩატარების ნებართვა ვთხოვე. უარი ვერ მითხრეს. იყო იქიდან თხოვნაც, მუქარაც – მიტინგი ზვიადის დაბადების დღის აღსანიშნავად არ ჩაატაროთო. ჩვენ მაინც ჩავატარეთ. 31 მარტი ხომ რეფერენდუმის დღე იყო და ზვიადის დაბადების დღეს მივუძღვენით. რადგან მსოფლიოს სხვადასხვა ტელეარხი იღებდა ამ მიტინგს, ამიტომაც ვერ დაარბიეს, თანაც – ნებართვაც ხომ გაცემული ჰქონდათ!.. 500-ოდე მომიტინგეს 4000 პოლიციელი გვყავდა გარშემორტყმული. მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა გადასცეს – ქართველმა ხალხმა მაინც მოახერხა და ზვიად გამსახურდიას იუბილე გადაუხადაო...

■

ატლანტიკის მარგალიტი

კრიშტიანუ რონალდუ იმ მოთამაშეთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც საფეხბურთო სამყაროსთვის ჯერ კიდევ ტინეიჯერულ ასაკში გახდნენ ცნობილი. რამდენიმე წლის წინ, პორტუგალიელი ნახევარმცველისთვის, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 17,5 მილიონი ევროც კი არ დაიშურა. უფრო მეტიც, მალე იგი „ოლდ ტრაფორდის“ პუბლიკისთვის „რეალში“ გადასული დევიდ ბექჰემის შემცვლელად იქცა. 19 წლის რონალდუს პორტუგალიელთათვის სათაყვანებელ ლუიშ ფიგუსაც ადარებენ.

მიუხედავად იმისა, რომ „ოლდ ტრაფორდზე“ გატარებული პირველი რამდენიმე კვირა რონალდუსთვის მეტისმეტად

რთული აღმოჩნდა, მან ყველა ბარიერი გადალახა და წარმატებული ასპარეზობით ყველას მოლოდინს გადააჭარბა. ამჟამად ის „მანჩესტერის“ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და ჯერ კიდევ მადეირაში მიღებულ მეტსახელს (ატლანტიკის მარგალიტი) ამართლებს.

„როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ ან პორტუგალიის ნაკრებში ვთამაშობ, ვცდილობ, იმაზე არ ვიფიქრო, რომ ჩემში ამა თუ იმ ფეხბურთელის შემცვლელს ხედავენ, – ამბობს რონალდუ, – ორივე ოსტატი, რომელსაც მადარებენ – მსოფლიოს უპირველესი ვარსკვლავია. მანჩესტერში ბექჰემს დღესაც აღმერთებენ, ფიგუ კი, პროტუგალიაში ყოველთვის ლეგენდად დარჩება. მე – უბრალოდ მე ვარ. ისე ვერასოდეს დავარტყამ საჯარიმოს, როგორც ამას ბექჰემი აკეთებს, ვერც ფიგუსნაირ დრიბლინგს ვუჩვენებ. მაგრამ მე საკუთარი კოზირები მაქვს, რაც იმის საშუალებას მაძლევს, რომ არც ერთ მათგანს არ დავუდო ტოლი...“

კრიშტიანუმ უკვე მიაღწია ისეთ სიმაღლეს, რომელიც ბევრი პერსპექტიული ფეხბურთელისთვის ოცნებად რჩება. მან ითამაშა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, ხოლო ინგლისის თასის გათამაშების ფინალურ შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი გაიტანა. არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ცოტა ხნის წინ ჩატარებული ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპიც, რომელშიც „მანჩესტერი“ „მილანთან“ ორივე მატჩში დამარცხდა. „არ მოველოდით, რომ ევროასპარეზს მილმა ასე მალე აღმოვჩნდებოდით, მაგრამ მწამს, ჩემი კლუბიც და ნაკრებიც მალე მიაღწევენ დიდ წარმატებებს. პორტუგალიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებაზე ვოცნებობ. ყველას ჰგონია, რომ ფიგუსა და რუი კოშტას გარეშე ვერაფერს გავხდებით, მაგრამ აბა, ეს ჩვენი გუნდის ფეხბურთელებს უთხარით. პორტუგალიის ნაკრებს ხომ მსოფლიო კლასის სპეციალისტი წვრთნის – ლუიშ ფელიპე სკოლარი, რომლის დასაყრდენი მოთამაშეებიც – დეკუ, მანიშე და რიკარდუ კარვალიუ არიან, ამჟამად თითოეული მათგანი საკუთარი კარიერის პიკში იმყოფება“, – ამბობს კრიშტიანუ, რომლის გუნდიც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის რონალდუს – მას ხომ 5 გოლი აქვს გატანილი. „ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, – დასძენს „მანჩესტერის“ ახალგაზრდა ჰავბეკი, – რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა ის, რომ რონალდუში ქომაგები ლუიშ ფიგუს საქმის გამგრძელებელს ხედავენ. ყველანი ვიმედოვნებთ, რომ პორტუგალიელი ფეხბურთელები კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამენ წინ და დიდ ტურნირზე გამარჯვებას მიაღწევენ. შარშან ევროპის ჩემპიონატის ფინალში საბერძნეთის ნაკრებთან დავმარცხდით, მაგრამ ვიცი – არც ფეხბურთელებს და არც ქომაგებს, გერმანიაში ჩვენს გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. სკოლარი შესანიშნავი მწვრთნელია, რომელსაც გამარჯვებისადმი სწრაფვა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი“.

შეძლებენ თუ არა პორტუგალიელები თავიანთი ამბიციების რეალიზებას, ამას მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ კრიშტიანუ რონალდუს სახით, ლუიშ ფელიპე სკოლარის მართლაც, უნიჭიერესი ფეხბურთელი ჰყავს. ■

რუნის სტუდენტი უჩივის

მანჩესტერის პოლიცია 22 წლის პატრიკ ჰანრაჰანის მიერ შეტანილი სარჩელის გამო გამოძიებას აწარმოებს. ჰანრაჰანი ამტკიცებს, რომ ღამის კლუბში დილით ადრე მას „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი, უეინ რუნი დაესხა თავს და ხელი დაარტყა სამჯერ.

მომჩივანს რატომღაც სიტყვაც არ დაუძრავს ინციდენტის გამომწვევი მიზეზის შესახებ. თვითმხილველები კი ამტკიცებენ, რომ ბარში რუნის გამოჩენისთანავე, ჰანრაჰანს მის მიმართ თავისი არაკეთილგანწყობა გამოუხატავს. კერძოდ, მას „მანჩესტერის“ ფორვარდისთვის არაერთხელ გაუმეორებია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს „ევერტონი“ „იუნაიტედზე“ არ უნდა გაეცვალა და „თუ „ლურჯ ადამიანად“ დაიბადე, ასეთადვე უნდა დარჩე ბოლომდე“ (ალბათ მიხვდით, ჰანრაჰანი „ევერტონის“ მაისურის ფერს გულისხმობდა). რუნი სწორედ ამის შემდეგ დასხმია თავს „ევერტონის“ აბეზარ ქომაგს. თუმცა, ფორვარდის წარმომადგენლები გულშემატკივარზე უეინის მხრიდან ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც უარყოფენ. „უეინს ვიღაც უცნობი მამაკაცი აეკიდა, რომელიც ძალიან გამომწვევად იქცეოდა. მიუხედავად ამისა, რუნის ამაზე რეაგირება არ მოუხდენია. საბოლოოდ, იმ უღირს ახალგაზრდას ბარის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა მიაქციეს ყურადღება და მალე შენობაც დაატოვებინეს“, – ნათქვამია ფეხბურთელის პრესმდივნის განცხადებაში. ■

საფეხბურთო მეთოდები ქომაგთა მოსაზიდად და ზედგის გასაუმჯობესებლად

კატალონიელები რომ ფეხბურთზე ჭკუას კარგავენ, ამაში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს. ესპანეთის ამ კუთხის ზოგიერთი წარმომადგენელი კი, თავისი საქმიანობის (რომელსაც ერთი შეხედვით, ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვს) სპორტის უპოპულარულეს სახეობასთან დაკავშირებასაც ცდილობს.

მაგალითად, შარშან საღდგომოდ, ქალაქ ბარსელონის საკონდიტრო „ესკრიბის" მესვეურებმა შოკოლადისგან „რონალდინიო" ჩამოასხეს, წელს კი, ანალოგიური ხერხით მომხმარებელს „ფრანკ რაიკაარდი" შესთავაზეს. თანაც, ეს ყველაფერი მათ რასიზმთან ბრძოლასაც დაუკავშირეს: მაღაზიის წინ, 3 ათასამდე სხვადასხვა ფერის შოკოლადის ფილა გამოფინეს, რომლებზეც ანტირასისტული მოწოდებები ეწერა. „ეს იდეა ბოლოდროინდელი საფეხბურთო მატჩების შემდეგ დაგვებადა, — დასძინა მაღაზიის მფლობელმა, კრისტიან ესკრიბამ, — ამ საშინელი საზოგადოებრივი სენის წინააღმდეგ ბრძოლა გვსურს, რადგან, ამის გამო, ყველანი ვზარალდებით." „ესკრიბას" მესვეურებს მხარი აუბეს „ბარსელონელმა" სამუელ ეტო'ომ და „სევილიელმა" კარლოს კამენიმ. „ასეთი ღონისძიებები ძალზე სასარგებლოა, — ამბობს კამენი, — განსაკუთრებით ბავშვებისთვის, რომლებიც ამგვარად, ტოლერანტობასა და სხვათა პატივისცემას მიეჩვევიან. რასიზმთან ბრძოლა მარტო ფეხბურთში კი არა, საერთოდ, მთელ საზოგადოებაში საჭიროა. საბედნიეროდ, იმ გონებაჩლუნგთა რიცხვი, რომლებიც სტადიონზე რასისტული გამოხდომებით გამოირჩევიან, თანდათან მცირდება".

კატალონიელთაგან განსხვავებით, კიშინიოვის „ზიმბრუს" ხელმძღვანელობამ ფეხბურთი მთელ ცივილიზებულ სამყაროში პოპულარულ სასმელთან დააკავშირა. უფრო სწორად კი, კლუბმა, სტადიონზე ქომაგების მოსაზიდად, ახალი — „ლუდის მეთოდი" შეიმუშავა. ცოტა ხნის წინ, ზამთრის შესვენების შემდეგ, მოლდავეთში ჩემპიონატი განახლდა. „ზიმბრუს" თავკაცთა გადაწყვეტილებით, ამ გუნდის საშინაო მატჩებზე დასწრების მსურველი მაყურებელი ბილეთთან ერთად, ერთ ქილა „ბალტიკასაც" მიიღებს. მიუხედავად იმისა, რომ კიშინიოვის „სტიაუასთან" შეხვედრა დილის 11 საათზე იწყებოდა, ამ თამაშს 2500 გულშემატკივარი მაინც დაესწრო. „ასეთ შედეგს არ ველოდით", — გაკვირვებას ვერ ფარავს „ზიმბრუს" ერთ-ერთი წარმომადგენელი. სხვათა შორის, ქომაგთა სტადიონზე მისაზიდად ამგვარი მეთოდის გამოყენება კიშინიოვში სიახლე სულაც არ არის. გასულ სეზონში. „აგროს" ხელმძღვანელებიც ცდილობდნენ სტადიონზე გულშემატკივართა „შეტყუებას" და მათ პრიზის სახით სარეცხ საშუალებებს სთავაზობდნენ. მაშინ გუნდმა 28-დან მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო, რის გამოც იგი უმაღლეს დივიზიონსაც გამოემშვიდობა. ამას „ლუდის მოყვარულებმა" ერთგვარი ახსნაც მოუძებნეს — ეს იმიტომ მოხდა, რომ სარეცხი საშუალებების დალევა არ შეიძლება და „აგროს" ფანები რიგიანად ვერ ქომაგობდნენო. ვნახოთ, რა შედეგს მოუტანს „ზიმბრუს" „ლუდის მეთოდით" გულშემატკივრობა.

ლუდი და სარეცხი საშუალებები იქით იყოს და, „დანდის" მთავარმა მწვრთნელმა, ჯიმ დაფიმ „ლივინგსტონთან" მინიმალური ანგარიშით დამარცხების შემდეგ, სულ სხვა მეთოდი შეიმუშავა იმისთვის, რათა მისმა გუნდმა აღარ წააგოს. დაფის აზრით, ყველა უბედურების თავიდათავი არასერიოზულობაა, ამიტომ თავის ფეხბურთელებს მან სიცილიც კი აუკრძალა. „თუ ვინმე სტადიონზე მხიარულ განწყობილებაზე მყოფი მოვა, მას თავს მტაცებელივით დავაცხრები, — უთქვამს გაბოროტებულ მწვრთნელს, — გუნდში არავითარ ღლაბუცსა და ხუმრობას აღარ დავუშვებ. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ „ლივინგსტონთან" ჩვენი მარცხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს აღარ უნდა განმეორდეს. დასახული ამოცანა — ვერ შევასრულეთ და სატურნირო თვალსაზრისით სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდით".

ეჭვგარეშეა, თუ „დანდის" თავკაცი საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელის შეძენას მოინდომებდა, არჩევანს ტიერი ანრიზე შეაჩერებდა და არა რონალდინიოზე. — „როდესაც შინ ვბრუნდები, საკუთარ შეცდომებსა და გამოუყენებელ საგოლე მომენტებს ვიხსენებ, — განაცხადა ფრანგმა ფორვარდმა გაზეთ „სანი-სათვის" მიცემულ ინტერვიუში, — როდესაც გოლი გამაქვს, გაფუჭებულ საგოლე მომენტებს მაშინაც კი ვერ ვივიწყებ. ჩემპიონთა ლიგაში და ინგლისის თასის გათამაშებაში გამარჯვებისთვის კიდეც რომ მიგვეღწია, მაინც ცუდ ხასიათზე ვიქნებოდი იმის გამო, რომ ქვეყნის ჩემპიონატში ვერ მოვიგეთ. ვიცი, ყოველთვის წარმატების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ მე მხოლოდ გამარჯვება მინდა. „მონაკოში" თამაშის პერიოდში, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე მივაღწიე, მაგრამ ეს აღარავის ახსოვს, ყველა გამარჯვებულებზეა კონცენტრირებული. აბა, მეორე პოზიციაზე მყოფი ვის შეიძლება აინტერესებდეს? კარტის თამაშის დროსაც, ყოველთვის მოგებას ვცდილობ. თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ ხანდახან ჩემი ხასიათის გამო, მეტისმეტად აუტანელი ვარ. ვიცნობ ხალხს, რომელიც რონალდინიოს მხოლოდ იმის გამო მიანიჭებდა უპირატესობას, რომ იგი ერთთავად იღიმება. მე კი, ძალიან იშვიათად ვიცინი, მაგრამ ეს იმიტომ როდი ხდება, რომ პარტნიორებზე ვარ ხოლმე გაბოროტებული."

■

ლუბა ელიავილი

საბელისწერო ვოლაჟი

(დასაწყისი იხ. გზა №7-12)

თალდამცავები პატიმრობიდან ათავისუფლებენ ანკას მეგობარ ბესოს. მეორე დღეს, სადღაც გაუჩინარდება ლიკა. შეშფოთებული ნატალია ამისთვის პასუხს ელგუჯას სთხოვს, რომელიც ირწმუნება, რომ არაფერი იცის, თან უყვება გულის ამაჩუყებელ ამბავს: რამდენიმე წლის წინ, თურქეთში მყოფმა ლიკამ, რომელსაც მასთან რომანი ჰქონდა, ბავშვი გააჩინა; ამ დროს მას ნიკოლი პატრონობდა, მანვე უთხრა, რომ ჩვილი მკვდრად შობილი იყო; სასოწარკვეთილი ლიკა თბილისში დაბრუნდა და მისდა გასაოცრად, ნიკოლის მიერ მიცემულ კონვერტში სოლიდური თანხა — 4 ათასი დოლარი აღმოაჩინა... იმავე დღეს, ნატალიას, თბილისიდან და დაურეკავს და ლიკას ოჯახის ამბავს მოუყვება: თურმე მისი ძმა 8 წლის წინ გადაკარგულა, შინიდან ძვირფასეულობა წაუღია და მას შემდეგ, აღარც გამოჩენილა; მერე ვიღაცას ბაქოში უნახავს... ნატალიას ეჭვი უჩნდება, რომ ეს სასტუმროს მეპატრონე საიდია. გამოდის, რომ მას ღვიძლი და მოუკლავს...

ამასობაში, საიდი ინფარქტით კვდება, ნატალიას კი დაკარგული ლიკა ურეკავს და აფრთხილებს — ნიკოლი უბოროტესი ქალია და ერიდეთო...

თურქეთის კურორტზე მყოფი ნატალია თევზაძე და მისი შვილი ჯაბა ქართველი გოგონას, ანკას მოულოდნელი მკვლელობის გარემოებათა გარკვევისას, კურორტზე ასევე საქართველოდან ჩასულ ახალგაზრდა წყვილთან — ნათია და ელგუჯა ქორიძეებთან, მათი შვილების ძიძასთან, ლიკასთან, მეცნიერ-ფსიქიატრ ვახტანგ აბაშმაძესთან ურთიერთობენ. მათ კონტაქტი უწევთ აგრეთვე სასტუმროს მეპატრონე საიდსა და მის ცოლ ნიკოლთან. ნატალიას ხელში ჩაუვარდება ფოტო, რომელზეც დაღუპული ლიკას ოჯახია აღბეჭდილი — მაშინ, როდესაც გოგონა 4-ოდე წლის იყო. ვახტანგ აბაშმაძე ირწმუნება — ფიზიონომისტი ვარ და შემიძლია, ერთი შეხედვით გამოვიცნო, თუ რა უდევს გულში ადამიანსო. ის ფოტოზე გამოსახულ ადამიანთა ვინაობის დადგენას ცდილობს. ცოტა ხნის შემდეგ, ნატალია შეიტყობს, რომ ლიკა ელგუჯას საყვარელია და საკუთარ შვილს ეძებს... ბატონი ვახტანგი დედა-შვილს აცნობებს, რომ ანკას ჩანთაში ნაპოვნ ფოტოზე დაკვირვებისას, მან სენსაციური აღმოჩენა გააკეთა, რომელსაც სულ მალე გაანდობს. მაგრამ ეს არ დასცალდება: ნატალიასთან დათქმულ შეხვედრამდე, ის აივნიდან „გადმოფრინდება“... ნატალია თბილისში, თავის ტელეჟურნალისტ დას ურეკავს და რაღაც ინფორმაციის დადგენას სთხოვს. ვახტანგ აბაშმაძის ნოუტბუკში აღმოჩენილი აღსარებითი წერილის (ანკა მე მოვკალიო) წაკითხვის შემდეგ, თურქი სამართალდამცავები პატიმრობიდან ათავისუფლებენ ანკას მეგობარ ბესოს. მეორე დღეს, სადღაც გაუჩინარდება ლიკა. შეშფოთებული ნატალია ამისთვის პასუხს ელგუჯას სთხოვს, რომელიც ირწმუნება, რომ არაფერი იცის, თან უყვება გულის ამაჩუყებელ ამბავს: რამდენიმე წლის წინ, თურქეთში მყოფმა ლიკამ, რომელსაც მასთან რომანი ჰქონდა, ბავშვი გააჩინა; ამ დროს მას ნიკოლი პატრონობდა, მანვე უთხრა, რომ ჩვილი მკვდრად შობილი იყო; სასოწარკვეთილი ლიკა თბილისში დაბრუნდა და მისდა გასაოცრად, ნიკოლის მიერ მიცემულ კონვერტში სოლიდური თანხა — 4 ათასი დოლარი აღმოაჩინა... იმავე დღეს, ნატალიას, თბილისიდან და დაურეკავს და ლიკას ოჯახის ამბავს მოუყვება: თურმე მისი ძმა 8 წლის წინ გადაკარგულა, შინიდან ძვირფასეულობა წაუღია და მას შემდეგ, აღარც გამოჩენილა; მერე ვიღაცას ბაქოში უნახავს... ნატალიას ეჭვი უჩნდება, რომ ეს სასტუმროს მეპატრონე საიდია. გამოდის, რომ მას ღვიძლი და მოუკლავს...

ამასობაში, საიდი ინფარქტით კვდება, ნატალიას კი დაკარგული ლიკა ურეკავს და აფრთხილებს — ნიკოლი უბოროტესი ქალია და ერიდეთო...

კარგი, დამშვიდდი, სამ დღეში მივდივართ, — შეგვახსენა ელგუჯამ. სიჩუმე ჩამოვარდა. ცოცხალი მუსიკა, მართლაც შესანიშნავი იყო. საღამოს ზღვაში სანაპიროს სინათლეები ირეკლებოდა, აუზში წყალი ლივლივებდა. ისეთი იდილიური განწყობილება დამეუფლა, თითქოს ცუდი არაფერი მომხდარიყოს.

— მოდი, ამ მშვენიერ საღამოს ჩვენი შეხვედრის სადღეგრძელო დავლიოთ და ბატონ ვახტანგს სწრაფი გამოჯანმრთელება ვუსურვოთ, — ჭიქა ასწია ელგუჯამ. ცრემლი მომერია და ცხვირსახოცის ამოსაღებად პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩავიყავი. რაღაც ოთხად გაკეცილი ფურცელი ამომყვა. ანგარიშმიუცემლად გავშალე. შავი ფანქრით რამდენიმე სახე იყო დახატული, დაახლოებით ისე, როგორც ფოტორობოტზე ხატავენ ხოლმე. „ყმაწვილი ფოტოდან“, — ეწერა ერთ სახეს. მეორეზე — იგივე სახე შუბლზე ჩამოშლილი თმის გარეშე იყო გამოსახული; მესამეზე კი, ნიკოლის ვარცხნილობით — მხრებზე დაყრილი კულულებით. „ნიკოლი ტრანსსექსუალია“, — ეწერა ბოლო ფიზიონომიას, ბატონი ვახტანგის მტკიცე ხელით. ეს ის ფურცელია, მის სხეულთან რომ ეგდო. როგორც ჩანს, დაუფიქრებლად ჩავიდე ჯიბეში. თითქოს თავში კომბალი ჩამცხესო, გონება გამინათდა. ნამდვილი ბატი ვარ. მთელი ამ ხნის განმავლობაში სიმართლე ზედაპირზე იდო. „არ მინდა, აკვიატებული აზრით შეპყრობილ ადამიანად ჩამთვალოთ...“ როგორც ჩანს, ქვეცნობიერად ბატონი ვახტანგიც ხვდებოდა, ნიკოლი ტრანსსექსუალი რომ იყო, იმიტომაც გაახსენდა, ჯაბას უწყინარ შენიშვნაზე — ნიკოლის უხეშობის შესახებ, ისტორია ფსიქიატრიის სახელმძღვანელოდან. მისი ნაამბობი ნიკოლმაც მოისმინა. მან ხომ ქართული იცოდა, მერე ბატონი ვახტანგის ხელში ჩემი მიცემული ფოტოც შენიშნა და დაიძახა. ალბათ, მასთან აპირებდა მისვლას ცნობისმოყვარე ფსიქიატრი, ექსპერიმენტის ჩასატარებლად, მაგრამ ნიკოლმა დაასწრო და თავად ესტუმრა. ანკასაც ის ელაპარაკებოდა ვერანდაზე. კოლია ობოლაძე ანუ მისი მამაკაცური ჰიპოსტასი არ უნდა ეხსენებინა საწყალ გოგონას. „საიდიც მაგან მოკლა — მას შემდეგ, რაც საიდმა ლიკასგან ზულეიკას ამბავი გაიგო“, — გავიფიქრე შეშფოთებულმა. — „ბოროტი კიკო დეიდა“ — გამახსენდა ლიზის შეფასება და მომეჩვენა, რომ საიდანღაც ნიკოლი მითვალთვალებდა. ვაჟას უნდა დავურეკო, ახლავე, სანამ მეც მომკლავს. ჯაბას დავუძახე.

— ნიკოლი, ნიკოლი ტრანსსექსუალია და მკვლელიც ის არის, — ვუთხარი და შეწუხებულმა გავიფიქრე: ნეტავ, სწორად ვიქცევი, ბავშვს ამდენ სიბინძურეში რომ ვახედებ-მეთქი?

— მეც ვხვდებოდი ამას. აბა, სად გინახავს ქალზე ორმოცდასამი ზომა ფეხი?! — არ დაიბნა ჯაბა.

— მე ნომერში ავალ, ვაჟა ბერაიას სავიზიტო ბარათს ვნახავ, უნდა დავურეკო, — ვუთხარი ჯაბას და სასტუმროსკენ წავედი. ჩემი ტელეფონი აწკრიალდა. ლიფტთან შევჩერდი და დას

ვუპასუხე, თუმცა უკვე კარგად ვიცოდი, რასაც მეტყოდა.

— მაგ შენს კოლია ობოლაძეს ოთხმოცდათხუთმეტ წელს, მოსკოვში სქესის შეცვლის ოპერაცია გაუკეთებია და მერე გათხოვილა კიდეც. ინფორმაცია კონფიდენციალურია. ასე რომ, ჩემს მოწოდებულ ცნობებს თუ ვინმეს გადასცემ, ინფორმაციის წყარო არ გააბაზრო!

ელენეს მადლობა გადავუხადე და ნომერში შევედი. ჯიბეში ბატონი ვახტანგის ოთხად გაკეცილი ფურცელი ვერ ვნახე. ალბათ, მაგიდაზე დამრჩა. გადავწყვიტე, ფურცელი რომ არ დაკარგულიყო, ჯერ ჯაბასთან დამერეკა. აივანზე გავედი. იქიდან დავინახე, როგორ ამოიღო ჯაბამ ჯიბიდან ტელეფონი ჩემს ზარზე საპასუხოდ და მობილური ხელიდან გამივარდა: რაღაც ძალამ ჰაერში ამაგდო და აივნის მოაჯირს იქით აღმოვჩნდი. ვერ გეტყვით, დღესაც არ ვიცი, როგორ მოვახერხე, მოაჯირს მოვბღაუჭებოდი. აივნიდან გადაკიდებული, კივილით ვიკლებდი იქაურობას. „ასე გადაადგო ბატონი ვახტანგიც, კოჭებში წაავლო ხელი და მოაჯირს მოულოდნელად გადააცილა“, — გამიელვა თავში. ნიკოლი შავი, მაღალქუსლიანი, ორმოცდასამი ზომა ფეხსაცმლის წვეტიან ქუსლს მარჭობდა მოაჯირზე მოჭიდებულ ხელებში. ტკივილს ვეღარ გავუძელი და ერთი ხელი გავუშვი. „ფეხსაცმელს, ალბათ, სპეცშეკვეთით იკერავს“, — გავიფიქრე მორიგი სისულელე. ამბობენ, რომ სიკვდილის წინ ადამიანები მთელ ცხოვრებას იხსენებენ ელვისებური სისწრაფით, მე კი თავში მხოლოდ იდიოტური აზრები მომდის. ეტყობა, ჯერ არ ვკვდები ან მართლა ბატი ვარ. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და დასისხლიანებული ხელი ისევ ჩავავლე მოაჯირს. მოულოდნელად, ნიკოლის ფეხები სადღაც გაქრა. ვიღაცის მზრუნველი ხელები მაჯებზე შემომეჭდო და ფრთხილად ამწია ზევით. თავზე ჯაბა და ელგუჯა მადგნენ. აივნის მეტლახის იატაკზე ნიკოლი ეგდო, თავიდან სისხლი სდიოდა.

— მოკალით? — ძლივს შევარხიე ტუჩები.

— არა, გათიშულია, — დამამშვიდა ელგუჯამ. — რა ღონიერი ყოფილა, მაგის ... დედა ...

მერე ჩემი შერცხვა და გატრიალდა.

— ლიზი სად არის? — ამოვიკვნესე მე.

— ბავშვები ნათიასთან არიან, — ისევ ელგუჯამ მიპასუხა. ჯაბას გავხედე, საწოლის კიდეზე იჯდა და ხმის ამოუღებლივ მიყურებდა. ალბათ ეშინოდა, ტირილი არ წასკდომოდა. ნომერში სასტუმროს დაცვა შემოვარდა. თურქი ჟანდარმების მოსვლამდე, ყველა ერთად დაგვაკავეს — მეც, ჯაბაც, ელგუჯაც და თავგატეხილი ნიკოლიც. გამომძიებელთან ერთად, ვაჟა ბერაიაც მოვიდა. ცუდი ამბავი მოგვიტანა.

— ბატონი ვახტანგი გარდაიცვალა, — მითხრა სევდიანად და ხელზე ხელი მომიჭირა.

— რა უცნაურია, სანამ თავისი სათქმელი არ გაგვაგებინა, სიკვდილს ებრძოდა. ახლა კი დაისვენა, მკვლელი რომ დაიჭირეს, — ხმამაღლა თქვა ჯაბამ ყველას სათქმელი. ჩემს ვაჟს შევხედე და მივხვდი, როგორ გაზრდილიყო და დადინჯებულიყო ამ ათ დღეში.

მეორე დილას ბესო დაბრუნდა. ჯაბამ ჩემთან მოიყვანა, სიხარულით ცმუკავდა, ბესო მადლობას რომ მიხდიდა. მივხვდი, ჩემი შვილი ბედნიერი იყო, მეგობარს რომ დაეხმარა და დედაც იხსნა სიკვდილისაგან. პირველმა შოკმა რომ გაიარა, ჯაბამ მიამბო, როგორ უპოვეს ნიკოლს ის ფურცელი, ბატონმა ვახტანგმა მისი სახე რომ დახატა. ალბათ ლიფტთან დამივარდა, მობილურის ამოღებისას. ნიკოლი უკან მომყვებოდა. მან დაინახა, როგორ მოულოდნელად დავტოვე სადღესასწაულო სუფრა და დაინტერესდა, სად მივდიოდი. ჯაბას ნიკოლისთვის თავში სპილენძის ძმიმე, დელფინებიანი საფერფლე ჩაურტყამს და ისე გაუთიშავს. ჩემი მხსნელი საფერფლე, ერთადერთი ნივთი იყო ჩვენს კოპწია ნომერში, რომელიც საოცრად არ მომწონდა, რადგან უგემოვნოდ მეჩვენებოდა და იქაურობისათვის შეუფერებლად მიმაჩნდა.

სულ რამდენიმე საათით ლიკაც გამოჩნდა. ვაჟა ბერაია მას ბავშვის დაბრუნებაში ეხმარება.

ელგუჯამ ნათიას გაუმხილა ლიკას ამბავი და პატიება სთხოვა. ნათია ქმარს არ ელაპარაკება. მეც ვურჩევ, შეურიგდეს. ნათია ძალიან გულნატკენი და დაბნეულია. ეტყობა, რომ ქმართან განშორება არ უნდა, მაგრამ არც ის იცის, როგორ მოექცეს ელგუჯას და ლიკას შვილს.

მე, ჯაბამ და ლიზიმ ბოლო დღეებში ზღვაზე დასვენება შევირგეთ. სასტუმროში ახალი, ძალიან მხიარული მენეჯერი მოგვივიდა. ადმინისტრაცია ნემსის ყუნწში ძვრება, უარყოფითი ემოციები რომ გაგვიქარწყლოს. ჩვენც ყველანი, ხალისიან შეჯიბრში ვმონაწილეობთ. ჯაბას გუნდმა აუზის გადაცურვასა და წყალში ჩაყრილი კოვზების ამოღების კონკურსებში გაიმარჯვა. ამას მეტწილად იმან შეუწყო ხელი, რომ ჯაბა წყალბურთელია და ბუნებრივია, კარგად ყვინთავს და ცურავს. მაგრამ არც ის არის უმნიშვნელო, რომ ორივე შეჯიბრს ბესო მსაჯობდა. ოთო ქორიძემაც გამოიჩინა თავი — აუზში ჭყუმპალაობდა და ფსკერზე ნაპოვნ კოვზებს ხან მამამისს უდებდა ხელში, ხან — ჯაბას. მოკლედ, ჩვენი გუნდი წესებს არღვევდა, ცუღლუტობდა და მაინც პირველი ადგილი აიღო. ამ ამბავმა ყველა ძალზე გაგვახალისა... საერთო წარმატებაში ჩვენი წვლილი მე და ლიზიმაც შევიტანეთ. მე სიმღერების კონკურსში, ლუი არმსტრონგის და ბარბრა სტრეიზანდის შესრულებით, „ჰელოუ დოლი“ გამოვიცანი და ელგუჯას გავაგებინე. ის კი აუზის კიდეზე დადგმული სკამისაკენ გაიქცა, რომ ჩვენი სწორი პასუხი, როგორც წესი მოითხოვს, იმ სკამზე შემდგარს გამოეცხადებინა. გზად აუზის სველ ზედაპირზე, ფეხი აუსრიალდა და მწარედ დაეცა. გამარჯვება მაინც ჩაგვითვალეს, რადგან ჩემ გარდა, ეს, თავის დროზე პოპულარული სიმღერა, ვერავინ გამოიცნო. ამიტომ ელგუჯა კოჭლობითაც კი, პირველი და ერთადერთი მივიდა გამარჯვებულის სკამთან. ამ ამბავმა ძალიან შემაცბუნა, პოპულარობის ამაოებაზე ჩავფიქრდი: „თუ ჩემ გარდა არავის ახსოვს ცნობილი ჯაზმენი და მომღერალი, ალბათ, ამ ტერიტორიაზე ყველაზე ბებერი ვარ“, — ყურები ჩამოვყარე და თავი გამოქვაბულის ადამიანად წარმოვიდგინე... ლიზის წვლილი, გამოსამშვიდობებელ საღამოს, ჩვენ მიერ მოგებული მედლების მოგროვებაში გამოიხატა. ის, ოთო და კატო ქორიძეებთან ერთად, ყიჟინით დარბოდა სცენაზე და ყველას ფეხებში ედებოდა. როცა ჩვენი ფალავანი — ელგუჯა ქორიძე „მისტერ სილენდად“ გამოაცხადეს, მან თავისი გამარჯვება ქალბატონ ელისაბედ თევზაძეს უძღვნა,

რამაც ლიზი სულ გადარია. ოთო და კატო კი საეჭვოდ გაყუჩდნენ. კატომ ქვედა ტუჩიც კი გამობზიკა და სატირლად მოემზადა, მაგრამ ელგუჯამ სასწრაფოდ გამოასწორა შეცდომა, სამივე ერთად აიყვანა ხელში და თავისი გამარჯვება ახლა ცოლის დამსახურებად გამოაცხადა. ისიც მიიწვია სცენაზე. ნათიას სხვა რაღა დარჩენოდა, ტრიუმფატორ ქმარს შეურიგდა. ბოლოს ყველამ ერთად, მედლებით მკერდდამშვენებულებმა, სურათებიც გადავიღეთ.

ლიზის ისე მოეწონა თავისი სრული სახელი, ყველას მოგვთხოვა, — ამიერიდან, ელისაბედი დამიძახეთო.

უსიამოვნო მოგონებებმა მხოლოდ მაშინ წამოყო თავი, მე და ჯაბამ პლაჟზე მომავალ ბესოს ხელში ანკას ზურგჩანთა რომ დავუნახეთ.

— ეგ საიდან გაქვს? — ჰკითხა ჯაბამ მეგობარს.

— ანკას „რუკზაკია“, ქვის ქვეშ ვიპოვე, — ალალად გვითხრა დამწუხრებულმა ბესომ. მე და ჯაბამ ერთმანეთს გადავხედეთ, მაგრამ ბესოს არ გავუმხილეთ, როგორ მოხვდა ქვის ქვეშ ხსენებული ნივთი.

ასე დასრულდა ჩვენი ანტალიური ვოიაჟი. აეროპორტში ვაჟა ბერაიამ გაგვაცილა. იგი ლიკას ვიზის გაგრძელებაში ეხმარება, ბავშვის საბუთების გაფორმება რომ მოასწროს. ამიტომ ლიკა ჩვენთან ერთად არ მოფრინავს. ბერაია ისეთი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ლიკა თოლორაიას ვაჟკაცობაზე, რომელიც მან ბავშვის დასაბრუნებლად გამოიჩინა, რომ ვგრძნობ, პატარა ზულეიკას, ბედი დედასთან ერთად, მამინაცვალსაც არგუნებს. ამ აზრს ისიც მიძლიერებს, რომ ლიკა აეროპორტში ჩვენს გასაცილებლად არ მოვიდა. არა მგონია, რომ მას ეს ნათიას რიდით ჩაედინა. როგორც ეტყობა, ვაჟამ იცის, ვინ არის ბავშვის მამა, რადგან ელგუჯასთან თავი შედარებით ოფიციალურად უჭირავს. ამ თვითმფრინავით ბატონი ვახტანგის ცხედარსაც მოასვენებენ. „მოაჯირისათვის ხელის ჩავლება რომ ვერ მომესწრო, მეც ასე ჩამდებდნენ თუთიის კუბოთი საბარგო განყოფილებაში“, — გავიფიქრე და ვიკითხე:

— ნიკოლს თუ წაუყენეს ბრალი?

— ნიკოლი, მხოლოდ ბატონი ვახტანგის მკვლელობას და თქვენი მკვლელობის მცდელობას აღიარებს. ბავშვის გატაცებასაც, რასაკვირველია, — მიპასუხა საკონსულოს თანამშრომელმა. — ქმარი და და — ანუ ანკა მაკარიძე, მე არ მომიკლავსო, ამტკიცებს. მისი ჩვენებით, ბატონი ვახტანგი იმიტომ მოკლა, რომ ანკას მკვლელი ეგონა, რადგან ის სურათი ჰქონდა, ადრე დამ რომ აჩვენა... ქმრის შემთხვევაში, მგონი არ ცრუობს, ექსპერტების აზრით, საიდის სიკვდილის მიზეზი მართლაც ინფარქტია. ანკას მკვლელობას კი, ვერ ვხვდები, რატომ არ ამხელს. ეს მის სასჯელს ვერაფრით დაამძიმებს, ისედაც მაქსიმუმს მიუსჯიან.

— იქნებ, ანკაც შემთხვევით დაიხრჩო წყალში და ექსპერტებმა შეცდომა დაუშვეს?

— არა, ექსპერტიზა კატეგორიულად გამორიცხავს ასეთ შეცდომას. ალბათ, ის მხოლოდ იმ დანაშაულებს აღიარებს, რომლებზეც უტყუარი მტკიცებულებები არსებობს. ბატონი ვახტანგის ოთახიდან წამოღებული ფოტოსურათი მის ქაღალდებში იპოვეს.

— რატომ არ გაანადგურა?

— იქნებ, სენტიმენტალური გრძნობების გამო. მშობლების ოჯახიდან სხვა ხომ არაფერი ჰქონდა სამახსოვრო. როგორც თვითონ ამბობს, ბატონმა ვახტანგმა სურათი აჩვენა და პირდაპირ აჯახა, — ზუსტად ვიცი, რომ ამ ფოტოზე თქვენ ხართ გამოსახულიო. მან ბატონ ვახტანგს კონიაკი შესთავაზა და თან თავისი ამბის მოყოლა დაუწყო. კონიაკში დიდი რაოდენობით წნევის წამალი იყო გარეული. გათიშული ვახტანგი ნიკოლმა აივნიდან გადააგდო, ფოტო კი თან წაიღო და დამალა... ნიკოლს წარმოდგენაც არ შეეძლო, რომ ვახტანგ აბაშმაძეს ჯიბეში ნახატებიანი ფურცელი ედო.

„დაუჯერებელია, ნიკოლს ანკა მოეკლა, მისი ბავშვობის სურათი კი შეენახა“, — გავიფიქრე მე, მაგრამ ხმამაღლა არაფერი მითქვამს, რადგან ჩასხდომა გამოცხადდა და ვაჟა ბერაიას დავემშვიდობეთ. გამოდის, რომ ბატონი ვახტანგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა მე მის კარზე ვაკაკუნებდი. ალბათ ნიკოლი სწორედ ამ დროს წერდა მის კომპიუტერში „სიკვდილის წინა წერილს“. მე რომ მეტი დაჟინება გამომეჩინა და კარს არ მოვცილებოდი, იქნებ ვერც გაებედა მკვლელს, მისი აივნიდან გადაგდება. არც ის მგონია, რომ საიდს გულის შეტევა მხოლოდ ლიკას ნათქვამის გამო მოსვლოდა. გამწარებულმა ნიკოლმა, შესაძლოა, პირში მიახალა ქმარს, ექვსი წელი მამაკაცი რომ ჰყავდა ცოლად, თანაც მკვლელი. თბილისის აეროპორტში ვახტანგ აბაშმაძის შავებში ჩაცმული ჭირისუფალი რომ დავინახე, თვალი ავარიდე და გადავწყვიტე, ეს უსიამოვნო მოგონებები მეხსიერების სკივრში სამუდამოდ ჩამეკეტა.

ჩემი თავგადასავალი დასრულებული მეგონა, ერთ შემთხვევას ყველაფერი თავდაყირა რომ არ დაეყენებინა: ანტალიიდან ჩამოსულებმა, ბარგის ამოლაგება და ჩვენს ახალგარემონტებულ სახლში ყველაფრისთვის თავ-თავისი ადგილის მიჩენა, ორი კვირის თავზე, როგორც იქნა, დავასრულეთ.

იმ დილას, ჯაბა ნახევარ საათში სიურპრიზით დაბრუნებას დამპირდა და სადღაც გავარდა. ლიზი ღამით ბებიასთან დარჩა. მისი არყოფნით ვისარგებლე და სათამაშოების გადარჩევა დავიწყე. დამტვრეული და გაფუჭებული სათამაშოების გადაყრას მხოლოდ მაშინ ვბედავ, როდესაც ელისაბედი შინ არ გახლავთ, თორემ თვითონ, ისეთი წუწურაქია, თოჯინის ყუთიც კი არ ემეტება გადასაგდებად. „განძეულიანი“ ზარდახშა რომ გავხსენი, ანკას „შავი მარგალიტის“ მძივი აღმოვაჩინე. ალბათ, ლიზიმ ჩადო ზარდახშაში, როცა ანკას ზურგჩანთა გადმოაქოთა.

„დედამისს უნდა დავუბრუნო“, — გავიფიქრე და გამოსაჩენ ადგილას, კომოდზე დავდე. ამ დროს, კარზე ზარი გაისმა. „ვასიკო იქნება, ჯაბა ასე მორიდებულად არ დარეკავდა“, — გავიფიქრე და კარის გასაღებად წავედი. ჩემი ძვირფასი მეუღლე აეროპორტში დაგვხვდა. მე მას ბავშვები გავაყოლე და ჩემოდნები გავატანე, თვითონ კი ტაქსით წამოვედი სახლამდე. ალბათ, ეს არის ჯაბას დაპირებული სიურპრიზი. ახლა რაიმე საჩუქარს მომართმევს და პატიებას მთხოვს. ამ ორ კვირაში ათჯერ მაინც დამირეკა მონანიების ტექსტით. წარბშეკრულმა გავაღე კარი. ზღურბლზე ბესო იდგა.

— გამარჯობა, ტასო დეიდა. ანტალიიდან ჩამოვედი. ჯაბა სახლშია?

— გასულია, მალე მოვა. შემოდი, დაელოდე, — შევიპატიჟე შორი გზიდან ჩამოსული სტუმარი. ბესო ოთახში შემომყვა.

— დაჯექი, — ხელით ვანიშნე სავარძელზე. უცებ, ჩემს სტუმარს თვალები გაუფართოვდა. მის მზერას თვალი გავაყოლე და კომოდზე დადებული ანკას მძივი დავინახე. ის იყო, ახსნას ვაპირებდი, როგორ მოხვდა მძივი ჩემთან, მაგრამ ბესომ არ მაცალა.

— ტასო დეიდა, ერთი ჭიქა წყალი დამალევინეთ, ძალიან გთხოვთ, — მითხრა აღელვებული ხმით.

— ახლავე, — გავტრიალდი სამზარეულოსკენ, მაგრამ მაშინვე შემოვბრუნდი. მინდოდა, სავარძელში ჩამესვა. მომეჩვენა, რომ ძალიან ცუდად იყო. ბესო კომოდის წინ იდგა და ჯიბეში ქურდულად იტენიდა მძივს.

— ახლავე დადე ადგილზე, შე არაკაცო! — წამოვიყვირე გაბრაზებულმა. ეტყობა, იმან აღმაშფოთა, ჩემი წვალებით გადარჩენილი ბესო რომ მპარავდა რაღაცას.

— ეს მძივი მე მეკუთვნის და ვერავინ წამართმევს, — ჯიქურ შემომიტია უმადურმა ანიმატორმა.

— შენი კი არა, ანკასია, — დავიწყე მე და უცებ მივხვდი, რომ შავი მარგალიტი ნამდვილი იყო. — შე მარ-ოდიორო, მკვლელობაზე უარესია... ბოლო სიტყვების დასრულება არ დამცალდა. უნდა მეთქვა, რომ მიცვალებულის ნივთის მოპარვა მკვლელობაზე უარესია-მეთქი. ჩემი დაუფიქრებელი წამოძახილი კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა. ბესომ არაადამიანურად დაიღრიალა, იატაკზე დამაგდო და სავარძლის ბალიშით დამიწყო გაგუდვა. „აი, ასე მოკლა ანკა“, — გავიფიქრე და მივხვდი, რომ ბედი დამცინოდა და კვლავ ჩემი აღმოჩენილი მსხვერპლის სიკვდილის სცენას ვიმეორებდი თავიდან. „ნიკოლმა აივნიდან ვერ გადამაგდო, ვერც ბესო გამგუდავს“, — ამ აზრმა ძალა შემმატა. გავიბრძოლე და ბალიშის ქვემოდან დავუსხლტი მკვლელს. მან ახლა ყელში წამავლო ხელი და ისე განაგრძო ჩემი დახრჩობა. „ისევ ბალიშით სჯობდა, ამ საშინელ, გადმოკარკლულ თვალებს მაინც არ ვხედავდი“, — გავიფიქრე და მივხვდი, რომ გონებას ვკარგავდი, მაგრამ ეს არ იყო ჩემი უკანასკნელი აზრი — თვალწინ ვასიკო თევზაძე დამიდგა, ხელში თეთრი შროშანების უზარმაზარი თაიგულით. „როგორ მყვარებია, თუკი სიკვდილის წინ მხოლოდ ის გამახსენდა“, — გავიფიქრე და გავითიშე... გონს რომ მოვედი, თავზე ვასიკო და ჯაბა მადგნენ, ოთახში ფორმიანი, უცხო კაცები ირეოდნენ და იატაკზე მიმობნეულ შროშანებს თელავდნენ. მალე პოლიციელებმა ბესო წაიყვანეს. ვასიკო სამზარეულოში გავიდა, ჯაბა კი საწოლთან ჩამომიჯდა.

— ხომ ხედავ, ტასი, მე და შენ ორივე ერთნაირი ბატები ვართ. რა არ ვიჩალიჩეთ, იმ დამპალი მკვლელის გადასარჩენად!

— ნიკოლი ანკას რომ ეუბნებოდა, რაც მოგეცი, იკმარეო, ალბათ, ამ მძივს გულისხმობდა, — წამოვიკნავლე მე.

— ამოიგდე თავიდან ეგ სისულელეები და მომისმინე: სანამ ტასიკოსავით ვინმე კომშის გარნირით არ დაგიპირებს შეხრამუნებას, იქნებ, გადაწყვიტო და აპატიო ვასიკოს?! ხომ ხედავ, რაც ერთმანეთს დაშორდით, შარი გეძებს.

— მაგის გამო არ შევურიგდები.

— აბა, რის გამო შეურიგდები?

— შენ და ლიზის რომ გიყვართ, იმიტომ, — ვუთხარი და ავტირდი.

შერიგება მთელმა ოჯახმა რესტორან „კოპალაში“, ღია ვერანდაზე აღვნიშნეთ. ვასიკოს ჩვენი ხიფათიანი თავგადასავალი ჯაბამ უამბო. ვასიკომ გვითხრა, რომ ქართველი პოლიციელები უკვე დაჰკავშირებოდნენ თურქებს. თურმე ისინიც იდგნენ ბესოს კვალზე, რადგან, ანკასთვის ნიკოლის მიცემული შავი მარგალიტის მძივი, შესაფასებლად ბესოს მიუტანია. როცა გაიგო, რომ მძივი ორმოცი ათას დოლარამდე ღირდა, ბესოს გონება დაუბნელდა. ის თავიდან ანკას მოკვლას არ აპირებდა. უბრალოდ, მოატყუა, რომ მძივი იაფფასიანი იყო. გაბრაზებული ანკა ნიკოლს მიუვარდა და იაფფასიანი მძივის ნაცვლად ფული მოსთხოვა. ეს ამბავი ნიკოლმა თურქ გამომძიებლებს უამბო. მათ ის იუველირიც აღმოაჩინეს, რომელსაც „გურჯმა ბიჭმა“ შესაფასებლად შავი მარგალიტის მძივი უჩვენა. როგორც ჩანს, ნიკოლთან საქმის გარჩევის მერე, რომლის უნებლიე მოწმეც გავხდი, ანკას, მეგობრის გულწრფელობაში ეჭვი შეეპარა. მას არც ის მოეწონა, ბესო ათასგვარი ხერხით რომ ცდილობდა მისთვის მძივის დაცინცვლას. სწორედ ამის გამო წაკამათდნენ ისინი ბარში. ნასვამ ანკას, რომელმაც მძივის დამალვა ბუნგალოში დააპირა, ფეხდაფეხ ბესო მიჰყვა. თავიდან მას უბრალოდ მძივის წართმევა და გაპარვა უნდოდა — ყოველ შემთხვევაში, ასე წერს თავის აღიარებით ჩვენებაში. ანკას სიკვდილის შემდეგ, ბესოს პირდაპირ გაქცევის შეეშინდა. ზურგჩანთა ქვის ქვეშ დამალა, გვამი ცურვით გაიტანა ზღვაში და იქ მიატოვა. სიბნელეში არავის გასჩენია ეჭვი, რომ რაღაც კრიმინალი ხდებოდა. გუშაგის კოშკურადან ისე ჩანდა, თითქოს შეყვარებული წყვილი ბანაობდა ზღვაში. ამასობაში ხალხი დაიშალა და დაცვამ სანაპიროზე გადმოინაცვლა. ბესო „გოზლემეს“ რესტორანში დაიმალა. დაღლილს და ნანერვიულებს მალე ჩაეძინა. ის დილას რესტორნის გასაღებად მოსული აიშეს ხმამ გააღვიძა, მოაჯირზე გადაიპარა და ზღვისკენ წავიდა. სწორედ მაშინ დაინახა იგი სავარჯიშოდ გამოსულმა შვედმა. ბესომ გაქცევა მაშინ გადაიფიქრა, როცა ქვის ქვეშ ანკას ჩანთა ვეღარ იპოვა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ჩანთა მე ვიპოვე და იმის გარკვევა უნდოდა, ჟანდარმებს ჩავაბარე თუ გადავაგდე. ციხიდან გამოსული ბესო ლოდის ქვეშ აღმოჩენილმა ჩანთამ საგონებელში ჩაგდო. ბესო მძივის დაკარგვას თითქმის შეეგუა, მაგრამ ჩვენს სახლში, კომოდზე უდიერად დაგდებული რომ დაინახა, ისე გამოშტერდა, საკუთარი თავი გათქვა.

— ყველა დარდი და ცუდი მოგონება წარსულში დავტოვოთ, ჩვენს მომავალ, მხიარულ თავგადასავლებს გაუმარჯოს, — ხმა ამოიღო ვასიკომ. ლიზი წამოხტა და რესტორნის ვერანდაზე ასკინკილათი გაიქცა. ჯაბა დას გამოეკიდა. ჭიქა გამოვცალე და ვასიკოს შევხედე.

— მართლა იმიტომ შემირიგდი, რომ ბავშვებს ვუყვარვარ? — მკითხა ვასიკომ.

— ჰო, მაგიტომ.

— შენ არ გიყვარვარ? — არ მომეშვა ჩემი შინმობრუნებული ქმარი.

— მეც.

— რა შენც?

— მიყვარხარ, — ვუთხარი და ნარიყალას გავხედე.

დასასრული

მაქციას შემდეგ ნომერში

ნატალი პორტმანის კინოდებიუტი მაშინ შედგა, როდესაც ის მხოლოდ 13 წლის იყო. იერუსალიმში დაბადებული გოგონა მაყურებელს მატილდას როლში მოევლინა, რომელმაც დაქირავებულ მკვლელს მფარველობა სთხოვა და მალე მის ერთადერთ მეგობრად იქცა. მოკლედ შეჭრილმა თმამ და პირქუშმა გამოხედვამ მატილდა მილიონობით მაყურებლის საყვარელ გმირად აქცია, 13 წლის ნატალი კი ჰოლივუდის კაშკაშა ვარსკვლავთა რიგს შეუერთდა.

ნატალი პორტმანი – პრემიერული ლილეა, რომელსაც ეფიზლები ერქვა ერქვა

დღეს ახალგაზრდა ვარსკვლავის სახელი ყველასათვის ცნობილია. ნატალის მშობლები 70-იან წლების დამლევს, საბჭოთა მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვიდან წინაპართა წმინდა მიწაზე – ისრაელში გადასახლდნენ. ნატალი ებრაელთა წმინდა ქალაქში იერუსალიმში დაიბადა. მისი მამა პროფესიით ექიმი იყო, დედა – მხატვარი. გოგონა 3 წლის იყო, როდესაც ოჯახმა ისრაელი დატოვა და საცხოვრებლად აშშ-ში – ჯერ ვაშინგტონში, შემდეგ – ნიუ-იორკში, ბოლოს კი – ლონგ-აილენდზე გადავიდა.

სამსახიობო ასპარეზზე, ნატალის გამოსვლა შემთხვევითობამ განაპირობა. ერთ-ერთი სამოდელო სააგენტო პიცერიაში კონკურსს აცხადებდა. სააგენტოს თანამშრომლებმა პიცერიაში შემთხვევით მისული 11 წლის გოგონა შეამჩნიეს. სულ მალე მას კოსმეტიკურმა კომპანია Revlon-მა კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა, მაგრამ გოგონა მალე მიხვდა, რომ მოდელის პროფესია არ დააკმაყოფილებდა. მას უფრო მეტის მიღწევა სურდა. თავდაპირველად, ნატალის არც სამსახიობო კარიერა იზიდავდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, გოგონამ მსახიობობას გემო გაუგო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ნატალიმ საზაფხულო არდადეგების დროს, ბავშვთა თეატრალური ცენტრის – Stagedoor Manor Performing Arts Camp – გაკვეთილებზე სიარული დაიწყო. 1994 წელს, ის ჯერ კიდევ საბავშვო სპექტაკლში – „ანა გრინგეიბლსიდან“ – თამაშობდა, 1996 წელს კი, უფროსი ჯგუფის მოსწავლე ნატალი უკვე მუზიკლში – „კაბარე“ – სალის როლში ბრწყინავდა. ეს ის პერსონაჟია, რომელმაც თავის დროზე, დიდი წარმატება მოუტანა ლაიზა მინელის.

ნატალი პორტმანის თეატრალური დებიუტი მოგვიანებით შედგა. მანამდე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნორჩმა მსახიობმა ლიუკ ბესონის ფილმში – „ლეონი“ გადაღება მოასწრო. რეჟისორმა ნატალი მხოლოდ ხელმეორე სინჯების შემდეგ აიყვანა, რადგან მიაჩნდა, რომ ამგვარ ფილმში მონაწილეობისათვის გოგონა ძალზე პატარა იყო. ბესონი დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ მანც გარისკა და ეს ურთულესი როლი 13 წლის დამწყებ მსახიობს მიანდო. სახელოვან რეჟისორს ნატალის მშობლების მიერ წამოყენებული რამდენიმე პირობის შესრულება მოუხდა. მათ ფილმიდან იმ ეროტიკული სცენების ამოღება მოითხოვეს, რომლებშიც სცენარის მიხედვით, ქალიშვილს უნდა მიეღო მონაწილეობა. მათი მოთხოვნით სურათში ძალადობის სცენებიც მაქსიმალურად შემცირდა. გარდა ამისა, ნატალის მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, მათი ნამდვილი გვარი საზოგადოებისათვის დაფარული უნდა დარჩენილიყო. ამიტომ, ნატალიმ ფსევდონიმად ბებიის გვარი – პორტმანი აიღო. მაგრამ ყველა ეჭვი ამაო აღმოჩნდა – „ლეონი“ ახალბედა მსახიობისათვის დიდი კინემატოგრაფის სამყაროში შესასვლელ საშვად იქცა. ჰოლივუდში გოგონა მაშინვე შეამჩნიეს და „ახალგაზრდა ტალანტად“ შერაცხეს. მას „სასწაულებრივ ბავშვადაც“ მოიხსენიებდნენ. არც კირსტენ დანსტს და არც „ოსკაროსან“ ანა პაკუინს არ რგებია წილად მაყურებლისაგან ისეთი სიყვარული და თაყვანისცემა, როგორიც პორტმანმა მოიპოვა.

ეკრანებზე „ლეონის“ გამოსვლის შემდეგ, ნატალი დიდ პროექტებში მიიწვიეს. რობერტ დე ნიროსა და ალ პაჩინოს შესანიშნავი დუეტით ცნობილ სურათში – „ორთაბრძოლა“ (რეჟისორი მაიკლ მანი) ნატალიმ ალ პაჩინოს გმირის გერი განასახიერა, რომელიც მამასთან დაძაბული ურთიერთობის გამო, სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას ცდილობს...

1996 წელს ნატალი პორტმანი ერთდროულად 3 ფილმში გადასაღებად მიიწვიეს. ესენი გახლდათ: ტიმ ბარტონის – „მარსი უტევს“, ჯუდი ალენის – „ყველა ამბობს, რომ მე შენ მიყვარხარ“ და – „ლამაზი გოგონები“. ტიმ ბარტონის სურათში ისეთმა ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი, როგორებიც არიან: ჯეკ ნიკოლსონი, პირს ბროსნანი, დენი დე ვიტო. ფილმი თითქოსდა ჰიტად უნდა ქცეულიყო, მაგრამ მოსაწყენმა სცენარმა მაყურებელს იმედი გაუცრუა. სურათის შემოსავალმა (40 მლნ დოლარი) გადაღებაზე გაწეული ხარჯებიც კი ვერ დაფარა. ფილმში – „ლამაზი გოგონები“ – ნატალიმ ასაკით მასზე გაცილებით უფროს მამაკაცზე შეყვარებული გოგონა განასახიერა. ამ ფილმში მეთ დილონი და უმა თურმანი მონაწილეობდნენ, მაგრამ კრიტიკოსებმა სურათის მთავარ ღირსებად ნატალი პორტმანის მიერ განსახიერებული პერსონაჟი დაასახელეს.

მალე ახალგაზრდა მსახიობს მიეცა შანსი, რომ ნაბოკოვის „ლოლიტას“ ეკრანიზაციაში ლოლიტას როლი ეთამაშა



და ამით კიდევ უფრო განემტკიცებინა თავისი ვარსკვლავური იმიჯი. მაგრამ ნატალის მშობლებმა ჩათვალეს, რომ „ვარყვნილი სცენებით" დატვირთულ ფილმში მონაწილეობა მათი ქალიშვილის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე უარყოფითად იმოქმედებდა და 16 წლის ნატალი პორტმანმა ამ როლზე უარი განაცხადა.

უნდა ითქვას, რომ მშობლებმა ნატალის სამსახიობო კარიერაში უდიდესი როლი ითამაშეს. ისინი ყოველთვის იცავდნენ გოგონას, პოპულარობისა და დიდების ნეგატიური ზეგავლენისაგან, თავად აკვარებდნენ იმ პრობლემებს, რომელთა მოგვარება ნორჩი მსახიობისათვის უხერხული და მიუღებელი იყო. დედა მუდამ თან დაჰყვებოდა გადაღებებზე, ზრუნავდა იმისთვის, რომ გოგონას თავის დროზე ეჭამა და დაესვენა, თავისუფალ დროს გაკვეთილების მომზადებაში ეხმარებოდა და ნატალის მთელ ჰონორარს მისი განათლებისათვის სპეციალურად გახსნილ „საუნივერსიტეტო ფონდში" რიცხავდა.

ლოლიტას როლზე უარის თქმას ერთი წარუმატებლობაც მოჰყვა. ცნობილ ფილმში – „რომეო და ჯულიეტა" მთავარი როლის მისაღებად ნატალი თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ რეჟისორმა ბეზ ლურმანმა, ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ, არჩევანი კლეარ დეინსზე შეაჩერა. მსახიობი დროებით, ისევ თეატრს დაუბრუნდა. მაგრამ ცოტა ხანში, შედგა შეხვედრა ლეგენდარულ რეჟისორთან და პროდიუსერთან ჯორჯ ლუკასთან, რომელმაც ნატალი მომავალ ფილმზე სასაუბროდ თავის ვილაში მიიწვია. როდესაც ნატალის დაურეკეს და ლუკასის მიწვევა გადასცეს, აღმოჩნდა, რომ მას „ვარსკვლავური ომების" არც ერთი სერია ნანახი არ ჰქონდა, რაც ლუკასთან შეხვედრამდე სასწრაფოდ უნდა გამოესწორებინა. რეჟისორთან საუბრის შემდეგ, ნატალი დიდხანს ყოყმანობდა, რადგან სწავლის გაგრძელებას აპირებდა და გადაღება ხელს შეუშლიდა, მაგრამ ბოლოს, მაინც დათანხმდა და არც შემცდარა. დედოფალ ამიდალასა და მისი მოახლის როლების



შესრულებით პორტმანმა თავის კარიერაში კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა. „ეპიზოდი II – კლონთა შეტევის" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ნატალი პორტმანი მთელმა მსოფლიომ გაიცნო. კონტრაქტის თანახმად, მან ჯორჯ ლუკასის ეპიკური საგის მესამე ნაწილშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

მსახიობს არც სწავლა გადაუდვია დიდი ხნით. მან ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩააბარა და გადაწყვიტა, რომ მსახიობობისათვის დროებით თავი დაენებებინა. მაგრამ საკუთარი თავისთვის მიცემული პირობა ვერ შეასრულა: 1999 წელს, ნატალიმ სიუზენ სარანდონთან ერთად ითამაშა კინოდრამაში – „ოლონდ, აქ არა". ერთი წლის შემდეგ კი, კომედიაში – „იქ, სადაც გულია" – ეშლი ჯადს გაუწია პარტნიორობა.

ნატალი პორტმანის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია შესანიშნავი სახე, რომელიც მან რეჟისორ ენტონი მინგელას სამხედრო დრამაში – „ცივი მთა" – შექმნა. მისი პარტნიორები არიან: ჯუდ ლოუ, ნიკოლ კიდმანი და რენე ზელვეგერი. ეს ფილმი ეკრანებზე გამოსვლისთანავე ჰიტად იქცა და 2004 წლის ყველაზე შემოსავლიან ფილმთა ხუთეულში შევიდა.

სულ მალე ნატალი პორტმანს ახალ რომანტიკულ კომედიაში – „მწველელი" – ვიხილავთ, ერთ-ერთ ინტერვიუში მსახიობმა „ლეონი-2"-თან დაკავშირებით ისაუბრა, რომლის გადაღებასაც უახლოეს მომავალში ბესონი აპირებს. მანამდე კი, ნატალიმ კიდევ ერთ დიდ წარმატებას მიაღწია: რეჟისორ მაიკ ნიკოლსის ფილმში „სიახლოვე" განსახიერებულმა როლმა მას „ოქროს გლობუსი" და „ოსკარის" ნომინაცია მოუტანა. ■

რას იწვნევს სემუელ ლ. ჯექსონი 50Cent-ს?

როდესაც ცნობილმა შავკანიანმა მსახიობმა სემუელ ჯექსონმა შეიტყო, რომ გადასაღებ მოედანზე მისი პარტნიორი რეპერი 50Cent უნდა ყოფილიყო, მან რეჟისორ ჯიმ შერიდანის ახლა ფილმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მსახიობის უკმაყოფილება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ მუსიკოსს არანაირი სამსახიობო გამოცდილება არ გააჩნია. „არ მესმის, რატომ ფიქრობენ, პოპულარული მატარებელი, რომ ნამდვილ მსახიობებთან ერთად თამაშის ღირსნი არიან?! მასთან ერთად ფილმში მონაწილეობაზე მხოლოდ მას შემდეგ ვფიქრებ, როდესაც 50Cent ხუთ სურათში მაინც ითამაშებს და გვიჩვენებს,



თუ რა შეუძლია", – განაცხადა ჯექსონმა. თავის მხრივ, აღშფოთებას არც 50Cent ფარავს: „მას რეპერთან ერთად თამაში არ ნებავს? მაშინ ნურც უილ სმიტთან, კუინ ლატიფთან ან აის კიუბთან ითამაშებს! მას უბრალოდ, ეშინია, რომ დაიჩრდილება. მართალი გითხრათ, მასთან ერთად თამაში არც მე მინდა, მას მხოლოდ ბებუჩემის როლის განსახიერება თუ შეუძლია". ფილმს, რომელმაც ასეთი ენებათაღელვა გამოიწვია – Locked and Loadad ეწოდება. მასში 50Cent ყოფილ ნარკოდილერს განასახიერებს, რომელიც დანაშაულებრივ წარსულზე უარს ამბობს და მუსიკალური კარიერის შექმნაზე ოცნებობს. ფილმის პრემიერა სავარაუდოდ, 2006 წლის დასაწყისში შედგება. ■

მკურნალობა გარანტიით!

თმის ცვენა, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა, ამოდის თმა, ტილები, წილები ისპობა 10 წუთში, კანის და ფრჩხილის სოკო, ფსორიაზი.

მის: ჭავჭავაძის გამზ. 2/2, ჩაის სახლთან, სგმეამოლოგიურ პოლიკლინიკაში, 11-18 სთ-ზე, შაბათს 13-15 სთ-ზე

☎ 30-94-73; 35-32-62; 893-91-89-17 (საღამოს)

მკურნალობამდე და შემდეგ

„ოსმორნემი“ – ერთი ნამიჯი ფინალამდე

რეალითი-საგა – „ოსბორნები“ არსებობას წყვეტს. 17 აპრილს სატელევიზიო ეთერში ამ პოპულარული შოუს ფინალური სერია გავა. გამოსათხოვარ გადაცემაში 4 სეზონის მანძილზე მაღალი რეიტინგისათვის მადლიერების გამოსახატავად MTV-ს ეთერი მთლიანად ოსბორნების ცნობილ ოჯახს დაეთმობა. დღის მანძილზე ნაჩვენები იქნება მეოთხე სეზონის თითქმის ყველა ეპიზოდი, ფინალური სერია კი, საღამოს 10 საათზე დაიწყება.

MTV-ს ეთერში „ოსბორნები“ პირველად 2002 წლის მაისში გამოჩნდა. სერიალში ოსბორნების ოჯახის ვარსკვლავური ცხოვრების პერიპეტიები და რთული მომენტები აისახა. ავტორებს მაყურებლისათვის არ დაუმალავთ, არც ოზის თავს გადამხდარი ავარია, არც შერონ ოსბორნის მკერდის კიბოთი დაავადების ამბავი და არც მათი შვილების – ჯეკისა და კელის, ნარკოტიკებით გატაცებასთან დაკავშირებული პრობლემები. „3 წლის მანძილზე, ტელეოპერატორები ჩვენი ოჯახის წევრებად იქცნენ, მათ ფირზე აღბეჭდეს ჩვენი ოჯახის ურთულესი პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ძალზე გვიჭირდა, მაინც მოხარულნი ვართ, რომ პრობლემები დავძლიეთ,“ – ამბობს შერონ ოსბორნი. MTV-ს არსებობის მანძილზე, „ოსბორნები“ ამ არხის ყველაზე წარმატებული შოუა, რომელმაც ოზი ოსბორნი გაზეთების პირველ გვერდებზე და ცნობილი ჟურნალების გარეკანებზე დააბრუნა. ამ პროექტმა მას ერთადერთი პრობლემა შეუქმნა: საქმე ის გახლავთ, რომ ცნობილი მუსიკოსი ახლა, არანაკლებად ცნობილ კომიკოსად და ტელევარსკვლავად იქცა და მის მუსიკას სერიოზულად აღარავინ აღიქვამს... ■

„ადამიანი–ობობას“ ახალი მსხვერპლი

„ადამიანი-ობობას“ ახალი მეტოქე მოუძებნეს. ამ ფილმის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, მესამე ნაწილში მთავარი ბოროტმოქმედის როლზე მსახიობი თომას ჰეიდენ ჩერჩი დაამტკიცეს, რომელიც ცოტა ხნის წინ,

ფილმში – „ზის განაპირას“ – ნათამაშები როლისათვის „ოსკარის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი. „ადამიანი-ობობას“ რელიზი 2007 წლის 4 მაისისთვის არის დაგეგმილი. ფილმზე მუშაობა კი მომავალი წლის დასაწყისში დაიწყება. პირველი ორი სურათის შემოსავალმა საერთაშორისო კინოგაქირავებაში 1,5 მილიარდ დოლარს მიაღწია. ფილმის გაგრძელებაზე ძველი გუნდის წევრები: რეჟისორი სემ რეიმი, პროდიუსერები – ლორი ზისკინი და ავი არადი იმუშავებენ; მთავარ გმირებს მაყურებლისათვის უკვე კარგად ნაცნობი მსახიობები ტობი მაკგუაირი და კირსტენ დანსტი განასახიერებენ. ტომას ჰეიდენ ჩერჩის გმირი ადამიანი-ობობაზე შურისძიების გრძნობით შეპყრობილი ბოროტმოქმედია. ჩერჩის, ფილმში – „ზის განაპირას“ – ნათამაშებმა როლმა დიდი პოპულარობა მოუტანა. მისი ადრეული ფილმებიდან აღსანიშნავია: საბავშვო კომედია – „ჯორჯი ჯუნგლებიდან“, დრამა – „3000 მილი გრეისლენდამდე“ და ვესტერნი – „ტომბსტოუნი“. ■

მეზობელი კარისაკენ ანუ ბრიტნი სპირსმა დევიდ დუხოვნის მცდელობამ დაბრუნა

ცნობილი მსახიობი დევიდ დუხოვნი და მისი მეუღლე თეა ლეონი ალბათ სულ მალე იძულებულნი გახდებიან, მალიბუში მდებარე საკუთარი ბუნგალო მიატოვონ და საცხოვრებლად უფრო მყუდრო ადგილი მოძებნონ. ამის მიზეზი კი, მათი ახალი მეზობელი ბრიტნი სპირსია. მას შემდეგ, რაც პოპულარული მომღერალი და მისი მეუღლე კევინ ფედერლაინი დუხოვნების მეზობლად დასახლდნენ, დევიდსა და თეას ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცათ. ერთ დროს მყუდრო ადგილი პაპარაცებითა და მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ცნობისმოყვარეებით გაივსო, რომლებიც დღე და ღამე იმ არემარეში დაძრწიან და ბრიტნის უსაფრდებიან. „ბრიტნი აქ ორი თვეა, რაც დასახლდა და მას შემდეგ, აქაურობა საგიჟეთად იქცა. ამას წინათ, სახლიდან გამოვედი და ფოტორეპორტიორების ალყაში აღმოვჩნდი, რომლებმაც სურათების გადაღება დაიწყეს. როდესაც ვკითხე, თუ რა ხდებოდა, მიპასუხეს, რომ ბრიტნის მოლოდინში ერთობოდნენ. ძალიან კარგი, მაგრამ მე რა შუაში ვარ?!“ – კითხულობს აღშფოთებული დევიდ დუხოვნი. ■

„მერი პოპინსის“ პრემიერა ლონდონში

ავსტრალიელმა სუპერმოდელმა ელ მაკფერსონმა და მისმა მეგობარმა, ბრიტანელმა მსახიობმა ელიზაბეტ ჰარლიმ ახალი მიუზიკლის – „მერი პოპინსის“ პრემიერაზე მისული სტუმრები არაჩვეულებრივი სამოსით გააოგნეს. გოგონები ლონდონელი თეატრალების წინაშე სრულიად ფანტასტიკური იერით წარდგნენ. მაკფერსონს მოქარგული ქამრით გაწყობილი, არაჩვეულებრივად ლამაზი, ოქროსფერი კაბა ემოსა, ელიზაბეტი კი, თეატრის წინ დაფენილ წითელ ხალიჩაზე

თეთრ „ტოპსა“ და სატინის შარვალში გამოწყობილი მოევლინა მაყურებელს. ლონდონურ მიუზიკლში მთავარ როლში 23 წლის ლორა მიშელ კელი წარდგა, რომელიც ძალზე ღელავდა, რადგან დარბაზში მერი პოპინსის როლის პირველი შემსრულებელი, ლეგენდარული მსახიობი ჯული ენდრიუსი იჯდა. ბრჭყვიალა კაბაში გამოწყობილი 69 წლის ქალბატონი შესანიშნავად გამოიყურებოდა და ახალგაზრდა მსახიობის თამაშით კმაყოფილი ჩანდა. ■

ზღვების მბრძანებელი ონასისი: ქალები და ხომალდები

კაპადოკიის კესარიის (იმავე კაისერის) მკვიდრნი ძველთაგანვე ითვლებოდნენ ფინანსურ გენიოსებად. სწორედ ამ ქალაქიდან გაექცა ქრისტიანთა დევნას თამბაქოთი მოვაჭრე სოკრატ ონასისი 100 წელზე მეტი ხნის წინ და ანატოლიის სმირნას შეაფარა თავი. მისი ვაჟიშვილი – არისტოტელე (არი) სოკრატ ონასისი, რომელიც 1906 წლის 15 იანვარს დაიბადა, პატარაობიდანვე იმედის მომცემი ყოფილა: მას იმთავითვე ეტყობოდა მომავალი კომერსანტისა და პოლიგლოტის თვისებები. მიუხედავად ამისა, წარამარა იცვლიდა სკოლას, რადგან მიუხედავად იმისა, რომ კარგად სწავლობდა, საკუთარი ქცევით უკიდურეს მდგომარეობამდე მიჰყავდა მასწავლებლები. მარტო ის რად ღირს, რომ 12 წლის ასაკში, თავისი ფრანგულის მასწავლებელ ქალთან დაამყარა სექსუალური კავშირი!.. მასწავლებელს მრეცხავი მიჰყვა, მრეცხავს – ვაჭარი თურქი ქალი... არის მამა მშვიდად უცქერდა შვილის სასიყვარულო თავგადასავლებს, რადგან მიაჩნდა, რომ შემთხვევით კავშირებს თავის დროზე, შეცვლიდა მისი ოჯახისთვის ტრადიციული პრინციპი – არ დაიჭირო კავშირი ქალთან, რომელსაც შენი რეპუტაციის შელახვა შეუძლია.

ყველაფერი ნორმალურად იყო, სანამ 1922 წლის 9 სექტემბერს ქალაქში ქემალ ათათურქის ჯარი არ გამოჩნდა. ადგილობრივ ბერძენთა ნახევარი გაჟლიტეს, დანარჩენებს კი ციხეებში უკრეს თავი. ამ ხვედრს ვერც სოკრატ ონასისი გადაურჩა: ოჯახს მთელი ქონება ჩამოართვეს, ხოლო

„სიამოვნებაც საკუთარი თავისთვის სარგებლობის მოტანას უნდა შეუთავსო“

მისი თავკაცი საპატიმროში გამოამწყვდიეს. არისტოტელე, ყალბი დოკუმენტების წყალობით, რეპრესიებს გადაურჩა, ცოტა ხანში კი, ციხიდან მამის გაქცევის ორგანიზებაც მოახერხა. ამის შემდეგ, ის შორეულ არგენტინაში – ახალი შესაძლებლობების ქვეყანაში გაემგზავრა.

სიგარეტის ჯვამლი

1923 წლის სექტემბერში, 17 წლის არისტოტელე ონასისი ბუენოს-აირესის ნავსადგურში ჩამოვიდა გემის ტრაპიდან. მას ჯიბეში მხოლოდ 60 დოლარი ედო... პირველ წელს მისი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი ნამდვილად არ გახლდათ. არი ხან შავ მუშად მუშაობდა, ხან – მენიჩბედ, ხან – მრეცხავად. შემდეგ ბრიტანული სატელეფონო კომპანიის ოპერატორის ადგილი იშოვა და ღამღამობით მორიგეობდა კომუტატორთან. მაგრამ მას არც დღისით ეძინა – ქვეშით სავსე ურიკას დაატარებდა. ამ ქვიშაში ჩაფლული იყო სათამაშოები, რომლებიც ნებისმიერ ბავშვს შეეძლო, ხურდა ფულის საფასურად ეპოვა... ჯამურად, არი კვირაში 25 დოლარს შოულობდა, რაც იმ დროისთვის არცთუ ისე მცირე თანხა გახლდათ. მაგრამ არისტო ამით დაკმაყოფილებას ნამდვილად არ აპირებდა.

ცოტა ხანში, მთელმა ქალაქმა შეიძინა სიგარები – „მელანჟ გარდელი“, რომლებსაც ათენში ერთ-ერთი ბარმენის ძმა ამზადებდა. ერთხელ არისტომ ეს სიგარა არგენტინული ტანგოს მეფეს, კარლოს გარდელს მიართვა. მოცეკვავე მისი არომატით აღფრთოვანდა (არადა, ბოროტი ხმები ამბობდნენ, რომ ამ არომატს ოპიუმის სუნი ასდიოდა). სწორედ იმ დროს ჩაუყარა მოხერხებულმა ყმაწვილმა საფუძველი თავის მომავალ უზარმაზარ ქონებას. იმ 5%-მა, რომელსაც არი საბერძნეთიდან არგენტინაში გაგზავნილი თურქული თამბაქოს საფასურიდან მამისგან იღებდა, 1925 წელს სატელეფონო კომპანიასთან დამშვიდობების საშუალება მისცა მას. მრავალი წლის შემდეგ არი ამბობდა: „ყველაზე ძნელი საშოვნელი პირველი 5 ათასი იყო“...

ერთ-ერთი პატარა მაღაზიის ფანჯრის თავზე მალე ასეთი წარწერა გაჩნდა: „არისტოტელე ონასისი – აღმოსავლური თამბაქოს იმპორტიორი“. ფირმა, რომელშიც მან 50 ათასი დოლარი დააბანდა (აქედან ნახევარი, ბანკიდან გამოტანილი სესხი გახლდათ), ქალებისთვის განკუთვნილ სიგარეტს უშვებდა. ეგზოტიკის მოყვარული მწეველი ქალები აღფრთოვანებული იყვნენ ამ სიგარეტის ორიგინალური, ვარდისფერი ფილტრით. მალე, მათ შორის აღმოჩნდა ოპერის 35 წლის ვარსკვლავი კლაუდია მუციო, რომელმაც საოცარი სამსახური გაუწია ონასისს: ვაჭრობის ტემპი უმალ გაზარდა. ზოგჯერ კი, ქალები არა მარტო ფულს იხდიდნენ... ამბობდნენ, რომ იმ დროს, არი თავის ვარდისფერ ფილტრს არა მარტო ადგილობრივი ოპერის მომღერლებს უჩვენებდა, არამედ სახელგანთქმულ გასტროლიორებსაც – მაგალითად, გამოჩენილი რუსი ბალერინის, ანა პავლოვას დასის ერთ-ერთ წევრს...

მაგრამ ონასისი არასდროს კმაყოფილდებოდა მიღწეულით. მან მოიგონა ფულის შოვნის ერთი მარტივი ხერხი: თამბაქოთი გატენილ ფუთებს, რომლებიც არგენტინაში იტალიის ქალაქ გენუის გავლით მოდიოდა, მისი აგენტი ზღვის წყლით ასველებდა; შემდეგ არისტო იღებდა სადაზღვევო თანხას – „ზღვის მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად“. ეს მანამდე გრძელდებოდა, სანამ ერთ-ერთმა თანამზრახველმა ეშმაკობაში არ ამხილა. საქმე სასამართლომდე მივიდა, მაგრამ ძიებას გაგრძელება არ მიეცა... სამაგიეროდ, არგენტინაში თურქული თამბაქოს იმპორტი 2 წელიწადში გასამმაგდა. არის ფირმის წლიურმა ბრუნვამ 2,5 მლნ დოლარს მიაღწია. 1929 წელს, 23 წლის ონასისი მილიონერი გახდა.

არი და გემის ნორვეგიელი მაგნატის ქალიშვილი 1934 წელს ტრანსატლანტიკური ლაინერის ბორტზე შეხვდნენ ერთმანეთს

ამ დროს, საბერძნეთის მთავრობამ საიმპორტო გადასახადი გაზარდა. არგენტინას რომ ამისთვის ადეკვატური პასუხი გაეცა, არისტოტელეს ქონება საგრძნობლად „შეთხელდებოდა". ამიტომ არისტომ ათენში წასვლა გადაწყვიტა, რათა აეხსნა იქაურ მმართველთათვის, თუ როგორ უნდა გადაეწყვიტათ პოლიტიკური საკითხები. როგორც ჩანს, მან მოხიბლა საგარეო საქმეთა მინისტრი მიხალაკოპულოსი, რადგან არგენტინაში, საბერძნეთის ვიცე-კონსულის სტატუსით დაბრუნდა.

ტანკერები

დიდი დეპრესიის დასაწყისში ონასისმა ხელი მოჰკიდა „თავისუფალ" თანხას – 600 ათას დოლარს და ლონდონში გადაბარდა საცხოვრებლად. იქ თავისი მრავალი თვისებისა და ალბათ, დიპლომატიური სტატუსის წყალობითაც, მან საზღვაო საქმის ყველა მხარე აითვისა და როცა კრიზისმა იმძლავრა, გამოირკვა, რომ გემი, რომლის ნომინალური ღირებულება 1,5 მლნ დოლარს შეადგენდა, „როლს-როისის" ფასად – ე.ი. სულ 30 ათასად შეიძლებოდა ჩაეგდო ხელში. 1932 წელს, არისტოტელემ შეიძინა 6 გემი, რომელთა წყალწყვა 8500-დან 10000 ტონამდე მერყეობდა. მაშინვე დაებადა რევოლუციური იდეა: გამოეყენებინა სხვადასხვა ქვეყნის დროშა – „იმისდა მიხედვით, თუ რა მომენტში რომელი მათგანი მოიტანდა მეტ ეკონომიკურ სარგებელს. და კიდევ: მან დროულად იყნოსა, რომ მომავალი, ნავთობს ეკუთვნოდა – მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში მასზე ხუთჯერ მეტ ქვანახშირს მოიპოვებდნენ. ამის გამო, ონასისმა შეიძინა გემი Maria Protopapas – მისი მომავალი სუპერტანკერების უბადრუკი, ჟანგიანი წინამორბედი, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე, დიდი სიყვარულით იხსენებდა.

მაგრამ მის წინაშე ერთი პრობლემა აღიმართა. საქმე ის გახლავთ, რომ გემთმფლობელთა და გემთმშენებელთა წრე მუდამ სივიწროვითა და კონსერვატულობით გამოირჩეოდა. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა იმ თავზეხელაღებულ „ბიჭებს," რომლებიც სკანდინავიის გემთსაშენებს განაგებდნენ. მიუხედავად ამისა, ონასისმა აქაც იპოვა გამოსავალი (უფრო ზუსტად – „წრეში" შესასვლელი).

ინგებორგი

არი და გემის ნორვეგიელი მაგნატის ქალიშვილი 1934 წელს ტრანსატლანტიკური ლაინერის ბორტზე შეხვდნენ ერთმანეთს. „სიამოვნებაც საკუთარი თავისთვის სარგებლობის მოტანას უნდა შეუთავსო", – ასე ხსნიდა საკუთარ ოჯახში ათვისებულ მცნებას დაკაცებული არისტო. მან ინგებორგის გულის დაპყრობა დაისახა მიზნად. თავდაპირველად, ცურვის სწავლება შესთავაზა. ცხადია, მშვენიერ გოგონას ის არა მარტო ცურვას ასწავლიდა, არამედ მასში მგზნებარე გრძნობის გაღვიძებაც მოახერხა. „არის წყალობით გავიგე, თუ რას ნიშნავს ფრანგული გამოთქმა: „შეიგრძნო კანი". თავად მას რაღაც არაჩვეულებრივი კანი ჰქონდა: გლუვი, თბილი. ის იმდენად ამგზნები იყო, რომ მეტ სიამოვნებას მანიჭებდა, ვიდრე თვით სქესობრივი აქტი"... – ასე იხსენებდა ინგებორგი, შემდგომ, არისთან სიახლოვეს, მიუხედავად იმისა, რომ კაცი მას ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი არ აკლებდა. ჩრდილოელი ლამაზმანი ბერძენი ბიზნესმენისთვის საერთაშორისო ნაოსნობაში შელწევის გზაზე გადადგმულ პირველ დიდ ნაბიჯად იქცა: ნორვეგიელ ქალთან ურთიერთობისას მან უამრავი საჭირო ნაცნობობა გაიბა.

„კრისტინა" — გემი, რომელიც გაშიშვლებისკენ გიბიძგებს

ზღვის ავადმყოფობა

1938 წლის ივნისში, შვედური გემთსაშენიდან წყალში ჩაუშვეს მსოფლიოში პირველი სუპერტანკერი – „არისტონი", რომლის წყალწყვა 15,5 ათას ტონას აღწევდა. ონასისს ის 160 ათასი დოლარი დაუჯდა. არისა და ინგებორგის დაახლოებიდან მცირე ხნის შემდეგ, შვედური გემთმშენებლობის დედაქალაქში გაჩნდა ახალი გემთსაშენი – „ა.ს. ონასისი, გეტებორგი", ხოლო „არისტონს" იმავე წყალწყვის მქონე კიდევ 2 ტანკერი შეემატა. ისინი (ორივე ერთად) უკვე 700 ათასი დოლარი ღირდა. ასე დაიწყო არისტოტელე ონასისის სანავთობო ეპოპეა.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულისთვის არის ქონებამ 30 მლნ-ს მიაღწია. საოცარი ის იყო, რომ მას ამ წლებში არც ერთი გემი არ დაუკარგავს: მთელი ომის მანძილზე, ისინი, სიმბოლური კომპენსაციის საფასურად, სკადინავიურ პორტებში იდგა. ომის შემდგომ, ბერძენი გემთმფლობელები მოძველებულ ამერიკულ გემებსა და ტანკერებს ეტანებოდნენ. ონასისი ამ საქმეშიც მოწინავეთა შორის იმყოფებოდა – მან 15 გემი შეიძინა. გარდა ამისა, მისი დაკვეთით ამერიკაში ახალ ტანკერს აგებდნენ.

საქმის გაზრდისა და განვითარების სისტემა ძალზე მარტივ ხერხს ემყარებოდა: ბანკები უყოყმანოდ აძლევდნენ წარმატებულ ბერძენს სესხებს მომავალი კონტრაქტების გირაოდ – ომის შემდგომ მსოფლიოში საზღვაო ტრანსპორტის ბუმი იყო. მაშინ მეზღვაურები შრომას ძალზე მცირე გასამრჯელოდ თანხმდებოდნენ. არისტოტელეს გემები 80-ზე მეტი კომპანიის სახელზე იყო დარეგისტრირებული – ისინი ონასისს ეკუთვნოდა, მაგრამ მის ნდობით აღჭურვილ პირებზე იყო გაფორმებული. ამგვარად, კრიზისისა თუ სკანდალის შემთხვევაში, დარტყმის ქვეშ ცალკეული ფირმა მოხვდებოდა. ამავე დროს, ის ქვეყნები, რომლებშიც აღნიშნული ფირმები იყო რეგისტრირებული (ლიბერია, პანამა), ტრადიციულად კეთილგანწყობილნი იყვნენ საზღვაო ბიზნესისადმი.

ონასისის ტანკერების ფლოტი თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდებოდა. ზოგიერთ გემს მისთვის წელიწადში 250 ათას დოლარამდე მოგება მოჰქონდა. მა-

გრამ ნამდვილი მწვერვალის მისაღწევად მას თვისებრივად ახალი ნახტომი ესაჭიროებოდა. იდეალურ შემთხვევაში, ზურგის გასამაგრებლად მას ე.წ. საზღვაო წარმოშობა სჭირდებოდა, რომლითაც მისი ოჯახი ვერ დაიკვეხნიდა. მაგრამ თუ მას რაღაც ნაკლი აქვს, ამ ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია შესაფერის ოჯახში შეღწევით – ცხადია, თუ ამ ოჯახს გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავს.

ტინა

სტავროს ლივანოსი საბერძნეთის გემთმფლობელთა ლონდონის საზოგადოების თავკაცი გახლდათ. ის ოჯახთან ერთად ნიუ-იორკში ცხოვრობდა. ლივანოსის უფროსი ქალიშვილი, ევგენია გასათხოვარი იყო. როცა არისტომ თანამემამულის ოჯახში სტუმრობას მოუხშირა, გარშემო მყოფებმა იფიქრეს, რომ ონასისს სწორედ ის მოუვიდა თვალში: ბერძნული ტრადიციის თანახმად, პირველად ოჯახიდან უფროსი ქალიშვილი მიდის. მაგრამ არის თურმე, 17 წლის ტინა (ატინა) აინტერესებდა. 1946 წლის ნოემბერში სწორედ ის მიიყვანა არიმ საკურთხეველთან – მიუხედავად ქალიშვილის მამის დიდი წინააღმდეგობისა. მაშ, როგორ მოახერხა ონასისმა ევგენიასთვის გვერდის ავლა? ძალზე მარტივად: მისთვის საჭირო მომენტში, ლივანოსის უფროს შვილს ხელი სთხოვა არის თანატოლმა და როგორც ამბობდნენ, ესეც ბერძენი მაგნატის ნამოქმედარი იყო... 1948 წელს ტინამ ქმარს მემკვიდრე – ალექსანდრე აჩუქა, 1950-ში კი – ქალიშვილი კრისტინა. 1954 წელს, ბედნიერმა მამამ ამერიკულ ნავთობსაკაჭრო კომპანიებთან მრავალმილიონიანი კონტრაქტი დადო და ნახევარ მილიონად შეძენილ, 220-ტონიან ფრეგატს ერთადერთი ქალიშვილის სახელი დაარქვა.

„ჯრისტინა" – გემი, რომელიც გაშიშვლებისკენ გიბიძგებს

მსახიობმა რიჩარდ ბარტონმა თქვა: „ქვეყანაზე არ მეგულება მამაკაცი ან ქალი, რომელიც ამ გემზე გაშიშვლების ცდუნებას გაუძლებდა". არისტოტელე ონასისმა ამაზე უპასუხა: „სწორედ მაგგვარი განწყობის გასაღვივებლად ვიზრუნე გემის მოწყობისას".

ფრეგატ Stormont-ის იახტა Christina-დ გადაკეთება 4 მლნ დოლარი დაჯდა. მისი სიგრძე 99 მ-ს – ე.ი. თითქმის საფეხბურთო მოედნის სიგრძეს აღწევდა. მისი ინტერიერები მარმარილოთი და მოზაიკით იყო მოპირკეთებული და ძველებური იაპონური მინიატურებით დამშვენებული. სტუმრების განკარგულებაში 9 „ლუქსი" იყო. კაიუტების მოსაპირკეთებლად ძვირად ღირებული ხის ჯიშები გამოიყენეს, სააბაზანოებისათვის – მარმარილო და ოქრო. კედლებზე კი გრეკოსა და სხვა გამოჩენილ მხატვართა ორიგინალები ეკიდა. იახტის გემბანზე მოწყობილი იყო შვეულმფრენის მისაღები მოედანი და კრეტული მოზაიკით მოპირკეთებული აუზი, რომლის ფსკერი მაღლა ამოდიოდა და საღამოობით საცეკვაო მოედნად იქცეოდა. უზარმაზარ სასტუმრო ოთახში განთავსებული ბარის მაგიდებსა და სკამებზე ვეშაპის ასოს ტყავი იყო გადაჭიმული, რაც არისტოს იმის საფუძველს აძლევდა, რომ სტუმარი ქალბატონებისთვის ეთქვა ხოლმე: „მადამ, თქვენ მსოფლიოში ყველაზე დიდ პენისზე ზიხართ..."

ეს იახტა ონასისის სახლად იქცა. იქ მუშაობდა, წარმართავდა მოლაპარაკებას, სახავდა გეგმებს და იღებდა სტუმრებს: ეგვიპტის მეფეს ფარუკს,კინოვარსკვლავებს – გრეტა გარბოს, მარლენ დიტრიხს, ელიზაბეტ ტეილორს; მონაკოს პრინცს, უინსტონ ჩერჩილს და სხვა ცნობილ ადამიანებს.

მარია

გამოჩენილი მომღერლის მარია კალასის ცხოვრება ბავშვობის დროინდელ შიშებთან და საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსთან გამუდმებულ ჭიდილის ჯაჭვს წარმოადგენდა. მას სურდა, რომ საყოველთაო სიყვარულის ობიექტი ყოფილიყო და – „საკუთარი ეპოქის ხმად" იქცა...

ორი გამოჩენილი ბერძენი ვენეციაში გამართულ ერთ-ერთ მეჯლისზე ელზა მაქსველმა გააცნო ერთმანეთს. ამბობდნენ, რომ ეს ქალი მაჭანკალი და ბისექსუალი იყო და ამით სურდა, შური ეძია მარიაზე მისგან ნაგემი უარყოფისთვის... შურისძიება – თუ მას მართლაც ჰქონდა ადგილი – საუცხოო გამოუვიდა: არისტოს ფეხებზე ეკიდა ოპერა, არაფრად აგდებდა კალასის ხმას და, როგორც ქალს მოგვიანებით ეგონა, თავად მასაც...

ორი გამოჩენილი ბერძენი ვენეციაში გამართულ ერთ-ერთ მეჯლისზე ელზა მაქსველმა გააცნო ერთმანეთს

მარია გათხოვილი გახლდათ. მისმა ქმარმა და იმავდროულად მენეჯერმა – ბატისტა მენეჯინიმ – ცოლის კარიერისთვის საკუთარი ბიზნესი მიატოვა. მიუხედავად ამისა, სწორედ არიმ დაანახვა მარიას, თუ რას ნიშნავდა ჭეშმარიტი ვნება, ქალურობა და ფუფუნება. ონასისი თავისუფლად მეტყველებდა ბერძნულ, იტალიურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე; ის ფლობდა მილიარდებს, რომლებსაც სიამოვნებით და ხელგაშლილად ხარჯავდა კიდეც. „სიმაღლე", რომელსაც კალასი ერქვა, არისტომ 1957 წელს, „კრისტინას" ვენეციური რეისის დროს დაიპყრო.

ამ ფაქტის შესახებ უმალ შეიტყო ტინა ონასისმა. მან გააღვიძა საბრალო ბატისტა და აცნობა მას, რომ შეუსწრო თავისსა და მის მეუღლეებს, მისი თქმით, „საინტერესო საქმიანობისას"... საყვარლებს მომხდარის უარყოფით არ შეუწუხებიათ თავი. შემდეგ კი, როცა ცოლ-ქმარი მენეჯინი იტალიაში დაბრუნდა, არის უკან დახევაზე არც უფიქრია – ის მათ უკან გაჰყვა. „დამითმე ეს ქალი. რამდენი გინდა მისთვის? 5 მილიონი? ჩათვალე, რომ უკვე მიიღე. გინდა 10?" იტალიელს ცოლის გაყიდვა არც უფიქრია, მაგრამ ამან ვერაფერი შეცვალა – მარიამ ის მაინც მიატოვა და განქორწინების განცხადებაც შეიტანა.

ასევე მოიქცა ტინაც. სულ მალე კი პრესაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მარია კალასი ხმას კარგავდა. „ჩემში 2 ადამიანი ცოცხლობს – მარია და კალასი. მინდა, მჯეროდეს, რომ ისინი ერთმანეთს არ უშლიან ხელს", – თქვა მომღერალმა მაშინ. მაგრამ ეს დასასრულის დასაწყისი გახლდათ: მარიამ დაჯაბანა დიდი კალასი. მან მსხვერპლად შესწირა ონასისს ყველაფერი – ქმარი, კარიერა, საკუთარი ოჯახის ყოლის იმედი, – ბოლოს კი, თავად არისტოც დაკარგა. მან სხვა ქალი მოიყვანა ცოლად. მარიამ ამ ქორწილის შესახებ გაზეთებიდან შეიტყო. მანამდე, სანამ ეს მოხდებოდა, ის 2 წლის მანძილზე ცდილობდა, დაებრუნებინა არი. ის უკვე 43 წლის იყო და საკუთარი ოჯახის შექმნაზე ოცნებობდა. როცა შეიტყო, რომ მარია მისგან ორსულად იყო, ონასისმა მოკლედ მოუჭრა: „აბორტი". ეს ბრძანება გახლდათ: ონასისს მეტი შვილი აღარ სჭირდებოდა. „რა უნდა ვუყო მას? 2 შვილი უკვე მყავს", – თქვა მან და „მედეამ" (რომელიც მარია კალასს 1953 წელს ჰყავდა განსახიერებული „ლა სკალას" სცენაზე) საკუთარი შვილი მოკლა...

დასასრული შემდეგ ნომერში

ცისანა სეფიაშვილი და სოსო ზაქარეიშვილი 3 წელია, რაც შეუღლდნენ და უკვე მეორე შვილი — ბიჭი შეეძინათ. გიორგი — დადა, როგორც მას მოფერებით ეძახიან, 9 წლისაა (ცისანას პირველი ქორწინებიდან ჰყავს), კატო მაისში ხდება 2 წლის, პატარა ლევანიკო კი 2 თვისაა. როგორც ცისანა ამბობს, სახლში ორი წესიერი ბიჭი ჰყავს და ერთი გადარეული გოგო. რა ხდება ზაქარეიშვილების ოჯახში? როგორი შეყვარებულები იყვნენ და როგორი ცოლ-ქმარი არიან ცისანა და სოსო?

„ყოველი დღე სიყვარულითაა სავსე...“

ნინო ჯავახიშვილი

— ჩვენი სამწლიანი თანაცხოვრების შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ ოჯახში ყველაზე მთავარი სიყვარული და ურთიერთპატივისცემაა. არასდროს უნდა იფიქროს არც ცოლმა და არც ქმარმა ის, რომ რა მოხდა, თუ კი ვაწყენინებ, უკვე ჩემია, მორჩაო.... ყველას შეუძლია წავიდეს შენგან. ყოველ წუთს უნდა ვეცადოთ, ერთმანეთს თავი მოვაწონოთ, გავახაროთ, თორემ წამსვლელი როგორ არ წავა? ადამიანი ერთხელ ცხოვრობს ამ ქვეყანაზე და რატომ უნდა იყოს იქ, სადაც არ უყვართ, სადაც არ აღმერთებენ, სადაც მისით აღფრთოვანებულები არ არიან... ასეთი ურთიერთობის და ოჯახის შენარჩუნება რა საჭიროა? ცხოვრება აუცილებლად შემოგვთავაზებს უფრო უკეთესს და თანაც, არაერთხელ. ჩემთვის ყოველი დღე სიყვარულითაა სავსე. წლეულს, ვალენტინობის დღეს, სოსომ ძალიან ლამაზი ბეჭედი მაჩუქა, თითიდან აღარ ვიშორებ. 8 მარტს გავიღვიძე და საწოლში დამხვდა ყვავილები და თაიგული, სადაც ეწერა, როგორ ვუყვარვარ. თვითონ სოსო უკვე წასული იყო სამსახურში. ასეთ ურთიერთობას რა სჯობს?!

— შეყვარებული ალბათ კიდევ უფრო ყურადღებიანი იყო...

— ამ მხრივ არ შეცვლილა სოსო — ადრეც ყურადღებიანი იყო და სასაყვედურო არც ახლა მაქვს. ერთხელ გიორგი და მე ბაკურიანში ვიყავით დასასვენებლად. ტელეფონით მელაპარაკებოდა სოსო. უცებ ასეთი რამ მთხოვა — აივნიდან გაიხედე და როგორი ხედი ჩანს, აღმიწერეო. გავედი აივანზე და დავინახე სოსო, ქვევით იდგა და იქიდან მელაპარაკებოდა. სხვათა შორის, მაშინ მივხვდი, რომ მოვწონდი. მეგობრობა თუ სურს ჩემთან, მეგობრებს ასეთ სიურპრიზებს არ უწყობენ-მეთქი, გავიფიქრე, თუმცა თავი ისე დავიჭირე, ვითომ ვერაფერს მივხვდი. მერე და მერე უფრო გახსნილი ტექსტებით მელაპარაკებოდა. ერთი წლის განმავლობაში ყოველღამე ტელეფონით ვსაუბრობდით. დილით, პირდაპირ სამსახურში მიდიოდა ხოლმე. ცოლად რომ გავყევი, მითხრა — რა კარგია, ახლა მაინც გამოიძინებო. ჩვენი შეუღლების ამბავმა ყველაზე მეტად ალბათ მაინც სოსოს თანამშრომლები გაახარა — სამსახურში ახლა მაინც აღარ დაიძინებსო.

— სიყვარულში როგორ გამოგიტყდათ?

— ერთხელ საუბრისას შემომჩივლა — ერთი გოგო მიყვარს, ცოტა მორიდებულია და არ ვიცი, როგორ გამოვუტყდე სიყვარულში, უარი რომ მითხრასო?! რა ვიცი, სცადე, უთხარი და რატომ გგონია, რომ უარს გეტყვის-მეთქი, — ვურჩიე. დარწმუნებული ხარ, უარს არ მეტყვისო? კარგი ბიჭი ხარ და არ დაგიწუნებს-მეთქი, — მივახვედრე, რომ უარზე არ ვიყავი...

— მერე სახლში როგორ გაუმხილეთ თქვენებს ეს ამბავი?

— სოსოს რომ ვხვდებოდი, სახლში არაფერს ვამბობდი. ვიმიზეზებდი — დღეს ამის დაბადების დღეზე მივდივარ, ხვალ — იმის და ა.შ. მამაჩემი გიჟდებოდა —კი, მაგრამ ყოველდღე ვიღაცის დაბადების დღე როგორ არისო? გათხოვებამდე სამი თვით ადრე გაიგეს ჩვენი რომანის შესახებ და გაბრაზდნენ, ჯერ იმის გამო, რომ ვუმალავდი მათ ამ ამბავს, მეორეც — არ უნდოდათ, რომ გავთხოვილიყავი. რადგან პირველი ქორწინება მარცხით დამთავრდა და ოჯახი დამენგრა, ბუნებრივია, ეშინოდათ, ასე ნაჩქარევად მეორე ოჯახის შექმნაც კრახით არ დამთავრებულიყო. სოსო რომ გაიცნეს, მერე დაწყნარდნენ... არაჩვეულებრივად კარგი ოჯახი გვაქვს და ამით ბედნიერი ვარ.

— ეი. ხასიათით კარგად შეეწყვეთ ერთმანეთს?

— ერთმანეთის ხასიათს, კარგ თუ ცუდ თვისებებს ალღო ავუღეთ. სოსო ამბობს ხოლმე, ცისანას რთული ხასიათი აქვს და მხოლოდ მოფერებით თუ გავაკეთებინებ იმას, რაც მინდაო. მართლაც ასეა. რომ მითხრას, მიდი, რა, კლდიდან გადახტიო, გადავხტები, მაგრამ მკაცრი ტონით თუ მეტყვის — ცისანა, ახლავე გადადგი ნაბიჯი მარცხნივ ან მარჯვნივო, საპრისპიროს გავაკეთებ. მე თვითონაც ყველანაირად ვცდილობ, კაცს მოფერებით გავაკეთებინო ის, რაც მინდა. თუ მესე ცდაზეც წინააღმდეგობას გამიწევს, მერე შეიძლება მბრძანებლურიც გავხდე და ცოტა უარესიც, ზღვარს გადავდივარ.

— მესამე შვილის გაჩენა უკვე გმირული გადაწყვეტილებაა. ეს სოსოს დამსახურებაა?

— ჯერ კიდევ კატოზე ვიყავი ფეხმძიმედ, როდესაც სოსო მეკითხებოდა — კიდევ ხომ გააჩენო? გიორგი ძალიან უყვარს, მაგრამ როგორც ყველა კაცს, მასაც სურდა გვარის გამგრძელებელი ჰყოლოდა. მეც ვფიქრობდი, რომ აუცილებლად გავაჩენდი მესამეს, ოღონდ, 3 წლის შუალედით, მაგრამ ასე მოხდა. სოსომ ჩემი ორსულობის ამბავი რომ შეიტყო, სიხარულისგან დაფრინავდა. გოგო თუ გვეყოლება, ტასო დავარქვათ-თქო, ვამბობდით, მაგრამ გაჩნდა ბიჭი და სოსოს მამის სახელი — ლევანი დავარქვით. ეჭვიც არ მეპარება, ბაბუა გახარებული იქნება, პატარა ლევან ზაქარეიშვილი რომ არსებობს.

— მეორე ბაბუას ხომ არ ეწყინა, არც ერთ შვილიშვილს მისი სახელი რომ არ ჰქვია?

— მამაჩემი უზომოდ ბედნიერია, ამდენი შვილიშვილი რომ ჰყავს. ლევანიკოზე გიჟდება, ისე უყვარს. ადრე თითო ბავშვს ვერ ეკარებოდა, არც გიორგი აუყვანია ხელში და არც კატო, არ ვიცი, ახლა რა დაემართა... მე მოვუბდიშე, ვერც ერთ ბიჭს ვერ დავარქმევ შენი სახელი-მეთქი, მაგაზე ერთი წუთითაც არ ინერვიულო, ბიჭი რომ მყოლოდა, ის დარქმევდა თავის შვილს ჩემს სახელს და კვლავ ჯერ სეფიაშვილი გაგრძელებდა ჩვენს გვარს, ახლა მაგას რა მნიშვნელობა აქვსო? მამა მეხვეწება, კიდევ ერთი გოგო გაჩინეო. მე ნამდვილად არ ვფიქრობ მეოთხე შვილზე, არ ვაპირებ-მეთქი, ვეუბნები. სოსოს კი ამის გაგონებაზე, ჩაღიმება ხოლმე — კი, კი, როგორ არ აპირებო...

— ბევრი შვილი რომ უნდა, თუ გეხმარებათ ბავშვების გაზრდაში?

— როდესაც ლევანიკო სამშობიაროდან გამოვიყვანეთ, იმ დღეს სახლში, რა თქმა უნდა, დიდი ფორიაქი და ფუსფუსი იყო. მერე სამივემ დაიძინა. ოთახში შევიხედე, ბავშვებს დავხედო-მეთქი და უცებ ამდენი ბავშვი რომ დავინახე, შოკი მივიღე. სიცილი ამივარდა. ეს ცოტა შოკირებული, ნერვიული სიცილი იყო. წარმოიდგინეთ, ჯერ კატო 2 წლისაც არ არის და კიდევ პატარა... სოსო მიხვდა, რატომაც ვიცინოდი და დამამშვიდა — ამაზე მეტი ბედნიერება რა არის, ნუ გეშინია, ერთად ყველაფერს გავუძლებთო. მართლაც ასეა, ერთად გაგვაქვს ცხოვრება. სოსოს ლევანიკოზე უკვე დიდი ამაგი აქვს. ძალიან მეხმარება — მუცელი რომ სტკივა, შეუძლია, ხელში აყვანილი, საათობით ატაროს, მეხმარება ჭამის, დაბანის დროს. ყველაფერს აკეთებს, რომ შრომა შემიმსუბუქდეს. უცნაური რამ ხდება — ზოგჯერ, როცა ლევანიკო ტირის, ვერც ძიძა აწყნარებს და ვერც მე, მაგრამ აიყვანს თუ არა ხელში მამამისი, მაშინვე ჩუმდება. ამაზე სოსო გიჟდება — როგორ გრძნობს მამის სიახლოვესო...

— გიორგი და კატო ხომ არ ეჭვიანობენ ლევანიკოზე?

— გიორგი და კატო, ერთი დღეც თუ ვერ ნახავენ ერთმანეთს, წივილ-კივილს იწყებენ შეხვედრისას, იმდენად უყვართ ერთმანეთი. კატო ლევანიკოს ხელებზე, ფეხებზე კოცნის და ეუბნება: „იცი, როგორ მიყვარხარ ლელაკიკო“... სახელს კარგად ვერ ამბობს... გიორგის რომ ეკითხებიან, რომელი უფრო გიყვარსო, ორივეო, — ამბობს, მაგრამ კატო უფრო უყვარს...

— როგორი დედა ხართ, რა პრინციპით ზრდით შვილებს?

— თავდაპირველად, იმას ვიტყვი, რომ კარგი შვილი ვარ, რაც მშობლების დამსახურებაა. ვარ ყურადღებიანი, მაგრამ ასჯერ მეტად ყურადღებიანები თვითონ არიან. მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა ვარ, ძალიან მკაცრად ვიზრდებოდი. ვიცოდი ჩემი ადგილი, როდის რა უნდა მეთქვა, როდის უნდა გამოვსულიყავი სტუმრებთან, როგორ უნდა მოვქცეულიყავი და ამიტომ, ზედმეტი საყვედური მშობლებისგან არასდროს მიმიღია. მერე და მერე, ასაკობრივი პრობლემები მქონდა, იმატა საყვედურებმა — ვთქვათ, სადღაც მინდოდა წასვლა და არ მიშვებდნენ, მაგრამ ეს კონფლიქტამდე არასდროს მისულა. სანამ მათ გავუმხელდი, რა მიჭირდა, ჩემებმა უკვე იცოდნენ და გვერდში მედგნენ. ასეც უნდა იყოს — შვილების მიმართ ყურადღებიანები და თბილები უნდა ვიყოთ, მათი ცხოვრებით უნდა ვცხოვრობდეთ, მათი მესაიდუმლეები უნდა ვიყოთ. შვილები უნდა გვენდობოდნენ. გიორგი 4 წლის იყო, როცა შემეძლო მისთვის ისეთი საიდუმლო მეთქვა, რაც არ მინდოდა, თუნდაც დედაჩემს გაეგო. შეიძლება, არც იყო მნიშვნელოვანი, რასაც ვეუბნებოდი, მაგრამ მაინც ვაფრთხილებდი — გიორგი, ეს საიდუმლო მარტო მე და შენ ვიცით-მეთქი. ამით იცით, რას მივაღწიე? ახლა გიორგი ყველაფერს მიყვება და მიმხელს. ყოველთვის ვეუბნები — ჯობს, ყველაზე საშინელი სიმართლე მითხრა, არ გაგიბრაზდები, ოღონდ, ეს სხვისგან რომ გავიგო, ძალიან მეწყინება-მეთქი... გიორგის ჩემი რიდი უფრო აქვს, ვიდრე შიში. ძალიან ჭკვიანი, წესიერი ბავშვია, ლევანიკოც მგონი, მას დაემსგავსება ხასიათით. აი, კატოს კი, ვერ გავიგე, როგორ მივუდგე. მკაცრი ტონით ნათქვამს ვერ იგებს. მაინც იმას აკეთებს, რაც უნდა. სოსო მეუბნება — შენი ხასიათი აქვს, ჩხუბით ვერაფერს გაწყობ, ისევ მოფერებით თუ გააკეთებინებ რამესო.

— რაც შეეხება სიმღერას — თუ აპირებ ახალი სიმღერების ჩაწერას, რა გეგმები გაქვს?

— დღესდღეობით არაფერს ვაკეთებ და სიმართლე გითხრა, გული არც მწყდება. ისეთ დროს მაქვს შემოქმედებითი პაუზა, რომ შოუბიზნესში არაფერი ხდება ახალი და საინტერესო. ერთი სიტყვით, ვისვენებ. სექტემბრიდან დავიწყებ ჩემი გეგმების განხორციელებას, თუმცა, ეს არ იქნება სიმღერასთან დაკავშირებული. ტელევიზიაში მინდა მუშაობის დაწყება. დიდი ხანია, ამას ვფიქრობდი, მაგრამ ქრონიკული ორსულობის გამო, ვერ მოვახერხე. მაქვს რამდენიმე პროექტი, რომლებსაც შევთავაზებ ტელევიზიებს და საიდანაც უკეთესი შემოთავაზება მექნება, იქ განვახორციელებ.

— რა სახის გადაცემის გაკეთება გინდა, მაინც რა ამპლუაში გიხილავთ ეკრანზე?

— წინასწარ არ მინდა პროექტებზე საუბარი — მეშინია, იდეები არ მომპარონ. იმის თქმა კი შეიძლია, რომ ეს პროექტები საინტერესო იქნება ქალებისთვის, წყვილებისთვის, თეატრალებისთვის. ვნახოთ, რა გამოვა, ყველაფერი წინ არის... ■

მამაჩემი უზომოდ ბედნიერია, ამდენი შვილიშვილები რომ პყავს

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვის ეკუთვნის ველოსიპედის შექმნის იდეა?

ა) ლეონარდო და ვინჩის;
ბ) ნიკოლაი კოროლიოვს;
გ) ნაპოლეონ ბონაპარტეს.

2. რამდენი წელი გაატარა უკაცრიელ კუნძულზე როგინზონ კრუზომ?

ა) 28;
ბ) 3;
გ) 11.

3. რომელ ქვეყანაში შემოიღეს პირველად სავალდებულო განათლება?

ა) პრუსიაში;
ბ) რუსეთში;
გ) დიდ ბრიტანეთში.

3. სადაურ ფილმშია ინტიმური სცენებისა და კოცნის გადაღება აკრძალული?

ა) ინდურში;
ბ) ერაყულში;
გ) ავღანურში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ჟენევის ავტოსალონის ხეჯოხდები

პირველი რეკორდი, რომელიც მარტში გამართულ ჟენევის საერთაშორისო ავტოსალონზე დაფიქსირდა – მაყურებელთა რაოდენობაა: წლეულს მან შარშანდელ მაჩვენებელს 17700-ით გადააჭარბა და თითქმის 750 ათას ადამიანს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ ეს რიგით 75-ე ავტოსალონი გახლდათ, თანაც, წლეულს ჟენევაში, ეროვნული მასშტაბის პირველი საავტომობილო დათვალიერებიდან 100 წლისთავიც აღინიშნა. ამგვარად, მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო ავტოსალონი ორმაგად საიუბილეო გახლდათ.

კიდევ ერთი რეკორდი, რომელიც ექსპოზიციის განმავლობაში დაფიქსირდა, ერთ დღეში მისულ მაყურებელთა რაოდენობაა: 12 მარტს, ავტოსალონი 98872-მა ადამიანმა მოინახულა. რაც შეეხება პავილიონებში წარმოდგენილ ავტომობილებს – ჟენევაში სულ 53 მსოფლიო და 18 ევროპული პრემიერა შედგა, სულ კი, მასში 30 ქვეყნის 900 ავტომწარმოებელი

MORGAN

მონაწილეობდა, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია.

როგორც ჟენევაში ამბობენ, შვეიცარიელები ძალზე ამაყობენ ამ უდიდესი დათვალიერებით – ისევე, როგორც ჭეშმარიტად ეროვნული პროდუქციით – მსოფლიოში სახელგანთქმული შვეიცარიული ყველით და შოკოლადით, აგრეთვე – საბანკო საიდუმლოების დაცვის ტრადიციითა და ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსით. ჟენევის ავტოსალონის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ სხვა ცნობილი საერთაშორისო სალონებისგან განსხვავებით, იქ ვერ ნახავთ ამა თუ იმ ავტოგიგანტის ან თუნდაც, საავტომობილო მრეწველობით სახელგანთქმული ქვეყნის მიმართ მიკერძოების რაიმე ნიშანს. და თუ პარიზში აშკარა უპირატესობით სარგებლობს ფრანგული წარმოების მანქანები, ფრანკფურტში კი – გერმანული, ჟენევაში სრული პარიტეტია დაცული, იქ ყველა თანაბარ მდგომარეობაში იმყოფება და მსოფლიო ავტომრეწველობის სურათიც გაცილებით სრულყოფილი და მრავალფეროვანია.

F430

BENTLEY

ასეთი მასშტაბის ნებისმიერი დათვალიერების მთავარ ღირსებას კონცეპტუალური მოდელები წარმოადგენს. მაყურებელთა და სპეციალისტთა განსაკუთრებულ ინტერესს, თითო ეგზემპლარად დამზადებული, ფუტურისტული მოდელები, ტექნიკური სიახლეებით გამორჩეული, ექსპერიმენტული მანქანები აღძრავს. ჟენევის წლევანდელი ავტოსალონი ამ მხრივაც გამოირჩეოდა. და კიდევ იმით, რომ მასზე, ძვირად ღირებული ავტომობილების სიუხვე შეინიშნებოდა, რაც თანამედროვე ავტობაზრის ერთ-ერთი ტენდენციის ანარეკლს წარმოადგენს.

ჟენევის ავტოსალონის გახსნამდე, ჟურნალმა „ფორბსმა“ ექსკლუზიური და რაც მთავარია, ძვირად ღირებული სერიული მანქანების სია გამოაქვეყნა. მას სათავეში მოექცა „სალინ-7“, რომლის ფასიც 600 ათას დოლარს შეადგენს. შემდეგ,

MAYBACH

ანბანურადაა ჩამოთვლილი: „ბენტლი“, „ლამბორჯინი“, „მაიბახი“, „როლს-როისი“ და „ფერარი“.

„ფერარიმ“ ჟენევაში თავისი 2 ახალი მოდელი წარმოადგინა – „სუპერამერიკა“ და F-430. „ჩვენი კლიენტი, – აღნიშნავს იტალიური კომპანიის ტექნიკური დირექტორი პატრიციო მოროზი, – ის გახლავთ, ვისთვისაც სისწრაფე უმთავრესი რამაა. ამიტომ ბრძოლა დიდი სისწრაფისთვის ჩვენი კომპანიის შიგნით მიმდინარეობს და მერწმუნეთ, ამაზე უამრავ ფულსა და დროს ვხარჯავთ“...

სპეციალისტთა თქმით, წლევანდელი ჟენევური ექსპოზიციის მთავარი სიახლე ის გახლდათ, რომ „ბენტლიმ“, „ლექსუსმა“ და „იაგუარმა“ მასზე პირველად წარმოადგინეს „ლუქსის“ კლასის კონცეპტუალური მოდელები, რომლებზეც „გზის“ მომდევნო ნომრებში მოგითხრობთ. ■

„ერთგული მამაკაცი ვარ, მაგრამ ზოგჯერ „ჩავარდნა“ მაქვს...“

ერთ-ერთი კერძო ღვინის კომპანიის დირექტორს, გიო ხუციშვილს პირველ პაემანზე დალეული ღვინის ცუდი გემო დღემდე ახსოვს. ამიტომ ყველა შეყვარებულს ურჩევს, პაემანზე მისულმა დალევისგან თავი შეიკავოს. ცხოვრება ხანმოკლეა, ქალისთვის კარგი სიგიჟეების ჩადენას ნუ დაიზარებთ, მათდამი ყურადღების გამოჩენა ცხოვრების წესად აქციეთო, — მოძღვრავს მსახიობი და მომღერალი მამაკაცებს. თვითონ კი აღიარებს, რომ ხანდახან თვალი ლამაზი ქალებისკენ დღესაც გაურბის. თუმცა, თავს იმით იმართლებს — ყველაფერში „დამნაშავე“, ქართველობაა...

მერი კობიაშვილი

— პირველ პაემანთან დაკავშირებით ძალიან ცუდი მოგონება დამრჩა. 16 წლისამ, თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავაბარე. ერთი გოგონა მომეწონა, სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლობდა. ჩემთან პირველ შეხვედრაზე თან ორი დაქალი წამოიყვანა. მე ორი ძმაკაცის თანხლებით ვიყავი. ამ დღისთვის სიმღერა მოვამზადე. გიტარის თანხლებით ვაპირებდი სიმღერის შესრულებას. მეგობრის ბინაში ვიყავით მისული. კარგი სუფრა გავშალეთ. მე და ჩემი ძმაკაცები, ცოტა არ იყოს, ვნერვიულობდით... უხერხულობის დასაფარავად ექვსივე, სუფრას მივუსხედით. მასპინძელმა პირველად, სიყვარულის სადღეგრძელო დალია. თან ორიგინალურობის დასამტკიცებლად, განსხვავებულ სასმისად, შამპანურის ჩასაცივებელი ვედრო აირჩია. ახლაც მახსოვს იმ იმერული ღვინის საშინელი გემო. სამივე ბიჭი ცუდად გავხდით. ერთმანეთს საპირფარეშოში შესვლას არ ვაცლიდით. აღარც სიყვარული მახსოვდა და აღარც ის, რომ ჩემი შეყვარებული იქვე იყო... ერთი კვირის მერე, აზრზე ძლივს მოვედით. ინსტიტუტში იმ გოგოს კარგა ხანს ვეღარ ვუსწორებდი თვალს. მომხდარის გამო მაგრად ვნერვიულობდი.

— მანამდე არავინ შეგყვარებია?

— როცა ადამიანები შორეული ბავშვობის სიყვარულის ამბებს იხსენებენ, ან ისინი არიან ძალიან ახალგაზრდები, ან მე ვბერდები და ნელ-ნელა მავიწყდება წარსული: გონებას ვძაბავ, მაგრამ ვერაფრით გამიხსენებია, მიყვარდა თუ არა ვინმე საბავშვო ბაღში. აი, სკოლის ამბები კი, უფრო კარგად მახსოვს. მე და მაია ჯაბუა კლასში ყველაზე დაბლები ვიყავით, ამიტომ პირველ მერხზე დაგვსვეს.

— გვერდზე მჯდომის მიმართ სიმპათია არ გაგჩენიათ?

— მაიას მიმართ — არა, მაგრამ 7 წლის რომ ვიყავი, პარალელურკლასელი გოგო შემიყვარდა. მის გამო სკოლაში მისვლა მიხაროდა. რომ ვხედავდი, კარგ განწყობილებაზე ვდგებოდი. მაგრამ როგორც წესი, ამ ასაკში სიყვარული დიდხანს არ გრძელდება. არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი. მერეც საკმაოდ ბევრჯერ ვყოფილვარ გატაცებული თუ შეყვარებული — როგორც გინდათ, ისე ჩათვალეთ, — როცა გათენება გიხარია, როცა შეყვარებულთან შეხვედრაზე მიგეჩქარება და მის ნახვამდე, წუთებს ითვლი... ეს ძალიან კარგია და ამას მე სიყვარულს ვეძახი. არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ — სიყვარული ცხოვრებაში ერთხელ მოდისო. ჩემთან ეს გრძნობა ბევრჯერ მოსულა.

— რატომღაც მგონია, რომ შეყვარებულის ფანჯრებთან სერენადა ბევრჯერ გიმღერიათ.

— ძირითადად, ძმაკაცების შეყვარებულების ფანჯრებთან ვმღეროდი ხოლმე. 5-6 ისეთი ძმაკაცი მყავს, რომელიც მაგრად მღერის. ახლაც, როცა ვიკრიბებით, ერთად კარგ დროს ვატარებთ. მათ ესტრადაზე არასდროს უმღერიათ, მაგრამ ერთმანეთის შეყვარებულების ფანჯრებთან ხუთიანზე ასრულებდნენ ხალხურ სიმღერებს.

— შეყვარებულს ლექსებს თუ უწერდით ხოლმე?

— ერთი-ორჯერ მქონდა ლექსის დაწერის მცდელობა, მაგრამ ურითმო გამომივიდა და თავი დავანებე ამ რთულ საქმეს. გამოსავლი მაინც მოვძებნე: შეყვარებულს „მოპარულ“ ლექსებს ვუგზავნიდი, არ ვიცოდი, მისი ერუდიციის დონე და ვნერვიულობდი ხოლმე — არ მიხვდეს, ჩემი დაწერილი რომ არ არისმეთქი.

— ლექსებს რომელ პოეტს „ჰპარავდით“?

— „იასნია“ — გალაკტიონის და ტერენტი გრანელის ლექსებს შეყვარებულს არ გავუგზავნიდი... ჩემს ახალგაზრდობაში, ჟურნალი „ცისკარი“ გამოდიოდა, სადაც ბევრი ახალბედა პოეტი იბეჭდებოდა. მათი ლექსები ხშირად მომიპარავს. ზოგჯერ მათი სტროფი მომწონებია და მერე, ჩემი გარითმული სიტყვები მიმიმატებია — მოკლედ, მაგრად ვჩალიჩობდი ხოლმე...

— საყვარელი ქალის გულისთვის, საგმირო საქმე თუ ჩაგიდენიათ?

— ვეფხვები ნამდვილად არ დამიხოცავს. ჩემამდე, ტარიელმა გაავლო ყველას მუსრი *(იცინის)*... საგმირო საქმეა, როცა საყვარელი ქალის გამო ყველაფერზე წახვალ. დღეს ჰგონიათ, ყვავილებს რომ გაუგზავნიან, საგმირო საქმეს სჩადიან. ასე ყოველდღე უნდა მოიქცეს შეყვარებული მამაკაცი, ყოველ წუთს უნდა აგრძნობინო ქალს, რომ ის მისთვის ძვირფასია.

— თქვენ უგზავნით მეუღლეს ყოველდღე ყვავილებს?

— აუცილებლად. მე სიურპრიზსაც ბევრს ვუკეთებ მაიას. რამდენიმე წლის წინ, მაიკო ბაკურიანში ისვენებდა. საშინელი ამინდები იყო და იქ ვერავინ ადიოდა. 8 მარტს მხოლოდ ერთის მეუღლეს მოუხერხებია ბაკურიანში ასვლა და ყველასთვის ყვავილები უჩუქებია. მაია ფიქრობდა თურმე, — გიოს

საერთოდ დავავიწყდი და არ ჩამოვაო. მე კი ამ დროს, მის ფანჯრებთან „ნივით“ გავჩერდი და დავუსიგნალე. რომ გამოიხედა, მანქანის გასაღები ავუგდე... გაგიჟდა სიხარულით. ჩემი გაკეთებული სიურპრიზით მე თვითონაც კმაყოფილი დავრჩი. არ გეგონოთ, საქმე „ნივაში“ იყოს. მაშინ მქონდა საშუალება და ვაჩუქე, შეიძლება, იმ მომენტში ყვავილები ამეგდო ფანჯარაში, მაგრამ მაინც კარგად ვიგრძნობდი თავს.

— ამბობენ, მამაკაცები ერთგულები არ არიანო...

— სწორსაც ამბობენ. მე მაგალითად, ერთგული მამაკაცი ვარ, მაგრამ ზოჯერ „ჩავარდნა“ მაქვს. თუმცა, ეს სერიოზული „ჩავარდნები“ არ არის. ქართველი მამაკაცები და ქალები იმიტომ ვართ ერთად, რომ პატიება შეგვიძლია. რამდენიმე კვირის წინ, როცა პატიების დღე იყო, ჩემს მეუღლეს ვუთხარი — მაპატიე-მეთქი. მიზეზი არ მითქვამს. მანაც მაპატია...

— თქვენნაირი მამაკაცები წესით, უნდა ისჯებოდნენ...

— გეთანხმებით, ძნელია ქართველი კაცის ცოლობა. მაგრამ ჩვენც ხომ ცოდვანი ვართ: ხომ ნახეთ, უკრაინაში ქალები როგორ ცეკვავენ. ამ დროს, მათკენ თვალი გაგირბის კაცს. ესეც ხომ დიდი დანაშაულია?!

— უკრაინელი ქალები ძალიან მოგწონთ?

— არ მიყვარს ვულგარული ქალები, უფრო — ეშხიანების მიმართ ვარ სიმპათიით განწყობილი. უკრაინაში ბევრია ასეთი. კიევის ქუჩებში ბევრი ლამაზი გოგო დადის. მათი დანახვა თვალს ახარებს. ქართველი ქალებიც ლამაზები არიან, მაგრამ რაღაც ნაკლი მეტ-ნაკლებად ყველას აქვს. ქუჩაში მხოლოდ ერთი-ორი ლამაზმანი შეიძლება, შეგხვდეს...

— ბიჭებს რას ურჩევდით — პირველი პაემნისთვის როგორ უნდა მოემზადონ?

— წინასწარ ნურაფერს დაგეგმავენ. ხომ მოგიყევით, ჩემი სიმღერა როგორ დამრჩა პაუზაზე გაჩერებული?!. ბიჭებს ვურჩევდი, გოგონებისთვის თბილი სიტყვები და ყურადღება არ დაიშურონ. ამ ბოლო დროს, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობები აღარ მომწონს, ბიჭები შეყვარებულ გოგონებს ჩვეულებრივად ესაუბრებიან ხოლმე. ამით ისინი შორს ვერ წავლენ. ქალს არაჩვეულებრივად უნდა მოექცე ყოველთვის, უნდა აგრძნობინო, რომ ის შენთვის ძალიან ძვირფასია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრებას აზრი ეკარგება, გოგოსთვის კარგი სიგიჟეების ჩადენა ბიჭს არასდროს არ უნდა დაეზაროს.

■

„შევნატროდი ქალს, რომელსაც თითქოს ეფიცებოდა — „...დაგინახე, შემიყვარდი“...

სულიკო კოროშინაძე ათეული წლების მანძილზე, ქართული საესტრადო სცენის მშვენება გახლდათ. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, გამორჩეულად თბილი, გულში ჩამწვდომი ხმის პატრონი მომღერალი, ახლა ახალ თაობას ასწავლის ქართული სიმღერის კულტურას. შემოქმედი, რომელიც ბევრი მეგობრითაც დაიკვეხნის და უამრავი თაყვანისმცემლითაც, სამაგალითო მეოჯახეც გახლავთ: ბატონი სულიკო შეუღლებიდან 42 წლის შემდეგაც, ბედნიერი, სიყვარულით სავსე ურთიერთობითაა დაკავშირებული ასევე მუსიკოს ეთერ ბუხნიკაშვილთან.

თამარ კაპანაძე

— ბატონო სულიკო, როგორც წესი, ყველაფერი კარგი სიყვარულის ნაყოფია. თქვენს შემოქმედებასაც, ცხადია, სიყვარული კვებავდა. ამიტომაც გთხოვთ, გვიამბოთ იმ გრძნობაზე, რომელიც აგერ უკვე მეხუთე ათეული წელი დაიწყო, რაც მოგყვებათ. საინტერესოა, ერთი ნახვით ხომ არ შეგიყვარდათ?

— არა. საერთოდ, ერთი ნახვით შეყვარებისა არ მჯერა. ერთი ნახვით მოჯადოება შეიძლება, რომლის შემდეგაც, გიჩნდება სურვილი შემდგომი შეხვედრებისა, ურთიერთობის გაგრძელებისა, რითიც მის სულში წვდომის საშუალება გეძლევა და როცა ნახავ, რომ ყველაფერი ჰარმონიაშია ერთმანეთთან, სიყვარულიც მოდის. იბადება გრძნობა, რომელსაც ვერაფერი შეედრება და რომელიც შეუძლებელსაც კი შეგაძლებინებს...

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— ეთერი მაშინ მხოლოდ 18 წლისა იყო. მოდიოდა ქუჩაში, დედაჩემის მეგობართან, ლოტბარ ქალბატონ მერი ვეფხვაძესთან ერთად და ახალაყვავილებულ, ფეხადგმულ გაზაფხულს ჰგავდა... ჩვეულებრივი მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ, დეიდა მერის პირდაპირ ვკითხე — თუ ასეთი მშვენიერი ახლობელი გყავდათ, აქამდე რატომ არ მაცნობდით-მეთქი?.. ორივეს გულიანად გაეცინა და ჩვენ შორის პირველი ძაფიც გაიბა. როცა შევიტყვე, რომ ეთერი მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა, დედაჩემი კი სულ იმაზე ოცნებობდა, რომ ოჯახში მუსიკოსი რძალი შემოსვლოდა, ამან კიდევ უფრო დადებითად განმაწყო...

— თქვენ თავად ძალზე მუსიკალური ოჯახი გქონდათ, არა?

— გურული სიმღერების შესანიშნავ შემსრულებლად ითვლებოდა ჩემი ბაბუა — ერმილე, კავსაძეების ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლის სოლისტი იყო ბიძაჩემი; ფოცხვერაშვილების მეჩონგურე ქალთა ანსამბლის მეჩონგურე და მომღერალი გახლდათ დედაჩემი, ანა კოროშინაძე... მამაჩემი მხატვარი გახლდათ. ჩემი ამბავი მოგეხსენებათ — იმთავითვე ქართული ესტრადა ავირჩიე საასპარეზოდ. ჰოდა, იმ გარემოში, სადაც სიმღერის პატივისცემა უმაღლეს რანგში იყო აყვანილი, სხვა პროფესიის ადამიანი ნაკლებად იყო სასურველი...

— სიყვარულში როგორ გამოუტყდით?

— ის-ის იყო ნოდარ დუმბაძის ლექსზე დაწერილი ნოდარ გიგაურის მშვენიერი სიმღერის — „მე თბილისელი ბიჭი ვარ“ — გადაღებიდან დავბრუნდი (ოღონდ, მაშინ კლიპი არ ერქვა ამას). დედამ ამბავი დამახვედრა — სტუმრად ხარ დაპატიჟებუ-

ეთერ კოროშინაძე პატარა მაიკოსთან ერთად

ლი ეთერის ოჯახშიო. გულისფანცქალით წავედი. მაგრამ უხერხულობა მალე მომეხსნა. სუფრას ჩემთვის ნაცნობი ადამიანებიც უსხდნენ, ეთერის მშობლებმაც შინაურულად მიმიღეს და სუფრის თამადადაც კი ამირჩიეს. მალე ისე ვგრძნობდი თავს, როგორც თევზი წყალში. როცა კაცს სიმღერაც გამოსდის და სადღეგრძელოც, ამ ყველაფერს კი გულწრფელი, ხალასი გრძნობაც ახლავს თან, ცხადია, გულგრილს ვერავის დატოვებს. მივხვდი — ოჯახსაც მოვეწონე. სხვათა შორის, ეთერის მშობლებიც კარგად მღეროდნენ, არაჩვეულებრივი ბანი ჰქონდა ეთერის მამას... დამშვიდობებისას, ბატონ ნიკოლოზს ვთხოვე — თუ შეიძლება, ზოგჯერ ეთერსა და რუსუდანს კონცერტზე დავპატიჟებ-მეთქი. როგორც ჩანს, ნდობა დავიმსახურე, უარი არ უთქვამს... ისეთი პერიოდი იდგა, არც კარგი ქართული სიმღერა, სპექტაკლი და ფილმი გვაკლდა და არც ნამდვილი, უცხოელი ვარსკვლავები. აი, მაშინ იყო თუ იყო, ნამდვილი „სვეტილები", რომლებიც ჩამოდიოდნენ — ბენი გუდმენი, ჯერი სკოტი, იოვანა, ტედ ჯონსისა და მაქს გრეგერის ორკესტრები — ყველას ვერ ჩამოვთვლი... ჰოდა, ყველგან დავდიოდით. სიყვარულის სიტყვებით ახსნა კი რა საჭირო იყო?! ამას ხომ ჩემი ქცევა, ქმედებაც ადასტურებდა!.. მერე, როცა მივხვდი, რომ ეთერის გულშიც ვპოვე ბინა, დედ-მამას მისი ხელი ვთხოვე და რაკი ორივეს ტრადიციული ოჯახები გვქონდა, ყველაფერი წესისამებრ გავაკეთეთ: ნიშანიც მივუტანე, მცირე სუფრითაც აღვნიშნეთ და საქორწინო მოგზაურობაშიც წავედით. ერთადერთი მოთხოვნა, რომელიც ეთერს წავუყენე, ის იყო, რომ შინიდან არაფერი წამოეღო; და კიდევ — დედაჩემი შეეყვარებინა...

— წამოლებაში მზითევს გულისხმობთ?

— დიახ. დიდი სურვილი მქონდა, ყველაფერი თავად შემეძინა მისთვის... ჩვენი შეუღლება ლენინგრადის გასტროლებს დაემთხვა; წამოვიყვანე და რაც თავად მოისურვა, მოირგო და მოიწონა, გული არაფერზე დამიწყვეტია მისთვის. მერე დედაჩემიც შეიყვარა... საბჭოთა კავშირის ქალაქებში გასტროლებზე ეთერიც სულ თან დამყავდა. ერთად ვნახულობდით მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის მუზეუმებს, ღირსშესანიშნაობებს, გალერეებს. მისი სიხარული და გაბრწყინებული თვალები ჩემი სიხარულიც იყო. ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მისთვის ბედნიერების განცდა არ მომეკლო. როცა მარტო მიწევდა წასვლა, მაშინაც სულ მისი საჩუქრებით სავსე ჩანთები ჩამომქონდა.

— თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ალბათ, თქვენი თაყვანისმცემლების გამო ნერვიულობაც ხშირად უწევდა, ხომ?

— ყოველ შემთხვევაში, იმდენად ჭკვიანი იყო, რომ სცენებს არ მიწყობდა. ისე, დამივჯერეთ — როცა მამაკაცს მართლა გულით უყვარს ქალი, მერე მისთვის სხვა ქალი აღარც არსებობს... მიმაჩნია, რომ ფლირტის დონეზეც არ უნდა ატკინო გული საყვარელ ქალს. თაყვანისმცემლებს კი ვერ აუკრძალავ — რატომ გიყვარვარო, — ვერ ეტყვი. ან კი რა არის ხელოვნის ცხოვრება, თუ მისი შემოქმედება თაყვანისმცემლების გარეშე მიდის?!. ეს იცოდა ეთერმა და სკანდალების მოწყობა აღარ სჭირდებოდა. გარდა ამისა, ვხედავდი, როგორ მენდობოდა, როგორ სჯეროდა ჩემი და ამ ნდობით ვერ ვისარგებლებდი, ამას ვერ ვაკადრებდი. ესეც არ იყოს, ბედნიერებას ხილულად ვხედავდი და სხვაგან რა მინდოდა?.. დანარჩენს თავად ეთერი მოგიყვებათ, ოღონდ — უჩემოდ...

— როგორც ჩანს, თქვენთვის უპირველესი საზრუნავი მეუღლეა...

ეთერ გუსნიკაშვილი:

— მეამყება, რომ კარგ ქართულ ოჯახში აღვიზარდე. დედამ მამის მაგალითზე მიჩვენა, რომ მამაკაცის სიტყვა და საქმე უპირველესია ოჯახში, ქალი კი მისი ხელშემწყობი და აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, გამამოლიანებელია, მაგრამ — არა მთავარი და გადამწყვეტი... ოჯახში კაცის ფუნქცია უსაზღვროდ დიდია და სადაც ეს ბალანსი დარღვეულია, იქ სიმშვიდეზე ლაპარაკი ზედმეტია. ვფიქრობ, რომ ქართულ გარემოში მამაკაცის კულტი უფრო ამართლებს.

სულიკო და ეთერი შვილიშვილებთან ერთად

— მეუღლემ „ფეხადგმულ გაზაფხულს" შეგადარათ. თქვენ რას ადარებდით?

— სულიკო გაცნობამდე ბევრად ადრე მიყვარდა — როგორც მომღერალი. „სალამურსა გულში ჩავწვდი" — თითქმის ყოველდღიურად მესმოდა რადიოში და შევნატროდი ქალს, რომელსაც თითქოს ეფიცებოდა: „გაშლილ გულში ჩავიხედე, დაგინახე, შემიყვარდი"... როცა პირველად შევხვდი, სწორედ ეს სიმღერა ამომიტივტივდა გონებაში. თავადაც, ამღერებულ სალამურს მივამსგავსე და ასეთადვე დარჩა ჩემს ცნობიერებაში. მერე სიყვარულიც მოვიდა და ოჯახიც შეიქმნა. თუ სიყვარული არ დევს ოჯახის საძირკველში, ილუზია მალე ქრება. სულ აღტაცებული მიჯნური ვერ იქნები. წლების შემდეგ, სიყვარული სხვა ფორმასა და შინაარსს იძენს, მას უფრო დაღვინებული, სანდო გრძნობა ცვლის და სიყვარული მეგობრობაში გადადის. მე თუ მკითხავთ, სიყვარული არც არაფერია, მეგობრობის გარეშე.

— ახლა თქვენი ოჯახის დანარჩენ წევრებზეც გვითხარით რამდენიმე სიტყვა.

— ჩვენი ქალიშვილი — მაიკო, ეკონომისტია. მაიას ვაჟი — ირაკლი ჯერ სტუდენტია. სკოლას ამთავრებს მაიას ქალიშვილი — ანა და, როგორც სულიკო ამბობს ხოლმე, რადგან განათლებაში დახარჯული ფული გადაყრილი ნამდვილად არ არის, ვცდილობთ, ორივეს დროის შესატყვისი, კარგი განათლება მივცეთ. ისე, ყველანი კარგად მღერიან, თუმცა სულიკომ არც ერთ მათგანს არ მისცა ნება, რომ სიმღერა პროფესიად ექციათ. ანა ერთ პატარა, ძალიან კარგ ფილმში — „ნეტავ, აღარ იწვიმებდეს" გადაიღო გიორგი შენგელაიას ნიჭიერმა სტუდენტმა, მაია არჩვაძემ. სხვათა შორის, ფილმი გერმანიაში გამართულ, სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე სპეციალური დიპლომით აღინიშნა და ძალიან გვიხარია, რომ დოდო ჭიჭინაძესთან და ნინო კასრაძესთან ერთად, მასში ანაც მონაწილეობს.

— ასაკი რომ არ გეტყობათ, ასეთი რა საიდუმლო იცით?

— არანაირი საიდუმლო — ადამიანს შური აბერებს მხოლოდ. ვისაც სხვისი სიხარულით გახარების უნარი აქვს, წლები ვერაფერს დააკლებს. ბევრ ადამიანს ვიცნობ, ვინც შურმა, ბოღმამ და მომხვეჭელობის სურვილმა ნაადრევად დააბერა. სამაგიეროდ, ისეთებსაც ვიცნობ, ვინც წლების მიუხედავად, ისევ პეწიანად გამოიყურებიან. დაუსრულებლივ რომ შემიძლია, ვუყურო „ერისიონის" სიცოცხლით სავსე ცეკვებს ან მათ მიერ შესრულებულ „გემრიელ" ქართულ სიმღერებს ვუსმინო, რამ უნდა გამტეხოს და დამაბეროს?!. თუ სიყვარული შეგიძლია, თუ ბევრი და კარგი მეგობარი გყავს, მაშინ მდიდარი და გამარჯვებულიც ხარ. სიყვარული დედამიწის ღერძია და ღმერთმა არ ქნას, ეს ღერძი სხვა გრძნობამ დაატრიალოს!..

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(31 მარტი - 6 აპრილი)

ფერძი – 21/III-20/IV

გრძელდება თქვენთვის სასიკეთო პერიოდი და თუ როგორ გამოიყენებთ მას, მთლიანად თქვენზე იქნება დამოკიდებული. ყველა საქმე, რომელსაც თქვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ კვირაში განახორციელეთ. ერთდროულად ბევრი საქმის კეთება მოგიწევთ და ეცადეთ, შეცდომები არ დაუშვათ. ყურადღება გამოიჩინეთ კოლეგების მიმართ, ისინი ძალზე საჭირო დახმარებას გაგიწევენ. მოსალოდნელია თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – სასწორსა და თხის რქასთან.

პოზიტ. დღეები: 31 მარტი,2,3 აპრილი

ნეგატ. დღეები: 1, 4 აპრილი

კურო – 21/IV-21/V

გირჩევთ, ამ პერიოდში გამოავლინოთ მეტი მოთმინება და გამჭრიახობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარშემო მყოფებთან დაპირისპირება და კონფლიქტები არ აგცდებათ (ეს უფრო მეტად, ოჯახის წევრებთან მიმართებაშია მოსალოდნელი, ამიტომ მათ მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ). ნუ დაეყრდნობით სხვათა რჩევა-დარიგებებს, ნურც მფარველებისა და პროტექტორების იმედი გექნებათ. ამ პერიოდში, მშველელად მხოლოდ საკუთარი თავი მოგევლინებათ... ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და თხის რქასთან, ნეგატიური – ლომსა და მერწყულთან.

პოზიტ. დღეები: 31 მარტი,1,5 აპრილი

ნეგატ. დღეები: 3, 4 აპრილი

მარჩხეზი – 22/V-21/VI

აქამდე გადაუწყვეტელი ყველა პრობლემა გექნებათ გადასაჭრელი. მათი მოგვარება უამრავ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. მოსალოდნელია, ყოველივე ამას, ბევრი ხარჯი დაერთოს. ასე რომ, არ გირჩევთ, მნიშვნელოვან ცვლილებებზე წასვლას, რადგან მაღალია შეცდომების დაშვების ალბათობა. შესაძლოა, თქვენს წინააღმდეგ გააქტიურდნენ ფარული მტრები, ამიტომ სიფრთხილე გამოიჩინეთ. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და მერწყულთან, ნეგატიური – მშვილდოსანსა და თევზებთან.

პოზიტ. დღეები: 1, 3, 6 აპრილი

ნეგატ. დღეები: 2, 5 აპრილი

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

თქვენ გარშემო შექმნილი არასასიამოვნო სიტუაცია თქვენში გაღიზიანებას გამოიწვევს. ამას დაემატება ისიც, რომ ახლობლების თხოვნით, მათი პრობლემების მოგვარებას შეეცდებით და მოსალოდნელია, მთლად ამოვარდეთ ჩვეული რიტმიდან. რაც მთავარია, უნდა შეძლოთ, თქვენ გარშემო შემოიკრიბოთ ყველა ახლო მეგობარი – ასე უფრო სწრაფად შეძლებთ პრობლემატური საკითხების გადაჭრას. სიფრთხილე გამოიჩინეთ საწინააღმდეგო სქესის ადამიანებთან ურთიერთობისას. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თევზებთან, ნეგატიური – ქალწულსა და სასწორთან.

პოზიტ. დღეები: 31 მარტი, 2, 4 აპრილი

ნეგატ. დღეები: 1, 6 აპრილი

ლომი – 23/VII-23/VIII

ეს პერიოდი თქვენთვის არცთუ ისე სასიკეთოა, უფრო მეტად შემთხვევებსა და მოულოდნელობებზე იქნებით დამოკიდებული. ამიტომ, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ ყველა შეხვედრა თუ მოლაპარაკება, რომლებმაც შესაძლოა, თქვენს წინსვლას შეუწყოს ხელი. ეცადეთ, არ იყოთ ამპარტავანი და მფლანგველი. თვისება, რომელიც ამ კვირაში ყველაზე მეტად გამოგადგებათ, შრომისმოყვარეობაა. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური – ქალწულსა და მერწყულთან.

პოზიტ. დღეები: 1, 3, 5 აპრილი

ნეგატ. დღეები: 2, 4 აპრილი

ქალწული – 24/VIII-23/IX

სიზარმაცე და დროის გაყვანის ტაქტიკა – აი, ის თვისებები, რომლებიც ამ პერიოდში, თქვენთვის დამაბრკოლებელი იქნება. არ იფიქროთ, რომ ყველაფერი ნორმალურადაა. შესაძლებელია, პრობლემა სწორედ იმ მხრიდან წამოიჭრას, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელით. შესაძლოა, მოგიხდეთ ძველი შეცდომების გამოსწორება. გააანალიზეთ განვლილი გზა და მომავლის დაგეგმვაზეც იზრუნეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – ვერძსა და მერწყულთან.

პოზიტ. დღეები: 2, 5, 6 აპრილი

ნეგატ. დღეები: 1, 3 აპრილი

სასწორი – 24/IX-23/X

გრძელდება მეტ-ნაკლებად ნეგატიური პერიოდი. განსაკუთრებით ეს იმ ადამიანებს ეხებათ, რომლებიც დაკავშირებული არიან ხალხის ფართო მასებთან, საჯარო გამოსვლებთან, დისპუტებთან. დაიწყებთ ახალი შემოსავლის წყაროს ძიებას. ამას გაზრდილი ხარჯები გაიძულებთ. ჯობს, საშველი ისევ პროფესიონალურ საქმეში ეძებოთ, რადგან არაკანონიერი ქმედების შემთხვევაში, საკუთარ რეპუტაციას შეილახავთ და არასასურველ შედეგსაც მიიღებთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და ლომთან, ნეგატიური – ვერძსა და კუროსთან.

პოზიტ. დღეები: 1, 2, 4 აპრილი

ნეგატ. დღეები: 31 მარტი, 5 აპრილი

ღრიანკალი – 24/X-22/XI

გაგიჩნდებათ სურვილი, რომ ერთბაშად წაიწიოთ წინ და ერთ დღეში გადაჭრათ მრავალი საკითხი. ასეთ შემთხვევაში, ფიზიკურად გადაიღლებით და შესაძლოა, საკუთარ ჯანმრთელობას გამოუსწორებელი ზიანიც მიაყენოთ. ეცადეთ, მეტი ინფორმაცია მოიპოვოთ ყველა იმ საკითხზე, რომელიც თქვენს პროფესიონალურ წინსვლას უკავშირდება, ეს მნიშვნელოვნად გაგიადვილებთ უფროსობასთან საერთო ენის გამონახვას და მოსალოდნელია, წინ წაწევაც მოახერხოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და თევზებთან, ნეგატიური – კუროსა და ლომთან.

პოზიტ. დღეები: 1, 4, 5 აპრილი

ნეგატ. დღეები: 3, 6 აპრილი

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

დროა, გამოავლინოთ მეტი აქტიურობა და ორგანიზებულობა, რათა ხელიდან არ გაუშვათ ის შანსი, რომელიც ამ პერიოდში მოგეცემათ; ამაში სრულიად ახალი კავშირები, ურთიერთობები და ნაცნობობაც დაგეხმარებათ. თუ ამ კვირაში წარმატებას ვერ მიაღწევთ, ეს მხოლოდ საკუთარ თავს დაბრალეთ. გაიაზრეთ, რომ რაღაცას სწორად ვერ აკეთებთ და ზოგიერთი საკითხი სხვანაირად მიდგომას საჭიროებს. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და თევზებთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და ქალწულთან.

პოზიტ. დღეები: 31 მარტი,3,4 აპრილი

ნეგატ. დღეები: 2, 5 აპრილი

თხის რქა — 22/XII-20/I

ამ პერიოდში უამრავი საქმიანი შეხვედრა გელებათ, რომელიც არა მარტო თქვენს პროფესიასთან იქნება დაკავშირებული. შესაძლოა, მიიღოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც თქვენი მომავალი მოქმედებისთვის ძალზე სასარგებლო იქნება. ადამიანებთან შეხვედრისას ეცადეთ, სოლიდურად და საქმიანად გამოიყურებოდეთ — ეს წარმატების მისაღწევად ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. ორგანიზატორული ნიჭი და მოჭარბებული ენერგია სასურველი მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. ურთიერთობები პოზიტიურია კურისა და ღრიანკალთან, ნეგატიური — მშვილდოსანსა და მერწყულთან.

პოზიტ. დღეები: 3, 5, 6 აპრილი
ნეგატ. დღეები: 1, 4 აპრილი

მერწყული — 21/I-19/II

მიმდინარე კვირა თქვენთვის მეტნაკლებად ნეიტრალური იქნება. მიუდექით ყველაფერს შემოქმედებითად. იყავით გულისხმიერი და მეგობრული, ამასთანავე — ორგანიზებული. ეს დაგეხმარებათ, თქვენთვის ძალზე საჭირო ურთიერთობები დაამყაროთ იმ ადამიანებთან, ვისთანაც ადრე ამის გაკეთება უბრალოდ, შეუძლებელი იყო. კოლეგების მხრიდან კონსერვატიზმის გამოვლენის შემთხვევაში, ნუ გაღიზიანდებით. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და სასწორთან, ნეგატიური — ვერძსა და ლომთან.

პოზიტ. დღეები: 1, 4, 6 აპრილი
ნეგატ. დღეები: 3, 5 აპრილი

თევზები — 20/II-20/III

მიმდინარე კვირა თქვენთვის მეტნაკლებად ნეიტრალური იქნება. მიუდექით ყველაფერს შემოქმედებითად. იყავით გულისხმიერი და მეგობრული, ამასთანავე — ორგანიზებული. ეს დაგეხმარებათ, თქვენთვის ძალზე საჭირო ურთიერთობები დაამყაროთ იმ ადამიანებთან, ვისთანაც ადრე ამის გაკეთება უბრალოდ, შეუძლებელი იყო. კოლეგების მხრიდან კონსერვატიზმის გამოვლენის შემთხვევაში, ნუ გაღიზიანდებით. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და სასწორთან, ნეგატიური — ვერძსა და ლომთან.

პოზიტ. დღეები: 1, 4, 6 აპრილი
ნეგატ. დღეები: 3, 5 აპრილი

რა ენერგეტიკას ატარებს ქართული ფულის ერთეული

სამყაროში, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, ფულიც გარკვეულ სიმბოლოს წარმოადგენს (იგი სიმბოლოა სიმდიდრისა და მატერიალური კეთილდღეობისა). ფულის ნიშნებზე ძველთაგანვე, გარკვეულ ციფრებსა და ნიშნებს გამოხატავდნენ და ხშირ შემთხვევაში, ამას ეზოტერიკული დატვირთაც ჰქონდა. ძველ თუ თანამედროვე ბანკნოტებსა და მონეტებზე მეფეთა, მონარქთა თუ პრეზიდენტთა პორტრეტებს ვხვდებით (რაღა თქმა უნდა, ეს სიმდიდრის, სიძლიერისა და ძალაუფლების სიმბოლო იყო). ფულის პირველი ნიშნები ჩვ. წ. აღმდე გაჩნდა, მანამდე კი, ნატურალური მეურნეობა იყო გაბატონებული. არსებობდა ანგარიშსწორების სხვა ფორმებიც — მაგალითად, ოკეანეთის ზოგიერთ კუნძულზე ფულის ფუნქციას ნიჟარა ასრულებდა, ციმბირში — ძვირფასი ბეწვი გამოიყენებოდა ა.შ.

როგორც ცნობილია, ყველაფერი, რაც მატერიალურ სამყაროში იქმნება, ჯერ იდეის დონეზე ყალიბდება (მენტალური სიბრტყე); იდეის დამუშავება და მასზე ფიქრი აღძრავს ემოციას (ასტრალური სიბრტყე) დაბოლოს, იდეის მატერიალიზება — ანუ ფორმის მიცემა ხდება (ფიზიკური სიბრტყე).

ყველას მოეხსენება, რომ ფული სიმბოლურად უნდა გამოხატავდეს იმას, რაც მის იდეაში ჩაიდო. აგრეთვე, უნდა წარმოაჩენდეს იმ ქვეყნის და ქვეყანაში მცხოვრები ხალხის ხასიათსა და ნიშანთვისებებს (რასაკვირველია, მეტაფიზიკური თვალსაზრისით).

საინტერესოა, ამ კუთხით ქართული ფულის ერთეულის — ლარის განხილვა. ქართული ფულის ნიშნები 1993 წელს, საფრანგეთში დაიბეჭდა. საფრანგეთს, ისევე, როგორც საქართველოს, ლომის ზოდიაქოს ნიშანი მართავს (ეს იოლი შესამჩნევია, თუ ამ ორი ერის მსგავსებაზე გავამახვილებთ ყურადღებას). ეს თავისთავად არ არის ცუდი. მაგრამ ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ლარი მიმოქცევაში მხოლოდ მისი დაბეჭდვიდან ორი წლის შემდეგ გამოვიდა, რაც არცთუ ისე პოზიტიური გარემოებაა. თუმცა, ეს არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რომ ლარზე გამოსახული ნიშნები და ადამიანთა პორტრეტები ბევრ შეუსაბამობასა და გაურკვევლობას აღძრავს. ამ კუთხით, მონეტებზე მეტი დადებითი ითქმის, ვიდრე ბანკნოტებზე.

საუკეთესო გამოსავალია.

დავიწყოთ **ხუთთეთრიანით:** ავერსზე ლომია გამოსახული, რევერსზე — ბორჯღალი (მზის სიმბოლო, ასტროლოგიაში ლომს სწორედ მზე მართავს). როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო ლომის ნიშნით იმართება, ამიტომ ეს მონეტა მთლიანობაში პოზიტიური ენერგიის მატარებელია. **ათთეთრიანზეც** ლომია გამოსახული, ოღონდ, მასზე ისტორიულ-მისტიკური პერსონაჟი — მაია ამხედრებული, რაც ასევე დადებით ემოციას აღძრავს. **ოცთეთრიანი** მეტაფიზიკური დატვირთვით აშკარად ჩამოუვარდება წინამორბედებს, რადგან მასზე ირემს ვხედავთ: რამდენადაა ის ძალაუფლების სიმბოლო და რამდენად ეწყობა ლომს, ეს სხვა საკითხია. **ორმოცდაათთეთრიანზეც** ლომის (ოღონდ — ფრთოსნის) გამოსახულებას ვხვდებით, რაც ჰარმონიულ კავშირშია ხუთ და ათთეთრიანებთან: ამ მონეტებით (მხოლოდ ხუთ ან ათთეთრიანებით) ხომ შეგვიძლია, ორმოცდაათი თეთრი შევაგროვოთ, რასაც ვერ ვიტყვით ოცთეთრიანებზე.

მონეტები ნებისმიერი ქვეყნის ვალუტაში მხოლოდ ხურდა ფულის ფუნქციას ასრულებს და მთავარი დატვირთვა ბანკნოტებზე მოდის. ლარის შემთხვევაში, ათვლა **ერთლარიანით** იწყება. მასზე დიდი ქართველი მხატვარია აღბეჭდილი, მეორე მხარეს კი, ისევ და ისევ, ირემი (ამ მხატვრის ერთ-ერთი ნახატი). ნიკო ფიროსმანი, როგორც მხატვარი, რა თქმა უნდა, გამოჩენილი პიროვნებაა. მაგრამ ჩვენ ხომ ამ შემთხვევაში მატერიალურ მხარეზე გვაქვს ყურადღება გამახვილებული, ის კი ამ მხრივ, არცთუ ისე წარმატებული გახლდათ (გავიხსენოთ, ვინ ჰყავთ გამოსახული ამერიკელებს ერთდოლარიანზე: ჯორჯ ვაშინგტონი, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის აშშ-ის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებაში და მისი პირველი პრეზიდენტიც გახლდათ. ერთდოლარიან კუპიურაზე მისი გამოსახვა სულაც არ აკნინებს მის პიროვნებას — პირიქით. ამავე მიდგომით, ერთლარიანზე დავით აღმაშენებელი ან გიორგი ბრწყინვალე რომ აღგვებეჭდა, ურიგო არ იქნებოდა. და საერთოდ, ვფიქრობ, ყველა კუპიურაზე ქართველი მეფე უნდა ყოფილიყო გამოსახული: ღვთის მადლით, საკმაოდ ბევრი ძლიერი და სახელოვანი მონარქი გვყავდა)... ერთლარიანზე მარჯვენა ქვედა კუთხეში პატარა კვადრატი შეინიშნება (პირველად გამოშვებულ ასიგნაციებზე ეს სიმბოლო არ იყო, შემდგომში დაუმატეს). არც კვადრატია პოზიტიური ფიგურა, რადგან მას მიმართულება არ გააჩნია — განსხვავებით სამკუთხედისა და პენტაგრამისაგან, — ამიტომ, საწყის ბანკნოტზე მისი მოთავსება ნამდვილად დიდი შეცდომაა. სხვა საქმეა ბორჯღალი. პირველად გამოშვებულ ფულზე ბორჯღალი მარცხენა მიმართულებით ბრუნავს, შემდგომ ვარიანტებზე უკვე — მარჯვენა მიმართულებით — ანუ აქ ქაოსურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. ცნობისათვის ვიტყვით, რომ სწორი, პირველი ვარიანტი გახლავთ (ამაზე ზოდიაქოს რკალის მიმართულებაც მიგვანიშნებს). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კუპიურის ფერი. ჯობდა, როგორც დოლარის შემთხვევაშია, ლარიც ერთი ფერის გვქონოდა და ეს ოქროსფერი ყოფილიყო (მზისა და ლომის ზოდიაქოს ფერი).

მთლიანობაში, არც **ორლარიანი** ტოვებს პოზიტიური ენერგიის მატარებელი კუპიურის შთაბეჭდილებას. მასზე კომპოზიტორი, ნოტები და ოპერისა და ბალეტის თეატრია აღბეჭდილი. ცოტა ძნელი აღსაქმელია ფინანსებისა და მუსიკის შერწყმა... აქაც მეორდება კვადრატი, მაგრამ ორლარიანზე მასში წრეა ჩასმული (უკეთესი იქნებოდა, წრე ასლარიანზე რომ ყოფილიყო გამოსახული — როგორც კოსმოსის მუდმივი ციკლის სიმბოლო). შემთხვევითი როდია, რომ აშშ-ს ფაქტობრივად, ორდოლარიანი არ აქვს (მართალია, ის ხმარებაში გამოუშვეს, მაგრამ მალევე ამოიღეს ბრუნვიდან): ეს იმიტომ მოხდა, რომ ციფრი ორი (2) ცალსახად ნეგატიურ ენერგიას — ე.წ. „ინ"-ს შეიცავს, რაც წინააღმდეგობაში მოდის ერთიანთან (1). ჯობდა, ორლარიანი საერთოდ არ გვქონოდა და მის ნაცვლად, სამლარიანი ყოფილიყო (კენტი ციფრები ხომ პოზიტიური ენერგიის მატარებლად ითვლება).

ქაღალდის ფულში ყველაზე უკეთესი კუპიურა **ხუთლარიანია**. ის ოქროსფერია, მასზე მეცნიერია გამოსახული (მატერიალურ სამყაროს ხომ უფრო მეცნიერება მიეკუთვნება, ვიდრე ხელოვნება); მასზე ვხვდებით ლომის ფიგურასაც — სხვათა შორის, იმავეს, რომელიც ხუთთეთრიანზეა. მარჯვენა დაბალ კუთხეში კი, სამკუთხედია, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტად სასიკეთოა. ამგვარად, ხუთლარიანი მთლიანად პოზიტიური ენერგიის მატარებელი კუპიურაა.

ათლარიანი საერთოდ, გაურკვეველი ენერგიის შემცველია, მიუხედავად იმისა, რომ მასზე უდიდეს ქართველ პოეტს ვხვდებით, მეორე მხარეს, ქართული ფერწერის კიდევ ერთი ნიმუშია აღბეჭდილი, სიმბოლოდ კი ნახევარწრე გვევლინება (დაუსრულებელი ციკლი?..). მიუხედავად ყველაფერ ამისა, ის, როგორც ფულის ნიშანი, ნეგატიურად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან არც ფერით, არც ზედ გამოსახული პიროვნების პორტრეტითა და სიმბოლოებით არავითარ კავშირში არ გახლავთ მატერიალურ სფეროსთან, მით უმეტეს — საქართველოსთვის მნიშვნელოვან ეზოტერიკულ სიმბოლოებთან.

ოცლარიანი ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ, რადგან მისი პირველი ნაწილი (კერძოდ, რევერსი) ძალზე პოზიტიურ ენერგიას შეიცავს. აქ ვხედავთ საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს მეფეს, ასევე მზის გამოსახულებას, რაც დადებით ემოციას აღძრავს. მაგრამ, მეორე მხარეზე (ავერსზე) ვხედავთ პიროვნებას, რომელიც საქართველოსთვის ეწამა და ამისათვის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა (მართალია, მას ცხოვრებაში ფინანსებთან საფუძვლიანი შეხება ჰქონდა, მაგრამ დღეს, ის ჩვენთვის ერის მამასა და წმინდანს წარმოადგენს და არა ბანკის მმართველსა და მდიდარ პიროვნებას)... ისევე, როგორც რიცხვი ორი (2), ოციც (20) ნეგატიურ ენერგიას შეიცავს. ჯობდა, ოცდახუთლარიანი გვქონოდა, რადგან ის არითმეტიკულად ზუსტად შუაზე ყოფს შემდეგნიშნულიან კუპიურას.

ორმოცდაათლარიანი და **ასლარიანი**, ხუთლარიანთან ერთად, პოზიტიური ასიგნაციების რიგში შედის. ერთზე დედოფალია გამოსახული, რომელმაც საქართველოს ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა, მეორეზე კი — პოეტი, რომელიც საკმაოდ დიდი ხნით, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი (ფინანსთა მინისტრი) იყო. ასევე ორივეზეა გამოსახული მზის სიმბოლოები, რაც საქართველოსთვის, მეტაფიზიკური თვალსაზრისით, დადებითია. ორივე კუპიურა ოქროსფერია და მთლიანობაში, საკმაოდ მდიდრულ შთაბეჭდილებასაც ტოვებს.

დაგვეთანხმებით — სამყაროში შემთხვევით არაფერი ხდება და, ცხადია, არც ფულის ნიშნებზე გამოსახული პიროვნებები თუ სიმბოლოები შეიძლება იყოს შემთხვევითი. აქედან გამომდინარე, თუ ფულის დაგროვებას შეეცდებით, ეცადეთ, მხოლოდ ხუთ, ორმოცდაათ და ასლარიანი კუპიურებით შემოიფარგლოთ, თუ არ გინდათ, რომ დაგროვილი თანხა ნეგატიურ ენერგიას შეიცავდეს... ■

მოამზადა რამაზ გიგაურმა

ევერესტი
აქლემის ნაშიერი
მტაცებელი ფრინველი
ჩინური სამაგიდო თამაში
სახელმწიფო აფრიკაში
უბანი თბილისში
იაპონური ჭიდაობა
მინანქარი
საჭრელი იარაღი
ზღვრული ნორმა
თურქეთის ფულის ერთეული
სამშენებლო მასალა
კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
სამეგრელოს მთავართა გვარი
ყარყატის სახეობა
მრწამსი
ქიმიური ელემენტი
კონტინენტი
მდინარე ურალის ძვ. სახელწოდება
დაფი
... ონო
ებრაელთა საღვთო წიგნი
ოპტიკური ხელსაწყო
ახალი წარმონაქმნი
ჭადრაკის ფიგურა
აშშ-ის შტატი
სახელდახელოდ თქმული ლექსი
იაპონური თეატრი
ქართული ლუდი
ბიოინჟინერია
საჭმლის ასაღები ჩხირები იაპონიაში
მხარე გერმანიაში
რაიმე საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები
საფეიქრო ბანანი
ბულგარელი ნათელმხილველი
ეთიოპიის ფულის ერთეული
იაპონელი კინორეჟისორი
ქართველი პოფესიონალი მოკრივე



მე-11 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-გ.
53-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ა; 4-ა.

ანეკდოტები

***

ცირკში გამხდარი მამაკაცი ფუშ-ფუშა ცოლს ეჩურჩულება:

— ნამდვილი საოცრებაა! როგორ შეუძლია ასეთი პატარა ტანის კაცს ამხელა ლომების მოთვინიერება?

— ჰო-ო!.. ეტყობა, მათში მადას არ აღძრავს...

***

უმუშევარი ქმარი ცოლს სამსახურში ურეკავს.

ცოლი:

— სექსი ტელეფონით გისმენთ! თქვენს ნებისმიერ სურვილს შევასრულებ.

ქმარი:

— ქალო, მე ვარ. პურის მოტანა არ დაგავიწყდეს!

***

ქუჩაში ღიპიანი კაცი მიდის. „ბირჟავიკებმა“ მისი გაღადავება გადაწყვიტეს.

— ბიძაჩემო, — ეუბნება ერთი, — რამდენი ხანია, საკუთარი ინსტრუმენტი არ გინახავს?

— 3 წელია უკვე და სადაც ნახავთ, კოცნით მომიკითხეთ!

***

ორი მეგობარი ქუჩაში მისეირნობს. გვერდზე ახალგაზრდა, სიმპათიური გოგონა ჩაუვლის. ერთი ეუბნება მეორეს:

— შეხედე, შეხედე, გამიღიმა!..

— პირველად როცა გნახე, მეც კინაღამ სიცილით მოვკვდი!..

***

მატარებლის კუპეში ორი კაცი ზის. საზღვარზე გადადიან. შემოვარდება სამი მებაჟე.

— ნარკოტიკები, იარაღი, ვალუტა?!

— არა, გმადლობთ... თუ არ შეწუხდებით, მხოლოდ ორი ჩაი!

***

— რატომ ესროლე, ბოშო, მიშა ძიას აგური თავში?

— მეტს აღარ ვიზამ!

— მაგას მეტი აღარც უნდა!

***

ფსიქიატრიულის ეზოში ორი „აღგილობრივი“ ბანანს ჭამს. ერთი ეუბნება მეორეს:

— შენ რა, ბანანს არ ფცქვნი?

— რატომ უნდა გავფცქვნა?!. ისედაც ვიცი, შიგ რაც არის.

***

მიღებაზე ფსიქოთერაპევტთან:

— გამარჯობა, ექიმო!

— გამარჯობა, ავადმყოფო!

— საიდან მოიტანეთ, რომ მე ავადმყოფი ვარ?!

— თქვენ რატომ გგონიათ, რომ მე ექიმი ვარ?!

***

ორი მდივანი ქალის საუბრიდან:

— რა საზიზღრობაა ეს საბეჭდი მანქანა!

— რატომ?

— როცა არ მუშაობ, ყველა იგებს.

***

კინოთეატრში ფილმის ჩვენებისას, უეცრად ბოლო რიგიდან კაცი წამოხტება და შეშფოთებული ყვირის:

— ექიმები!.. ექიმები თუ არიან დარბაზში?

ინთება შუქი, ყველა შეშფოთებული იყურება აქეთ-იქით. პირველი რიგიდან კაცი დგება და ამბობს:

— მე ვარ ექიმი.

— კარგი ფილმია, არა, კოლეგა?..

***

ორი ნარკომანი ავტობუსით მგზავრობს. ერთი ეკითხება მძღოლს:

— ეს ავტობუსი ვაგზლამდე მიმიყვანს?

— არა.

— ვაა... ძმაკუშ... არც მე?.. — ეკითხება მეორე.

***

— იცი, ვცადე, მეცხოვრა სექსის და ალკოჰოლის გარეშე...

— მერე, როგორია შედეგი?

— ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე საათები იყო...

***

უფროსი ძმა უმცროსს მშობლების შესახებ ეუბნება:

— უცნაური ხალხია... თავიდან სიარულს და ლაპარაკს გვასწავლიან, მერე კი გვაიძულებენ, დავჯდეთ და ჩუმად ვიყოთ...

***

— ბოდიში, თქვენთან ჯერ კიდევ მუშაობს ის ოფიციანტი, რომელსაც საუზმე შევუკვეთე?..

***

— არ ვიცი, რა ვქნა: ექიმმა მითხრა, მეხსიერება მთლიანად დაკარგული გაქვსო.

— მართლა?! ათას დოლარს ხომ ვერ მასესხებდი?..

***

მოსწავლეს ეკითხებიან:

— მიხო, ვინ იყო მარქსი?

— ეკონომისტი, მასწ...

— როგორც მამაშენი, არა?

— არა, რას ამბობთ!.. მამაჩემი მთავარი ეკონომისტია!

***

ცოლი ეუბნება ქმარს:

— ისე ბევრს მუშაობ, რომ ღამით ძილშიც კი შენს მდივანს ეძახი...

***

— ექიმო, ძალიან გთხოვთ, სასწრაფოდ მოდით, ჩემს ცოლს აპენდიციტის შეტევა აქვს;

— ნუ ღელავთ, ორი წლის წინ მე თქვენს ცოლს აპენდიციტის ოპერაცია უკვე გავუკეთე და შეუძლებელია, მეორე აპენდიქსი გასჩენოდა.

— მართალი ბრძანდებით. მაგრამ ხომ შეიძლება, ადამიანს მეორე ცოლი გაუჩნდეს!..

***

საწარმოს დირექტორი ეკითხება მოადგილეს:

— დარწმუნებული ხართ, რომ ეს სეიფი საიმედოა?

— რა თქმა უნდა, მას ვერანაირი გასაღებით ვერ გააღებ.

— აბა, თქვენ როგორ აღებთ?

— ფრჩხილით.

როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

ქვემოთ მოყვანილ ტესტში გთავაზობთ ათ სიტუაციას, პასუხის ორი შესაძლო ვარიანტით. ყოველ სიტუაციაში პასუხის ერთ-ერთი ვარიანტი უნდა აირჩიოთ.

1.

ა) ვთქვათ, გაგიფუჭდათ ტელევიზორი, თქვენ გამოიძახებთ ხელოსანს და მშვიდად დაელოდებით მის მოსვლას.

ბ) ტელევიზორის შესაკეთებლად მაშინვე რამე საშუალებას გამოძებნით, რადგან მის გარეშე ერთ დღესაც კი ვერ გაძლებთ.

2.

ა) თავისუფლად შეგიძლიათ დაასახელოთ ის სამი წიგნი, რომელიც ამ ბოლო ხანებში წაიკითხეთ ან ამ მოკლე ხანში აპირებთ წაკითხვას.

ბ) წინასწარ არ იცით, რას წაიკითხავთ, რადგან ამის თაობაზე გარკვეული გეგმები ჯერ არ გაქვთ.

3.

ა) თქვენ გაქვთ ჰობი — აგროვებთ მარკებს ან ფოტოგრაფირებით ხართ გატაცებული, ან...

ბ) თქვენი საყვარელი საქმიანობა გახლავთ, დივანზე წამოწოლა ან სახლის მახლობლად მდებარე კაფეში საღამოს გატარება.

4.

ა) გიყვართ ბუნება და ტყეში სეირნობა, ამიტომ ქალაქგარეთ გასვლისა და ექსკურსიაზე წასვლის შანსს ხელიდან არ უშვებთ.

ბ) ფეხით სიარული არანაირ სიამოვნებას არ განიჭებთ, როგორც წესი, დანიშნულების ადგილზე მისასვლელად ავტობუსით ან ავტომანქანით გადაადგილებას ამჯობინებთ.

5.

ა) მთელი წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად შრომობთ და საქმეებს აგვარებთ, შვებულებაში გასვლის შემდეგ კი, სრულყოფილ დასვენებას ეძლევით და საერთოდ არაფერს აკეთებთ.

ბ) ყველაზე კარგი დასვენება, თქვენთვის მოგზაურობა და ახალ-ახალი ადგილების მონახულება გახლავთ.

6.

ა) წარმოიდგინეთ, რომ სრულიად მოულოდნელად ერთი დღე გამოგითავისუფლდათ. ვინაიდან, თქვენ უამრავი გეგმა გაქვთ, იმ დღის გატარებასთან დაკავშირებით, არანაირი პრობლემა არ შეგექმნებათ.

ბ) წინასწარ საიდან უნდა ვიცოდე, თუ როგორ გავატარებ იმ დღეს, თავისუფალი დრო ხომ სრულიად მოულოდნელად გამომიჩნდა?

7.

ა) კვირადღეა და თქვენ ახლობლის ტელეფონის ზარს ელით. მის დარეკვამდე ტელევიზორის ყურებით ან რადიოს მოსმენით იქცევთ თავს.

ბ) ვიდრე დაგირეკავდნენ, სახლის დალაგებას შეუდგებით.

8.

ა) შინ კოლექტიურ თამაშობებს — მაგალითად, ჭადრაკს ან დომინოს — თამაშობთ.

ბ) შინ არც ჭადრაკის დაფა გაქვთ და არც დომინოს ქვები, მაგრამ მათი შეძენა გადაწყვეტილი გაქვთ.

9.

ა) თქვენში არავითარ ემოციას არ აღძრავს ადამიანი, რომელიც საფოსტო მტრედების მოშენებით არის დაკავებული — ამას თქვენთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

ბ) თქვენ გესმით იმ ადამიანის, რომელიც ამა თუ იმ ცხოველის ან ფრინველის მოვლით არის გატაცებული.

10.

ა) თქვენ არასოდეს გაქვთ იმის პრობლემა, თუ სად და როგორ გაატაროთ თავისუფალი დრო, ვინაიდან ამ ცხოვრებაში უამრავი ინტერესის სფერო გაქვთ და არც კი იცით, პირველ რიგში, რას მოჰკიდოთ ხელი.

ბ) ხანდახან თავისუფალი დრო მძიმე ტვირთად გაწვებათ და ზოგჯერ ძალიან დიდი სურვილი გიჩნდებათ იმისა, რომ უქმეები მალე გავიდეს.

თუკი თქვენ 1, 2, 3, 4, 6 და 10 შეკითხვებზე პასუხის „ა“ ვარიანტი აირჩიეთ, ყოველ მათგანში დაიწერეთ ორ-ორი ქულა. ასევე ორ-ორი ქულა დაიწერეთ, თუკი პასუხის „ბ“ ვარიანტი აირჩიეთ 5, 7, 8, 9 შეკითხვებზე.

ტესტის შედეგები

0-8 ქულა: ძალზე ერთფეროვნად ატარებთ თავისუფალ დროს. ამიტომ თქვენთვის აუცილებელია, რომ დროდადრო მაინც გააქტიურდეთ და რაიმე საინტერესო თავშესაქცევი მოიფიქროთ.

10-14 ქულა: ჩვეულებრივ, მშვიდ დასვენებას ანიჭებთ უპირატესობას ანუ ხან ტელევიზორის ყურებით იქცევთ თავს, ხან კი — წიგნის კითხვით. მაგრამ ძალების აღსადგენად ეს, ყოველთვის საკმარისი როდია. იქნებ ჯობს, რომ ზოგჯერ სპორტს მისდიოთ?!

16-იდან 20 ქულამდე: შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა — „მოწყენილობის“ არსს თქვენ ბოლომდე ვერც კი სწვდებით, რადგან გამუდმებით სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობთ.

თუკი თქვენ ზუსტად 20 ქულა მოაგროვეთ, გირჩევთ, დაფიქრდეთ: რამდენად გაინტერესებთ ის საქმე, რასაც აკეთებთ? რას გაძლევთ ოჯახი და რას აძლევთ თქვენ მას? გრჩებათ თუ არა დრო კიდევ რამისთვის, გართობისა და თავის შექცევის გარდა?

ᩩᲘᲜᲔᲚ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲘᲗ

აშშ-ში, სპეციალურად პეკინის აეროპორტისთვის დაამზადეს ფრინველების დასაფრთხობად განკუთვნილი მოწყობილობა – კერძოდ, რადიოლები, რომლებიც მტაცებელი ფრინველების ხმას გამოსცემს. ვინაიდან თვითმფრინავებსა და ლაინერებს, აფრენა-დაშვებისას, ფრინველები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მათ დასაფრთხობად ყველაზე თანამედროვე მეთოდი გამოეყენებინა და აშშ-ში, სპეცშეკვეთით დამზადებული რადიოლები, ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკის სიახლოვეს განათავსა. მაგრამ აეროპორტის თანამშრომლების მოლოდინი არ გამართლდა: „ჩინელმა“ ფრინველებმა „ამერიკელი“ მტრებისა ვერაფერი გაიგეს და შესაბამისად, არც მათი შეშინებიათ. აეროპორტის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, სასწრაფოდ შეეცვალათ „უცხოელი“ მტაცებლების ხმა „მშობლიური“ – ჩინელი მტაცებელი ფრინველების ხმით.

როგორც ჩანს, ენობრივი ბარიერი ფრინველებშიც არსებობს. „ფრინველები საკუთარი საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობენ და მხოლოდ იმ ხმებზე რეაგირებენ, რომელსაც მათი ბუნებრივი მტრები გამოსცემენ“, – განაცხადა ბიოლოგ-ორნიტოლოგმა, პროფესორმა – ჩინგ ჩანფგ ვონგმა. ■

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲔᲗᲔᲑᲐᲡ ᲯᲐᲛᲔᲩᲘᲡ ᲯᲚᲝᲜᲘ ᲛᲝᲔᲕᲚᲘᲜᲐ

მსოფლიომ ჩინეთიდან სენსაციური ინფორმაცია შეიტყო: 17 მარტს, ქვეყნის სამხრეთი ნაწილის ერთ-ერთ პროვინციაში, მსოფლიოში პირველი კლონირებული ზაქი დაიბადა, რომელმაც დაბადებიდან ნახევარ საათში ფეხზე დადგომაც კი შეძლო. ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სპეციალისტებს სავსებით აკმაყოფილებს – მისი პულსი, სხეულის ტემპერატურა და სასუნთქი სისტემა ნორმის ფარგლებშია. დაბადებისას ზაქი დაახლოებით 21 კგ-ს იწონიდა, 86 სმ სიგრძის და 62 სმ სიმაღლის იყო. „კლონირებული ცხოველის ამქვეყნად მოვლინება ჩინელი მეცნიერებისათვის დიდი მიღწევაა. მათ სომატური უჯრედების გამოყენებით უკვე აითვისეს კლონირების ტექნოლოგია. ეს კი, თავის მხრივ, ქვეყანაში მესაქონლეობის განვითარებას შეუწყობს ხელს“, – აცხადებს კლონირების პროექტის ხელმძღვანელი. მანვე დასძინა, რომ მიმდინარე წელს, იმავე სამეცნიერო ცენტრში კიდევ ორი კლონირებული კამეჩი დაიბადება. ■

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲝᲜᲔᲡ

გერმანელებმა გამოთვალეს ფორმულა, რომელის მიხედვითაც შესაძლებელია, წყვილმა იდეალური ურთიერთობა შეინარჩუნოს. ამისათვის საკმარისია, იცოდე რამდენიმე წესი და შეიძლება ითქვას – სიყვარულში გაგიმართლებს! გერმანელი სპეციალისტების აზრით, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას, ზედმეტი კრიტიკა აფუჭებს. რურსკის უნივერსიტეტის პროფესორი ჰანს-ვერნერ ბერჰოფი მოუწოდებს ყველა შეყვარებულ წყვილს, კრიტიკული შენიშვნები, ხშირად კომპლიმენტებით შეცვალონ. ამასთანავე, კომპლიმენტების რაოდენობა, შენიშვნების რაოდენობას ხუთჯერ მაინც უნდა აჭარბებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წყვილს შორის წარმოშობილი დისბალანსი, მათ აუცილებლად მიიყვანს განშორებამდე. მეცნიერი დარწმუნებულია, რომ ამგვარი ტაქტიკა კარგი ურთიერთობის წინაპირობაა – იმდენად, რამდენადაც კეთილმოსურნე ადამიანს მეტი შანსი აქვს, იყოს ბედნიერი.

ბერჰოფმა და მისმა კოლეგამ – ელკე როჰმანმა, სპეციალური ექსპერიმენტიც კი ჩაატარეს, რომელშიც 1000-ზე მეტი ოჯახური წყვილი და ამდენივე მარტოხელა ქალი და მამაკაცი მონაწილეობდნენ. მიღებული შედეგების ფონზე მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მათ მიერ წამოყენებული თეორია პრაქტიკაში სავსებით მისაღებია. წარმატებული მეცნიერები აპირებენ, გამოსცენ წიგნი, სახელწოდებით – „როგორ უკვდავყოთ სიყვარული“, სადაც ავტორები მკითხველს ურჩევენ – როგორ იცხოვრონ ისე, რომ მთელი მათი ცხოვრება თაფლობის თვეს ჰგავდეს. წიგნში განხილული იქნება ის პრობლემებიც, რომლებმაც შეიძლება წყვილი განშორებამდე მიიყვანოს. მათ შორის ავტორები განსაკუთრებით, უმუშევრობას, ღალატს, სტრესულ სიტუაციებს, დეპრესიას და ბავშვის დაბადებას გამოყოფენ. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიგნში იმდენი სასარგებლო რჩევა იქნება მოცემული, რომ ნებისმიერი მსურველი, მათი დახმარებით შეძლებს, პარტნიორთან იდეალური ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნოს. ■

ფოტოკუიზი

b 110/13

№7(93) 31.III.-13.IV.2005

ოჯახის მეუნიერალი

საშეჯიბინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

საგაზაფხულო დესინფექციოზი

დღენაკლული ბავშვი

საყლაპავის დაავადებები

მთავარი თემა: შუასაყრის პათოლოგიები

ვიზიტი ალერგოლოგთან

პათოლოგიური მშობიარობა

მოუფრთხილდით ვიტამინებს

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის